

საქართველოს სსრ უმაღლესი და საზოგადო სპეციალური
განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტი

კარლო გოგსაძე

დიადეპტიკური უარყოფა



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1973

ნაშრონში მოცემულია მატერიალისტური დიალექტიკის ერთ-ერთი ნაკლებად დამუშავებული და ურთულესი პრობლემის — დიალექტიკური უარყოფის მონოგრაფიული გამოკვლევის ცდა. ცალკეული საკითხები გაშუქებულია ფილოსოფიურ-ისტორიულ ასპექტში.

წიგნი განკუთვნილია ფილოსოფიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

მარქსიზმი უშუალო მემკვიდრეა ყოველივე იმ საუკეთესოსი, რაც მანამდე შექმნა კაცობრიობამ. მასში არაფერია ისეთი, რაც მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების შარაგზის გარეშე წარმოშობილიყოს¹. „პროლეტარული კულტურის შესახებ“ რეზოლუციის პროექტში ვ. ი. ლენინი 1920 წლის 8 ოქტომბერს წერდა: „მარქსიზმმა არათუ უკუაგდო ბურჟუაზიული ეპოქის უძვირფასესი მონაპოვარნი, არამედ, პირიქით, შეითვისა და გადაამუშავა ყველაფერი, რაც კი ძვირფასი იყო ადამიანის აზრისა და კულტურის ორიათას წელზე უფრო ხანგრძლივ განვითარებაში“². რამდენიმე დღით ადრე, რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სრულიად რუსეთის III ყრილობაზე ვ. ი. ლენინის მიერ წარმოთქმული სიტყვის ლაიტმოტივი იგივე თემაა. დიდი ბელადი სოციალისტური საზოგადოების მომავალ მშენებლებს აძლევს ბრძნულ დარჩებას, თუ რა ისწავლონ და როგორ მიუღდგენ წარსულს კულტურულ მემკვიდრეობას.

✓ განვითარების პროცესში ძველისა და ახლის, ძველი მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულების საკითხში მარქსიზმ-ლენინიზმი ხელმძღვანელობს დიალექტიკური მეთოდით და მისგან გამომდინარე უარყოფის დიალექტიკური გაგებით, რომლის მიხედვითაც ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ, ფ. ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ცუდი, უნაყოფო უარყოფა და ჰეგელიანობა, ბუნებრივი უარყოფა. „დიალექტიკაში უარყოფა არც უბრალოდ „არას“ თქმას ნიშნავს, არც საგნის არარსებულად გამოცხადებას, არც მის ამა თუ იმ რიგად განადგურებას“³. ფ. ენგელსი ამასთან ერთად აღნიშნავს. რომ („დიალექტიკური უარყოფა არის სწორედ ყოველგვარი განვითარების მამოძრავებელი საწყისი — დაპირისპირებულობად გაყოფა, მათი ბრძოლა და გადაჭრა“⁴.) ამ საკითხთან დაკავშირებით

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 19, გვ. 3.

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 381.

³ ფ. ენგელსი, ანტი-დოუჩინგი, თბ., 1952, გვ. 168.

⁴ იქვე, გვ. 415.

ვ. ი. ლენინი შენიშნავს: „ეს არის უარყოფა როგორც მომენტი კავშირისა, როგორც მომენტი განვითარებისა, დადებითის შენახვით“¹.
✓ დიალექტიკური უარყოფის ბუნების კვლევის აუცილებლობა განპირობებულია იმ მნიშვნელობით, რომელიც ამ კატეგორიას აქვს მარქსისტული ფილოსოფიის სისტემაში, ამასთან ამ კვლევის შედეგების დიდი მეთოდოლოგიური მნიშვნელობით. დიალექტიკურ უარყოფას ადგილი აქვს ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების ყველა. მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვან სფეროში.

რომ არაფერი ვთქვათ დიალექტიკური უარყოფის, უარყოფის კატეგორიის პრობლემაზე, უარყოფის უარყოფის კანონთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები დღემდე დისკუსიის საგანია.
უკვე თხუთმეტიოდე წელია, რაც ჩვენში უარყოფის უარყოფის კანონის შედარებით ინტენსიური კვლევა მიმდინარეობს. 1941 წლამდე ამ კანონის შესახებ სულ რამდენიმე სტატია დაიწერა. აქედან მოკიდებული 1956 წლამდე, იმის გამო, რომ იგი ამოაღეს სახელმძღვანელოებში დიალექტიკის ძირითად კანონთა რიგიდან, მის შესახებ თითქმის არაფერი იწერებოდა. ბოლო წლებში კი ცხოველი კამათი მიმდინარეობს იმის შესახებ, თუ რა არის უარყოფა და უარყოფის უარყოფა, რას ნიშნავს დაბრუნება თითქოს ძველისაკენ, აღგენენ უარყოფის უარყოფის კანონის მოქმედების სფეროებს და ა. შ. მიუხედავად ამისა, დღემდე სპეციალურად თითქმის არაფერი დაწერილა დიალექტიკური უარყოფის შესახებ. დიალექტიკური უარყოფის ბუნების კვლევა არ ცვლის უარყოფის უარყოფის კვლევას და არც ხსნის ამ კანონის კვლევის აუცილებლობას, ხოლო იმისათვის, რომ დავადგინოთ რა არის უარყოფის უარყოფა, ჯერ უნდა გამოვიკვლიოთ თვით დიალექტიკური უარყოფის ბუნება.

კლასიკურ ფილოსოფიაში დიალექტიკური უარყოფა ყველაზე სისტემატურად ჰეგელმა გამოიკვლია. ჰეგელამდე, მიუხედავად ცალკეულ მოაზროვნეთა მეტნაკლები ყურადღებისა ამ პრობლემაში, არავის შეუძინებია უარყოფის დადებითი ბუნება და, რაც მთავარია, არავის გაუხდია იგი ფილოსოფიური სისტემის აგებისა და მეთოდის ძირითად მომენტად. უარყოფა ჰეგელის ფილოსოფიაში მოქმედებს როგორც არსის, ასევე არსებისა და იდეის სფეროში. აქ უარყოფა და უარყოფის უარყოფა აბსოლუტური იდეის თვითშემეცნების პროცესის, წმინდა აზრის სფეროში ქმნადობის პროცესის ქმედითი ფაქტორია.)

ჰეგელის ფილოსოფიაში თავის თავში ჩაყვრილი აზრი განიცდის

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 226.

ქმნადობას, აბსტრაქტული მდგომარეობიდან მიისწრაფვის კონკრეტულისაკენ, გადაკვიშლის რა თავის ბუნებას თანდათანობით და ყოველ საფეხურზე გარკვეული კატეგორიის სამოაელში. ესაა ცნებათა და კატეგორიათა ლოგიკური სისტემა, რომლის ყოველ ნაწილში და მთლიანად სისტემაშიც მოქმედებს უარყოფა¹. მაგალთად, მოხსნილი თვისებრიობა არის რაოდენობრიობა. მოხსნილი რაოდენობრიობა — ზომა, მოხსნილი ზომა ეთანაბრება არსებას, მოხსნილი არსება — მოვლენას, მოვლენა — სანამდვილეს, სინამდვილე — ცნებას, ცნება — ობიექტურობას, ობიექტურობა — აბსოლუტური იდეას, აბსოლუტური იდეა — ბუნებას. ბუნება — სუბიექტურ სულს, სუბიექტური სული — ზნეობას, ზნეობა — ხელოვნებას, ხელოვნება — რელიგიას, რელიგია — აბსოლუტურ ცოდნას². ყოველ მოხსნაში შეერთებულია უარყოფა და შენახვა, დადგენა.

ჰეგელის ფილოსოფიის ინტერესის საგანს შეადგენს არა დროსა და სივრცეში განფენილი ბუნება და ისტორია თავისი შემთხვევითობებით, არამედ აუცილებლობა (აუცილებელი), როგორც ლოგიკური ისტორიაულში. ჰეგელისათვის აზრი (აზროვნება) არის არა ინდივიდუალური აზრი (აზროვნება), არამედ საყოველთაო, ზოგადი ცნობიერება, წარმოდგენილი ლოგიკურად აუცილებელი და ობიექტური სახით. ამასთანავე, ეს ზოგადი ცნობიერება ინდივიდუალურისაგან კი არ წარმოსდგება, პირიქით, ინდივიდუალური ცნობიერება (აზროვნება) საყოველთაოს გამოხატულებაა მხოლოდ.

ჰეგელის მოძღვრების მისტიკურ-ფილოსოფიურ საბურველს იქით მარქსმა შეამჩნია რევოლუციური მოძღვრების ჩანასახი, რომლის კრიტიკული გადამუშავების საფუძველზე მან შეიმუშავა საკუთარი მეთოდი. „შეუძლებელია, — წერს ვ. ი. ლენინი, — მარქსის „კაპიტალის“ და განსაკუთრებით მისი I თავის სავსებით გაგება, თუ არ შეისწავლე და არ გაიგე ჰეგელის მთელი ლოგიკა“³. მარქსისტული ფილოსოფიის პრობლემების კვლევისას ჰეგელი კვლავ ინტერესის საგანია. მარქსს არ დაუტოვებია „ლოგიკა“ ასომთავრულით (ვ. ი. ლენინი), ამიტომ ჰეგელის ფილოსოფიის რაციონალური მარცვლის გამოყენება, მისი მატერიალისტური წაკითხვა

¹ Гегель, соч., т. V. стр. 33; მართალია ჰეგელის ფილოსოფიის ძირითადი კატეგორია წინააღმდეგობაა, მაგრამ როგორც სამართლიანად შენიშნავს პროფ. ს. წერეთელი „უარყოფა წინააღმდეგობის არსებაა“ („დიალექტიკური ლოგიკა“, თბ., 1965, გვ. 179).

² К. Маркс и Ф. Энгельс, Из ранних произведений, стр. 636.

³ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 177.

კონკრეტული (პეგელისა და ჩვენი ფილოსოფიისათვის ანალოგიური) საკითხების დამუშავებისას ისევე აქტუალურია;

პეგელი ჩვენთვის საინტერესოა, როგორც განვითარების იდეის შემოქმედი, მან პირველმა შეამჩნია უარყოფის დადებითი ბუნება, მოგვცა უარყოფის დიალექტიკური გაგება, რომელიც განვითარების შესახებ მისი მოძღვრების არსებითი მომენტია. კარგად შენიშნავს პ. ტოლიატი სტატიაში „პეგელიდან მარქსიზმისაკენ“:
„პეგელის ფილოსოფიისათვის დამახასიათებელი რევოლუციური იმპულსი, რომელიც თეორიულად გამომდინარეობს მისი მოძღვრებიდან უარყოფის შესახებ, უნდა განხორციელდეს მთელი საზოგადოების რადიკალურ კრიტიკაში, რამაც უნდა მოამზადოს მისი განახლება და გარდაქმნა“¹.

მარქსიზმის ფილოსოფიამ, „რომელმაც ყოველივე ძვირფასი პეგელისაგან აიღო და ეს ძვირფასი წინ წასწია“², შემდგომ განავითარა პეგელის ფილოსოფიის ეს რევოლუციური იმპულსიც, რაც თავს იჩენს მარქსიზმის მიერ ამა თუ იმ თეორიული თუ პრაქტიკული საკითხის გადაწყვეტისას. ეს იმპულსი განპირობებულია იმ როლით, რომელსაც მასში ასრულებს უარყოფა. ცვალებადობა-განვითარების უწყვეტობას, უსასრულობას და აბსოლუტურობას როგორც დროსა და სივრცეში, ასევე ლოგიკურში განაპირობებს უარსაყოფ-უარმყოფელის დიალექტიკური ერთიანობა, მათი ურთიერთკავშირი, ურთიერთში გადასვლა, მოხსნა-შენახვა.

დიალექტიკურად გაგებულ უარყოფა, ან უდიალექტიკური უარყოფა, როგორც ზემოთაღნიშნულად აღვნიშნავდით, ესაა უარყოფა, რომელსაც აქვს დადებითი შედეგი, ესაა რაიმეს უარყოფით დადგენა, დადებითი უარყოფა. ჩვენი მიზანია წინამდებარე ნაშრომში ვაჩვენოთ უარყოფის დიალექტიკური ბუნება სხვადასხვა ასპექტში.

ვცდილობთ ვაჩვენოთ, რომ უარყოფა თავის ქმედით ბუნებას ავლენს მატერიალისტური დიალექტიკის კანონთა და კატეგორიების სისტემაში. უარყოფის კატეგორია უნივერსალურია, ისევე როგორც არსების, წინააღმდეგობის, ფორმისა და სხვა კატეგორიები, რამდენადაც ისინი ქმედითნი არიან ყოფიერებისა და აზრის ყოველ სფეროში.

აღვნიშნავთ, რომ დიალექტიკური უარყოფის ცნებაში ერთ-ას

¹ იხ. ქურნალი «Вопросы философии», 1955, № 4, გვ. 64.

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 326.

მხრივ, იგულისხმება უარყოფის ის ბუნებრივ-აუცილებელი პროცესი, რომელსაც ადგილი აქვს ბუნების, საზოგადოების და აზროვნების განვითარებაში, მეორეს მხრივ, — ამ პროცესის, მოვლენის ახსნა, გაგება. დიალექტიკურია არა მარტო რეალური პროცესი უარყოფისა, არამედ მისი ახსნაც, გაგებაც უფრო ზუსტად, რამდენადაც უარყოფის პროცესის, მოვლენის ახსნა ადეკვატურად, სწორად ასახავს საქმის ნამდვილ მდგომარეობას, ამდენად მოვლენას და მის ახსნას ერთი ცნებით, დიალექტიკური უარყოფით, გამოვხატავთ. დიალექტიკური უარყოფა და უარყოფის დიალექტიკური გაგება ერთი და იგივეა.

ობიექტური სინამდვილე არასოდეს არ იძლევა არადიალექტიკური უარყოფის მაგალითს. მეტაფიზიკური შეიძლება იყოს უარყოფის გაგება და ახსნა მხოლოდ. ამიტომ მეტაფიზიკური უარყოფა „სუბიექტური, ინდივიდუალური უარყოფაა, რომელიც თვით საქმის განვითარების სტადია კი არ არის, არამედ გარედან შეტანილი (ხაზი ჩვენია—კ. გ.) აზრი ა“¹.

დიალექტიკურ უარყოფაში ჩვენ გავარჩევთ სამ ფორმას: 1) რაიმეს ცალმხრივ გადასვლას² (უარყოფის გზით) სხვაში, არასაპირისპიროში; 2) საპირისპიროთა ურთიერთში გადასვლას³ უარყოფით და 3) უარყოფით თვითდადგენას.

დიალექტიკური უარყოფის რომელ ფორმასთანაც არ უნდა გვეკონდეს საქმე, როგორც ვთქვით, მისი უპირველესი ნიშანია ის, რომ მას მუდამ აქვს დადებითი შედეგი, რითაც განსხვავდება იგი ხელაღებითი, მექანიკური უარყოფისაგან. დიალექტიკური უარყოფა არის დამდგენი, შემოქმედი უარყოფა, ესაა დადებითი უარყოფა. ამ პარადოქსულობაშია მისი ძალა.

ყველ დიალექტიკურ უარყოფაში უნდა გავარჩიოთ შემდეგი მომენტები: უარსაყოფი, უარყოფელი და უარყოფა, როგორც უარსაყოფ-უარყოფელის ერთიანობა. უარყოფა დადებითია

¹ ფ. ენგელსი, ანტი-დიურიხი, თბ., 1952, გვ. 415.

² გადასვლა ჰეგელის მიხედვით ესაა რაოდენობის გადასვლა თვისებრიობაში, პროფ. ს. წერეთელი ამ სიტყვას ხმარობს სინთეზურ აუცილებელი კავშირის აზრითაც. გადასვლაა აგრეთვე რაიმეს ბუნებრივ-აუცილებელი მოხსნა რეალურად და მის ადგილზე ახლის დამკვიდრება. ჩვენ მას მოვიხმართ ყველა აზრით იმისდა მიხედვით, თუ უარყოფის რომელ ფორმასთან გვექნება საქმე.

³ სიკოცხლას გადასვლა სიკვდილში საპირისპიროში გადასვლაა, მაგრამ ამას არაფერი აქვს საერთო საპირისპიროთა ურთიერთში გადასვლასთან. თუმცა სიკვდილიც ერთგვარი დადებითობაა, როგორც ორგანულ ფორმათა პროგრესის აუცილებელი პირობა.

როგორც დადგენილის (უარყოფელის), ასევე უარსაყოფელის მართ, რადგან უარყოფილის განხილვა არ შეიძლება იზოლირებულად უარყოფელთან კავშირის გარეშე.

საკითხის კვლევამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ დიალექტიკური უარყოფის პრობლემა მჭიდროდ უკავშირდება მარქსისტული ფილოსოფიის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს. დიალექტიკური უარყოფა გარკვეულ თავისებურებას ავლენს ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების სხვადასხვა სფეროში. ჩვენ ვცდილობთ შესაძლებლობისამებრ ვაჩვენოთ ეს თავისებურებანი. ვცდილობთ ვაჩვენოთ თუ რა ადგილი უჭირავს უარყოფის კატეგორიას მატერიალისტური დიალექტიკის კანონთა და კატეგორიების სისტემაში. განვიხილავთ დიალექტიკური უარყოფის არსებით ნიშნებსა და მხარეებს. დასასრულს მოცემულია დიალექტიკური უარყოფის განსაზღვრების ცდა.

* * *

პარტიის პროგრამაში აღნიშნულია: „ყველაფერი ადამიანიათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის“, ასეთი კეთილდღეობა კი არ არსებობს მატერიალურისა და სულიერის ჰარმონიულად შეხამების გარეშე. „კომუნისტურ გარემოში გადასასვლელად საჭიროა მატერიალურ წინამძღვართა ზანგრძლივი და სერიოზული მომზადება. ამ მიზანს ეძღვნება პარტიის მთელი თეორიული და პოლიტიკური საქმიანობა, — ნათქვამია ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის სკკპ ცკ-ის თეზისებში, — კომუნისტურ მეცნიერულ წარმოდგენას საერთო არა აქვს არც სილატაკის, როგორც „სიკეთის“ თვალთმაქცურ „ფილოსოფიასთან“, არც ნივთების ბურჟუაზიულ-მეშჩანურ კულტთან“¹, ჭეშმარიტი, ადამიანური კეთილდღეობის განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მეცნიერულია იმის გაგება და ახსნა, რაც ადამიანთა ირგვლივ ხდება. ლ. ფოიერბახს აქვს ნათქვამი: „ბუნებამ არა მარტო შექმნა კუჭის მარტივი სახელოსნო, მან აგრეთვე აღმართა ტვინის ტაძარი“². რელიგიისადმი ძულიერი მორჩილებისაგან განთავისუფლებულმა ადამიანმა თავი დააღწია მისტიფიცირებული სულიერი ფენომენის მონობას, მაგრამ ბურჟუაზიულმა საზოგადოებრივმა ყოფამ იგი ჩააგდო მატერიალურ ფენომენთა, „ყვითელი ეშმაკის“ მონობაში. ამოცანა ისაა, რომ ადა-

¹ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის (სკკპ ცკ-ის თეზისები), თბ., 1970. გვ. 52—53.

² Л. Ф о й е р б а х, Избр. философск. произв., М., 1955, т. I, стр. 96.

მიანმა თავი დააღწიოს მატერიალურის¹ აბსტრაქტულ გაგებასაც. „შეიძლება, — წერს ჰეგელი, — სხვადასხვანაირი დახელოვნება და ცოდნა შეიძინოს ადამიანმა, რუტინული მოხელე გახდეს და ააერთოდ თავისი კერძო მიზნებისათვის საჭირო განათლება მიიღოს, მაგრამ სულ სხვაა, როდესაც ადამიანი თავის გონს უფრო მაღალ მიზნებისათვის ავითარებს და მისი მიღწევისათვის იბრძვის“². მას ამ მაღალი მიზნებისათვის სწრაფვას გაუღვიძებს არსისა და აზრის ისტორიის შესწავლა მის ქმნადობაში, ის, რომ სასრულში ვნახულობდეთ უსასრულოს, წარმავალში მარადიულს (ფ. ენგელსი). ამ ქმნადობის ცენტრშია დიალექტიკური უარყოფა.

„არ არის საკმარისი, რომ აზრი განამდვილებსაქენ ისწრაფვოდეს, თვითონ სინამდვილე თავად უნდა ისწრაფვოდეს აზრისაკენ“³. მხოლოდ ამგვარ ორმხრივ სწრაფვაში განხორციელდება მატერიალურ და სულიერ ფენომენთა პარმონიული შერწყმა³, უმაღლესი იდეალები. მაშასადამე, მიუღებელია როგორც აბსტრაქტული აზრი, მოწყვეტილი სინამდვილესა და პრაქტიკას, ასევე უაზრო. გონიერი აზრისაგან დაცლილი სინამდვილე. სწორედ ამით იძენს გამართლებას სინამდვილის გარდაქმნის მარქსისტული დებულება. დიალექტიკური უარყოფის ბუნების კვლევა და შესწავლა ერთგვარად უნდა დაგვეხმაროს, რომ თავი დავაღწიოთ ამგვარ ცალმხროვობას, დავუფლოთ სინამდვილეს, ცხოვრების ნათელ გაგებას.

სკკპ XXIV ყრილობამ, რომელმაც დასახა ჩვენი ეკონომიკისა და საზოგადოებრივი განვითარების დიდი გეგმები, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია მოითხოვს დაგეგმვას, შრომა და მართვა სულ უფრო და უფრო ემყარებოდეს მეცნიერულ საფუძვლებს, რომ კომუნისტური მშენებლობის წარმატება დამოკიდებულია მეცნიერებია. მათ შორის საზოგადოებრივ მეცნიერებათა, მიღწევების ფართოდ გამოყენებასა და გათვალისწინებაზე საქმიანობის ყველა უბანზე.

უარყოფის სწორად გაგებას დიდი პრაქტიკული და მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს. იგი უნდა დაგვეხმაროს მატერიის მოძრაობის ფორმათა დამოკიდებულების, სამყაროს მატერიალური ერთიანობის, ქმნადობის შინაგანი წყაროს, საზოგადოებრივი პროგრესის პრობლემების მართებულად გადაწყვეტაში.

¹ ვ. ჰეგელი, ლოგიკის მეცნიერება, თბ., 1962, გვ. 72.

² К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. I, стр. 423.

³ დიდმნიშვნელოვანი პრობლემაა არა მარტო ის, რომ ვაწარმოთ უფრო მეტი ერთ მოსახლეზე, არამედ თვით ადამიანის სულის წარმოება.

დიალექტიკურ უარყოფასთან, როგორც კონკრეტულ, შინაგან აუცილებელ და ობიექტურ უარყოფასთან შეუთავსებელია ავანტიურისზმი, ვოლუნტარიზმი, დიქტატი პოლიტიკაში, მეცნიერებაში, ეკონომიკასა თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროში.

დიალექტიკური უარყოფის სწორად გარკვევა უნდა დაგვეხმაროს წარსულის მემკვიდრეობის, თანამედროვეობის და განვითარების მომავალი პერსპექტივების შეხამების, ტრადიციისა და ნოვატორების ცალკეული საკითხების მართებულად შეფასებასა და გადაწყვეტაში.

დიალექტიკური უარყოფის გაგებას არსებითი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის ნიჰილისტური თეორიების (ნიცშე, ჰაიდეგერი და სხვ.), საზოგადოების ისტორიისა და კულტურის განვითარების შპენგლერისეული გაგების კრიტიკისათვის.

დიალექტიკური უარყოფის ბუნების დადგენა უშუალოდ უკავშირდება უმნიშვნელოვანესი ეთიკური კატეგორიების (მოვალეობის, ბედნიერების, სიკეთის და სხვ.) შესწავლას, დიდი სოციალური პრობლემის — პიროვნებისა და საზოგადოების დამოკიდებულების გარკვევას, სიყვარულისა და ოჯახის, მეგობრობის პრობლემათა კვლევას.

შევეხთ ზოგიერთ ზემოთ ჩამოთვლილ საკითხს.

უარყოფა როგორც დიალექტიკის უმნიშვნელოვანესი ელემენტი

§ 1. ფილოსოფიის მეთოდის პრობლემის გამო

ყოველ დროში ფილოსოფოსთა ფიქრისა და განსჯის საგანი იყო გარებულნი სამყაროს პრობლემა. მოაზროვნე გონების წინაშე მუდამ აღიპარებოდა დაპირისპირებათა მთელი წყება: ყოფიერება—აზროვნება, რეალური — იდეალური, ერთი — სიმრავლე, მოძრაობა—უძრაობა, ზოგადი—ერთეული, იგივეობა — განსხვავება, აბსოლუტური — შეფარდებითი, სასრული — უსასრულო და ა. შ. „როგორც კი ვიღებთ ერთ მომენტს, — წერს ა. გერცენი, — უჩინარი ძალით საწინააღმდეგოსაქენ გვიტაცებს; ეს არის აზრის პირველი სასიცოცხლო ბორგვა: სუბსტანცია მიისწრაფვის გამოვლენისაკენ, უსასრულო—დასრულებისაკენ; ისინი ისე აუცილებელია ერთმანეთისათვის, როგორც მაგნიტის „პოლუსები“¹. წინააღმდეგობრივ დაპირისპირებულობათა არსებობა ფაქტია, მაგრამ როგორ გადაეწყვიტათ ამ ერთმანეთის უარყოფელი და მომთხოვნი მომენტების ურთიერთდამოკიდებულებას საკითხი, როგორია მათი ურთიერთქმედება. რომელი მათგანია ქეშმარიტი, ნამდვილი, რომელი მოჩვენებითი, რომელი მივიღოთ². შესაძლებელია თუ არა, ანდა როგორაა შესაძლებელი მათი ერთიანობა. სწორედ ამას ეხება კანტის შენიშვნა: „მთელი ანტინომიების წამოყენება — გადაწყვეტა იმაში მდგომარეობს, რომ გონება თავის პრინციპების გამოყენებისას გრძნობადი ქვეყნის მიმართ გასაჭირში ვარდება“—ო³.

ჰერაკლიტე ყოველივეს მარადიული ცვალებადობის გვერდით

¹ ა. გერცენი, რჩული ფილოსოფიური თხზულებანი, თბ., 1953, ტ. I, გვ. 30.

² ჰეველი შენიშნავს, რომ ქსენოფანე, პარმენიდე და მელისო საპირისპირო პრედუკატთაგან მხოლოდ ერთ-ერთს სცნობდნენო (იხ. Гегель, соч., т. IX, стр. 230).

³ ი. კანტი, პოლეგომენები, თბ., 1936, გვ. 188.

აღიარებს ლოგოსის არსებობას საყოველთაო კანონზომიერების სახით.

პარმენიდე უპირისპირებს არსს და არარსს, არსებობს მხოლოდ არსი, არარსი არ არის

ძენონს. მიჰყავს რა ამოსავალი დებულება აბსურდამდე. ასაბუთებს მისი საპირისპიროს ჭეშმარიტებას.

სოფისტები მოხერხებულად ურევენ ერთმანეთში დაპირისპირებულობებს, არააუცილებლობით აკავშირებენ ერთმანეთთან რაიმეს და მის საწინააღმდეგოს.

დემოკრიტე ელევატების საპირისპიროდ ფიქრობს, რომ არსებობს მოძრაობა, რისი პირობაც (ატომების გვერდით) სიცარიელეა.

პლატონი ერთმანეთს უპირისპირებს იდეათა და მოვლენათა სამყაროებს. თუ იგი გარკვეულ პრიმატს ანიჭებს იდეათა სამყაროს, არისტოტელე შეერყევობს იდეალიზმსა და მატერიალიზმს შორის. არისტოტელესთან საპირისპირო ფენომენებია მატერია და ფორმა.

ძველი სკეპტიციზმი ხომ ყველგან და ყოველივეში გაორება-დაპირისპირებებს ხედავს.

შუა საუკუნეების თეოლოგია ადამიანის რეალურ ცხოვრებას უპირისპირებს საიქიო ცხოვრებას. კამათობენ ტრადიციულ დაპირისპირებულთა: ერთისა და სიმრავლის, ერთეულისა და ზოგადის და სხვა დამოკიდებულების თაობაზე.

ინგლისურმა ემპირიზმმა შუა საუკუნეების გონებრივ — სქოლასტიკური „ვარჯიშობების“ საპირისპიროდ გააფეთიშა ცდა. ლოკის „tabula rasa“ ამის მაგალითია.

დეკარტე ორ სუბსტანციას აღიარებს; იგი თავისი „cogito“-თი ემპირიზმის საპირისპიროდ ცდილობს დაასაბუთოს „რაციოს“, გონების პრიმატი.

კანტი განასხვავებს ნივთს თავისთავად და მოვლენას. ფიხტეს ფილოსოფიის უკიდურესობანია „მე“ და „არა-მე“, შელინგისა — სუბიექტი და ობიექტი. ფოიერბახი ცდილობს მატერიალიზმზე და იდეალიზმზე მალა დადგეს. ჰეგელი ნახულობს თავისებურ გამოსავალს ამ მუდმივი გაორებულობიდან.

ამრიგად, საპირისპირო განსაზღვრულობათა ურთიერთმიმართების პრობლემა ფილოსოფიური აზროვნების თანამდევია. არადიალექტიკურად გაგებული ფილოსოფიური მონიზმი ერთგვარად ცალმხრივობისაყენ უბიძგებდა მოაზროვნეებს, ცალმხრივობისაყენ, რომელშიც ლენინის აღნიშვნით, უნდა ვეძებდეთ იდეალიზმის გნოსეოლოგიურ ფესვებს. შეიძლება ისიც ითქვას, რომ ცალმხრივო-

პაშია გნოსეოლოგიური ფესვები აგრეთვე ვულგარული და მექანი-
სტური მატერიალიზმისა, რომელმაც ცნობიერების ფენომენის რო-
ლი მეტისმეტად შეზღუდულად, გაუბრალოებულად წარმოიდგინა
და გაიგო. თუ იდეალიზმი აზვიადებს იდეალური
ფენომენის როლს, ვულგარულ-მექანიკური მატერიალიზმიც ასევე ცალმხრივად აზვიადებს
მატერიალის მნიშვნელობას. სწორედ ასეთი ტიპის
მატერიალიზმის მიმართ გამოთქვამდა საყვედურს მარქსი, როცა ამ-
ბობდა, რომ წინააღმდეგ მატერიალიზმისა, მოქმედ მხარეს იდეა-
ლიზმი ავითარებდაო. მოქმედ მხარეში იგი გულისხმობდა აქტიურ,
გარდამქმნელ ცნობიერებას. ე. ი. შემოქმედ ცნობიერებას და არა
მკვრეტელობითს. ცალმხრივობის დაძლევის პრობ-
ლემაკი შეთოდის პრობლემაა.

„ერთიანის გაორება და მისი წინააღმდეგობრივი ნაწილების შე-
მეცნება არის დიალექტიკის დედაარსი“ — წერს ვ. ი. ლენინი¹. ამრიგად, დიალექტიკის დედაარსს შეადგენს გაორებულის.
დაპირისპირებულთა ნამდვილი ერთიანობის გაგება და ახსნა.

ფილოსოფიის ისტორია, როგორც მატერიალისტურ და იდეა-
ლისტურ თეორიებს შორის ბრძოლის ისტორია, ამავე დროს არის
საკუთარი მეთოდის ძიების ისტორია. მის აღმოჩენას და დადგენას
აძნელებდა ის გარემოება, რომ მეთოდი და მისი აღმოჩენის წესი
ერთი უნდა ყოფილიყო (ეურვე მხოლოდ წყალში შეიძლება ისწავ-
ლო და არა მის გარეთ). მხოლოდ ამგვარი რეფლექსიით იყო შესაძ-
ლებელი ამ საქმის გაკეთება.

ჰერაკლიტე ცდილობს სტიქიური დიალექტიკის პოზიციებიდან
ახსნას საპირისპიროთა მიმართების, ერთიანობის საკითხი: „ჩვენ-
ში ერთდროულადაა: ცოცხალი და მკვდარი, ფხიზელი და მძინარე,
ახალგაზრდა და მოხუცი, ეს. შეიცვლება რა, იქცევა იმად, და პი-
რიქით, ის შეიცვლება რა, იქცევა ამაღ“². ჰეგელი იმოწმებს არის-
ტოტელეს და აღნიშნავს: ამ გაბედულმა გონებამ (ჰერაკლიტემ —
კ. გ.) პირველად თქვა: „არსი და არარსი ერთი და იგივეა, ყოვე-
ლივე არის და არც არისო“³. ეს იყო ქმნადობის იდეის დასაბამი.
ჰეგელის განსაკუთრებული სიმპათია ჰერაკლიტესადმი გამოწვეუ-
ლია იმით, რომ იგი მასში ხედავს იმ პირველ მოაზროვნეს, რომელ-
მაც გულუბრყვილო, მაგრამ პირველი მნიშვნელოვანი სიტყვა

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 371.

² Материалисты древней Греции, М., 1955, стр. 49.

³ Гегель, соч., т. IX, кн. I, стр. 249.

თქვა საკითხზე, რომელიც შემდეგ ფილოსოფიის ისტორიის მანძილზე განუწყვეტელი მსჯელობისა და სხვადასხვა მიდგომის საგანი ხდება და, რომელსაც თავისებური დასრულებული სახე მისცა თვით-ჰეგელმა.

ბუნება უწყვეტ მოძრაობაშია; სამყაროში მუდამ შეიმჩნევა ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა — გაორებიდან ერთიანობაში, ერთიანობიდან გაორებაში. ჰერაკლიტე ყოველივეში ეძებს მის საპირისპიროს, მის უარყოფას. ჰერაკლიტეს დიალექტიკა ობიექტურია, მასთან უარყოფის მომენტი ობიექტურია, ხოლო ამის გარშემო ტრიალებს მთელი ფილოსოფიის ცნებაო — შენიშნავს. ჰეგელი. ჰერაკლიტე თვით რეალურად არსებულ სინამდვილეში, ბუნებაში ეძებს და ხედავს დიალექტიკურ პროცესებს. ზოგადად ეს პროცესი ასეთია: ცეცხლი — წყალი — მიწა — ცეცხლი. ე. ი. ცვალებადობა წრებრუნეა.

ჰეგელის აზრით, ძენონის სახელთანაა დაკავშირებული დიალექტიკის დასაწყისი, აქედან იწყება ცნებათა მოძრაობა. არისტოტელეც იხესნიებს ძენონს, როგორც „დიალექტიკის გამოგონებელს“. ცნობილია, რომ ძენონი თავისებურად ასაბუთებდა იმას, რასაც უფრო ადრე პარმენიდე ცდილობდა. ორი საპირისპირო, ურთიერთგამომრიცხავი განსაზღვრულობიდან — „არსი“ და „არარსი“ პარმენიდე უარყო მეორე.

ძენონი ყურადღებას აქცევს არსისა და არარსის წინააღმდეგობას და აღმოაჩენს რა მას, ბოლოს და ბოლოს უარყოფს არარსს, რათა მოხსნას წინააღმდეგობა, იგი უშვებს დებულებას და მასში წინააღმდეგობის, შეუსაბამობის აღმოჩენის საფუძველზე მიღის მის უარყოფამდე. ძენონთან დიალექტიკა ბუნებრივად დაუკავშირდა მოძრაობის პრობლემას; იგი, როგორც სამართლიანად შენიშნავს ჰეგელი, არ უარყოფდა მოძრაობის გრძნობად მართებულობას, გრძნობადი მოძრაობა მისთვის ისევე არსებობდა, როგორც სპილო-საკითხი იდგა მოძრაობის ლოგიკური დასაბუთების შესაძლებლობის, მოძრაობის ჰეშმარიტების შესახებ.

ჩვენ აქ არ შევუდგებით ძენონის აპორიების განხილვას. ვიტყვით მხოლოდ, რომ მის მიერ მიღებული შედეგი გამოიხატა შემდეგში: მოძრაობას, რადგან იგი წინააღმდეგობრივია, არ გააჩნია ჰეშმარიტი არსი. იგი მისდევს ელვატურ ტრადიციებს. ჰეშმარიტი პრედიკატი ერთი შეიძლება იყოს, ვთქვათ „არსი“, მაგრამ თუ საწინააღმდეგოც („არარსიც“) ტოლის ძალით იჩენს თავს, მაშინ შეცდომასთან, არაჰეშმარიტებასთან გვაქვს საქმე, ამიტომ ის, რასაც ასეთი პრედიკატები შეიძლება მიეწეროს, დაუსაბუთებელია, არა-

ქეშმარიტია როგორც წინააღმდეგობის შემცველი. ამრიგად, ძენონი ჰერაკლიტესაგან განსხვავებით, დიალექტიკას, წინააღმდეგობას აღმოაჩენს აზრის, ცნებათა სფეროში, მაგრამ მხოლოდ აღმოაჩენს. ძენონის დიალექტიკა უარყოფითი დიალექტიკის პირველი ნიმუშია. მაგალითად, იმის დამტკიცებისას, რომ სიდიდე არ არსებობს, ძენონი უშვებს, რომ არსი არის სიდიდე, მაგრამ ბოლოს მიდის დასკვნამდე: თუ არსი სიდიდეა, ის არის უსასრულოდ დადიც და უსასრულოდ მცირეც, რაც შეუძლებელია.

ძენონის არგუმენტებში, რომელიც მას მოაქვს თავის აპორიებში, ადგილი აქვს ერთი საპირისპირო განსაზღვრულობიდან მეორეში გადასვლას: სასრულოდან უსასრულოში, წყვეტილიდან უწყვეტში და პირიქით, საპირისპირო საპირისპიროსათვის მოუცილებელია. საპირისპირო დგინდება უარყოფითად, მოძრავი ისრის წვერი სავალი გზის ყოველ წერტილშია, მაგრამ ამავე დროს ამის დასაბუთებას მივყავართ საპირისპირო აზრამდე, რომ იგი ამავე დროს არც არის ამ წერტილში, რაც დაუშვებელია, არაქეშმარიტა, როგორც წინააღმდეგობა. სამართლიანად შენიშნავს პროფ. ს. წერეთელი; რომ ძენონის მთავარი შეცდომა მეთოდოლოგიური ხასიათისაა, რადგან მას შეცდომად მიაჩნია საერთოდ წინააღმდეგობა¹. ამრიგად, ძენონმა უარყო მისივე აღმოჩენა. მაგრამ ეს აღმოჩენა ფაქტად დარჩა². მეცნიერებისათვის ამ აღმოჩენის ახსნის სიძნელესა და მნიშვნელობაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ იგი ცხოველ კამათის საგანი იყო საუკუნეების მანძილზე (იგი დღესაც გრძელდება). კარგად შენიშნა ჰეგელმა: აზროვნებამ აღმოაჩინა წინააღმდეგობა და იგივე დაძლევეს მას.

ძენონის მიერ მიკვლეული პრობლემა შემდგომ დამუშავებას პოვებს პლატონის ფილოსოფიაში. პლატონი, ერთის მხრივ, აღიარებს იდეების უცვლელობას, მარადიულობას, მეორეს მხრივ, მან მოგვცა დაპირისპირებულ ცნებათა (ერთისა და სიმრავლის, არსისა და არარსის, მოძრაობისა და უძრაობის და სხვ.) ურთიერთში გადასვლის, იგივეობის ნიმუში.

ვ. ი. ლენინს „ფილოსოფიურ რვეულებში“ განსაკუთრებული შენიშვნით მოტანილი აქვს ამონაწერი პლატონის „სოფისტედან“. ძნელი და ქეშმარიტი იმაში მდგომარეობს, რომ ცხადყოფთ: ის, რაც სხვა არის, იგივეა, — ხოლო ის, რაც იგივეა, სხვა არის და სწო-

¹ ს. წერეთელი, ანტიკური ფილოსოფია, თბ., 1968, გვ. 11.

² იქვე, გვ. 125.

ზედ ერთი და იმავე მიმართებით¹. სწორედ, ამის ცხადყოფას ცდლობს პლატონი შედარებითი არსისა და არარსის მაგალითზე და მან ამ ცდის შედეგი გამოხატა უარყოფითი დიალექტიკის შემდგომ განვითარებაში.

ქვეშარტების აღმოჩენის, დადგენის პლატონის მეთოდი შემდეგში მდგომარეობს: ჯერ მივიღოთ რაიმე დებულება, მაგალითად, „ერთი არსებობს“, შემდეგ დავუშვათ მისი საპირისპირო, უარყოფელი — „ერთი არ არსებობს“ და მოვხდინოთ მისი ანალიზი. გავარკვიოთ მათი ურთიერთდამოკიდებულება და მიმართება სხვასთან: როგორ დამოკიდებულებაშია ერთი სიმრავლესთან და თავისთავთან თუ ერთი არსებობს. მეორეს მხრივ, როგორ დამოკიდებულებაშია რგი სიმრავლესთან და თავის თავთან თუ იგი თვითონ არ არსებობს. იგივე ხერხი უნდა გამოვიყენოთ განსხვავებულის, მოძრაობისა და უძრაობის, წარმოშობისა და მოსპობის, და დასასრულს, თვით არსისა და არარსის მიმართ — შენიშნავს პლატონი.

ძენონთან შედარებით პლატონი წინ მიდის, როცა შემოაქვს შეფარდებითი ცნება, ცნება შეფარდებითი არარსისა. არარსს პლატონი არც უარყოფს აბსოლუტურად და არც ადგენს აბსოლუტურად. არარსის გაგება მხოლოდ არსთან მიმართებაში შეიძლება და პარიჩით. პლატონთან არარსის ცნება განსხვავებასთანაა დაკავშირებული. პლატონი უახლოვდება დებულებას: „რამე არის სხვა“. მაგალითად, მოძრაობა არის სხვა, არსი არის სხვა. უფრო კონკრეტულად, მოძრაობა არის უძრაობა, არსი არის არარსი, შავრამ რას ნიშნავს ეს. ეს ნიშნავს, რომ მოძრაობა არის სხვა, რამდენადაც იგი არ არის უძრაობა, მოძრაობა არ არის არსი, ანდა არსი არის სხვა, იმდენად, რამდენადაც იგი არ არის არარსი, არარსი არის სხვა. რამდენადაც იგი არ არის არსი. ეს არის უარყოფა — მტკიცების ერთიანობის თავისებური გაგება.

ამრიგად, არსის საპირისპირო განსაზღვრებანი პლატონთან განიხილება, როგორც ერთმანეთის მიმართ საპირისპირონი, ანუ საპირისპირონი სხვადასხვა მიმართებაში და არა ერთსა და იმავე მიმართებაში, თუმცა პლატონი ძალიან ახლოს იყო დაპირისპირებულთა ერთიანობის საკითხთან. პლატონზე ამ შემთხვევაში თავისებური გავლენა მოახდინა მის მიერ ორი ქვეყნის აღიარებამ, რომლებიც მასთან გათიშულია ერთმანეთისაგან. იგი ყოველთვის ეძებს არსის საპირისპირო განსაზღვრულობათა მალა მდგომს, როგორც საპირისპიროთა ერთიან საფუძველს, გამმართლებელს,

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 285.

მაგრამ ეს უკანასკნელი მოწყვეტილი. დამოუკიდებელია იმისაგან, რის საფუძველსაც წარმოადგენს თითქოს. ამდენად პლატონის დიალექტიკა არათანამიმდევრულია. „ს ო ფ ი ს ტ ე ს ა“ და „პ ა რ მ ე ნ ი დ ე შ ი“ ვერ მოხერხდა ანტითეტიკისა და სინთეზის ორგანული კავშირის დასაბუთება. უფრო ზუსტად: პლატონს რომ მოეხერხებინა დაპირისპირებისა და მისი ერთიანობის კავშირის დასაბუთება, მაშინ მასთან დადებითი დიალექტიკა გვექნებოდა. სახელდობრ გვექნებოდა დაპირისპირებულთა ერთიანობის დასაბუთება“¹.

პლატონის მოძღვრებაში ცნებამ შეიძინა ის მოქნილობა, რომელსაც შემდეგ ჰეგელმა მისცა დასრულებული სახე. ამრიგად, პლატონის ფილოსოფიაში მოცემულია ფილოსოფიის მეთოდის ძიებისა და ჩამოყალიბების გზაზე ერთიანის გაორებისა და გაორებულის გაერთიანების ერთგვარად ნაყოფიერი ცდა.

რაკი უკვე აღმოჩენილი იყო, რომ ყოველ განსაზღვრულობას მოეძებნება თანაბრად ძლიერი საწინააღმდეგო განსაზღვრულობა, რომ რაიმე არის სხვა შეფარდებითად და არა აბსოლუტური აზრით, ამ მიგნებამ ძველი სკეპტიკოსები მიიყვანა ახალ, ცალმხრივ დასკვნამდე. სკეპტიციზმი ებრძვის დოგმატიზმს. ეს მისი უდავო დამსახურებაა. მაგრამ ამ ბრძოლაში იგი ფაქტიურად უარყოფს აბსოლუტურს და აფეტიშებს რელატიურს, მიდის უკიდურეს რელატივიზმამდე. რაიმეს აზრი აქვს მხოლოდ სხვასთან მიმართებაში და არა საერთოდ, მაგრამ ის სხვაც ისეთია, ამიტომ არაფერია ქვეშარიტი, ჯველაფერი მოჩვენებაა. აქ უარყოფითობა გააბსოლუტურებულია, ანუ დადებითი და უარყოფითი აბსოლუტურად გაიგვებულება, ისინი ტოლფასი არიან.

ძველი სკეპტიციზმის როლი ფილოსოფიის ისტორიაში მნიშვნელოვანი იყო იმდენად, რამდენადაც მან ყურადღება გაამახვილა იმ სუსტ მხარეებზე, რომლებიც შეიმჩნეოდა დიალექტიკაში მისი ჩამოყალიბების საწყის სტადიაზე, მათ შორის პლატონის მოძღვრებაში. სკეპტიციზმი ჰეგელის აზრით, იყო უარყოფითი დიალექტიკა, რომელსაც თავისში მოიცავს დადებითი ფილოსოფია. სკეპტიკოსთა ძველ და უფრო ახალ ტროპებში ბევრი რამ იყო საყოფადღებო დიალექტიკის თვალსაზრისით. ერთ-ერთი (გვიანდელი) ტროპის შესახებ (მეხუთე ტროპი — დასაბუთებაში წრის შესახებ) ჰეგელი შენიშნავს: „თვითელს“ (რაიმეს და სხვას — კ. გ.) გააჩნია შინაგანი არსება მხოლოდ სხვისათვის და სწორედ ესაა თვითუარყოფა.

¹ ს. წერეთელი, ანტიკური ფილოსოფია, გვ. 293.

ნიკოლო კუზანელმაც გამოიყენა იმის ცოდნა, რომ ქეშმარიტება მოუცილებელია მისი საპირისპიროსაგან, მცდარობისაგან. საგულისხმოა მისი ერთ-ერთი თხზულების სახელწოდება „განსწავლული არცოდნა“. იგი პარადოქსით გამოხატავს აზრს დაპირისპირებულთა შესახებ: გაგება არის გაუგებრობის გაგება¹, დაპირისპირებულთა ერთიანობის ცოდნა მისი არცოდნაა. რაიმეს ამგვარი უარყოფითი ფორმით წვდომა, რაიმეს უარყოფითად გაგება არის უმაღლესი ქეშმარიტება. საგულისხმოა, რომ ამგვარი ცოდნა უკავშირდება სწორედ დაპირისპირებულთა ერთიანობას. კუზანელთან აზრი მის დიალექტიკურ სტიქიაშია, ოღონდ მან იგი გააყალბა მიატიკური სამოსელით. დაპირისპირებულთა ერთიანობა მასთან ღმერთია. დაპირისპირებულთა ერთიანობა გაუგებარია, რადგან მიუწვდომელი და შეუცნობელია. ღმერთის შესახებ ცოდნა იმას ნიშნავს, რომ იგი არ ვიცით, მაგრამ არცოდნა არის სხვა, ანუ იგი არის არცოდნა არა როგორც არცოდნა, არამედ როგორც ცოდნა. არცოდნა შედარებითი და არა აბსოლუტური არცოდნაა. ნ. კუზანელმა ახალ ვითარებაში მოიმარჯვა უარყოფითი დიალექტიკა, იგი მისი საშუალებათ ცდილობს გადაჭრას თეოლოგიური პრობლემები.

ის, რაც სკეპტიკოსთა აღტაცებას იწვევდა, კრიტიკულ ფილოსოფოსს მოუსვენრობის მდგომარეობაში აგდებს². კანტის მოუსვენრობას იწვევს ის, რომ წინააღმდეგობა გონებისათვის თავიდან მოუშორებელია. ეს კანტის აღმოჩენა როდია. როგორც ითქვა, ეს პირველად ძენონმა შეამჩნია. ეს მან მისი აპორიებით ნათელყო. კანტი კვლავ აცოცხლებს ამ ძველ აღმოჩენას თავისი ანტინომების მაგალითზე. კანტი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ქვეყნის სასარულობა ღროსა და სივრცეში მაშინვე გარდუვალი აუცილებლობით მიდის საპირისპიროს (ღროსა და სივრცეში ქვეყნის უსასრულობის) გამართლებამდე და ა. შ. პრობლემა თითქოს გადაიჭრებოდა, რომ საპირისპირო მოცილებადი იყოს, რომ საპირისპიროს უარყოფა შეიძლებოდეს, ხერხდებოდეს, მაგრამ, უარყოფ რა მას, ფაქტიურად გამართლებული, უარყოფით გამართლებული გამოდის, ყოველი ანტინომიის ყოველ თეზისს „...წმინდა გონების ისეთივე მოჩვენებითი ძირითადი დებულება უპირისპირდება, როგორც იგი თვითონ მეორის მიმართ არის დაპირისპირებული; ეს წინააღმდეგობა არ შეუძლია დაფაროს არც ერთ გამობრძმედელ დისტანციას მეტა-

¹ ეს ერთგვარად ტერტულიანეს „credo quia absurdum“-ის თავისებური რემინისცენციაა.

² ი. კ ა ნ ტ ი, პროლეგომენები, თბ., 1936, გვ. 176.

ფიზიკური ხელოვნებისას, არამედ იგი აიძულებს ფილოსოფიას უკან დაუბრუნდეს წმინდა გონების პირველწყაროებს¹. კანტი მართლა უკან დაბრუნდა, ჩათვალა რა ეს წინააღმდეგობა არა ობიექტურ წინააღმდეგობად, არამედ გონებისაგან გამომდინარედ. ჰეგელი კი, მხედველობაში აქვს რა კანტის ოთხი ანტინომია, საგანგებოდ შენიშნავს: კანტმა ოთხი წინააღმდეგობა აღმოაჩინა, რაც პეტისმეტად ცოტაა, ვინაიდან ანტინომია ყოველ ცნებაში გვაქვს, რამდენადაც ისინი შეიცავენ სხვადასხვა, საპირისპირო განსაზღვრებას².

თუ პლატონთან დიალექტიკა უარყოფითი დიალექტიკის დონეზე დარჩა და ეს ერთგვარად განაპირობა მის მიერ ორი ერთმანეთისაგან ფაქტიურად გათიშული სამყაროს აღიარებამ, ანალოგიურად, კანტის მიერ პრობლემის საბოლოოდ გადაწყვეტას წინ ელობება ნივთის თავისთავად და მოვლენათა პარალელურად დაშვება, „საქმე ის არის, რომ ადამიანის მისწრაფება შემეცნებისაკენ არასოდეს არ არის დაკმაყოფილებული მოვლენათა შემეცნებით. ის მიისწრაფვის გადალახოს მოვლენათა სამყარო და მისწოდეს ტრანსცენდენტალურს, შემეცნების ეს მიზანი ეწინააღმდეგება იმ შემეცნებით საშუალებებს, რომლებიც გააჩნია ადამიანის ცნობიერებას“³. კანტის ანტინომებში საქმე გვაქვს არა გონების ჩვეულებრივ შეცდომასთან, რომლის გამოსწორება შეიძლება, ეს წინააღმდეგობანი აუცილებელი ხასიათისაა.

ამრიგად, წინააღმდეგობა ჩვენს აზროვნებაშია. აზროვნება არ უნდა არღვევდეს ლოგიკის ერთ-ერთ ძირითად კანონს, რომლის მიხედვით ერთ საგანზე არ შეიძლება გამოითქვას ორი საწინააღმდეგო დებულება და ორთავე ჭეშმარიტი იყოს, მაგრამ თუ იგი მაინც აღმოჩნდება ამგვარი ფაქტის წინაშე. ეს მისი ნაკლოვანების მაჩვენებელია, ე. ი. მას არ ძალუძს თავი გაართვას ამგვარ წინააღმდეგობათა გადაწყვეტას. ამდენად, კანტისათვის წინააღმდეგობის აღმოჩენა, უარყოფითი მოვლენის დადგენა, წინააღმდეგობის ფაქტი თავის არსებით უარყოფითია და არავითარი დადებითი შედეგი არ გააჩნია. თუ ძენონისათვის მოძრაობა, როგორც ლოგიკურად დაუსაბუთებელი მოჩვენებაა, კანტისათვის ასევე არარსებულია ის საგანი, რომლის მიმართ ორი საწინააღმდეგო დებულება ერთნაირი

¹ ი. კ ა ნ ტ ი. პროლეგომენები, თბ., 1936, გვ. 176.

² Гегель, Соч., т. XI, стр. 435.

³ კ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ახალი ფილოსოფიის ისტორია, თბ., 1969, გვ. 435.

სიზუსტით მტკიცდება. კანტი ძენონის უარყოფითი დიალექტიკის დონეზე დარჩა. ძენონთან შედარებით დიალექტიკის განვითარებაში პლატონის მიერ წინგადადგმული ნაბიჯი არ გაგრძელებულა. კანტს ამ საქმეში ხელი შეუშალა სუბიექტურ-იდეალისტურმა და ფორმალურ-ლოგიკურმა მიდრეკილებებმა.

წინააღმდეგობის ფაქტად, გარდუვალად, თანაც სიყალბედ, შეცდომად გამოცხადება თავისთავად საყოფადღებო წინააღმდეგობა იყო. წინააღმდეგობა უნაყოფოდ გამოცხადებას კი არა, გაპართლებას. გამპართლებელს, ერთიანობას მოითხოვდა. ამ საქმის გაკეთება სცადა ფიხტემ.

ფიხტეს ფილოსოფიაში თვითშემეცნება „მე“-სა და „არამეს“ დაპირისპირების, ურთიერთმოქმედების და ერთიანობის საფუძველზე ხორციელდება. ფიხტე კარგად გრძნობს, რომ ნამდვილი ფილოსოფიური შემეცნება წარმოუდგენელია დაპირისპირებათა გარეშე, რაიმესა და მისი საპირისპიროს გარეშე, წინააღმდეგობის გარეშე. წინააღმდეგობა შეცდომა, გონების ნაკლი კი არაა, არამედ იგი თვითმოძრაობის აუცილებელი პირობაა. „მე“ ვერ განახორციელებს თვითშემეცნებას მისი საპირისპიროს — „არამეს“ გარეშე. თავდაპირველად „მე“ არის „მე“. ეს ერთგვარი თეზისი, შემდეგ ჩაეჭდება საპირისპიროს — „არამეს“, ე. ი. შეამჩნევს, რომ არის არა მარტო „მე“, არამედ მისი საპირისპიროც, ესაა „არამე“, ეს ერთგვარი ანტითეზისია და დასასრულს თვითშემეცნების ბოლო საფეხურზე „მე“ აღმოაჩენს, რომ „არამე“ არის არა გარეთ, რომ „მეში“ ერთდროულადაა „მე“ და „არამე“. დაპირისპირებულთა ეს ერთიანობა უკვე სინთეზია. არამარტო „მე“ განსაზღვრავს „არამეს“, არამედ პირიქითაც. რაიმეს ადგენს მისი უარყოფა. „მესა“ და „არამეს“ უსასრულო ერთიანობა და ურთიერთმოქმედება არის უარყოფა — მტკიცების უწყვეტი მონაცვლეობა. ჰეგელი ამას ფიხტეს ნაკლად თვლის. ამასთან იგი შენიშნავს, რომ ფიხტემ ვერ მოახერხა სუბიექტისა და ობიექტის, ანუ „მესა“ და „არამეს“ გონების იდეაში გაერთიანება.

ჰეგელმა გამოიყენა დიალექტიკის მრავალსაუკუნოვანი განვითარების გამოცდილება და მიღწევები იმისათვის, რომ აეხსნა აბსოლუტური სულის, ანუ იგივე ღმერთის აუცილებელი ქმნადობა, მან მისტიკური სამოსელით დაჩრდილა თავისი დიდი მიღწევა ფილოსოფიის საკუთარი მეთოდის აღმოჩენისას. ჰეგელმა დაძლია დიალექტიკის გაგებაში მანამდე არსებული ცალმხრივი მიდგომები და ფილოსოფიაში შემოიტანა ცალმხრივობისა და დოგმატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთება, სწორედ ამით მოახერხა

ეჩვენებინა ცნების ნამდვილი ბუნება — მოქნილობა და მოძრაობა, აზრის წინსვლა, როგორც აუცილებლობა და არა შემთხვევებათა თავმოყრა, ეჩვენებინა აზრის აზრიდან გამომდინარეობის შინაგანი აუცილებლობა უარყოფის გზით. «ყველაფერი, რაც ჩვენს ირგვლივ არის, — წერს ჰეგელი, — შეიძლება განხილული იქნეს როგორც დიალექტიკურის მაგალითი. ჩვენ ვიცით, ყოველი სასარტული, იმის ნაცვლად, რომ იყოს მყარი და საბოლოო, პირიქით ცვალებადი და წარმავალი, და ეს სხვა არა არის რა, თუ არა სასარტულის დიალექტიკა, რის წყალობითაც იგი, როგორც თავისი თავის სხვა, უნდა გამოვიდეს იმის ფარგლებიდან, რაც არის უშუალოდ და თავის დაპირისპირებულობაში გადავიდეს»¹.

ჰეგელმა აბსოლუტური იდეალიზმის პოზიციებიდან აღმოაჩინა ფილოსოფიის საკუთარი მეთოდი. მატერიალისტური დიალექტიკური მეთოდის ჩამოყალიბების ამოცანა მარქსისტულ ფილოსოფიაში ჰეგელის შემდეგ გადაწყდა.

ჰეგელის ცდა ფილოსოფიის მეთოდის შემუშავებისა გამართლებული იყო იმ მდგომარეობით, რომელიც შეიქმნა ფილოსოფიაში უშუალოდ ჰეგელის წინამორბედ ხანაში. როგორც ვნახეთ, ჰეგელის მიერ მიღწეული შედეგი უშუალოდ გამომდინარეობდა ფილოსოფიის განვითარებიდან; ჰეგელის დამსახურებაა ისიც, რომ მან ფილოსოფიის მეთოდის ბირთვი გამოიცნო წინააღმდეგობისა და მისი თანამდევი უარყოფის პრობლემაში, რომლის წინაშეც მისი წინამორბედნი ან უკან იხევდნენ, ანდა აღნიშნავდნენ, როგორც ჩვეულებრივ ფაქტს, ანდა მის მნიშვნელობას ვერ ამჩნევდნენ უბრალოდ.

ჰეგელის აბსტრაქტულ ლოგიკაში, — წერს ა. ბოგომოლოვი, — რომელიც ნაკლებადაა დაკავშირებული უშუალო პოლიტიკურ დასკვნებთან, ჩვენ ვხვდებით დებულებების მთელ წყებას, რომელიც მნიშვნელოვანი წვლილია განვითარების დიალექტიკურ კონცეფციაში და რაც ჰეგელის მეთოდს მარქსიზმის ფილოსოფიის უშუალო თეორიულ წყაროდ ხდის. მაგრამ გენიალურად დასმული განვითარების პრობლემა იდეალისტურად გადაწყდა, ხოლო მეცნიერული კვლევის პრაქტიკამ აჩვენა ჰეგელის მეთოდის უვარგისობა მისი პირველყოფილი სახით. XIX საუკუნის ბურჟუაზიული ფი-

¹ ჰეგელი, ლოგიკის მეცნიერება, თბ., 1962, გვ. 87.

ლოსოფიური აზრი სხვა გზით წავიდა.¹ ეს გზა განსაზღვრა ახალმა სოციალ-ეკონომიურმა ვითარებამ. მას თავისი ისტორიული ფესვებიც ჰქონდა.

ჰეგელი სამართლიანად შენიშნავდა — ფილოსოფიამ დღემდე ვერ მოძებნაო თავისი მეთოდი. აგერ XVII საუკუნეში, იმ დროს, როცა მეცნიერული ფილოსოფია ორი ათას წელზე მეტს ითვლიდა, დეკარტე, სპინოზა და ზოგიერთი სხვა ფილოსოფოსი ცდილობენ მათემატიკას დაესესხონ მეთოდი². კანტიც ფიქრობდა, რომ ფილოსოფიამ შეიძლება გამოიყენოს მათემატიკა ან იმით, რომ მიბაძოს მის მეთოდს, ანდა იმით, რომ ნაძვლილად ისარგებლოს მისი დებულებებით³.

მათემატიკისადმი ფილოსოფოსების ასეთი ყურადღების მიზეზი იყო იმ ხანებში მათემატიკურ მეცნიერებათა დიდი მიღწევები და მათი ისეთი ნიშნები, როგორცაა: სიზუსტე, სისტემატურობა, გამოყენებითობა, „ძნელი არაა მიეხვედეთ, — წერს კანტი, — რომელი მხარე მოიპოვებს უპირატესობას ორი მეცნიერების დავაში, რომელთაგან ერთი მათგანი სჯობნის დანარჩენებს უტყუარობითა და სიცხადით, მაშინ, როცა მეორე მხოლოდ ეს-ეს არის ცდილობს მიაღწიოს ამგვარ მდგომარეობას⁴.

გამოყენებითობის პრობლემა წარმოების განვითარებამ დააყენა. „ელექტრონის შესახებ გონივრული რამ ჩვენ მხოლოდ მაშინ გავიგეთ, როცა აღმოჩენილ იქნა მისი ტექნიკური გამოყენების გზა“ — სწერდა ფ. ენგელსი ჰ. შტარკენბურგს.

ახალი დროის განსწვრივ, კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობათა განვითარების კვალდაკვალ საქმე, კომერცია წინა პლანზე დადგა. ყოველ მეცნიერებას შეგნებულად და სტიქიურად ცხოვრე-

¹ А. Богомолов, Идея развития в буржуазной философии, М., 1962, стр. 79.

² ფილოსოფიის მეთოდის პრობლემა უშუალოდაა დაკავშირებული მეცნიერული შემეცნებისაგან ფილოსოფიური შემეცნების განსხვავების საკითხთან. ჰეგელი დეკარტეს მიმართ შენიშნავს, რომ მასთან „...ჯერ კიდევ არაა ერთმანეთისაგან განსხვავებული ის, რასაც ახლა ვუწოდებთ ფილოსოფიურ შემეცნებას და ის, რასაც ახლა ვუწოდებთ მეცნიერულ შემეცნებას“ (Гегель, соч., т. XI, გვ. 278); ფილოსოფიური შემეცნება მეცნიერულია, მაგრამ ყოველგვარი მეცნიერული შემეცნება როდია ფილოსოფიური შემეცნება. ამიტომ, კონკრეტულ მეცნიერებათა მეთოდი გამოუსადეგარია ფილოსოფიისათვის, ხოლო ფილოსოფიის მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონკრეტულ მეცნიერებათა მიერ, როგორც ზოგადმეთოდოლოგიური პრინციპი.

³ И. Кант, соч., т. 2, стр. 81.

⁴ იქვე, стр. 82.

ბა სულ უფრო და უფრო მტკიცედ უყენებდა პრაქტიკულ მოთხოვნებს. გამოყენებითი მეცნიერებანი აჩქარებდა, ხელს უწყობდა წარმოების განვითარებას. წარმოებაც სტიმულს აძლევდა მათ. წარმოებისა და მეცნიერების ამ შეთანხმებას მოჰყვა ის, რომ ტექნიციზმმა, უტილიტარიზმმა თანდათან დაჩრდილა ტრადიციული ჰუმანიტარიზმი¹.

ჩაოდენ გამაფრთხილებლად გაისმის ბლუზ პასკალის მიერ სამას წელზე მეტი ხნის წინათ ნათქვამი სიტყვები: „ადამიანები, რომლებიც ადამიანს შეისწავლიან უფრო ცოტანი არიან, ვიდრე ისინი, ვინც გეომეტრიას შეისწავლის, უძლურება ადამიანის შესწავლაში გვაძიძულებს ვიკვლიოთ ყველაფერი სხვა რაც გნებავთ“².

მათემატიკის გაბატონებულმა მდგომარეობამ, მისმა გავლენამ სხვადასხვა მეცნიერებასა და ლოგიკაზე ფილოსოფია ჯერ პოზიტივიზმის და შემდეგ ნეოპოზიტივიზმის მიმართულებით წაიყვანა. თვით ნეოპეგელიანელ ბ. კროჩეს აზრითაც, ჰეგელის მიერ აღმოჩენილი დიალექტიკა გამოსადეგია მხოლოდ ფილოსოფიურ ცნებათა განვითარებისათვის და რამდენადაც ჰეგელი ინდივიდუალურ ფაქტებს და ემპირიულ ცნებებს ძირითადად დიალექტიკურად განიხილავდა, ამით ბოროტად იყენებდა მის მიერ აღმოჩენილ დიალექტიკასო (ციტირებულია ა. ბოგომოლოვის ზემოთ დასახელებული წიგნიდან, გვ. 14).

ჰეგელი და მისი ფილოსოფიის რაციონალური მარცვალი ბურჟუაზიულმა ფილოსოფიამ მიუღებლად ჩათვალა. XIX საუკუნის ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში არსებითად ბატონდება სპენსერის ევოლუციონიზმი, ჰეგელის შემდეგ განვითარების იდეა კვლავ ცალმხრივად განვითარდა. ამან თავისებური დალი დაასვა საბუნების-მეტყველო აღმოჩენების ახსნასაც. მაგალითად, სპენსერისა და ვენისმანის დავაში ორგანიზმების განვითარების წყაროსა და მათი წარმმართველი ძალის შესახებ კვლავ მეორდება პრეფორმიზმსა და ლამარკიზმს შორის ძველი დავის შეცდომები. ორგანიზმის განვი-

¹ დასავლეთ გერმანელი სოციოლოგი გეორგ ზიბერსი („კულტურის ფილოსოფიის“ მიმდევარი) 1963 წელს მიუნხენში გამოცემულ წიგნში — „ტექნიკური ერის დასასრული“ წერს: „ჰუმანიზმი მკვდარია და უმთავრესად არაეზობას განაგრძობს გიმნაზიებში“. შემდეგ: „გამოვონებებით ტექნოკრატიული აღმაფრენა, აგრეთვე სიამაყე ახალი მიღწევებით, შეიძლება შევაფასოთ ფსიქოლოგიური აზრით, როგორც იმ ზავშვის სიხარული, რომელმაც ახალი სათამაშო მიიღო“. კაცობრიობისათვის ზიბერსის აზრით, ამგვარი უკანასკნელი საჩუქარი იყო ატომური ბომბი.

² Б. П а с к а л ь, Мысли, СПб. 1888, стр. 88.

თარებას ხსნიან ან შინაგანი პოტენციით (ვეისმანი), ან გარეგანი პიზიზებით, გარეშოთი (სპენსერი).

ევოლუციონიზმის ნაირსახეობები იყო ა. ბერკსონის „შემოქმედებითი ევოლუცია“, აგრეთვე ემერჯენტული ევოლუციის იდეაც.

ფილოსოფიური მეთოდის ცალმხრივად განვითარების შედეგად ე. ჰუსერლის „ეჟენცია“ და ეგზისტენციალისტების „ეგზისტენციაც“.

როგორც ცალმხრივი „ეჟენციალიზმი“, ისე ცალმხრივი „ეგზისტენციალიზმიც“ უძლურია უზრუნველყოს ადამიანის ცხოვრების კუმარაიტი ორიენტაცია, — სამართლიანად შენიშნავს ზ. კაკაბაძე და განაგრძობს, — კონკრეტულ სიტუაციაში მყოფ ადამიანს, რომელსაც გააჩნია თავისი ზოგადი ტენდენციების შესატყვისი ცხოვრების საერთო „პროექტი“, არ ძალუძს იხელმძღვანელოს მით. იგი, ცდილობს რა დაიცვას თავისი საერთო „პროექტი“, ამავე დროს იძულებულია კონკრეტულ-სიტუაციური პრობლემა შემოქმედებითად გადაწყვიტოს, თუ არ უნდა უღალატოს საკუთარ არსებას. ადამიანმა, რომელიც იბნევა კონკრეტულ სიტუაციაში, შეიძლება დაარღვიოს თავისი ცხოვრების ზოგად-არსებითი „პროექტი“: ადამიანური არსებობის კონკრეტულ-სიტუაციური „პროექტი“ წინასწარ არაა შედგენილი. იგი ადამიანმა უნდა გამოაქმუშაოს შემოქმედებითად კონკრეტულ სიტუაციაში. ამ აზრით ადამიანის კონკრეტულ-სიტუაციური არსებობა, ე. ი. „ეგზისტენცია“ წინ უსწრებს მის „ეჟენციას“. „ეჟენცია“ — „ეგზისტენციის“ შესატყვისობა ამ დიალექტიკურ გაგებაში იხსნება ადამიანური არსების კუმარაიტი ორიენტაციის პერსპექტივა¹.

ნ. ჰარტმანის კრიტიკული ონტოლოგია ცალმხრივობის დაძლევის ერთგვარი ცდა იყო. იგი წარმოადგენდა რაციონალურ რეაქციას ბურჟუაზიული ფილოსოფიის მიმართ, რომელიც დაეშვა სუბიექტივიზმამდე და ირაციონალიზმამდე. ეს ცდაც უშედეგო გამოდგა.

სამართლიანად შენიშნავს ა. ბოგომოლოვი, რომ დიალექტიკური აზრის ტრადიციისადმი უარისთქმა მთელი თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის ტენდენციაა. განსაკუთრებით კი — მისი პოზიტივისტური და რელიგიურ-იდეალისტური განშტოებებისა. დიალექტიკური მატერიალიზმის გარდა არც ერთ თანამედროვე

¹ З. Какабадзе, Проблема «Экзистенциального кризиса» и трансцендентальная феноменология Эдмунда Гуссерля, Тб., 1966, стр. 156—157.

ფილოსოფიურ კონცეფციას არ გააჩნია დიალექტიკა მთლიან სისტემა, იდეალისტური კი¹.

თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის მსოფლშეგრანებასა და მიმართებათა ჩამოყალიბებაზე გავლენა იქონია იმ დიდმა სოციალურ-პოლიტიკურმა ძვრებმა და გარდაქმნებმა, რომლებიც XX საუკუნეში მოხდა. ადრე უდიდესი წარმატებებით თავბრუდახვეულმა და განებივრებულმა ბურჟუაზიამ ერთბაშად დაკარგა მომავალი წარმატებების იმედი. მას დაეუფლა ღრმა პესიმიზმი და მომავლისადმი რწმენა დაკარგა, მეტიც, დაეუფლა შიში მომავლისადმი. ეს განწყობილება თავისებურად აისახა განვითარების თანამედროვე ბურჟუაზიულ-ფილოსოფიურ კონცეფციებში. „თანამედროვე კრიზისის თეორიული ფესვების ძიებას ჰეგელის ფილოსოფიაში მივყავართ. ჰეგელთან სამყაროს მოწესრიგებული კავშირისაერთოდ ინდივიდუალურის, ერთეულის, დამოუკიდებელი მნიშვნელობის უარყოფის ხარჯზე აღმოჩნდება მიღწეული. ეს საბედისწერო გამოდგა როგორც ჰეგელის ფილოსოფიისათვის, ისე საერთოდ ბურჟუაზიული კულტურისათვის“².

ჰეგელის ფილოსოფიაში ერთგვარად შეჯამდა ფილოსოფიის მანამდელი განვითარება. ჰეგელმა სცადა თავის სისტემაში გაეთვალისწინებინა მანამდელი ფილოსოფიური სისტემების, კონცეფციების როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. მაგრამ წინააღმდეგობამ მის სისტემასა და მეთოდს შორის, სისტემისა და მეთოდის მისტიკურმა და რაციონალურ-თეოლოგიურმა სამოსელმა ერთგვარად დააფრთხო მომდევნო ხანის მოაზროვნენი, რომელთაც თავიანთი დოგმატური, ცალმხრივად ევოლუციონისტური თვალსაზრისით მიდგომის გამო ჰეგელში ვერ დაინახეს რაციონალური მარცვალი. ამიტომ მათ ნააზრევში ჰეგელის ფილოსოფიის საწინააღმდეგო რეაქციის ელფერი მიიღო ყურადღების შემობრუნებამ კონკრეტული პიროვნებისადმი, ადამიანისადმი (ს. კიერკეგორი, ფ. ნიცშე, ეგზისტენციალისტები), მაგრამ ისინი მეორე უკიდურესობაში გადავარდნენ. „ინდივიდი საერთოს, ზოგადის ტირანიიდან კი განთავისუფლდა, მაგრამ თავისთავის ამარა დარჩა... თუ ჰეგელთან ზოგადში ერთეული ქრებოდა, ახლა ზოგადი გაქრა ერთეულში“³. ამრიგად, თუ ყოველივეს არსება წინააღმდეგობაში, დაპირისპირე-

¹ А. Богомолов, Идеалистическая диалектика в XX столетии. «Вопросы философии», 1966, № 3, стр. 107, 89.

² გ. თ ე ვ ზ ა ძ ე, ნიკოლაი ჰარტმანის ონტოლოგიის კრიტიკა, თბ., 1967-გვ. 5.

³ ი ქ ვ ე, გვ. 6. 7.

ბულთა ერთიანობაში, რაიმესა და სხვას ერთიანობაშია, რაიმეში მისი უარყოფის (სხვის) არსებობაშია, მაშინ ერთი ჰაპირისპიროს დატოვება და შეორეს უარყოფა, მათი აბსოლუტური გათიშვა სინამდვილის, ქეშმარიტების ლალატია. ადამიანის ცხოვრებას, — როგორც სამართლიანად შენიშნავს ზ. კაკაბაძე, — ასეთი მიდგომისას ეცლება გამაერთიანებელ-მაჰარმონიზებული საწყისი. ადამიანის საქციელი შემთხვევითი, ბრმა ხდება, ადამიანის სამყარო იქცევა სრულ ქაოსად. ადამიანი კარგავს მარადიულთან ზიარების პერსპექტივას და ა. შ.¹

ჰეგელის მიზანი იყო აბსოლუტური იდეის განვითარების (თვითშემეცნების) ეტაპების და ზოგადი პრინციპების დადგენა. მას არ უცდია ამ პრინციპების რეფლექტორი მომავლისაკენ მიემართა. მაგრამ მინც უდავოა მისი ფილოსოფიის რევოლუციური, გარდამქმნელი მნიშვნელობა.

ჰეგელის მიხედვით შემეცნება თვითშემეცნებაა. კატეგორიათა ქმნადობის ლოგიკური სისტემის შემეცნებით ვახერხებთ ჩვენს არსებაში (ინდივიდუალურ ცნობიერებაში) გავატაროთ ამ ლოგიკური სისტემით გამოხატული სამყაროს ქმნადობა და ამით ვაწარმოოთ ჩვენივე ინდივიდუალური ქმნადობა, ე. ი. ჩვენი არსება გავხადოთ სამყაროს არსების ნაწილად და თანაზიარად, რასაც შეიძლება მივალწიოთ სხვასთან აქტიური შეთვისებით. ამით ვახორციელებთ ქმნადი სამყაროს გადმოტანას ჩვენში, განვიცდით მის ბედს. ამრიგად, ინდივიდუალური გადის ზოგადის გზას და ხდება მისი თანაზიარი, ნაწილი. სხვანაირად, იგი უარიყოფა და გარდაიქმნება, იქცევა ზოგადად. ხდება ინდივიდუალურის (ინდივიდის) ამალღება ზოგადად. ამაში უნდა ვხედავდეთ ჰეგელის ფილოსოფიის მასტიმულირებელ ღირსებას.

ძველი ბერძნები სიბრძნეში ხედავდნენ სიკეთეს². ჰეგელთან ეს გამოიხატება ლოგიკურად ზოგადის შემეცნებისა და თვითშემეცნების დამთხვევაში, სუბიექტის აქტიური შეერთებით, თანდამთხვევითობიექტთან. სუბიექტი იხსნება, მაგრამ კი არ იკარგება, არამედ უერთდება ობიექტს, ამალღდება აბსტრაქტულიდან კონკრეტულ მდგომარეობამდე. ეს ძნელი გზა არის პიროვნების ამაღლებისა და გაყეთილშობილების ერთ-ერთი უმთავრესი პირობათაგანი.

¹ ზ. კაკაბაძე, ციტირებული ნაშრომი, გვ. 157.

² ჰეგელის აზრით. სოკრატემ მისცა დასაბამი მორალურ ფილოსოფიას, ჰეგელს მოაქვს ციკრონის სიტყვები იმის თაობაზე, რომ სოკრატემ ფილოსოფია ციდან მიწაზე ჩამოიტანა, შეიტანა იგი ქოხებში და ყოველდღიურ ცხოვრებაში (იხ. Гершен, соч., т. X, გვ. 37).

აწმყოს¹, ნივთის გაფეტიშებით, თუ იგი იქცევა საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის განმსაზღვრელად, იწყება საზოგადოების მორალური დაცემა, რადგან ასეთ სიტუაციაში ადამიანები ექცევიან ყოველდღიურ წვრილმან მატერიალურ საზრუნავთა ტყვეობაში. მხოლოდ აწმყოს საჭიროებისათვის ზრუნვას ვერ უთავსდება მაღალი მორალური და საზოგადოებრივი იდეალებისათვის ფიქრი და ბრძოლა. ჭეშმარიტი ფილოსოფიისათვის კი სამყაროს, საზოგადოებრივი ცხოვრების ახსნა და შესწავლა მის უწყვეტ მდინარება-განახლებაში უნდა იყოს საშუალება, მისი გარდაქმნა, სრულყოფა კი --- მიზანი. სამყაროს სრულყოფის ამ პრობლემის ცენტრში უნდა იდგეს ადამიანის სრულყოფის ამოცანა, არა მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების და ფიზიკური სრულყოფის, არაშედ, რაც მთავარია, სულიერი სრულყოფის ამოცანა. ასეთია მარქსიზმის ფილოსოფიის, მომავლის ფილოსოფიის ერთ-ერთი მიზანდასახულება. ამ ამოცანის გადაწყვეტას იგი ახერხებს სწორედ იმით, რომ იგი დიალექტიკურად გაგებულ მატერიალიზმია, რომლის უმთავრესი პრინციპია ერთიანობის გაორება და მისი წინააღმდეგობრივი ნაწილების შემეცნება. ჰეგელის შემდგომ პერიოდში მხოლოდ მარქსიზმის ფილოსოფიაში მოხერხდა (მისი შემოქმედებითი და არა დოგმატური ხასიათის გამო) ჰეგელის ფილოსოფიის რაციონალური მარცვლის დაჭერა და განვითარება.

ჭეშმარიტი და მყარი ფილოსოფიური მეთოდის უქონლად აზროვნება იხლართება წინააღმდეგობრივ დაპირისპირებულობათა შორის, რაც მოაზროვნე სუბიექტს უბიძგებს აგნოსტიციზმის, სკეპტიციზმის, ნიჰილიზმის და სხვა ამგვარი იშვებისაკენ. ეს გარეშობა მთელი სისრულითაა გათვალისწინებული მარქსიზმის ფილოსოფიაში მის მატერიალისტურ-დიალექტიკურ მეთოდში.

როგორც არსში, ასევე აზრში უარყოფის ბუნების გარკვევა ფილოსოფიის საკუთარი მეთოდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტი. რაიმესთვის აუცილებელია სხვა, მაგრამ მთავარია იმის გაგება, რომ სხვა შეიძლება იყოს ისევე ამ რაიმეში როგორც მისი უარყოფა. რაიმესა და სხვის, საპირისპიროთა ნამდვილი მიმართების გაგება, წინააღმდეგობის გაგება მხოლოდ მის ერთიანობაში შეიძლება. გონება, რომელიც წედება დიალექტიკური უარყოფის არსებას, მჭკრეტელობიდან გადადის საწყაროს, საკუთარი თავის აქ-

¹ აწმყოს გაფეტიშებასთანაა დაკავშირებული ნივთის გაფეტიშება და აქედან გამომდინარე, თვითგაუცხოვება. რაც თანამედროვე ეპოქაში საყოველთაო ხასიათს იღებს.

ტიურ შემეცნებით პოზიციაზე, ძლევს ცალმხრივობას და დოგმატიზმს შემეცნებაში. აცნობიერებს სასრულისა და უსასრულოს, აბსოლუტურისა და შეფარდებითის ნამდვილ მიმართებებს.

რა განსაზღვრავს ცოცხალ ორგანიზმთა განვითარებას, შინაგანი პოტენცია, თუ გარემო პირობები? როგორ შეიძლება შევათანბნოთ ერთმანეთთან სინათლის სხივის ორმაგი, ერთმანეთის საპირისპირო ბუნება? როგორი თეორიული დასკვნები გამომდინარეობს ენერჯის შენახვისა და გარდაქმნის კანონიდან? განვითარება წმინდა რაოდენობრივი ცვლილებების ჯამია, თუ აქ ადგილი აქვს თვისობრივ ნახტომებსაც? ჭეშმარიტება აბსოლუტურია, თუ შეფარდებითი? როგორღა უნდა მივუდგეთ კლასიკურ მექანიკას ქვანტური მექანიკის შემდეგ? როგორი მეთოდოლოგიური დასკვნები გამომდინარეობს ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკის ბოლო წლებსა მილწვევებიდან (ანტინაწილაკების აღმოჩენებიდან)? რა უდევს საფუძვლად ჰიცოცხლეს: ნივთიერების, ენერჯის, თუ ინფორმაციის ნაკადები?

ამ კითხვებზე მეცნიერულ-ფილოსოფიური პასუხის გაცემა დამოკიდებულია იმაზეც, თუ რამდენად მეცნიერულია თვით მეთოდი; რომლითაც ხელმძღვანელობს, რომელსაც ემყარება ფილოსოფია და როგორაა მასში გაგებული უარყოფა.

მექანიკური ევოლუციონიზმის ცალმხრივობის საპირისპიროდ ჰუგო დე ფრაზი ავითარებს ისევ ცალმხრივ მუტაციის თეორიას, რომელიც ახალ სახეთა წარმოშობას ხსნის ნახტომისებური ვარიაციებით. ფარდობითობის პრინციპის აღმოჩენა საფუძველი გახდა იმისა, რომ ზოგიერთს ხელაღებით უარეყო კლასიკური მექანიკის მიღწევები და მნიშვნელობა, რასაც ბოლო მოუღო ფიზიკურ თეორიათა შესატყვისობის პრინციპმა, როგორც დიალექტიკურმა პრინციპმა.

დიალექტიკური მეთოდის სწორად მომარჯვებისას შეგვიძლია არა მარტო უარყოფითი მომენტი შევამჩნიოთ ამა თუ იმ თეორიისა; თუ კონცეფციისა, არამედ ყველგან და ყველათურში ვეძებოთ დადებითი მარცვალის, წამოვწიოთ და განვავითაროთ იგი.

უარყოფა განვითარების არსებითი მომენტი. დიალექტიკური უარყოფის ბუნების გარკვევა ჩიშნავს სინამდვილის და აზროვნების გაგებას მათ მოვლენათა მრავალმხრივ ურთიერთკავშირებსა და უწყვეტ წინააღმდეგობრივ მიმართებებში. მარქსისტული ფილოსოფიის დედააზრი ისაა, რომ წინააღმდეგობა არის ყოველივეს არსებობისა და განვითარების წყარო, დასაბამი. ვ. ი. ლენინი იწონებს ჰეგელის ძირითად იდეას „მსოფლიო, ყოველმხრივი, ცოცხალი კავ-

შირისა ყოველივესი ყოველივესთან¹. ვიმეორებთ, წინააღმდეგობა არის არა მარტო განვითარების, არამედ რაიმეს თვით არსებობა² წყაროც. ვინაიდან რაიმე არსებობს იმდენად, რამდენადაც იგი ჩართულია საგანთა, მოვლენათა, აზრთა კავშირთა ერთობებში, რამდენადაც იგი არის მოქმედებისა და უქმქმედების (არა მარტო მექანიკურის) უწყვეტი ერთიანობა, ის რაც ვერ ახერხებს ადგილი დაიჭიროს წინააღმდეგობრივ ურთიერთობებში, ე. ი. მონახოს თავისი ადგილი გარემოში, იღუპება, წყვეტს არსებობას. რამდენადაც რაიმე არსებობს, ე. ი. ცოცხლობს, მოქმედებს, ვითარდება, ამდენად იგი შინაგანი უარყოფის შემცველია. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, არსებობა არის უარყოფის შემცველი, უარყოფა არსებობის ნიშანია.

ბუნებისა და ადამიანთა საზოგადოების ქმნადობის დიალექტიკურად წინააღმდეგობრივი პროცესი თავისებურად, განზოგადოებულად აისახება ლოგიკურში. აზრის დიალექტიკური ქმნადობა არსებობისა და საზოგადოების დიალექტიკის არა უბრალო, ფორტოგრაფიული, პირდაპირი ასახვა (ასე რომ იყოს, მაშინ რეალურის დიალექტიკისაგან განსხვავებული აზროვნების, აზრის დიალექტიკა არ გვექნებოდა), არამედ განზოგადოებული ასახვა, რომელშიც გახსნილი არის აზრის ქმნადობის შეფარდებითი თვითყოფობა. აუცილებლობა და ობიექტურობა, რაც დიალექტიკურ-ლოგიკურში ხორციელდება. ჰეგელი სამართლიანად შენიშნავდა³, რომ ლოგიკის გაგება უფრო ღრმა აზრით, ვიდრე არის მეცნიერება, წმინდა ფორმალური აზროვნების შესახებ, გამოწვეულია სახელმწიფოს, სამართლის და ზნეობის ინტერესებით³. ეს ღრმააზროვნანი მინიშნება განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

უნდა ითქვას, რომ ჰეგელს არ აღმოუჩენია წინააღმდეგობა და უარყოფა, როგორც განვითარების წყარო, ისევე როგორც მარქსს არ აღმოუჩენია კლასების არსებობა და კლასთა ბრძოლა. ჰეგელი აღფრთოვანებული წერს პერაკლიტეს, ზენონის, პლატონის, არისტოტელეს, პლოტინის, თომა აქვინელის, ჯ. ბრუნოს, სპინოზას, კანტის, ფიხტეს, შელინგისა და სხვა ფილოსოფოსთა ცალკეულ დიალექტიკურ მიხვედრებზე, მაგრამ არც ერთ მათგანს წინააღმდეგობა და უარყოფა არ გაუხდია მეთოდის ბირთვად. არ გამოუყენებია

¹ ე. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 38, გვ. 140.

² „ჰეგელი მე გავაკრიტიკე, მაგრამ საჩაროდ ვაღიარე თავი ამ დიდებულ მოაზროვნის მოწაფედო“ — წერდა მარქსი (იხ. ბოლოსიტყვაობა „კაპიტალის“ მეორე გერმანული გამოცემისათვის).

³ ჰ ე გ ე ლ ი, ლოგიკის მეცნიერება, გვ. 74.

სისტემის ასაგებად. ისე როგორც მარქსის კლასთა ბრძოლის თეორიაში მთავარია ის, რომ კლასთა ბრძოლას მიეყვარათ პროლეტარიატის დიქტატურის აღიარებამდე, ასევე ჰეგელის ფილოსოფიაში მთავარია ის, რომ წინააღმდეგობა და უარყოფა ასრულებს ქმედით როლს განვითარების ლოგიკური სისტემის ასაგებად. ამრიგად, აქ უარყოფა და წინააღმდეგობა გვევლინება არა როგორც ცალკეულ მოვლენათა ასახსნელი საშუალებანი, არამედ როგორც სული და გული მეთოდისა, როგორც მამოძრავებელი აქტები განვითარების მთელი პროცესისა.

პლატონის მსგავსად ჰეგელს ერთმანეთისაგან არ გაუთავისუფლებია და მოვლენათა სამყაროები. მიუხედავად ზოგადისადნო მისი ერთგულებისა და განსაკუთრებული ინტერესისა ჰეგელი არ ივიწყებს არც სასრულ საგანთა სამყაროს, „ვისაც სასრული მეტისმეტ ზიზღს გვრის, — წერს იგი, — ის ვერავითარ სინამდვილეს ვერ აღწევს, იგი აბსტრაქტულის სფეროში რჩება და თავის თავში იბრუნება, იფერფლება“¹. თვით ჰეგელის ფილოსოფიაშივე იყო მისი მისტიციზმისაგან განთავისუფლების გასაღები. კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა შეძლეს ჰეგელის მატერიალისტური წაკითხვა და მისი მეთოდის რაციონალური მარცვლის გამოყენება რეალური ცხოვრებისეული მოვლენების ასახსნელად.

მარქსმა შეამჩნია, რომ კერძო საკუთრება, რომელიც იცავს თავის თავს და მის საპირისპირო ძალას—პროლეტარიატს, არის ანტაგონიზმის დადებითი (ე. ი. შემნახავი — კ. გ.) მხარე, მაგრამ, მეორე მხრივ, იგი არის კონსერვატული ელემენტის შემცველიც (რამდენადაც განვითარების წინააღმდეგ გამოდის — კ. გ.), პროლეტარიატი, რომელიც იბრძვის თავის თავისა და მისი საპირისპიროს—კერძო საკუთრების გაუქმებისათვის, ანტაგონიზმის უარყოფითი მხარეა, მაგრამ რამდენადაც იგი იბრძვის დანგრევისათვის, ე. ი. განვითარებისათვის, ამდენად იგი დადებითი ელემენტის შემცველია². დადებითი და უარყოფითი მომენტების ერთიანობა, უარყოფისა და თვითუარყოფის გზით სრულყოფა ფილოსოფიის მეთოდის არსებითი მხარეა.

მეცნიერებათა დიფერენციაციის შედეგად ხდება სამყაროს ცალმხრივად ჰიპერტროფირებული აღწერა ცალკეული დარგების მეცნიერთა პროფესიული მიდგომისა და წარმოდგენების შესაბამისად. მატერიალისტური დიალექტიკის მეთოდის საფუძველზეა შესაძლებელი ქვეშარიტი სურათის აღდგენა. .

¹ ჰეგელი, ლოგიკის მეცნიერება. გვ. 214.

² K. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. 2, стр. 38—39.

აზრის განვითარების დიალექტიკურობას ფილოსოფიის, როგორც მეცნიერების ჩასახვის დროიდანვე მიეჭყა ყურადღება. თუ ჰერაკლიტეს დიალექტიკა უპირატესად ბუნების დიალექტიკა იყო, ძენონის დიალექტიკა უკვე აზრის სფეროში ტრიალებს, ხოლო პლატონი უკვე აზრის დიალექტიკის დღემდე სანიმუშო მაგალითებს გვაძლევს.

აზრის განვითარება, როგორც დიალექტიკური განვითარება წინააღმდეგობათა დაძლევის გზით ხორციელდება, ამდენად იგი უარყოფის, შინაგანი უარყოფის შემცველია.

ცნობილია ვ. ი. ლენინის შენიშვნა, რომ „ჰეგელმა გენიალურად გამოიციცნო ცნებათა დიალექტიკაში ნივთთა (მოვლენათა, სამყაროს, ბუნების დიალექტიკა“¹. ხოლო რა არის ცნებათა დიალექტიკა?

„თვითეული ცნება, — წერს ვ. ი. ლენინი, — იმყოფება გარკვეულ მიმართებაში, გარკვეულ კავშირში ყველა დანარჩენთან“². როგორ უნდა გავიგოთ ეს?

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ — რაიმეს არსებობა ნიშნავს იმას, რომ იგი მონაწილეობს საგანთა და მოვლენათა შემთხვევით, თუ აუცილებელ კავშირურთიერთობებში, რომ მას მოძებნილი აქვს თავისი ადგილი ამ ურთიერთობებში, რაიმე რამდენადაც იგი არსებობს დაკავშირებულია დანარჩენ სამყაროსთან. მატერიალური საგნები და მოვლენები არა მარტო ერთმანეთზე ზემოქმედებენ, ისინი თავის მხრივ ზემოქმედებენ აზრზეც, ცნობიერებაზეც, ხოლო ცნობიერება — მათზე (რამდენადაც მეცნიერული აზრის მიღწევებს ვიყენებთ სინამდვილის გარდასაქმნელად). იგივე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე თვით აზროვნების, ცნობიერების სფეროში. ყოველი აზრი, თეორია, ცნება, კატეგორია ცნობიერების ყოველგვარი გამოვლენა (შეგრძნება, აღქმა, წარმოდგენა, აზროვნება და ა. შ.) შეიძლება გარკვეულ მიმართებაში, გარკვეულ კავშირში შევიდეს გარკვეულ (და არა ყოველ); უკვე შემუშავებულ ცნებასთან, თეორიასთან, აზრთან, წარმოდგენასთან და ა. შ. ამავე დროს ისინი შეიცავენ ახალი ცნებების თეორიების და ა. შ. შემუშავების შესაძლებლობას.

ყოველ ცნებას აქვს შინაგანი „უნარი“ შევიდეს კონტაქტში გარკვეულ ცნებებთან და კატეგორიებთან. აზრი აზრს უნდა მსჭვალავდეს, ახალ აზრს უნდა ბადებდეს, მაშინ არის იგი ცხოველყოფი-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 194.

² იქვე.

ფელი. სიტყვა, ცნება, აზრი გარკვეულ, აუცილებელ კონტაქტში ამჟღავნებს თავის ბუნებას და პოტენციას, გამოაჩენს ახალ შესაძლებლობას, კომბინაციათა ახალი ვარიანტის შესაძლებლობას¹. აქ შეიძლება გავიხსენოთ არისტოტელეს შენიშვნა საგნების შესახებ, მაგრამ იგივე შეიძლება ითქვას აზრების შესახებაც. „ფიზიკაში“ არისტოტელე წერს: „არც ერთ არსებულ საგანს თავისი ბუნებით არ შეუძლია ან ზემოქმედება მოახდინოს ყოველ შემთხვევით საგანზე. ანდა განიცადოს მისგან ზემოქმედება, რომ ყოველივე განა ყოველივესაგან წარმოიშობა...“².

კავშირურობითობა საერთოდ ორგვარია: ცალმხრივი და ორმხრივი, ანუ პირდაპირი და უკუკავშირის შემცველი. განვითარების პირობა ორმხრივი კავშირია — პირდაპირი და უკუკავშირი. აზრის სფეროში ასეთი შეიძლება იყოს ერთი ცნებოს, აზრის კავშირი სხვა ცნებასთან, აზრთან და მათი შინაგანი ერთიანობა, როგორც ახალი აზრი ან ცნება, ანდა აზრის ცნებოს შემუშავების შესაძლებლობის შემცველი. აზრის სფეროში ცალმხრივი კავშირია ტავტოლოგია. აზრთა ორმხრივ კავშირთან გვაქვს საქმე განსხვავებულ აზრთა, ცნებათა, დაპირისპირებულ აზრთა, ცნებათა ერთიანობისას, სინთეზში. სხვასთან, განსხვავებულთან, საპირისპიროსთან აზრის კავშირის, ერთიანობის შესაძლებლობა არის განსხვავებულის მასში არსებობა იმანენტურად. ამ განსხვავებულის აღმოჩენა და მასთან შესაძლო სწორი ურთიერთობის დადგენა აზრის განვითარებაა³.

ცნების კავშირი ცნებასთან, კატეგორიისა — კატეგორიასთან და ა. შ. არის ცნების კავშირი არა იმ ობიექტთან, რომელსაც ეს (მეორე) ცნება ასახავს, არამედ ისევ ცნებასთან. ის გარემოება, რომ ახალი თაობა იყენებს წინა თაობების მიერ დაგროვილ ცოდნას, იმას ნიშნავს, რომ იგი იყენებს წინა თაობების მიერ შემუშავებულ, აღმოჩენილ ცნებებს, კატეგორიებს, განსაზღვრებებს, კანონებს და ა. შ., მათი საშუალებით ახდენს ახალ მეცნიერულ ოპერაციებს, შეყავს ისინი ახალ კომბინაციებში. ახალი შინაარსი ეძლევა ძველ ცნებებს, იქმნება ახალი ცნებები და ა. შ. მაგალითად, როცა კირხჰოფი სპექტრული ანალიზის კანონს ეძებდა, იგი იკვლევდა იმ კავშირურ-

¹ ამა თუ იმ ენიდან რომელიმე სიტყვის ამოგდება ხდება იმის გამო, რომ ეს სიტყვა კარგავს სხვა სიტყვებთან კავშირის, ურთიერთობის „უნარს“ და ამდენად კვდება.

² А р и с т о т е л ь, Физика, М., 1937, стр. 17.

³ აზრთა ეს იმანენტური, ორმხრივი კავშირი მოგვყავნებს ქიმიურ ელემენტთა რეაქციებს. ისე როგორც ყოველი ქიმიური ელემენტი არ რეაგირებს ერთმანეთზე, ასევე ყოველი აზრი არ შეიძლება სკვალავდეს მეორეს.

თიერთობებს, რომლებიც შეიძლება არსებობდეს ობიექტური სინამდვილის ამსახველ ცნებებში, როგორცაა: სიბო, სხეული, სინათლის სხივი, გარდატეხა, შთანთქვა და ა. შ. ¹.

აზრს, როგორც ასახულს თავისი შედარებითი თვითმყოფობა რომ არ ჰქონოდა, მაშინ არ იარსებებდა ლოგიკური კანონები და წესები, ლოგიკა როგორც მეცნიერება შეუძლებელი და ზედმეტი იქნებოდა.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ აზრის გნოსეოლოგიურა, ფორმალურ-ლოგიკური და დიალექტიკურ-ლოგიკური განვითარება. აზრის გნოსეოლოგიური განვითარება მდგომარეობს ცნობიერების გამდიდრებაში, შემეცნების ახალ მიღწევაში მისი მიმართებისას ობიექტთან (აზრის ობიექტის ცვლილების, ანდა ობიექტის საიდუმლოებათა ახალი მხარეების ამოცნობის კვალობაზე). აზრის ფორმალურ-ლოგიკური განვითარება ნიშნავს აზრიდან აზრის ფორმალურ გამომდინარეობას, ამის მაგალითია დანასკვი წანამძღვრებთან შედარებით, დანასკვი, როგორც ახალი აზრი. ეს რომ ასე არ იყოს დასკვნას აზრი არ ექნებოდა. აზრის დიალექტიკურ-ლოგიკური განვითარება ეს არის აზრის მოძრაობა, წინსვლა საკუთარ თავთან მიმართებაში (აქ ერთმანეთს ემთხვევა დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია).

აზრის განვითარება ნიშნავს შემეცნების პროცესში დასმული, პრაქტიკის მიერ წამოჭრილი, ცნობიერების წინაშე მდგარი პრობლემის გადაწყვეტას, რაც გამოიხატება ახალი აზრის გამოყვანით, გამომდინარეობით, ახალ აზრზე გადასვლით, ახალი არგუმენტის შიგნებით, ახალი კანონის აღმოჩენით, შესაძლებლობის მიგნებით და მისი სინამდვილედ გადაქცევის გზების ჩვენებით, ახალი ფორმის, ელემენტთა ახალი კომბინაციის განხორციელებით და ა. შ. ამ რთულ პროცესებში მოქმედებს უარყოფა, როგორც დიალექტიკური უარყოფა. აზრის განვითარების მაჩვენებელია, ერთის მხრივ, შედარება უკვე მიღწეულთან და, მეორეს მხრივ, პრაქტიკა. უზოგადესი აზრით აზრის განვითარება ეს არის აზრის მოძრაობა.

აზრის განვითარებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა წყარო, საფუძველი და პირობა.

აზრი ვითარდება: 1) ობიექტის განვითარების და ამის შედეგად

¹ ამ შემთხვევაში ცნებათა შორის შესაძლო კავშირების ძიება არ უნდა გავიგოთ პრიმიტიულად, როგორც მათი მხოლოდ გარეგანი შეერთება, არამედ, როგორც მათში გამოხატული შინაარსის კავშირის ძიება, ანუ მათი შინაარსობრივი მიმართებების ძიება.

წარმოშობილ ახალ კანონზომიერებათა შეცნობის კვალობაზე. მაგრამ ეს არის აზრის განვითარების ერთ-ერთი და არა ერთადერთი პირობა. ეს რომ ერთადერთი პირობა ყოფილიყო, მაშინ ცნობიერება წარმოგვიდგებოდა ერთგვარ პასიურ ფენომენად, რომლის საქმე მხოლოდ ის იქნებოდა — ელარაჯა როდის შეიცვლებოდა ობიექტი, რომ იმის კვალობაზე თვითონაც შეეცვალა „გამოსახულება“. აზრი არაა ობიექტის ფუნქცია. აზრის განვითარების ერთ-ერთი წყაროა აგრეთვე 2) სააზროვნო ობიექტის ახალი მხარეებს, მომენტების წვდომა, აქამდე დაფარულ მხარეთა გაცხადება, მიუხედავად იმისა, შეიცვალა თუ არა თვით ობიექტი; 3) აზრი ვითარდება თავის შიგნითაც, აზრს ავითარებს თავის თავთან მიმართებაც და ამგვარი რეფლექსის კვალობაზე აღმოჩენილ წინააღმდეგობათა დაძლევა. მაგრამ აქ უნდა გავარჩიოთ ორი მომენტი: ა) აზრის ჩვეულებრივი მიმართება სხვა აზრთან და ბ) აზრის მიმართება აზრთან როგორც თავის საპირისპიროსთან — დაპირისპირებულთა მიმართება მათ ერთიანობაში, და აზრის მიმართება აზრთან, რაც ვლინდება უარყოფით თვითდადგენაში: ეს უკანასკნელი მომენტია დიალექტიკურ-ლოგიკურის კვლევის საგანი.

პირველის მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ საზოგადოების განვითარება და ამის შედეგად წარმოშობილი უტოპიური და მეცნიერული სოციალიზმის თეორიები, იმ დროს, როცა იქმნებოდა სოციალიზმის უტოპიური თეორიები, შეუძლებელი იყო მეტის გაკეთება. უფრო გვიან, როცა საზოგადოებამ მიაღწია განვითარების შედარებით მაღალ დონეს და მის წიაღში მომწიფდა ახალი კანონზომიერებანი და ტენდენციები, შესაძლებელი გახდა სოციალიზმის მეცნიერული თეორიის ჩამოყალიბება. შრომის ღირებულების ან ზემეტყველების ღირებულების თეორიები მხოლოდ მას შემდეგ შეიქმნა, რაც ჩამოყალიბდა კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობანი.

მეორის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ მატერიის საიდუმლოებათა სიღრმეში თანდათანობით შეჭრა, კერძოდ, ატომის შესწავლის მაგალითი. თვით ობიექტი არ შეცვლილა, მაგრამ იცვლება მის შესახებ ცოდნა. ამისივე მაგალითია აგრეთვე სინათლის შესახებ კვანტური თეორიის შექმნა (ამ აღმოჩენამდე კი ფიქრობდნენ, რომ სინათლე მხოლოდ ტალღური სტრუქტურისაა).

მესამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ შემდეგი: დანტეს დღეებში კომედიამ გაუღვიძა აზრი ბალზაკს ადამიანური კომედიის შესახებ. რაციონალისტების თანდაყოლილ იდეებზე თავისებური რეაქციაა ლოკის „tabula rasa“, ხოლო ლოკის მიერ საგანთა მეორადი თვისებების თეორიის შექმნამ ხელი შეუწ-

ყო სუბიექტური იდეალიზმის (ბერკლის და სხვათა სახით) განვითარებას სოლიპიზმამდე. ცნობილია, რომ პლატონის შემეცნებოს თეორიას ეწოდება ანამნეზისის თეორია (შეადარეთ ამას გვიანდელი რაციონალისტების თეორია თანდაყოლილი იდეების შესახებ). პლატონის ამ თეორიაზე კი გავლენა უნდა მოეხდინა ანაქსიმანდრეს იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვით არაფრისაგან რაიმე ვერ წარმოიშობა, რომ წარმოშობა ესაა რაიმეს გამოყოფა აპერიონისაგან, რომ აპერიონი ყველაფერს შეიცავს წინასწარ. ან ავიღოთ ანაქსაგორას შეხედულება: არავითარი ნივთიერება არ ჩნდება და არც ისპობა, გაჩენა არის გამოაშქარავება იმისა, რაც დაფარული იყო და სხვ.

აზრის განვითარებაა დაპირისპირებულთა ყოველი ერთიანობა: აბსოლუტური — შეფარდებითი, ზოგადი — ერთეული, სასრული — უსასრულო და ა. შ. რამდენადაც მათ დიალექტიკურ ერთიანობაშია შესაძლებელი მათი კვშმარტი ბუნების ახსნა. ამასთან დაპირისპირებულთა ერთიანობა დაპირისპირებულთა უსასრულო მოძრაობაა. აზრის განვითარებაა უარყოფით თვითდადგენა, როგორც დადგენა. ყოველივე ამის შესახებ უფრო დაწვრილებით შემდეგ პარაგრაფებში გვექნება მსჯელობა.

აზრი სისრულეს აღწევს სხვასთან, თავის სხვასთან კავშირში მათთან დადებით, კრიტიკულ ან უარყოფით დამოკიდებულებაში. ეს ასე უნდა გავიგოთ: 1) აზრი (თეორია) მთლიანად იზიარებს, ეთანხმება მეორე აზრს (თეორიას), მდიდრდება მით, ეყრდნობა მას და შემდგომ განავითარებს. ასე ავითარებდა მარქსიზმს ვ. ი. ლენინი; 2) ერთი თეორია ვითარდება მეორის მთლიანი კრიტიკული დაძლევის, უარყოფის შედეგად, მასში შინაგანი წინააღმდეგობის აღმოჩენის შედეგად ან მისი არამეცნიერულობის (ან ანტიმეცნიერულობის) გამო. პლატონმა დასძლია პარმენიდე, რომელიც ამტკიცებდა, რომ მხოლოდ არსი არის. პლატონმა დაასაბუთა, რომ არარსიც არის და სხვ.; 3) აზრი (თეორია) ავითარებს მეორე აზრს (თეორიას), ძლევს, უარყოფს მის ნაკლოვან, სუსტ მხარეებს და ახალი მომენტებით ამდიდრებს, ავითარებს მას. ფილოსოფიის მთელი ისტორია მაგალითთა აზრის ამგვარი დიალექტიკური და ლოგიკური განვითარებისა¹; 4) საპირისპირო ავითარებს საპირისპიროს იმით, რომ ისინი ურთიერთში გადადიან უარყოფით. განვითარებაა იგივეობა-

¹ ჰეგელი თავის ლექციებში ფილოსოფიის ისტორიის შესახებ აღნიშნავს, რომ თუ სხვადასხვა მოძღვრება ერთგვარად ცალმხრივია, როგორც სტოიკოსები, ეპიკურე და სკეპტიკოსები, სამაგიეროდ კვშმარტი შეიძლება მხოლოდ მათი მთლიანობა, ერთიანობა იყოსო (იხ. თხზ., ტ. X, გვ. 433).

ში განსხვავების დანახვა და პირიქით, მაგალათად, იგივეობა არის განსხვავება. ასევე. აზრის განვითარებაა უარყოფით თვითდაღგენა.

ამრიგად, აზრის ფილოსოფიური განვითარება უპირატესად წარმოებს ცნების, აზრის, თეორიის სხვა ცნებასთან, აზრთან, თეორიასთან მიმართებაში (აქვე იგულისხმება ფილოსოფიის მიერ პოზიტიური მეცნიერებათა მიღწევების გათვალისწინება).

კრიტიკა, უარყოფა შეუძლებელია, თუ არ აითვისე ის, რასაც აკრიტიკებ ან უარყოფ. კრიტიკა და უარყოფა რაიმესი იქ ხდება, სადაც რამეს ითვისებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში არც განვითარება გვექნებოდა. აზრთა სხვადასხვაობა, ერთის კავშირი სხვაასთან ბაღებს ახალ აზრს უარყოფა-შეერთების გზით. ზოგჯერ თუ შეცდომადაც ქეშმარიტებისაქენ გვიბიძგებს, მაშინ უნდა ითქვას, რომ ამ ქეშმარიტების ძირი იმ შეცდომაში ყოფილა.

როცა ვლაპარაკობთ აზრის განვითარებაზე მხედველობაში გვაქვს აზრის როგორც ასახულის განვითარების შესაძლებლობა. მართალია აზრი სინამდვილის ასახვაა, მაგრამ როგორც დავინახეთ. აზრს აქვს შედარებით თვითმყოფი ბუნება, აზრი შეიძლება ვითარდებოდეს თავისთავთან მიმართებაში, სინამდვილისაგან დამოუკიდებლად, ლოგიკურად.

აზრის განვითარება არ უნდა გავიგოთ იმგვარად, თითქოს მისი განვითარებით მივიღებთ უფრო დიდ აზრს. აზრის განვითარება არ შეიძლება წარმოვიდგინოთ რეალურ ნივთთა განვითარების სახით, ვინაიდან აზრის განვითარება, როგორც ლოგიკური განვითარება არაა რეალურ-რაოდენობრივი (მოცულობითი), ვრცეული, რომელიც შეიძლება აღვიქვათ ან წარმოვიდგინოთ.

ზოგიერთი თვლის, რომ წინააღმდეგობა მხოლოდ ბუნებაში, საზოგადოებაში არსებობს, ზოგი კი, პირიქით ფიქრობს, თითქოს წინააღმდეგობა და ამ საფუძველზე ქმნალობა მხოლოდ აზრისთვისაა დამახასიათებელი. ეს თვალსაზრისები ცალ-ცალკე ერთმანეთისაგან თიშვას ყოფიერებას და აზროვნებას. წინააღმდეგობა ყველგანაა და ყველგანვე განვითარების წყაროდ გვევლინება.

აზრის, როგორც ასახულის განვითარების შესაძლებლობა აზრთა შინაგანი (და არა ყოველგვარი) კავშირის ფაქტშია მოცემული.

როგორც ითქვა, აზრის, მისი ფორმების თუ სხვა ცნობიერი ფენომენების განვითარების წყარო არის შინაგანი წინააღმდეგობა, რაც იმით გამოიხატება, რომ აზრი, როგორც რაიმე, შეიძლება შეიცავდეს შინაგანად თავის უარყოფას, რომელიც თავისი განხორციე-

ლებით კი არ გააუქმებს იმას, რისგანაც განვითარდა, არამედ მოხსნის და შეინახავს მას. აზრი ვითარდება, როცა იგი „პოულობს“ თავის სხვას, რომელთან ერთიანობაშიც აცნობიერებს თავის თავს, ავლენს ახალ შესაძლებლობებს.

* * *

საჭიროდ მიგვაჩნია აქვე ყურადღება მივაქციოთ ერთ საკითხს: ჰეგელის ფილოსოფიური სისტემა შეიძლება ერთგვარად ასეთი სქემით გამოვსახოთ, ი-მ-ი (იდეა—მატერია (ბუნება)—იდეა). ჯერ გვაქვს ლოგიკური იდეა როგორც უშუალო და აბსტრაქტული, შემდეგ იგი განსხვავდება ბუნებაში და დასასრულს თვითცნობიერებას აღწევს აბსოლუტურ იდეაში. მათ შეესატყვისება სამი მეცნიერება (რომლებითაც წარმოდგენილია ჰეგელის ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედია): ლოგიკა, ბუნების ფილოსოფია და სულის ფილოსოფია.

როგორი უნდა იყოს მარქსისტული ფილოსოფიის სქემა? მ-ი-მ (მატერია—იდეა—მატერია). ჯერ გვაქვს მატერია (ბუნება) როგორც პირველი წყარო და მასალა, რომლის განვითარების შედეგად წარმოიშობა ცნობიერება. ეს უკანასკნელი იდეების სახით ქმნის სამყაროს მეცნიერულ სურათს და სახავს მისი გარდაქმნის გეგმებს. ამგვარად, იდეა არაა თვითმიზანი, იგი მხოლოდ საშუალებაა სინამდვილის გარდაქმნისათვის, „ადამიანის ცნობიერება არა მარტო ასახავს ობიექტურ სამყაროს, არამედ კიდევაც ქმნის მას“¹. ამგვარად, ჯერ არის მატერია მის უშუალობაში, რომელმაც იდეის შემწეობით უნდა მოგვეცეს მატერია ისეთი, როგორც უნდა იყოს (ადამიანისათვის).

ჰეგელის ტრიადაში პრიმატი მინიჭებული აქვს ლოგიკურ-შემეცნებით მომენტს, მარქსიზმის ფილოსოფიაში — პრაქტიკულ-გარდამქმნელ მომენტს. ჰეგელის მიზანია სრულყოფა თვითშემეცნებას გზით. მისთვის არსებობს მარადიული — ესაა აბსოლუტური იდეა, რომლის შემეცნებაც მთავრდება. მარქსისათვის სრულყოფის გზა უსასრულოა. ამდენად აშკარაა მარქსისტული ფილოსოფიის კონკრეტულ-რევოლუციური ბუნება.

ჰეგელის დამსახურება მდგომარეობს პრინციპის აღმოჩენაში, მაგრამ იმის გამო, რომ მასთან საწყისისა და მიზნის ცნობები უკუღმაა წარმოდგენილი, ამიტომ განვითარება მთავრდება და პრინციპი

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 210.

ეწინააღმდეგება თავისთავს. იგივე პრინციპი, სწორ ნიადაგზე გად-
მონერგილი, ზღვარს არ უდებს სრულყოფას პროცესს, დაპირის-
პირებულთა ერთიანობა შესაძლებელია ლოგიკურში. იმის გამო,
რომ პრაქტიკულ ცხოვრებაში გვხვდება შემთხვევითობები, პრაქტი-
კა უმეტესად არ ეთანხმება თეორიას, აუცილებელია სინამდვილის
განუწყვეტელი სრულყოფა. პრინციპიც რომ შემთხვევითობებს
ემორჩილებოდეს და განუწყვეტლივ იცვლებოდეს, მაშინ იგი პრინ-
ციპის მოვალეობას ვერ შეასრულებდა.

§ 8. ლოგიკურის მომენტების შესახებ

ამ საკითხს აქ ვეხებით შემდეგ გარემოებათა გამო: 1) ლოგი-
კურის განვითარება არის აზრის განვითარება აბსტრაქტულიდან
კონკრეტულსაკენ, რომელიც ხორციელდება უარყოფის გზით; 2)
ლოგიკურის განვითარება მის მომენტებში არის უარყოფის უარ-
ყოფა; 3) ლოგიკურის მომენტების კვლევა და შემოქმედებითად ათ-
ვისება უნდა დაგვეხმაროს დიალექტიკურ-ლოგიკურის ბუნების გა-
გებაში, ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკის ნამდვილი დამო-
კიდებულების გარკვევაში; 4) მას პრინციპული მნიშვნელობა აქვს
ადამიანისა და მანქანის გაიგივების ვულგარული და მექანიკური
თეორიების წინააღმდეგ ბრძოლისათვის; 5) ლოგიკურის მომენტთა
შემოქმედებითად შეთვისება პიროვნების ინტელექტუალურ-მორა-
ლური განვითარების და თავის თავში დასრულებულობის მიღწე-
ვის ერთ-ერთი ქმედითი თეორიული პირობაა.

პრობლემა ლოგიკურის მომენტების შესახებ პრინციპული სა-
ხით განხილულია ჰეგელის ფილოსოფიაში. ამ საკითხს ეხება იგი
თავისი ე. წ. „მცირე ლოგიკის“ 79-ე და 82-ე პარაგრაფებში.

ლოგიკურს, — წერს ჰეგელი, — აქვს სამი მხარე: ა) აბსტრაქტუ-
ლი, ანუ განსჯითი; ბ) დიალექტიკური, ანუ უარყოფით-გონებით-
თი¹; ბ) სპეკულაციური, ანუ დადებით-გონებითი².

ცნებებმა „გ ა ნ ს ჯ ა“ და „გ ო ნ ე ბ ა“ ჰეგელამდე სათანადო
დამუშავება გაიარა სხვადასხვა მოაზროვნის სისტემებში. მაგალი-
თად, არისტოტელეს, ნიკოლო კუზანელის, ჯორდანო ბრუნოს, კან-

¹ ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერების“ შ. პაპუაშვილისეულ ქართულ თარგმან-
ში გამოყენებულია ტერმინები „უარყოფით-გონებრივი“ და „დადებით-გონებრი-
ვი“. ჩვენი აზრით, ამ კონტექსტში „გონებრივს“ „გონებითი“ სჯობს, ასე ამჟო-
ბინა პროფ. ს. წერეთელმაც (იხ. მისი „დიალექტიკური ლოგიკა“, თბ., 1965,
გვ. 560).

² ჰეგელი, ლოგიკის მეცნიერება, გვ. 180.

ტისა და სხვათა ფილოსოფიაში. არისტოტელე იყენებს პასიური და აქტიური გონების ცნებებს, კუზანელი — განსჯას და ინტელექტა, ბრუნო — გონებას და ინტელექტს. კანტთან განსჯა და გონება უკვე იმ აზრით გვხვდება, რა აზრითაც იგი შევიდა ჰეგელის ფილოსოფიაში.

თხზულებაში „სულის შესახებ“ არისტოტელე განასხვავებს აზროვნების ორ ფუნქციას: პირველი იმაში მდგომარეობს, რომ იგი გადაამუშავებს გრძნობათა მონაცემებს და ამ საფუძველზე აყალიბებს მსჯელობებს, მეორე ფუნქციის მოვალეობაა გამოძებნოს საგანთა გარდაქმნის გზები. პირველი ფუნქცია განსჯითია. მას არ გააჩნია ქმედითი და მიზანდასახული ხასიათი. აქტიური გონება მიზანდასახულია. ამრიგად, არისტოტელესთან ჩაეყარა საფუძველი აზროვნებაში განსხვავებული მხარეების შემჩნევას. თანაც მასთან პასიური გონება ექვემდებარება აქტიურს (ე. ი. განსჯა ექვემდებარება გონებას).

ნიკოლო კუზანელის ფილოსოფიაში განსჯა აფორმებს გრძნობათა მონაცემებს, გონება განსჯაზე მალა დგას. ცოდნა არსებითად გონების შემოქმედების ნაყოფია.

ჯ. ბრუნოს მიხედვით ადამიანს შემდეგი შემეცნებითი უნარი გააჩნია: შეგრძნებები — გონება — ინტელექტი. ინტელექტი იმორჩილებს გონებას, გონება — გრძნობებს.

კანტის მიხედვით, „მთელი ჩვენი შემეცნება იწყება გარეშე გრძნობებისაგან, აქედან მიდის განსჯისაკენ და მთავრდება გონებაში. ზღადაც ხდება მისი საქმის საბოლოოდ აღსრულება, ე. ი. ხდება განქვრეტის შინაარსის გადამუშავება და მისი შეჯამება აზროვნების უმაღლეს ერთიანობაში“¹. კანტს მიაჩნია, რომ გონების ლოგიკური ფუნქციაა არა მსჯელობა, როგორც განსჯისათვის, არამედ დასკვნა, რომელიც სინთეზის უფრო მაღალ ფორმებთანაა დაკავშირებული.

მიუხედავად გონებისა და განსჯის ფუნქციათა ასეთი განსხვავებისა, კანტმა ვერ შეძლო მათ შორის ნამდვილი მიმართების მოძებნა და ამ საკითხში იგი თვით დარჩა განსჯის საფეხურზე.

განსჯისა და გონების ფუნქციათა ახსნამ და განსხვავება-ერთიანობამ თავისი დასრულებული გამოხატულება პოვა ჰეგელის ფილოსოფიაში. განსჯითი და გონებითი ჰეგელთან უპირისპირდება ერთმანეთს, როგორც მეტაფიზიკა და დიალექტიკა. იგი წერს: „როდესაც ლაპარაკია აზროვნებაზე საერთოდ, ანდა, კერძოდ, ცნებითს შემეცნებაზე, ამ დროს ხშირად მხედველობაში აქვთ მხოლოდ განს-

¹ И. Кант. Критика чистого разума, СПб, 1902, стр. 246.

ჯის მოქმედება. თუმცა აზროვნება, უპირველეს ყოვლისა, განსჯითი აზროვნებაა, მაგრამ იგი მასზე არ ჩერდება, და ცნებაც მარტო განსჯითი განსაზღვრება როდია!

ჰეგელი შენიშნავს, რომ ლოგიკურის სამი მხარე, ანუ მომენტი ლოგიკის სამ ნაწილს კი არ შეადგენს, არამედ ისინი ყოველი ლოგიკურ-რეალურის მომენტებს წარმოადგენენო საერთოდ.

ლოგიკური მთელი სისრულით წარმოადგენდა მხოლოდ მაშინ, როცა იგი გაიშლება თავის მომენტებში. ლოგიკურის მხარეების ლოგიკური მოძრაობა არის აზრში ასახული რეალურ-ისტორიული მოძრაობა.

დიალექტიკურ-ლოგიკურის მოთხოვნა, რომ აზრი. და მისი ფორმები მოძრაობაში განვიხილოთ, დიალექტიკური ლოგიკის ბუნების გასახსნელადაც უნდა იყოს გამოყენებული. რაიმეს ბუნება სრულად მის მოძრაობა-განვითარებაში მელავნდება. დადებით-გონებითი გასაგები ხდება განსჯასთან მიმართებაში, განსჯითი-უარყოფით გონებითთან მიმართებაში და ა. შ. ამ მიმართებათა ერთობლიობა კი შეადგენს ლოგიკურის ბუნებას. დიალექტიკურ-ლოგიკურია ის საერთო საფუძველი, რომელშიც, როგორც ფონზე, ერთი საფეხურიდან მეორეზე თანამიმდევრული გადასვლით თავიანთ ბუნებას წარმოაჩენენ მისი მომენტები, მხარეები.

ყოველი მხარე დანარჩენებისათვის არის ან როგორც უარყოფა, ან როგორც მომენტი, ან როგორც უარყოფაც და მომენტიც.

ნამდვილი ლოგიკური არ არის აბსტრაქტულად გაგებულ მხოლოდ სპეკულაციური, ანუ დადებით-გონებითი მხარე. ნამდვილი ლოგიკური არის დადებით-გონებითი, რომელიც თავის თავში მოიცავს განსჯით და უარყოფით-გონებით მხარეებს, როგორც მომენტებს. ამრიგად, დადებით-გონებითის ნამდვილი ბუნება აუხსნელია განსჯითის და უარყოფით-გონებითის გარეშე, ასევე პირიქითაც.

ის, რაც ზემოთ ითქვა, კიდევ უფრო ცხადი გახდება ლოგიკურის მხარეების დახასიათებისას.

ქვემოთ გადმოვცემთ ლოგიკურ მომენტთა შესახებ ჰეგელის თვალსაზრისის ჩვენეულ გააზრებას.

აბსტრაქტული, ანუ განსჯითი მხარე ლოგიკურისა ემყარება იგივეობის პრინციპს, უფრო ზუსტად, აბსტრაქტული იგივეობის პრინციპს. ამ საფეხურზე ლოგიკურისათვის არსებობს რაიმე, არსებობს მეორე რაიმე და ა. შ. ამასთან, ისინი არსებობენ ერთმანეთის გვერ-

¹ ჰეგელი, ლოგიკის მეცნიერება, გვ. 180.

დათ, შეუვალად, იზოლირებულად. მათ შორის კავშირი გარეგანი და ფორმალურია. განსჯის თვალსაზრისი, — წერს ჰეგელი, — იმაშია, რომ იგი ასხვავებს და აფიქსირებს აზრის სასრულ განსაზღვრებებს. მათ ურთიერთდაპირისპირებაში. ფილოსოფოსობა მოითხოვს მათი ერთიანობის განხორციელებას¹. განსჯა ან მხოლოდ უარყოფს ისე, რომ ხელთ აღარაფერი რჩება, ან ამტკიცებს ისე, რომ აბსოლუტურობამდე აჭყავს მტკიცება. განსჯისათვის უარყოფა არის უარყოფა, იგივეობა არის იგივეობა, წინააღმდეგობა არის წინააღმდეგობა და ა. შ. „ამგვარი შეზღუდული აბსტრაქტული მისთვის თავისთავად დამოუკიდებელ არსებულად ითვლება“². განსჯისეული მიმართებები და კავშირები გარეგანი და ფორმალურია, კავშირი არის, მაგრამ იგი არაა შინაგანი. მიმართება არის, მაგრამ ეს მიმართებანი წმინდა ფორმალური და აბსტრაქტულია.

ლოგიკურის აბსტრაქტულ ან განსჯით მომენტს შეესატყვისება ფორმალური ლოგიკა, რომლის ძირითადი კანონებია: $A=A$ -ს, A არ შეიძლება იყოს არა A , A შეიძლება იყოს ან A ან არა A . ამ კანონებში ჩამოყალიბებულია ის მოთხოვნები, რომლებიც უპირველესად წაეყენება ჩვეულებრივ საღ აზროვნებას. ჩველებრივი ადამიანური აზროვნება ამ პრინციპებს ემყარება. ეს პრინციპები ამგვარი აზროვნების კანონზომიერების გამომხატველია. მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, როცა სააზროვნო მასალაც და თვით აზროვნების ქცევაც არა თუ არ ეთანხმება საღი აზრის მოთხოვნას, არამედ ეწინააღმდეგება კიდევ მას, აზროვნება ყოველთვის შეიცავს განსჯის ლოგიკის ელემენტებს, ვინაიდან აზრი უნდა იყოს გარკვეული და არაწინააღმდეგობრივი.

არაა სწორი, თითქოს, ვინც აღიარებს განსჯითი აზროვნებისაგან განსხვავებულ აზროვნების უფრო მაღალ საფეხურს, მას უფლება არა აქვს იაზროვნოს განსჯის ლოგიკის პრინციპების თანახმად, ხოლო თუ ასეთი „წინააღმდეგობა“ შეიმჩნევა, ეს თითქოს იმის საკმაო საბუთია, რომ აზროვნება მხოლოდ განსჯითი აზროვნებაა: თუ სცნობ განსჯისაგან განსხვავებულ ლოგიკასა და აზროვნებას, მაშინ უნდა უარყოფდე სხვა ლოგიკას და აზროვნების ყოველგვარ სხვაუნარს, ხოლო თუ იყენებ მას, მაშინ აღიარე, რომ ესაა ერთადერთი ლოგიკა და ერთადერთი შესაძლო დონე აზროვნებისაო.

„როგორც თეორიულ სფეროში, ასევე პრაქტიკულ სფეროში განსჯას გვერდს ვერ ავუვლით“, — შენიშნავს ჰეგელი, — ვინაი-

¹ Гегель, Соч., т. XI, стр. 495.

² ჰეგელი, ლოგიკის მეცნიერება, გვ. 180.

დან, როგორც ითქვა, განსჯითი ლოგიკური ყოველგვარი აზროვნების თანამდევია. თუ განსჯისათვის განსჯითი აზროვნება ერთადერთი და ყოვლისმომცველია, გონებითი აზროვნებისათვის განსჯითი ლოგიკურის ერთი მხარეა; როცა აბსტრაქტულ-ლოგიკური მსჯელობის — „რაიმე არის ის, რაც არის“ ($A=A$) გვერდით გაჩნდება ახალი მსჯელობა — „რაიმე შეიძლება არ იყოს მხოლოდ ის, რაც არის“ (მაგალითად, უძრავობა არის უძრავობა, მაგრამ მასში არის სპირისპიროც; რაიმე დადებითია, მაგრამ არ არის აბსოლუტურად დადებითი, რაოდენობრიობა რაოდენობრიობაა, მაგრამ იგი გადადის თვისებრიობაში), — ჩნდება სკეპსისი, იწყება აზრის მოძრაობა, იწყება განსჯის „იმპერიის“ დაშლა. იცვლება შეხედულება განსჯაზე, როგორც აბსოლუტურზე, როგორც ლოგიკურის ერთადერთ გამოვლენაზე.

წინააღმდეგობის აუცილებლობის აღმოჩენა, ხატოვნად რომ ვთქვათ, არღვევს განსჯის არაწინააღმდეგობრივ სიმყუდროვეს. მხოლოდ ახლა ზდება შესაძლებელი განსჯის სასრული ბუნების გამომქლავება. აზროვნებაში წინაგანი წინააღმდეგობის აღმოჩენით და აღმოჩენილი წინააღმდეგობის გადაუჭრელობის გამო იხსნება განსჯის განსაზღვრულობა. აზროვნება აღმოაჩენს თავის ახალ ლოგიკურ შესაძლებლობას, რაც მქლავდება მის უარყოფით — გონებით ქცევაში. „განსჯის განსაზღვრებანა..., — შენიშნავს ჰეგელი, — საბოლოო შედეგებს კი არ წარმოადგენენ, არამედ სასრული ზასიათისა არიან და თუ უფრო ზედმიწევნით ვიტყვი, იმ სახისა არიან, რომ უკიდურესობამდე მისული თავიანთ საპირისპირო განსაზღვრებებად გარდაიქმნებიან“¹.

როცა განსჯა გამოდის თავისი საზღვრებიდან და ეჭიდება ისეთ წინააღმდეგობათა გადაწყვეტას, როგორიცაა: A არის A , მაგრამ შეიძლება არ იყოს A , მაშინ იგი უკვე აღარაა განსჯა. სანამ აზროვნებას აკმაყოფილებს აბსტრაქტული იგივეობა, მანამ მას არც აქვს სხვა საჭიროება, გარდა იმისა, რომ აბსტრაქტული იგივეობის სიმყუდროვეში დაიკმაყოფილოს თავისი ცნობისმოყვარეობა. მაგრამ არც სინამდვილე, არც აზროვნება არ ეტევა აბსტრაქტული იგივეობის შეზღუდულ ჩარჩოებში. წამოიჭრება ახალი საკითხები, რომლებიც მოითხოვენ გადაწყვეტას. აზროვნება შეიმეცნებს არა მარტო იმას, რომ სიხარული არის სიხარული, არამედ იმასაც, რომ უკიდურესი სიხარული გადადის მის საპირისპიროში — მწუხარებაში (ანუ კლინდება საპირისპირო ემოციით), დაადგენს არა მარტო იმას, რომ

¹ ჰეგელი, ლოგიკის მეცნიერება, გვ. 184.

ვზა აღმოსავლეთისაკენ არის გზა აღმოსავლეთისაკენ, არამედ იმა-
ხაც, რომ იგი ამავე დროს არის გზა დასავლეთისაკენ, რომ სიცოცხ-
ლე სიკვდილის მატარებელია თავის თავში (ე. ი. თავის უარმყო-
ფელს თავის თავში შეიცავს)¹, რომ წარმოება არის წარმოება, მაგ-
რამ ამავე დროს იგი არის მოხმარება, რომ სამყარო არის უსასრუ-
ლო, მაგრამ ამავე დროს არის სასრული, რომ ყოველივეს აქვს და-
საწყისი, მაგრამ არა მარტო დასაწყისი, აქვს დასასრულიც, რომ და-
საწყისი დასასრულის დასაწყისია და დასასრული დასაწყისის დასას-
რულია, რომ დადებითი უარყოფითის შემცველია, მაღალს დაბა-
ლით აქვს აზრი, კარგს ცუდით, რომ იგივეობა არის იგივეობა, მაგ-
რამ იგივეობას განსხვავებით აქვს აზრი და განსხვავებას — იგივეო-
ბით, რომ უარყოფა არის უარყოფა, მაგრამ არა მარტო უარყოფა,
არამედ დადგენა — მტკიცებაც და ა. შ., ე. ი. ჩნდება ექვი იგივეო-
ბის აბსტრაქტული პრინციპის აბსოლუტურობის მიმართ.

აქ მიაღდება აზროვნება ნამდვილ წინააღმდეგობას. იგივეობის
აბსტრაქტული პრინციპი, როგორც აბსოლუტური, ერთადერთი
პრინციპი, აქ უკვე აღარ გამოდგება; იგი შეიძლება ჩავთვალოთ მხო-
ლოდ დამხმარე პრინციპად. გვაქვს წინააღმდეგობა, ის წინააღმდე-
გობა, რომელსაც აქამდე არ სცნობდა ლოგიკური, როგორც აბს-
ტრაქტულ-განსჯითი. არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ამის შემდეგ
დგება რაღაც მომენტი, როცა იგი აზრს იცვლის (თუ შეიძლება ამ-
გვარ პირობით გამოთქმას მივმართოთ), არა იგი ისევ თავის პოზი-
ციაზე რჩება. ახალი ამოცანის წინაშე მდგომი აზროვნება ახალ
პრინციპს ეძებს მათს გადასაწყვეტად. თუ იგი რაიმე ახალ შედეგა-
დე მივა, მაშინ დამტკიცდება სწორედ განსჯის ცალმხრივობა, შეზ-
ღულულობა და შინაგანი უარყოფა.

აბსტრაქტულ-ლოგიკურსა (ანუ განსჯას) და უარყოფით-გონე-
ბითს შორის ისეთი დამოკიდებულება როდია, როგორც მაგალი-
თად, ყვავილსა და ნაყოფს შორის. ნაყოფი, როგორც განხორციე-
ლებული არსი, მაშინ გვაქვს, როცა ყვავილი აღარ არის, უკანასკ-
ნელის არაი იხსნება და გადადის პირველის არსში. უარყოფით-გო-
ნებითის განხორციელება, ლოგიკურის ამ საფეხურზე გადასვლა არ
აუქმებს განსჯით ლოგიკურს. განსჯა, რომ ცალმხრივია და თვით-
უარყოფას შემცველი, ეს ვლინდება მის ნაკლოვანებაში, უუნარო-
ბაში, თავი გაართვას საერთოდ წინააღმდეგობის პრობლემას.

¹ ჩვენს დაბადების დღეს.— შენიშნავს მ. მონტენი,— ჩვენ ისევე ვიწ-
ყებთ სიცოცხლეს, როგორც სიკვდილს (M. Monteny, Опыты, М.-Л., 1958,
кн. I, стр. 116); მონტენი ამავე დროს იმოწმებს მანილის სიტყვებს: „უბადებით
რა ვკვდებით, დასაწყისისაგან აღმოცენდება ბოლოც“.

ლოგიკური, მოგვევლინება რა ახალ საფეხურზე, არღვევს განსჯის შეზღუდულ ჩარჩოებს, თუმცა მაინც განუყრელი რჩება მისგან, როგორც აუცილებელი მომენტი¹ და მხარისაგან.

„უკვე გააზრება, — წერს ჰეგელი, — წარმოადგენს გასვლას იზოლირებული განსაზღვრულობიდან და მის იმ მიმართებას, რომლითაც იგი სხვებთან ურთიერთობაში შედის, თუმცა იგი თავის იზოლირებულ მნიშვნელობას ინარჩუნებს. დიალექტიკა კი, პირიქით წარმოადგენს ერთი განსაზღვრების მეორეში იმანენტურ გადასვლას, სადაც მელანდება განსჯის განსაზღვრებათა ცალმხრივობა და შეზღუდულობა, ე. ი. ის, რაც არის, სახელდობრ, მათი უარყოფა-ყოველი სასრულის დედაარსი ისაა, რომ თავის თავს მოხსნის. ამიტომ დიალექტიკა შეადგენს აზრის მეცნიერული წინსვლის მამოძრავებელ სულსა და იმ პრინციპს, რომლითაც მყარდება მეცნიერების შინაარსში იმანენტური კავშირი და აუცილებლობა, ისევე როგორც მასშია მოცემული საერთოდ ჭეშმარიტი და არა გარეგანი ამალეობა სასრულზე“¹.

განსჯის ლოგიკისათვის აუცილებელია ის, რომლის საწინააღმდეგო შეუძლებელია. მისთვის ნამდვილი ლოგიკური არის არაწინააღმდეგობრივი, ამიტომ ლოგიკურ აუცილებლობასთან მაშინ გვაქვს საქმე, თუ რაიმეს საწინააღმდეგო დაუშვებელია, მიუღებელია; მაგალითად, თუ $A = A$ -ს, მაშინ დაუშვებელია, მიუღებელია რომ $A =$ არა A -ს, ანუ თუ ყველაფერი შემთხვევითია, მაშინ არაფერია აუცილებელი. ამრიგად, ან-ან.

მაგრამ კანტმა თავისი ანტინომიებით სწორედ ის დაამტკიცა, რომ საწინააღმდეგო არა თუ შეუძლებელია და დაუშვებელი, არამედ აუცილებელია, რომ საპარისპიროსაგან ერთის დაშვება აუცილებლობით იწვევს მეორეს და პირიქით. გონება, — წერს ჰეგელი, — ითხოვს მოვლენებში აღმოვაჩინოთ პირობათა აბსოლუტური სისრულე. მათ შესაძლებლობაში სამყარო ბოლოს და ბოლოს უნდა წარმოგვიდგეს როგორც უპირობო, მაგრამ როგორც კი მივდივართ ამ დასრულებისაკენ, როგორც არსებულისაკენ, ვიღებთ მხოლოდ ანტინომიას, გონება ვარდება სრულ წინააღმდეგობაში, რადგან ერთის მხრივ, მოვლენა არის რაღაც სასრული, მეორეს

¹ ჰეგელი, ლოგიკის მეცნიერება, გვ. 185.

მხრივ, სამყარო არის ბოლოვადთა კავშირი. ამრიგად, როცა მათ ერთად ვიღებთ საქმე გვაქვს ორ საპირისპირო მსჯელობასთან — სასრულთან და უსასრულოსთან. ერთის მხრივ, გონება ითხოვს დამთავრებულ სინთეზს, აბსოლუტურ საწყისს, მეორეს მხრივ, მოვლენებში საქმე გვაქვს მიზეზ-შედეგთა უსასრულო კავშირთან, რომელსაც არ აქვს ბოლო წევრი¹.

წამოიჭრება მოულოდნელი წინააღმდეგობა, — შენიშნავს კანტი², — რომლის მოხსნა ჩვეულებრივი დოგმატური გზებით შეუძლებელიაო. მაგრამ კანტმა ბოლომდე ვერ მიიყვანა საქმე, წინააღმდეგობის ტრადიციული გავლენის გაგების შედეგად უკან დაიხია და ნაცვლად იმისა, რომ წინააღმდეგობის აუცილებლობა საგანთა და მოვლენათა ფაქტად მიეჩნია, მხოლოდ შემშვეცნებელი გონებისათვის დამახასიათებელ ფაქტად ჩათვალა. აქ უდავოდ, როგორც ზემოთაც ვთქვით, თავისებური როლი შეასრულა კანტის შეხედულებამ ნივთზე თავისთავად და მოვლენებზე.

წინააღმდეგობის აღმოჩენა, მისი აუცილებლობის დადგენა ყველგან და ყველადღერში უკვე წინგადადგმული ნაბიჯია ლოგიკური განვითარების გზაზე, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაა პრობლემის გადაწყვეტა, ვინაიდან უარყოფით—გონებით საფეხურზე გადასული ლოგიკური კარგავს განსჯითი ლოგიკურისათვის დამახასიათებელ გარკვეულობას და იხლართება საპირისპირო განსაზღვრულობათა წინააღმდეგობრივ მიმართებებში, ე. ი. ლოგიკური აღარაა განსჯითი, მაგრამ იგი კარგავს გარკვეულობას, „დიალექტიკური მომენტი, — წერს ჰეგელი, — აღებული თავისთავად, განსჯისაგან გამოყოფით შეადგენს სკეპტიციზმს, იგი დიალექტიკურის შედეგს შიშველი უარყოფის სახით შეიცავს“³. აზრისათვის შეუმჩნეველი აღარ რჩება რაიმე განსაზღვრულობის საპირისპირო განსაზღვრულობა, როგორც აუცილებელი, და ცნობიერება იწყებს მერყეობას მათ შორის, ერთი უკიდურესობიდან გადადის მეორეში, ხან ერთი მიაჩნია ჭეშმარიტად, ხან მეორე (აქ ლოგიკური ხშირად უბრუნდება განსჯის განსაზღვრულობებს), ანდა საპირისპირო განსაზღვრულობათაგან არც ერთს არ მიიჩნევს ჭეშმარიტად (სკეპტიციზმი) ან კიდევ ორივე განსაზღვრულობას ჭეშმარიტად და მისაღებად თვლის (სოფისტიკა). უარყოფითი აზროვნება, — წერს ჰეგელი, — მართალია ცნობს საპირისპიროთა ერთიანობას, მაგრამ ზედაპირულად განიხი-

¹ Гегель, Соч., т. XI, стр. 434—435.

² ი. კანტი, პროლეგომენები, გვ. 176.

³ ჰეგელი, ლოგიკის მეცნიერება, გვ. 184.

ლავს მას. ცნობს ერთის ქვემარტებას ერთ მიმართებაში, მეორისას — სხვა მიმართებაში¹.

სკეპტიციზმი და სოფისტიკა უარყოფითი დიალექტიკის ტიპური გამოვლინებებია. რაში მდგომარეობს აქ გონების, დიალექტიკის უარყოფითობა? იმაში, რომ ლოგიკური გამოსულია პირველყოფილი გარკვეულობიდან და გაორებულია, ჯერ არა აქვს დასრულებული, დადებითი აზრი საპირისპირო განსაზღვრულობათა დამოუკიდებლობის შესახებ. მართალია, სკეპტიციზმს ახასიათებს შინაგანი ურყეობა და სიმშვიდე, მაგრამ იგი საპირისპირო განსაზღვრულობათაგან ორივე უარყოფას ემყარება. ამრიგად, ესაა ყოველივეს ნამდვილობის უარყოფის ურყეობა. სკეპტიკოსს ამშვიდებს რაიმე ქვემარტების შეუძლებლობაში დარწმუნებულობა. ესაა უარყოფითი (შიშველ უარყოფაზე დამყარებული) ურყეობა, რომელსაც არ გააჩნია დადებითი შედეგი.

ეს, როგორც ჩანს, არაა საკითხის დადებითი გადაწყვეტა. ამიტომ ამის შემდეგ ან უკან უნდა დაებრუნდეთ, განსჯის საფეხურზე, რაც უკვე შეუძლებელია ფაქტიურად (ვინაიდან შეუძლებელია არ იცოდეთ ის, რაც უკვე იცი: აზროვნებამ იგემა აკრძალული ხილი), ანდა წავიდეთ წინ, გადავდგათ კიდევ ერთი ნაბიჯი დაპირისპირებულთა ერთიანობისაკენ. ამასთან, სკეპტიციზმისა და სოფისტიკის გარეშე წარმოდგენილი უარყოფითობა გონებისა და დიალექტიკისა ამ საფეხურზე, როგორც ითქვა, ისაა, რომ რაიმესათვის მოუცილებელია მისი საპირისპირო, ერთის უარყოფა მეორეს ამართლებს და პირიქით. იქნება გამოუვალი წინააღმდეგობა. ე. ი. ჯერ ვერ ხერხდება ერთიანობის მიღწევა, მიღწევა იმ დადებითობისა. რომელშიც ორივე საპირისპირო გამართლდება, ერთში იქნება მეორე და მეორეში — პირველი. წინააღმდეგობის აუცილებლობა შეიცავს შინაგანი დამოკიდებულების მხოლოდ ელემენტს. ეს არაა ჯერ სრული შინაგანი უარყოფა — მოთხოვნა, რამდენადაც საწინააღმდეგოს მოუცილებლობასთან გვაქვს საქმე და არა წინააღმდეგობრივად დაპირისპირებულთა ერთიანობასთან. მაგრამ ეს უკვე ლოგიკურის იმ მომენტის განსაზღვრებაა, რომელსაც დადებით-გონებითი მომენტი, ანუ დადებითი დიალექტიკა უნდა ვუწოდოთ.

უარყოფითიდან დადებით დიალექტიკამდე ერთი ნაბიჯია. უნდა მოგვარდეს დარღვეული მთლიანობის აღდგენა არა უარყოფითად, არამედ დადებითად. წინააღმდეგობა, საპირისპირო აუცილებელია დადებითი დიალექტიკისათვისაც. საპირისპირო აუცილებელია და-

¹ Гегель, Соч., т. X, стр. 178.

დებით დიალექტიკაშიც, მაგრამ ეს აუცილებლობა თავის ნამდვილ დადებით სახეს იღებს დაპირისპირებულთა ერთიანობაში. დადებით დიალექტიკაში მოხსნილ-შემონახულია ლოგიკურის წინა საფეხურები: განსჯითი, ანუ აბსტრაქტული და უარყოფით-გონებითი, როგორც აუცილებელი მხარეები და მომენტები ლოგიკურის განვითარებისა. როგორც ვხედავთ, ლოგიკური ვითარდება შინაგანი უარყოფის, წინააღმდეგობათა გამომყდევნებისა და გადალახვის გზით.

აზრის დიალექტიკურ-ლოგიკური მოძრაობა განსჯის აბსტრაქტული სფეროს ფარგლების გარღვევით იწყება, გრძელდება წინააღმდეგობის აუცილებლობის აღმოჩენით და მთავრდება¹ დაპირისპირებულთა ერთიანობით. დადებითი დიალექტიკისათვის, გონებისათვის კი არსებითია დაპირისპირებულთა ისეთი ერთიანობა, როცა იხსნება სკეპტიციზმიც, სოფიზმიც და დაპირისპირებულნი განსაზღვრებანი გვევლინებიან არა უბრალო მომთხოვნ-უარმყოფელ განსაზღვრებებად, არამედ ურთიერთშემცვლელად, როცა ერთში იგულისხმება (არის) მეორე, როგორც მისი უარყოფა, როგორც მისი სხვა და პირიქით. „განსჯა ერთმანეთისაგან განაცალკევებს არსს და არარსს, როგორც ქეშმარიტებისა და მნიშვნელობის მქონეთ; გონება კი პირიქით, ერთს შეამეცნებს მეორეში, შეიმეცნებს, რომ ერთი მოიცავს თავის სხვას“².

ზოგადისა და კერძოს დამოკიდებულების მაგალითზე ეს ანე გაირკვევა: ზოგადი არის კერძოს უარყოფა და პირიქით, მაგრამ ზოგადი, ამასთანავე, არ არსებობს კერძოს გარეშე. ზოგადი არის იმიტომ, რომ არის მეორეც, რომელსაც იგი უარყოფს და რომელიც მას უარყოფს. ეს მოთხოვნა — უარყოფის აუცილებლობა არის წინააღმდეგობის აუცილებლობა, როგორც გადაულახავი უარყოფითი დიალექტიკისათვის. დადებითი დიალექტიკისათვის დაძლეულია ზოგადისა და კერძოს ერთგვარად გარეგანი, მაინც აბსტრაქტული დამოკიდებულება. დადებითი დიალექტიკა ზოგადში კერძოს აღმოაჩენს და კერძოში — ზოგადს. მისთვის ზოგადი არის კერძო და კერძო არის ზოგადი. იგივეობის შესაძლებლობა განსხვავების შეუძლებლობას კი არ ემყარება — პირიქით, იგივეობა იმიტომია და

¹ არა იმ აზრით, როგორც ეს ჰეგელთანაა; არამედ ცალკე აღებული კონკრეტული შემთხვევების სახით, იმ აზრით, რომ დაპირისპირებულთა ერთიანობის მიღწევით მთავრდება ერთი ციკლი, მაგრამ გადავდივართ დაპირისპირებულთა ახალი ერთიანობის ძიებაზე და ა. შ.

² Гегель, соч., т. IX, стр. 250.

ამიტომაც ასეთი, რომ არის განსხვავება, არის ამ განსხვავებაში და პირიქით. სასრული არის უსასრულო და უსასრულო არის სასრული. უსასრულო არის სასრულის უარყოფა, მაგრამ შემნახავიც, უსასრულო სასრულით უნდა განხორციელდეს, სასრული უსასრულოში უნდა ამაღლდეს.

ამრიგად, აქ დაძლეულია ნაკლოვანება შეხედულებისა, რომლის მიხედვითაც მისაღებია ან კერძო, ან ზოგადი, ან მიუღებელია ორივე, ან მისაღებია ორივე, როგორც აბსოლუტურად ტოლფასი. „ზოგადი არის კერძო“ არ ნიშნავს, რომ ამ ორ ტერმინს შორის ტოლობის ნიშანია. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ისევ განსჯის აბსტრაქტულ იგივეობას გავიმეორებდით. „ზოგადი არის კერძო“ ნიშნავს, რომ რაიმე არის სხვა (თავისი სხვა), ისეთი სხვა, რომელიც ამ რაიმეშია, როგორც მისი უარყოფა და როგორც მისი დამდგენი. აქ ხორციელდება ის უარყოფა, რომელიც თავისი ბუნებით დადებითია. და დ ე ბ ი თ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ი ს ა რ ს ე ბ ა და დ ე ბ ი თ ი უ ა რ ყ ო ფ ა ა.

როგორც ვნახეთ, ლოგიკურის სამი მხარე არის ლოგიკურის განვითარება თანამიმდევრულად — მარტივიდან უმაღლესისაკენ, აბსტრაქტულიდან კონკრეტულსაკენ. ეს პროცესი ხორციელდება წინააღმდეგობათა გადალახვის გზით, რაშიც არსებით როლს ასრულებს შინაგანი უარყოფა.

ლოგიკურის განვითარება უარყოფის უარყოფის მაგალითია. უარყოფით გონებითი არის განსჯის უარყოფა, დადებით-გონებითი კი უარყოფით-გონებითისა, ანუ უარყოფის უარყოფა. ლოგიკური განვითარება აზრის განვითარებაა არა მარტო ზოგად-ისტორიულად, არამედ წმინდა ლოგიკურადაც, ინდივიდუალურადაც.

ლოგიკურის მომენტებზე მოსაზრებას გამოთქვამს პროფესორი სავლე წერეთელი. მისი აზრით, ერთიმეორისაგან უნდა განვასხვაოთ ლოგიკურის ორი მომენტი: ა) სასრული ლოგიკური და 2) უსასრულო ლოგიკური, მაგრამ ისე, რომ უსასრულო ლოგიკური სასრულ ლოგიკურს თავის თავში მომენტად შეიცავდეს. არსებობს მხოლოდ ერთი ლოგიკური, ეს არის დიალექტიკურ-ლოგიკური. დიალექტიკურ-ლოგიკური იგივეა, რაც უსასრულო ლოგიკური, რომლის მომენტი, ერთი მხარე არის სასრული ლოგიკური. მასში, თავის მხრივ, ორი მხარე უნდა გავარჩიოთ: ა) წინააღმდეგობის შეუძლებლობაზე დამყარებული მომენტი და ბ) წინააღმდეგობის აუცილებლობის მომენტი — უარყოფითი დიალექტიკა. სასრული ლოგიკური არის ფორმალურ-ლოგიკური, რომელიც მოიცავს უარყოფით დიალექტიკასაც, მაგრამ ცალკე აღებული უარყოფით-დიალექტიკური არის

აუცილებელი წინააღმდეგობა, როგორც შეცდომა. უსასრულო ლოგიკური არის დიალექტიკურ-ლოგიკური, რომელიც შეიცავს უარყოფითი დიალექტიკის მომენტს არა როგორც შეცდომას, არამედ როგორც გამართლებულს, როგორც ლოგიკური ჭეშმარიტების მომენტს¹.

ჩვენი აზრით, არსებობს ლოგიკურის² ორი მთავარი საფეხური: განსჯითი და გონებითი. პირველს შეესატყვისება ფორმალური ლოგიკა (ამრავალ, ფორმალური ლოგიკა არის განსჯის ლოგიკა). ხოლო მეორეს — დიალექტიკური ლოგიკა (დიალექტიკური ლოგიკა³ არის გონების ლოგიკა). რომელიც აერთიანებს უარყოფით და დადებით დიალექტიკას. დიალექტიკა, საერთოდ, დაპირისპირებულია — უარყოფითისა და დადებითის — ერთიანობაა⁴.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ამ საკითხებზე აქ უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ. ვინაიდან: 1. როგორც ვთქვით, ლოგიკურის განვითარება და მისი მომენტები უარყოფის მაგალითია; 2. დიალექტიკური უარყოფის პრობლემა არსებითად უკავშირდება გონებას. როგორც მაღალ შემეცნებით უნარს, ხოლო; 3. განსჯისა და გონების დამოკიდებულებიდან უშუალოდ გამომდინარეობს ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკის დამოკიდებულება.

უარყოფითი დიალექტიკის მომენტი ლოგიკისათვის არის მოქარაობა-განვითარების სავალი გზის ის მონაკვეთი, როცა ლოგიკურა გამოდის აბსტრაქტულიდან, მაგრამ ჯერ არც კონკრეტულია, ამი-

¹ ს. წერეთელი, დიალექტიკური ლოგიკა, გვ. 651.

² ლოგიკურმა პასუხი უნდა გასცეს კითხვაზე: რა არის აზრი თავისთავთან მიმართებაში, მის თვითმოძრაობაში. ლოგიკური არის აზრი, რომელიც ვითარდება მისი თვითშემეცნების პროცესში ისტორიულად და ლოგიკურად. ლოგიკური არის აზრის რეფლექსი საკუთარ თავზე.

³ ჰ. გლოკნერი წინააღმდეგია სახელწოდებისა „დიალექტიკური ლოგიკა“. ვინაიდან ეს პანლოგიზმის მომასწავებელია, რაც ჰეგელმა მისი აზრით, ფიქტურად შეითვისა.

მართალია ჰეგელის მთელი მოძღვრება ბოლოს და ბოლოს ლოგიკაა, მაგრამ ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ ჰეგელს ხელი უნდა აეღო თავის მიზანდასახულებზე — ფილოსოფიის ლოგიკური სისტემის აგების შესახებ. ჰეგელმა სწორედ ლოგიკაში, ლოგიკურში აღმოაჩინა დიალექტიკა, სხვანაირად, ჰეგელის აზრით ის, რაც დიალექტიკურია სწორედ ლოგიკაა (ლოგიკურია).

⁴ ჰეგელი განსჯას აიგივებს მეტაფიზიკასთან, ვინაიდან თვით ფორმალური ლოგიკის მიმართაც ასე იქცევა, ხოლო გონებას აიგივებს დიალექტიკასთან. განსჯა და მისი პრინციპები, რაც ფორმალურ ლოგიკაშია ჩამოყალიბებული, შეიძლება ვაქციოთ მეტაფიზიკად თუ მათ გავერცელებთ მთელი სინამდვილის მიმართ. ამდენად, ჩვენი აზრით, სწორი არაა განსჯის უშენიშვნო გაიგივება მეტაფიზიკასთან.

ტომ ლოგიკურის ეს საფეხური, როგორც გაურკვეველ-ლოგიკური (თუ შეიძლება ასე ითქვას), არის მხოლოდ ერთგვარი „სატრანზიტო პუნქტი“ და არა აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა. იგი გამოუყენებელია როგორც ლოგიკა, ამდენად არც არის ლოგიკა, მას აზრი აქვს მხოლოდ დადებით დიალექტიკასთან ერთად (როგორც მის აუცილებელ მომენტს), უარყოფით-დიალექტიკურს თავისი „შეხების წერტილები“ აქვს როგორც განსჯის, ასევე გონების ლოკაცასთან, მაგრამ იგი არის გონების ლოგიკის მომენტი.

ისე, როგორც დიალექტიკურ-ლოგიკურის დაპირისპირება იგივეობის აბსტრაქტულ-ლოგიკურ პრინციპთან არ ნიშნავს საერთოდ დიალექტიკური ლოგიკის მიუღებლობას და არ იძლევა საფუძველს ზედმეტად მისი გამოცხადებისათვის, ასევე დიალექტიკური ლოგიკის მიერ განსჯის (ანუ ფორმალური ლოგიკის) ცალმხრივობის და შეზღუდულობის აღმოჩენა და დაძლევა, როგორც დავინახეთ, არ შეიძლება გამოვიყენოთ საბუთად ფორმალური ლოგიკის ზედმეტობისა და არასაქიროებისათვის¹ (რადგან გვაქვს უფრო მაღალი და განვითარებული ლოგიკა, როგორცაა დიალექტიკური ლოგიკა, ამიტომ თითქოს საქირო აღარაა ე. წ. დაბალი ლოგიკა).

ფორმალური ლოგიკის თითქოს გაუქმებისა და უარყოფის ყოველი ცდა (მისი დიალექტიკური ლოგიკის მომენტად გამოცხადებასა თუ სხვა სახით) მიჩნეულ უნდა იქნეს აშკარა ფაქტის უგულვებლყოფად. ვერაინ (და ვერც ჰეგელმა) ვერ უარყო, რომ როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ სფეროში განსჯას გვერდს ვერ ავუვლით.

ამ საკითხებზე კამათისას საწინააღმდეგო თვალსაზრისებზე მდგომი ფილოსოფოსები ხშირად შენიშნავდნენ: ერთის მხრივ, რომ დიალექტიკური ლოგიკის მომხრენი თავიანთი მსჯელობისას იყენებენ და ეყრდნობიან ფორმალური ლოგიკის კანონებს, მეორე მხრივ, რომ ფორმალური ლოგიკის დამცველნი თავიანთ მსჯელობაში ვერ ასცდებიან დიალექტიკურ-ლოგიკურ მიდგომასა და განხილვას. ორთავე შენიშვნა საფუძვლიანია, მაგრამ ცალ-ცალკე ორთავე ცალმხრივია, მათი ჰეშმარიტება მათს დიალექტიკურ ერთიანობაშია. ასეთია დიალექტიკურ-ლოგიკურის თვალსაზრისი. ჰეგელი შენიშნავდა არისტოტელეს მიმართ, რომ იგი თავის „ფიზიკაში“, „მეტა-

¹ როგორც არაორგანულ, ასევე ორგანულ სამყაროში არსებობს ერთი და იგივე დანიშნულების საგნები, რომელთაგან ერთი მნიშვნელობითა და ხარისხით აღმტებულია, მაგრამ ამის გამო მეორე როდი კარგავს აზრს და მნიშვნელობას.

ფიზიკაში“ და სხვ. იმ სახით როდი აკეთებდა დასკვნებს, როგორც იგი მათ (ამ დასკვნებს) განიხილავს, არამედ აზროვნებდა ცნებებით, რომლებიც ალებული იყო თავისთავადო¹.

ფორმალური ლოგიკა უპირატესად ჩაოდენობრივ-მოცულობითის ლოგიკაა. დიალექტიკური ლოგიკა შინაარსობრივ-თვისებრივის ლოგიკაა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ფორმალური ლოგიკის უსასრულობა არის ღია უსასრულობა, სასრულთა უსასრულობა (ანუორედ ამ საფუძველზე ვლებულობთ რეგრესს უსასრულობაში), ე. ი. ესაა ჩაოდენობრივი უსასრულობა. დიალექტიკური უსასრულობა ჩაკეტილია, ესაა სასრული უსასრულობა. სასრული უსასრულობა კონკრეტულია შედარებით სასრულთა უსასრულობასთან.

დიალექტიკური ლოგიკა კატეგორიების ლოგიკაა. კატეგორიალური აზროვნება ისეთი დონეა აზროვნებისა, რომელზეც მოღწეულია იგივეობა ცოდნის ობიექტსა და ობიექტის შესახებ ცოდნას შორის. ობიექტის ცოდნა მისი არსების ცოდნაა. ფილოსოფიისა და მეცნიერების შინაარსს ასეთი ცოდნა უნდა შეადგენდეს.

ფორმალური ლოგიკის, როგორც განსჯის ლოგიკის, საფუძველზე განვითარდა დღევანდელი მათემატიკური ლოგიკა, რომელიც დიდ ყურადღებას იმსახურებს მისი გამოყენებითობის გამო (თუმცა იგი არაა ფილოსოფია და ფილოსოფიური მეცნიერება). ეს არის გამოყენებითი მათემატიკური მეცნიერება, რომელშიც მათემატიკის მეთოდებისა და გამოთქმების ხერხების ლოგიკის აპარატთან შეერთების იმთავითვე არსებული შესაძლებლობა სინამდვილედ იქცა. ეს შესაძლებელი გახდა მათემატიკის განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე, თანაც მხოლოდ მაშინ, როცა პრობლემა მწვავედ დასვა ტექნიკის განვითარებას. ამ კონტექსტისათვის მეტად მოხდენილად მიგვაჩნია ბერტრან რასელის შენიშვნა: ლოგიკა მათემატიკის სიჭაბუკეა, მათემატიკა კი ლოგიკის მომწიფებულობა².

განსჯის, ანუ ფორმალური ლოგიკის პრინციპია აბსტრაქტული იგივეობის პრინციპი. გონების, ანუ დიალექტიკური ლოგიკის პრინციპი წინააღმდეგობის, დაპირისპირებულთა ერთიანობის პრინციპია.

აღამიანის აზროვნებაში განსჯითი და გონებითი ფუნქციებას გარჩევას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. „ამ პეგელისეულ განსხვავებას, — წერს ფ. ენგელსი, — რომლის თანახმადაც მხოლოდ

¹ Гегель, Соч., т. X, стр. 311.

² რასელს მხედველობაში აქვს ფორმალური ლოგიკა. ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ აგრეთვე: Л. Кутюра, Философские принципы математики, 1913, стр. 7; Гудстейн, Математическая логика, М., 1961, стр. 11, Э. Беркли, Символическая логика и разумные машины, 1961, стр. 26—27.

დაალექტიკური აზროვნება არის გონივრული, გარკვეული აზრი აქვს. ჩვენ ცხოველებთან საერთო გვაქვს განსჯის მოქმედების ყველა სახეობანი... დიალექტიკური აზროვნება, — სწორედ იმიტომ, რომ მას თვით ცნებათა ბუნების გამოკვლევა აქვს წინამძღვრად. — მხოლოდ ადამიანს შეუძლია და ამასაც განვითარების მხოლოდ შედეგებით მაღალ საფეხურზე¹. მხოლოდ განსჯა¹ ვერ გადაწყვეტს მეცნიერებათა ზოგადთეორიულ პრობლემებს. გონებითი აზროვნების გარეშე წარმოუდგენელია ფილოსოფია, ფილოსოფიური სინთეზი და რეფლექსია. ჰეგელიანიტი ფილოსოფია გონებითი აზროვნების შემოქმედებაა უპირატესად. ალბათ, შეიძლება ამითაც აიხსნება მისი სირთულე, ის რომ მისი პრობლემები მასობრივად გასაგები ვერაა, რომ მისი გაგება საჭიროებს განსაკუთრებულ გონებრივ წვრთნას და განვითარებას. საყურადღებოა ჰეგელის შენიშვნა: პლატონის — „მაგიდობის“ და „თასობის“ დანახვა მხოლოდ მას შეუძლია, ვისაც აქვს გონება, მაგრამ მაგიდისა და თასის დანახვა შეუძლია ყველას, ვისაც აქვს თვალიო². მაგრამ ჰეგელისვე აზრით, გონებას, რომელიც სცილდება, მოწყდება განსჯას მისტიკური უნდა ვუწოდოთ. განსჯა და გონება ურთიერთგამომრიცხავთა, ურთიერთუარყოფელთა ერთიანობაა. მათი ერთიანობა უზრუნველყოფს ურთიერთკონტროლს, რის გარეშეც უკიდურეს ცალმხრივობებს (ან აბსოლუტურ ტავტოლოგიებს, ან მისტიკას) ვერ ავცდებით. „ჩვენ ჰეგელთან ერთად შეგვიძლია ვთქვათ დაპირისპირებულთა ერთიანობა, იგივეობა „მისტიკურია“ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი გადის განსჯითი, ფორმალურ-ლოგიკური აზროვნებიდან, მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ იგი განვიხილოთ, როგორც აზროვნებისათვის მიუწვდომელი საერთოდ“³.

განსჯის გააბსოლუტურებასთანაა დაკავშირებული აზრი იმის შესახებ, თითქოს მანქანას შეუძლია შეცვალოს ადამიანი. სამართლიანად შენიშნავს პ. კოპინი, რომ „ადამიანის განსჯითი აზროვნების ყველაზე ნათელი თავისებურებანი გამოხატულია ე. წ. „მანქანურ“ აზროვნებაში, რომელშიც განსჯის ავტომატურობა აყვანილია მომწიფებულ და კლასიკურ ფორმამდე“⁴. აქ უეჭველია მანქანის უპირატესობა ადამიანთან შედარებით, რამდენადაც მანქანა, როგორც

¹ ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, თბ., 1950, გვ. 228.

² Гегель, Соч., т. X, стр. 147.

³ А. Богомолов, Идеалистическ. диалектика в XX столетии; «Вопросы философии», 1966, № 3, стр. 103.

⁴ П. Копини, Рассудок и разум и их функции в познании; «Вопросы философии», 1963, № 4, стр. 70.

განმსჯელი, თავისუფალია იმ ფაქტორებისაგან, რომლებიც ადამიანში ხელს უშლიან განსჯას, მაგრამ გონება და მისი კატეგორიები არ ექვემდებარება მოდელირებას, ამდენად ყოველი მანქანა უძლურია (და ასე იქნება მომავალშიც) გააკეთოს ის, რის შექმნაც შეუძლია ადამიანს როგორც გონებით მოაზროვნეს.

თავიანთ სფეროში აქტიურია განსჯაც და გონებაც, მაგრამ სხვადასხვა მიმართულებით. განსჯა აქტიურია თავისათვის (იგი არ ამჩნევს, ანგარიშს არ უწევს სხვას). გონება აქტიურია სხვისთვის (მისთვის მთავარია სხვა, რომელშიც ხედავს თავის თავს). ამდენად განსჯა ხელაღებით უარყოფს სხვას, გონება კი პირიქით თვითუარყოფით ასაბუთებს სხვას და ამგვარად გაშუალებულად — თავისთავს. გონება წვდება მარადიულისა და წარმავალის, აბსოლუტურისა და შეფარდებითის და ა. შ. ერთიანობას. გონებაში დაძლეულია განსჯის ცალმხრივობა. გონებითი აზროვნებისას ადამიანი უახლოვდება თეზისის „იციან თავი შენი“ განხორციელებას, იხსნება წინააღმდეგობა ჭურვილსა და შესაძლებლობას შორის. ამიტომ გონებით აზროვნებაში მოხსნილია ადამიანის შინაგანი გაორება, კონფლიქტი. განსჯის საზრუნავია დღევანდელი. გონებითი აზროვნება არ უარყოფს არც წარსულსა და არც აწმყოს, იგი მომავლისკენაა მიმართული.

გონებითი აზროვნების დონეზეა შესაძლებელი ობიექტურობის ნამდვილი გაგება და წარმოსახვა, რომელიც შემეცნებაში გამორიცხავს პირად „მე“-ს, სუბიექტურ მიდგომას, სუბიექტურ ელემენტს და ობიექტს გვიხატავს ისე, როგორც ის არის.

§ 4. დიალექტიკური უარყოფის გამოვლენის ფორმათა შესახებ

უარყოფა სხვადასხვა ფორმითა და სახით ვლინდება ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების სხვადასხვა სფეროში. განსხვავებულია მისი გამოვლენის ფორმა, ხასიათი, ტენდენცია, მიმართულება, შედეგები, სტრუქტურა. უარყოფაა, მაგალითად, რაიმეს ფიზიკური გაქრობა (კვდომა), გარეგანად ან შინაგანად. უარყოფაა როცა რაიმე მთლიანად კი არ კვდება, არამედ კარგავს რაღაც (მისთვის საჭირო ან აუცილებელ) ნაწილს, მთელის მიერ ასეთი ნაწილის დაკარგვა არის მთელის ნაკლი, მისი ნაკლოვანება.

უარყოფაა რაიმე დაწესებულების ან ინსტიტუტის გაუქმება (მისი სხვა ინსტიტუტით ან დაწესებულებით შეცვლით ან შეუცვლელად), რაიმე მდგომარეობაზე უარის თქმა, მაგალითად, ოჯახის შექმნაზე, ამქვეყნიურ ცხოვრებაზე (ბერად აღკვეცა).

რაიმეს უარყოფაა გამოთქმული უარყოფით მსჯელობაში „ქე-გელი არ არის მატერიალისტი“, „ღმერთი არ არსებობს“. ამგვარ: უარყოფა შეიძლება განვიხილოთ როგორც მხოლოდ უარყოფით მსჯელობის მაგალითი, მაგრამ თუ დებულებათა დასაბუთებასაც მოვითხოვთ, მაშინ გაირკვევა ხელალებით (ზერელედ) თუ დასაბუ-თებულად ხდებოდა იმას უარყოფა, რაც ამ მსჯელობებშია გამოთქ-მული.

უარყოფაა რომელიმე მეცნიერული თეორიის, ჰიპოთეზის და ა. შ. მთლიანი უარყოფა (დასაბუთებულად) და მისი შეცვლა სხვა ახალი თეორიით ან ჰიპოთეზით, უარყოფაა რაიმე თეორიის დაზუს-ტება (ნაწილობრივი უარყოფა).

უარყოფით ხორციელდება ადამიანის განვითარება (ფიზიკურ და სულიერი) — ერთი საფეხური ბუნებრივი თვითუარყოფით ში-ნაგანად გადაიზრდება შემდგომში, რომელიც მზადდებოდა, მწიფ-დებოდა წინაში, როგორც მისი მომხსნელი და შემნახავი.

უარყოფაა რაიმეს უკანმოუბრუნებელი გადასვლა სხვაში: ყვა-ვილის — ნაყოფში, შრომის განივება საქონელში, ერთი საზო-გადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის გადასვლა სხვაში (გადასვლა როცა წინა საფეხური იხსნება და მთლიანად ან ნაწილობრივ შე-მოინახება მომდევნოში).

უარყოფაა ერთი სახის ენერჯის (ვთქვათ სითბურის) გადასვლა მეორე სახის ენერჯიაში (ელექტრულში), როცა შესაძლებელია შებრუნებული პროცესი (ელექტრული ენერჯის ისევ სითბურში გადაყვანა); შენობა (ნაგებობა) იმ საამშენებლო მასალის უარყო-ფაა, რომლისაგანაცაა იგი აგებული, სილოგიზმში დანასკვი უარყოფა წანამძღვრებს. დანასკვი მოხსნილ-შემონახულია წანამძღვრები¹.

უარყოფაა საპირისპიროთა ურთიერთუარყოფა და ურთიერთში გადასვლა ისე, რომ არც ერთი მხარე არ უქმდება (ზოგადი—ერ-თეული, განსხვავება — იგივეობა), რასაც ადგილი აქვს აზრის (კა-ტეგორიების) სფეროში.

უარყოფაა უარყოფით თვითდადგენა (როცა რაიმეს მისივე უარყოფა ადგენს).

უარყოფაა უარყოფის უარყოფა.

როგორც უკვე აღვნიშნავდით. ერთმანეთისაგან განასხვავებენ უარყოფის ორგვარს. საპირისპირო გაგებას: 1) დიალექტიკურ უარ-ყოფას და 2) არადიალექტიკურ, ანუ მეტაფიზიკურ უარყოფას.

¹ „... სილოგიზმი სპობს თავის თავში წანამძღვრებს“ აღნიშნავს ა. გერცენი (იხ. მისი „ჩვეული ფილოსოფიური თხზულებანი“, ტ. I, გვ. 55).

დიალექტიკური უარყოფის ნიშნებია: მოხსნა-შენახვის ერთიანობა, უწყვეტობა-წყვეტადობის ერთიანობა, მემკვიდრეობითობა (კავშირის მომენტი). დადებითი შედეგი (დადებითობა), ახლის, პროგრესულის წარმოშობა, რაოდენობრიობა-თვისებრიობის ერთიანობა (რევოლუცია, ნახტომი), წინააღმდეგობრიობა (დაპირისპირებულია ერთიანობა). ობიექტურობა, შინაგანობა, შეფარდებითობა. დიალექტიკური უარყოფა არის ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების სფეროებში ობიექტურად, შინაგანად მიმდინარე პროცესის ასახვა და აღქვატური ახსნა. ამრგად, ესაა ობიექტურად არსებულის ობიექტურად, სინამდვილის შესატყვისად ასახვა და ახსნა.

უარყოფის მეტაფიზიკური გაგების მიხედვით უარყოფაში უარყოფილია შენახვის, უწყვეტობის, მემკვიდრეობითობის, კავშირის, დადებითობის, შინაგანობის, შეფარდებითობის და სხვა მომენტები, რომლებიც არსებითია დიალექტიკური უარყოფისა და უარყოფის დიალექტიკური გაგებისათვის. უარყოფის მეტაფიზიკური გაგება სუბიექტური, ცალმხრივი და ამდენად არამეცნიერულია.

უარყოფის დიალექტიკური გაგების თვალსაზრისით მთავარია არა ის უარყოფა, რომელსაც ადგილი აქვს რაოდენობრივ ცვლილებებში, არამედ უარყოფა, რომელიც ხორციელდება ერთი თვისებრიობიდან მეორეში (რაოდენობრიობის თვისებრიობაში) გადასვლისას.

უარყოფა, რომელსაც ამორციელებს ადამიანი, რომელიც ხორციელდება ადამიანთა მიერ, შეიძლება დიალექტიკური (დიალექტიკური უარყოფის გამოვლენა) იყოს იმდენად, რამდენადაც იგი დიალექტიკური უარყოფის ნიშნებს მატარებელი იქნება. საერთოდ კი იქ, სადაც უარყოფაში მონაწილეობს ადამიანი, უარყოფა შეიძლება იყოს კემშარტი, უნებლიედ მცდარი (ყალბი) და შეგნებულად მცდარი (ყალბი).

უარყოფა თავის სპეციფიკას ავლენს ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების სფეროებში.

საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ უარყოფის ფორმებისა და ტიპების გამოკვეთილი სახით და სრულყოფილად ჩამოყალიბების ცდას არ შევხვედრივართ საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაში. 1963 წ. გამოქვეყნდა ბ. უკრაინცევის, ა. კოვალჩუკისა და ვ. ჩერტკოვის წიგნი „სოციალიზმის კომუნისმში გადაზრდის დიალექტიკა“, რომელშიც ვ. ჩერტკოვი განიხილავს რა უარყოფის მოქმედებას საზოგადოებრივ მოვლენებში ასახელებს მის ორ ტიპს: ანტაგონისტურ და არაანტაგონისტურ უარყოფას. ეს თვალსაზრისი სწამართლიანად გააკრიტიკა ი. ხარინმა ყურნალ „ფილოსოფიკე

ნაუკის“ 1965 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნებულ წერილში (სადისკუსიოდ) «О разнообразии типов отрицания», რომელშიც იგი თავის მხრივ განიხილავს დიალექტიკური უარყოფის სამ ტიპს. სპეციალურად საზოგადოებრივი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებით: 1) დესტრუქტიულს, როცა ძველი მთლიანად ისპობა, ქრება, ყოფიერებიდან გადადის არაყოფიერებაში, ე. ი. ბუნებრივად ქრება, კვდება, არ ხდება ძველის შემონახვა; 2) მეორე ტიპია მოხსნა (მოხსნა-შენახვა); 3) მესამე ესაა უარყოფა გადაზრდას ფორმით, როცა ძველის ახალში გადაზრდა ხდება არსებულ ერთიან საფუძველზე, ამ საფუძვლის გაუუქმებლად¹. საზოგადოებრივ მოვლენათა განვითარების მიმართ უარყოფის ტიპების ამგვარი კლასიფიკაცია გამართლებულია, მაგრამ საქმე ისაა, იგი არ გამოხატავს მხოლოდ საზოგადოებრივი განვითარების სპეციფიკას. ნაწილობრივ იგი გამოსადეგია ბუნებისა და თვით აზროვნების მოვლენების მიმართაც. მაგალითად ი. ხარინის მიერ აღნიშნული მესამე ტიპი უარყოფისა გამოხატავს ცოცხალი ორგანიზმის განვითარებასაც მან ფილოგენეზში. ჩვენ განვიხილავთ დიალექტიკური უარყოფის სამ ძირითად ფორმას, რომლებმაც ჩვენის აზრით, ზოგადად უნდა მოიცვან ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების ყველა სფერო.

ეს ფორმებია: 1) უარყოფა როგორც გადასვლა სხვაში, თავის სხვაში, როგორც არასაპირისპიროში. როცა ძველი ან წინა საფეხური ბუნებრივად (ან გარედან შევსებული ჩარევით) იხსნება და გადადის ახალ საფეხურზე, სხვა მდგომარეობაში. ეს არის უარყოფის გამოვლენის ყველაზე თვალსაჩინო და ელემენტარული ფორმა;

2) დიალექტიკური უარყოფის შემდგომი და უფრო რთული სახეა ურთიერთუარყოფელთა ურთიერთში გადასვლა, როცა რაიმე გადადის ისეთ თავის სხვაში, რომელიც მისი საპირისპიროა (უარყოფელია) და პირიქით. საპირისპიროს უარყოფით საბუთდება მისი საპირისპირო, მაგრამ საპირისპირო ასაბუთებს რა თავის საპირისპიროს, ამით ასაბუთებს თავის თავს. ამრიგად, რაიმე საბუთდება გაშუალებულად, თავისი საპირისპიროს, თავისი სხვას მეშვეობით. თ ვ ი თ უ ა რ ყ ო ფ ი თ, თ ა ვ ი ს ი ს ხ ვ ი ს, ს ა პ ი რ ი ს პ ი რ ო ს და დ გ ე ნ ა ა რ ი ს გა შ უ ა ლ ე ბ უ ლ ი თ ვ ი თ და დ გ ე ნ ა, თავის სხვით დადგენა. რამდენადაც აქ ხორციელდება ორმხრივი უარყოფა, ამიტომ ეს შემთხვევა უარყოფის უარყოფის თავისებური გამოვლენაა;

¹ Ю. Харин, О разнообразии типов отрицания, «Философские науки», 1965, № 1, стр. 78.

3) შემდეგ, დიალექტიკური უარყოფის უმაღლესი გამოხატულებაა უარყოფით თვითდადგენა. როცა რაიმეს უარყოფა მასვე აღგენს, ასახულებს. რაიმე თავის თავთან რეფლექსიას აღმოაჩენს, რომ მისი უარყოფა ეს არის მხოლოდ მისავე (როგორც უარსაყოფის) მოხმარება. მაგრამ ამ გზით უარყოფილი კი არა, პირიქით, გამართლებულ-დადგენილი გამოდის. უარყოფით თვითდადგენა უშუალო თვითდადგენაა. ესეც უარყოფის უარყოფაა. ჯერ გვაქვს უარსაყოფი, შემდეგ მისივე მოხმარება მისავე უარსაყოფად და ბოლოს უარსაყოფი როგორც გამართლებული.

დიალექტიკური უარყოფა რამდენადაც ის არის დადებითი უარყოფა, წინააღმდეგობის შემცველია შინაგანად, ანუ დაპირისპირებულთა (დადებითის და უარყოფითის) ერთიანობაა. უწყვეტი უარყოფაც ასეთია, რამდენადაც მისი მომენტი არის წყვეტადობა. ესაა წყვეტადი უწყვეტობა. უარყოფის პროცესი შეიძლება იყოს უკანმოუხრუნებელი, ე. ი. როცა უარყოფა და ერთი საფეხურიდან მეორეზე გადასვლა ხდება ერთი მიმართულებით და არა პირიქითაც და უკანმოხრუნებადი (შებრუნებადი, შექცეული). ამგვარი უარყოფა კი კონკრეტული და დასრულებულია როგორც ციკლის შემკვრელი.

ყველაფერი, რაზეც აქ გაკვირთ გვექონდა საუბარი. უფრო ვრცელ ახსნას პოვებს შემდგომ თავებსა და პარაგრაფებში.

უარყოფა დაპირისპირებაშუღთა ერთიანობაში

§ 1. იგივეობა, განსხვავება და უარყოფა

არსებობს იგივეობის პრინციპის სხვადსხვაგვარი ფორმულირება. იგივეობა ჩვეულებრივ გამოითქმის ფორმულით $A = A$ („რაიმე არის ის, რაც არის“), იგივეობის პრინციპს გამოთქვამენ ასეც: ნივთები იგივეობრივი არიან იმ შემთხვევაში, თუ ერთ მათგანს შეუძლია შეცვალოს მეორე ჭეშმარიტების დაუზარალებლად. ან კიდევ, $x = y$ მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ X -ს გააჩნია ყველა ის თვისება, რომელიც გააჩნია y -საც და y -ს გააჩნია ყველა თვისება, რომელიც აქვს X -ს¹.

შემეცნების პროცესში ცნებათა შინაარსის, აზრის, იგივეობრიობა, ობიექტობა გარკვეული, არაორაზროვანი ცნებებით, რომლებიც თავისუფალი არიან გაურკვეველობის, აბნეულობის, დაუკავშირებლობისაგან, რაც ხშირად იწვევს ცნებათა აღრევას — აი, რაში მდგომარეობს იგივეობის კანონის აზრი².

იუ იგივეობის პრინციპს სწორად გავიგებთ, მაშინ გასაგები იქნება, რომ არავითარი ნორმალური ადამიანური აზროვნება არ არსებობს, რომელიც მას არ ეყრდნობოდეს და იყენებდეს ყოველ მეცნიერებაში და მათ შორის დიალექტიკური გააზრებისასაც. ამის შესახებ ზემოთაც გვქონდა ნათქვამი. ხოლო თუ იგივეობის პრინციპს გავაბსოლუტურებთ, მაშინ იგი იქცევა მეტაფიზიკური მსოფლმხედველობის საფუძვლად. ცნობილია ფ. ენგელსის შენიშვნა: „იგივეობის პრინციპი ძველი მეტაფიზიკური აზრით ძველი მსოფლმხედველობის ძირითადი პრინციპია: $a = a$ ყოველი ნივთი თავის თავს უდრის. ყველაფერი მუდმივი იყო, მზის სისტემა, ვარსკვლავები, ორგანიზმები. ბუნების კვლევამ ეს პრინციპი ყოველ ცალკეულ

¹ Тарский, Введение в логику и методологию дедуктивных наук., М., 1948, стр. 91.

² К. Б а к р а д з е, Логика, Тб., 1951, стр. 415—416.

შემთხვევაში თანდათან უკუაგდო“¹. პროფ. კ. ბაქრაძის სამართლიანი შენიშვნით ჰეგელი აკრიტიკებდა რა იგივეობის პრინციპს, აკრიტიკებდა მის ძველ მეტაფიზიკურ ინტერპრეტაციას და ამდენად მეტაფიზიკას და არა ამ კანონის ნამდვილ აზრს და გაგებას.

მაგრამ ერთია იგივეობის კანონის ფორმალურ-ლოგიკური გაგება, იგივეობის პრინციპის გამოყენება მეცნიერებათა სხვადასხვა დარგში, და სხვაა იგივეობის, როგორც არსების კატეგორიის განხილვა. იგივეობა, როგორც არსების კატეგორია, „... არის არა მარტოება ერთი საგნისა მეორესთან, ე. ი. არაა ორი საგნის იგივეობა, არამედ მიმართება თავისთავთან... ასევე განსხვავება როგორც არსების კატეგორია, არის განსხვავება რაიმესი თავის თავში, შინაგანი განსხვავება, იგივეობრივში განსხვავება“².

ამდენად, იგივეობა და განსხვავება ერთმანეთისაგან განუყრელია, მათი მიმართების დიალექტიკური განხილვიდან სწორედ ეს გამოპლენარეობს. „...ქვეშარითი, კონკრეტული იგივეობა თავის თავში შეიცავს განსხვავებას, ცვლილებას“³.

ამჯერად იგივეობა-განსხვავების, კერძოდ, კონკრეტული იგივეობის პრობლემა ჩვენ გვაინტერესებს იმდენად, რამდენადაც იგივეობა-განსხვავების დიალექტიკური მიმართება უარყოფის მომენტის შემცველია. პირველი არ არის მეორეს გარეშე. რაიმე არის ეს სწორედ იმიტომ, რომ იგი არ არის სხვა რაიმე. არ არის სხვა იმიტომ, რომ „რაიმე“ და „სხვა“ (მეორე რაიმე) თავისთან იგივეობრივი არიან. ამრიგად, რაიმე იგივეობრივია თავისთავთან იმიტომ, რომ განსხვავდება სხვისაგან და განსხვავდება სხვისაგან იმიტომ, რომ იგივეობრივია თავისთავთან. „...თავის თავთან იგივეობას, — წერს ფ. ენგელსი, — თავიდანვე უკვე აუცილებლად აქვს შესავსებად განსხვავება ყველა სხვა დანარჩენისაგან“⁴.

იგივეობა-განსხვავების ამ მიმართებაში მოქმედებს უარყოფა. უარყოფით ვადგენთ და უარყოფით განვასხვავებთ. დადგენით უარყოფთ და დადგენით განვასხვავებთ (განსხვავება, როგორც „სხვა“, როგორც „არ არის“, თვითონ არის უარყოფა). იგივეობა რაიმესი თავისთავთან, ანუ დადგენა რაიმეს იგივეობისა თავისთავთან არის სხვისი უარყოფა, გამორიცხვა (ამ დადგენილი რაიმეს მიერ), ხოლო სხვისი უარყოფა-გამორიცხვა ადგენს სწორედ რაიმეს

¹ ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, თბ., 1950, გვ. 220.

² ს. წერეთელი, „დიალექტიკური ლოგიკა“, გვ. 54.

³ ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 220.

⁴ იქვე, გვ. 219.

იგივეობას, ანუ ახდენს იგავეობრიობის დადგენას. ეს გარემოება პქონდა ალბათ მხედველობაში ა. ტრენდელენბურგს, როცა წერდა — უარყოფის თვისებას ემყარება იგივეობისა და წინააღმდეგობის კანონები¹. მაშ, რაიმეს იგივეობა თავისთავთან არის განსხვავებულთა უარყოფა, ხოლო რაიმეს განსხვავება სხვისაგან, რაიმეს მიერ სხვისი უარყოფა, არის თავისი თავის დადგენა.

ორთავე შემთხვევაში საქმე გვაქვს დადგენასთან, რაღაცის გარკვევასთან. პირველ შემთხვევაში (რაიმე არის ეს) უშუალო დადგენასთან (როცა სხვისი უარყოფა იგულისხმება), მეორე შემთხვევაში, გაშუალებულ დადგენასთან, სხვის უარყოფით დადგენასთან. როცა ხდება უარყოფა, მაგრამ მისი გაშუალებული შედეგი არაა დადგენა (იგივეობის). საქმე გვაქვს არა შიშველ უარყოფასთან. რაიმე იგივეობით უშუალოდ დგინდება, გაშუალებულად უარიყოფა (დადგენით უარიყოფა). განსხვავებით კი უშუალოდ უარიყოფა, გაშუალებულად დგინდება (უარყოფით დგინდება)².

იგივეობა-განსხვავების ამგვარ მიმართებებს ადგილი აქვს როგორც არსის, ასევე აზრის სფეროში. იგი დასრულებულად გამოხატულია კატეგორიალური აზროვნების დონეზე.

თქმა იმისა, რომ ინდუქცია არის ინდუქცია, ვინაიდან იგი არ არის დედუქცია ან, რომ ინდუქცია არ არის დედუქცია, ვინაიდან იგი ინდუქციაა, კონკრეტულად არაფერს გვეუბნება. იგივეობა-განსხვავების მიმართება ჯერ აბსტრაქტულია. უფრო კონკრეტულად მოგვეცემა იგი ლოგიკურ განსაზღვრებაში, ამ შემთხვევაში ინდუქციისა და დედუქციის განსაზღვრებებში. განსაზღვრება იგივეობა-განსხვავების ერთიანობაა.

კიდევ უფრო კონკრეტულია იგივეობა-განსხვავების მიმართება დაპირისპირებულთა ერთიანობაში. დაპირისპირებულთა ერთიანობა არის არა ყოველგვარ განსხვავებულთა, არამედ კონკრეტულად განსხვავებულთა ერთიანობა, რაიმესა და თვისი სხვის, როგორც მისი საპირისპიროს ერთიანობა (მაგალითად, აუცილებლობა — შემთხვევითობა).

საქმე ისაა, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნავდით ნამდვილი დ-

¹ A. Trendelenburg, Logisch. ess., 4. II, стр. 165.

² ს. წერეთელი თავის „დიალექტიკურ ლოგიკაში“ განიხილავს დადგენით უარყოფისა და უარყოფით დადგენის კანონებს (იხ. §§ 68. 69). ჩვენ არ ვეხებით საკითხს რამდენად მართებულია მათი ცალკე კანონებად გამოყოფა და არიან თუ არა ისინი კანონები. საკითხის მის მიერ გაშუქებას კი მთლიანად ვეთანხმებით. იგი ჩვენ დავუკავშირეთ იგივეობა-განსხვავების და „determinatio est negatio“-ს პრობლემებს.

ალექტიკური იგივეობა, კონკრეტული იგივეობა (და განსხვავება) მაშინ გვაქვს, როცა რაიმე არა მარტო თავისი თავის იგივეობრივია. არამედ მისგან საპირისპიროდ განსხვავებულის იგივეობრივაცაა და ამდენად არა მარტო იგივეობრივია, არამედ განსხვავებულიცაა თავის თავისაგან.

ერთეული (ცუგა), რომელიც იგივეობრივია თავისთავთან, არის ზოგადი (ძალდი), ანუ სხვა, ე. ი. განსხვავდება თავის თავისაგან. განსხვავებულნი არიან იგივეობრივნი, მაგრამ არც აბსოლუტურად იგივეობრივნი (რადგან მაინც არიან). ეს არ არის აბსტრაქტული იგივეობა, ტავტოლოგია — „ცუგა არის ის ძალდი, რომელიც არაა ცუგა“. ასე რომ იყოს, მაშინ მივიღებდით „ცუგა არის ცუგა“ ან „ძალდი არის ძალდი“. ასეთი მსჯელობები კი ახალს არაფერს გვატყობინებს. იგი არ არის არც აბსოლუტური განსხვავება, ვინაიდან მაშინ ყოველ დადებით მსჯელობას აზრი დაეკარგებოდა, იგი შეუძლებელი იქნებოდა და მსჯელობას „ცუგა არის ძალდი“ იმაზე მეტი აზრი არ ექნებოდა, ვიდრე აქვს მსჯელობას „ცუგა არის ის, რაც არ არის ძალდი“.

იგივეობა-განსხვავების დიალექტიკურად გაგებულ მიმართებაში იგივეობა არის არა მარტო უშუალოდ დამდგენი და გაშუალებული უარყოფელი (დადგენით უარყოფელი), ხოლო განსხვავება არის არა მარტო უშუალოდ უარყოფელი და გაშუალებულად დამდგენი (უარყოფით დამდგენი). ამ მიმართებაში იგივეობა ამავე დროს არის მისგან საპირისპიროდ განსხვავებულის — განსხვავების დამდგენი (და არა მხოლოდ უარყოფელი). ასევე, განსხვავება არის არა მარტო თავისი სხვის, არამედ თავისი თავის უარყოფელიც. რამდენადაც იგი არის სხვა (იგივეობა). სხვანაირად. იგივეობა არა მარტო განსხვავებისაგან განსხვავდება, არამედ თავისი თავისაგანაც და არა მარტო განსხვავდება განსხვავებისაგან, არამედ იგივეობრივაცაა მასთან. პლატონი შენიშნავს „პარმენიდეში“, რომ იგივეობა და განსხვავება საპირისპირონი არიან ერთმანეთის მიმართ, მაგრამ რადგან ასეა, შეიძლება თუ არა, რომ იგივეობრივი როდისმე იყოს განსხვავებულში და განსხვავებულ იგივეობრივში? „ერთი განსხვავდება „სხვისგან“ და თავისი თავისაგან, ამასთან იგივეობრივია მისი და თავის თავის“¹.

იგივეობა განსხვავებით ადგენს თავის იგივეობას და უარყოფს

¹ Творения Платона, т. IV, Л., 1929, стр. 51.

თავის თავს, როგორც სხვას, რომელიც არის მასში; ასევე, განსხვავება არის არა მარტო თავისი სხვის იგივეობის უარყოფა, არამედ თვითუარყოფაც, რაკი იგი არის სხვა (მასში არის სხვა, თავისი სხვა როგორც მისი უარყოფა) ¹.

ამრიგად, ის რაც ზემოთ ითქვა შეიძლება ანე შევაჯამოთ:

1. რაიმე არის ის რაც არის ის. ესაა იგივეობის აბსტრაქტული გამოთქმა განსხვავებისაგან იზოლირებულად. განსხვავება უარყოფილია აბსოლუტურად ²;

2. რაიმე არის ის, რაც არის ის, რომ იგი არ არის სხვა. აქ უკვე დაპირისპირებამ და უარყოფამ გამოაჩინა იგივეობა-განსხვავების კავშირი, მაგრამ გარეგნული, რადგან იგივეობა ჭერაც ისევ გაგებულა რაიმეს თავისთან იგივეობად და აბსტრაქტულობა კვლავ დაუძლეველია;

3. ლოგიკურ განსაზღვრებაში კონკრეტულადაა გამოთქმული, თუ რა არის ეს (რაიმე). მაგრამ ხელაღებითაა გამოორიციხული სხვა, არ არის ნათქვამი რა არის სხვა. საკუთარი რაობის გარკვეული დადგენა ხდება სხვისი უარყოფის ხარჯზე;

4. ეს სვლა აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ მთავრდება დაპირისპირებულთა ერთიანობაში, სადაც საპირისპირო განსაზღვრულობანი ერთმანეთის იგივეობრივი არიან, მაგრამ ერთმანეთისაგან განსხვავებულნიც (შეფარდებითად), ერთმანეთს უარყოფენ და ადგენენ კიდევ. „კონკრეტული, — წერს კ. მარქსი, — იმიტომაა კონკრეტული, რომ იგი მრავალ განსაზღვრათა შეერთებაა, მაშასადამე. მრავალსახეობის ერთიანობაა“ ³.

ასეთია იგივეობა-განსხვავების დიალექტიკური დამოკიდებულება. აქ არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ იგივეობა გამოხატავდეს შედარებით გარკვეულობას და განსხვავება—ცვალებადობა-მოდრობას. იგივეობის კატეგორიის განხილვას განსხვავებისაგან

¹ ყოველივე მხოლოდ სხვაში, თავის საპირისპიროში ნახავს თავის თავს. მარქსი წერს: „... თავის თავს იგი (ადამიანი — კ. გ.) ჭერ სხვა ადამიანში ხედავს, როგორც სარკეში. მხოლოდ მიმართებით ადამიან პავლესთან როგორც თავის მსგავსთან, ამყარებს ადამიანი პეტრე მიმართებას თავის თავთან როგორც ადამიანთან, ამით პავლეს, როგორც ანეთი, მთელი თავისი პავლესებური სხეულებრიობით, ხდება მისთვის მნიშვნელოვანი როგორც გამოვლინების ფორმა „ადამიანის“ მოდგმისა“ (კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I გვ. 72).

² ცნობილი ისლანდიელი ფილოსოფოსი, მარქსისტი ბ. ბიარნსონი იმ აზრისაა, რომ „იგივეობის კანონი აბსურდად იქცევა ფარდობითობის თეორიის შუქზე“.

³ კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953, გვ. 281.

იზოლირებულად, აბსოლუტურად მიეყავართ უძრაობისა და გაქვავებულობის აღიარებამდე. ასეთი თვალსაზრისის შედეგია ცნობილი ბიბლიური შეგონება: „რად ყოფილი, იგივე ყოფადი, და რად ქმნადი, იგივე ქმნული. და არა რად არს ყოველივე ახალ მზეა ქუემე, რომელი აღმოიტევის და თქუას, აჰა ესე ახალ არს“ (ეკლესიასტი).

ნამდვილი სინთეზი, როგორც განვითარება არის განსხვავებულთა, დაპირისპირებულთა სინთეზი. განსხვავების განხილვას იგივეობისაგან იზოლირებულად, აბსოლუტურად, აბსტრაქტულად მიეყავართ სრულ გაურკვეველობამდე, პროგატორას აბსოლუტურ რელატივიზმამდე, კრატისებურ აბსურდებამდე. „კრატული მხოლოდ „თითს ანძრევდა“ ყველაფერზე საპასუხოდ, აღნიშნავდა რა, რომ ყველაფერი მოძრაობს, არაფრის თქმა არაფერზე არ შეიძლებაო“¹. ვ. ი. ლენინი ამას უწოდებს „უარყოფით დასკვნას დიალექტიკიდან“². ცალმხრივობაშია მეტაფიზიკისა და მექანისტურა მატერიალიზმის გნოსეოლოგიური ფესვებიც.

§ 2. DETERMINATIO EST HEGATIO

ამ ფორმულის გვერდის ავლა გაუმართლებელი იქნებოდა. ჩვენ აქ ვცდილობთ იმ აზრის ახსნას, რომელიც ნამდვილად უნდა იგულისხმებოდეს მასში. მაგრამ, სანამ არსებითად შევეხებოდეთ მის შინაარსს, საჭიროდ მიგვაჩნია (თვით შინაარსის სწორად გარკვევისათვის) შევეხოთ სიტყვის „determinatio“-ს მნიშვნელობას ამ ფორმულაში.

ეს გამოთქმა სპინოზას ეკუთვნის და იგი მოტანილი აქვს თავის წერილში იარის იელესისადმი³. ამავე საკითხს სპინოზა ეხება „ეთიკის“ მეორე თეორემაში⁴. ორთავეგან „determinatio“ თარგმნილია, როგორც შემოსაზღვრა (ограничение). მართლაც, თუ კონტექსტებში დავაკვირდებით სპინოზა ამ ტერმინში სწორად შემოსაზღვრას გულისხმობს.

სპინოზა წერს: მატერიას, განხილულს ზოგადად, არ შეიძლება ჰქონდეს ფიგურა, რომ ფიგურა აქვს სასრულ და შემოსაზღვრულ სხეულებს, ვინაიდან ფიგურის აღქმა ნიშნავს შემოსაზღვრული საგნისა და იმის აღქმას, თუ რანაირადაა იგი შემოსაზღვრული. მაშასადამე, ეს შემოსაზღვრა საგანს არ მიეკუთვნება მისი არსის გამო.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 356.

² იქვე, გვ. 355.

³ Б. Спиноза, Избранные произведения, М., 1957, т. II, стр. 568.

⁴ იხ. დასახელებული გამოცემის I ტომი, გვ. 565.

პირიქით. ესაა ამ საგნის არარსი. რადგან ფიგურა სხვა არაფერია, თუ არა შემოსაზღვრული. ხოლო შემოსაზღვრა უარყოფაა (*determinatio negatio est*). მაშასადამე, როგორც ითქვა, იგი სხვა არაფერია თუ არა უარყოფა¹.

ან კიდევ: სუბსტანცია ან სასრული უნდა იყოს, ან უსასრულო, მაგრამ იგი არ შეიძლება სასრული იყოს, ვინაიდან ამ შემთხვევაში იგი უნდა შემოისაზღვროს იმავე ბუნების სხვა სუბსტანციით. მაშინ კი იარსებებდა ორი სუბსტანცია ერთი და იგივე ატრიბუტებით. რაც შეუძლებელია. მაშასადამე, სუბსტანცია არსებობს როგორც უსასრულო. ვინაიდან სასრული არსი ფაქტურად არის უარყოფა. ხოლო უსასრულო არის რაიმე ბუნების არსებობის აბსოლუტური დადგენა. ამიტომ ყოველი სუბსტანცია უსასრულოა².

ამრიგად. სპინოზას ეს ფორმულა უკავშირდება მატერიის, როგორც სუბსტანციის უსასრულობის, ვრცეული უსაზღვრობის (შემოსაზღვრეობის) დასაბუთებას.

ზემოთ მითითებული გამოცემის შენიშვნებში ვკითხულობთ:

„...სწორად ამ ადგილს (*determinatio est negatio*) თარგმნიან და განმარტავენ შემდეგნაირად: „ყოველგვარი განსაზღვრება უარყოფაა“. ანუ ესმის იგი ჰეგელსაც და ამგვარი განმარტებით მოიპოვა ამ გამოთქმამ ფართო აღიარება, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი განმარტება გაუგებრობის შედეგია“³. მართლაც, ჰეგელთან ვკითხულობთ: „განსაზღვრულობა არის უარყოფა, შაღებული როგორც მტკიცებითი რამ — ეს არის სწორედ სპინოზას დებულება: (ყოველგვარი განსაზღვრება არის უარყოფა)“⁴.

ამრიგად, ჰეგელი უმატებს სიტყვას „*omnis*“ და *determinatio*-ს თარგმნის როგორც განსაზღვრებას (*определение*). ამასთან დაკავშირებით ჰეგელის თხზულებათა X ტომის შენიშვნებში ვკითხულობთ: „გამოთქმა“ „*omnis determinatio est negatio*“ სპინოზასთან არსად არ გვხვდება... წერილის (მხედველობაშია წერილი იარის იელესისადმი — კ. გ) მთელი კონტექსტიდან; აგრეთვე სპინოზას სხვა თხზულებებთან შედარებისას ნათელი ხდება, რომ სიტყვა „*determinatio*“ ამ შემთხვევაში ნიშნავს არა „განსაზღვრებას“, არამედ „შემოსაზღვრას“⁵.

ფ. ენგელსი „ანტი-ლიუტინგში“ ხმარობს სიტყვებს „განსაზღვრ-

¹ იხ. დასახელებული გამოცემის II ტომი, გვ. 568.

² იქვე, ტ. I, გვ. 365.

³ იქვე, ტ. II, გვ. 704.

⁴ Гегель, Соч., т. V, стр. 106.

⁵ იქვე, გვ. 699.

რება“, „განმარტება“ („ყოველი განსაზღვრა, ანუ განმარტება ამავე დროს უარყოფაა“) ¹.

პროფესორი ს. წერეთელიც თავის ნაშრომებში ხმარობს გამოთქმებს — „განსაზღვრება“, „განსაზღვრულობა“ და სხვ.

მართალია, რომ სპინოზასთან „determinatio“ ნიშნავს შემოსაზღვრას, შემოფარგვლას, საზღვრის დადებას და ა. შ., მაგრამ მაშინ გასარკვევია შემოსაზღვრა რატომღა უარყოფა, რაც სპინოზას მიერ არც თუ მთლად გარკვეულადაა გამოთქმული. მისი აზრით, მატერია ზოგადი აზრით შემოუსაზღვრავია, ამიტომ არ არის უარყოფა; ე. ი. არ არსებობს რაიმე, რომელიც მას საზღვრავდეს ვრცელად. არაფერია მისი საზღვრების იქით. რასაც იგი თავისი შემოსაზღვრულობით უარყოფდეს, ხოლო შემოსაზღვრული ფიგურისათვის შემოსაზღვრა არის არა მისი არსის (რაც არის მატერია საერთოდ, როგორც საფუძველი, რომელიც უსაზღვროა და შემოუსაზღვრავი) კუთვნილება, არამედ მისი არარსის გამოხატულება ე. ი. გამოხატულება იმისა, რომ იგი სასრულია და, მაშასადამე, არამუდმივი, ცვალებადი და შეიძლება გადავიდეს სხვაში. სასრული არსი, როგორც შემოსაზღვრული, ფაქტიურად არის უარყოფა. რისი უარყოფა? როგორც თავისი თავის უარყოფა (როგორც სასრული და სხვაში გადამსვლელი), ასევე სხვისი უარყოფა, უარყოფა იმისა, რაც მის საზღვრებს გარეთ მდებარეობს.

ამრიგად, საქმე გვაქვს ვრცელ მიმართებებთან, ემპირიულ საგანთა მიმართებებთან („მატერია უსაზღვრო“, „ფიგურა შემოსაზღვრული“ და ა. შ.). ამ გარემოების გამო ზიგვარტი წერს: „...სპინოზას დებულებას „determinatio est negatio“ იყენებდნენ იმ შეხედულებების გამოსახატავად, თითქოს უარყოფა აუცილებელია გადატანილ იქნეს საგანთა თვით არსებობაში... ტრენდლენბურგმა სამართლიანად მიუთითა თომას კამპანელაზე, როგორც ყველაზე თავდადებულ მომხრეზე იმ თვალსაზრისისა, რომლის მიხედვით ყოველი ნივთი შედგება ჰოსა და არასაგან, არსისა და არარსისაგან, რომ განსაზღვრული რამ ასეთია სწორედ იმის გამო, რომ იგი არ არის რაღაც სხვა. ადამიანი არის — ეს მისი მტკიცებაა, მაგრამ იგი ადამიანად ითვლება იმის წყალობით, რომ იგი არ არის ქვა, არ არის ლომი, არ არის ვირი. მაშასადამე, ერთდროულად იგი არის არსიც და არარსიც. იმავე აზრით გამოთქვამს სპინოზა თავის determinatio est negatio-ს. ფიგურა დეტერმინიზებულია, ვინაიდან იგი არ არის დანარჩენი სივრცე და მაშასადამე იგი შეიძლება მოაზრებულ იქნეს

¹ ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დეურინგი, გვ. 168.

უარყოფის შემწეობით როგორც შემოსაზღვრა, ე. ი. როგორც უსასრულობის უარყოფა¹. დაახლოებით ასეთივე ახსნა აქვს მოცემული ა. ტრენდელენბურგსაც². ზიგვარტის ციტატის იმ ნაწილში, სადაც იგი ვადმოსცემს ტრენდელენბურგისა და კამპანელას შეხედულებებს „determinatio“ ვაგებულია როგორც ლოგიკური განსაზღვრება. რაიმეს განსაზღვრება ნიშნავს იმას, რომ ეს რაიმე არ არის სხვა, ხოლო როცა დასასრულს თვით სპინოზას აზრს ვადმოგვეცემს, ისევე სიტყვა „შემოსაზღვრას“ ხმარობს, რომ შემოსაზღვრა უარყოფა იმდენად, რამდენადაც იგი სასრულისაგან უსასრულოს უარყოფაა.

სპინოზას ფორმულა შეიძლება მივეყენოთ როგორც რეალურ საგანთა სფეროებს, ასევე აზრის, ლოგიკის სფეროსაც. თუ დეტერმინირება არსის სფეროში შემოსაზღვრას (ვრცეული ზღვარის დადებას) ნიშნავს, აზრის სფეროშიც იგივე მნიშვნელობით, ტერმინის დადგენის, მისი განსაზღვრების მნიშვნელობით შეიძლება ვიხმაროთ. ამდენად, ჰეგელს სპინოზას ფორმულისადმი ერთგვარი თავისუფალი მიდგომით არ ვაუყვალბებია იგი. ჰეგელმა იგი ლოგიკაშიც გამოიყენა და საკმაოდ დამაჯერებლად.

ჩვენ ქვემოთ ვადმოვეცემთ სპინოზას ფორმულის ლოგიკური აზრის საკუთარ ვაგებას დიალექტიკური მიდგომის საფუძველზე.

ქართული სიტყვა „განსაზღვრება“ ვამოხატავს რაიმეს საზღვრის დადგენას, რაიმეს შემოსაზღვრას, ხოლო რაიმე მაშინა ვარკვეული, თუ მას აქვს საზღვარი (საზღვრები), თუ იგი შემოსაზღვრულია. ეს ითქმის როგორც მატერიალურ საგნებზე, ასევე აზროვნების მოვლენაზე. ყოველ მატერიალურ ნივთს ვარესამყაროსაგან (მსგავს თუ არამსგავს ნივთთაგან) ჩვენ პირველ რიგში ვამოვეყოფთ მისი ვარეგანი შემოწერილობის, ვარეგანი ფორმის ვამო. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი განსაზღვრულია სივრცით, ე. ი. ვრცეულია. ხოლო ამ თავისი განსაზღვრულობით იგი უარყოფს სხვას, ყოველივე დანარჩენს. სხვა ნივთები და საგნები არის ის, რაც არ არის ამ მოცემული ნივთის განსაზღვრულობაში (ფარგლებში).

რაც შეეხება ლოგიკურ განსაზღვრებას, მასში ვამოთქმულია იგივეობა-განსხვავება: იგივეობა — განსასაზღვრ-განმსაზღვრელისა და განსხვავება — განსაზღვრულ-განუსაზღვრელისა (ანუ განსაზ-

¹ X. Зигварт, Логика, СПб, 1908, т. I, стр. 144. ჩვენ ამ შემთხვევაში ვვიანტირებთ ის, თუ როგორ ესმის ზიგვარტს სპინოზას დებულების შინაარსი და არა ზიგვარტის აზრი მასზე, რასაც ვემდეგ ვევეხებით.

² იხ. მისი «Логические исследования», М., 1868, в. II, стр. 157.

დვრების გარეთ დარჩენილია). პლატონი შენიშნავს „თე-
ეთეტში“: „განსაზღვრება არის იმის აღნიშვნა, რომ შენ განსხვავ-
დები სხვებისაგან“¹.

განსაზღვრელი და განმსაზღვრელი იგივეობრივი არიან. მაგრამ
ვანსაზღვრება კონკრეტული იგივეობაა და არა აბსტრაქტული. რამ-
დენადაც რაიმეს განსაზღვრება სხვით ხდება და არა ისევე ამ რაიმე-
თი. აქ იგივეობის ფორმულაა $A = A$, მაგრამ იმ განსხვავებით,
რომ ტოლობის მარჯვენა მხარეს გამოთქმულია აზრი, რომელიც
ადგენს ტოლობის მარცხენა მხარეს აღნიშნულ ტერმინს. მაგალო-
თად, ადამიანი იარაღების მკეთებელი ცხოველია. მაშინ გან-
საზღვრება გამოთქვამს არა აბსტრაქტულ იგივეობას — ადამიანი
არის ადამიანი, არამედ კონკრეტულ იგივეობას.

განმსაზღვრელით განსაზღვრელის დადგენა
გაშუალებულად სხვისი უარყოფაა. ესაა დად-
გენით უარყოფა, რაც განსაზღვრების აუცილებელი მომენ-
ტია. ეს უარყოფა აქ იგულისხმება. იგი აქ ქმნის, თუ შეიძლება ასე
ითქვას, ერთგვარ კონტრასტს. ეს კონტრასტი, ანუ დად-
გენა — უარყოფის ეს დიალექტიკური ერთიანო-
ბა ქმნის განსაზღვრებას. განსაზღვრებაში დადგენილი
უარყოფს, მაგრამ დადგენილი მის მიერ უარყოფილითაც გამოდის
დადგენილი (გაშუალებულად). დასადგენის უშუალოდ
დამდგენია მისი იგივეობრივი განმსაზღვრე-
ლი, ხოლო შუალობითად დამდგენი მის გან-
უარყოფილი. ეს უშუალო და შუალობითი უერთმანეთოდ არ
არიან. მაშ, განსაზღვრება არის უშუალობა-შუალობითობის დია-
ლექტიკური ერთიანობა, რომელიც არ არის უარყოფის გარეშე.
„უარყოფა, — წერს ბ. ბიარნასონი, — არის შემოსაზღვრა, რომელიც
ამავე დროს არის იმის მტკიცება, რაც იმის გარეთ რჩება. მტკიცება
არის რაღაც შემოსაზღვრული მთლიანის განსაზღვრება, ე. ი. იმის
უარყოფა, რაც ამ მთლიანის საზღვრებს გარეთ იმყოფება“².

მაგრამ განსაზღვრება არის უარყოფა არა მარტო იმიტომ, რომ
მასში იგულისხმება სხვისი უარყოფა, ე. ი. იმის უარყოფა, რაც
დარჩა განსაზღვრების გარეშე, განსაზღვრება არის უარყოფა თვით
განსაზღვრულ-დადგენილისა, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, როცა ის,
რაც უარყოფილია, შედის იმაში, რაც ღვინდება. სხვანაირად რომ
ვთქვათ: როცა რაიმე უარყოფს სწორედ იმას, რაც მისი დამდგენია,

¹ П л а т о н, *Тетет*, М.-Л., 1936, стр. 165.

² Б. Бьярнасон, «Старые и новые проблемы», М., 1960, стр. 21.

მაშინ და მხოლოდ მაშინ, დადგენა არის არა დადგენის გარეშე დაჩენილის, ანუ საერთოდ სხვისი უარყოფა, არამედ იმ სხვისა, რომელიც მასშია, თავისი სხვის უარყოფა. მხოლოდ აბსოლუტურის დადგენა არის მისი უარყოფა როგორც შეუქლებლობა (ასეთა დადგენისა) და გადასვლა (აუცილებლობით) მის საპირისპიროში, შეფარდებითის დადგენა.

ამრიგად, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ლოგიკური განსაზღვრება და დაპირისპირებულთა ერთიანობაში მოქმედი ურთიერთუარყოფა — ურთიერთდადგენა.

§ 8. უარყოფა მატერიალისტური დიალექტიკის ძირითად კანონებში

ამ პარაგრაფში შევეხებით გადასვლას (მოხსნა-შენახვას), როგორც რაოდენობრიობის თვისებრიობაში გადასვლის კანონის არსებით მომენტს, დაპირისპირებას, წინააღმდეგობას, დაპირისპირებულთა ერთიანობას და ბრძოლას, როგორც მატერიალისტური დიალექტიკის ბირთვს, და რომლის შინაარსითაც გამსჭვალულია მატერიალისტური დიალექტიკის ყველა ძირითადი კანონი. აქ სპეციალურად არ შევეხებით უარყოფის უარყოფის კანონს, რადგან მასზე შემდეგ გვექნება მსჯელობა დიალექტიკური უარყოფისა და უარყოფის უარყოფის კანონის მიმართების ასპექტში. გარდა ამისა, უარყოფის უარყოფის საკითხს ნაშრომის ყველა ნაწილში ვაშუქებთ მეტნაკლებად.

შინაგანი უარყოფის ფაქტორი მოქმედებს განვითარებაში, თუ განვითარებას გავიგებთ როგორც ერთი მდგომარეობიდან სხვა, ახალ მდგომარეობაში, რაოდენობრიობიდან თვისებრიობაში გადასვლას.

თუ განსხვავება უარყოფაა, მითუმეტეს უარყოფის შემცველია დაპირისპირება როგორც დასრულებული განსხვავება; დაპირისპირება, წინააღმდეგობა და დაპირისპირებულთა ერთიანობა არ არსებობს შინაგანი უარყოფის გარეშე.

გადასვლა. ყოველი განვითარება არის გადასვლა, საგნის, მოვლენის, გადასვლა ერთი მდგომარეობიდან, სტადიიდან, საფეხურიდან, სხვა ახალ მდგომარეობაზე, სტადიაზე და ა. შ. ერთი ცნების (კატეგორიისა) — მეორეში.

განვითარების შესახებ დიალექტიკურ კონცეფციაში დაძლეულია ერთ სიბრტყეზე განვითარების ევოლუციური თეორიის ცალმხრივობა და ნაკლოვანება. უზოგადესი აზრით ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების რთული გზა აღმავალ და

დადმავალ მომენტთა ერთიანობისაგან შედგება. „...მსოფლიო ისტორიის წარმოდგენა ისე, — წერს ვ. ი. ლენინი, — რომ იგი მიიშრება წინ მშვიდად და წესიერად, არ აკეთებს ზოგჯერ უზარმაზარ ნახტომებს უკან, არადიალექტიკურია, არამეცნიერული და თეორიულად უმართებულო“¹. განვითარების საერთო პროცესისათვის დამახასიათებელია ასეთი ზიგზაგები. ამ უკანასკნელი შემთხვევის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: იგი მომენტია განვითარების საერთო პროცესისა, მაგრამ წინა საფეხურთან მიმართებაში ყოველი ასეთი მომენტი უკანსვლაა, ე. ი. განვითარება პროცესია აღმავალი და დადმავალი მომენტებით. ჯერ კიდევ პლატონმა შესანიშნავად შენიშნა „ფედონში“: „...განვითარება რომ სწორი ხაზით მიემართებოდეს მხოლოდ ერთი მიმართულებით და არასოდეს არ ბრუნდებოდეს უკან საპირისპირო მიმართულებით, მაშინ ბოლოს და ბოლოს ყველაფერი ერთ სახეს, ერთ და იგივე თვისებას შეიძენდა და საერთოდ აღარაფერი აღარ წარმოიშობოდა“².

განვითარება, როგორც ახლის წარმოშობა არის გადასვლა ძველიდან ახალზე, დაბალი საფეხურიდან მაღალ საფეხურზე, აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე, მარტივიდან რთულზე, ნაკლებ სრულყოფილიდან უფრო სრულყოფილზე, რაც ზორციელდება შინაგანი უარყოფის გზით.

თუ ცალმხრივად ვიმსჯელებთ, მაშინ უნდა გვეთქვა — სინამდვილეში ყველაფერი ერთმანეთისაკენ მიისწრაფვის, მაგრამ მაშინ, როგორც ანაქსაგორა ამბობს, ყველა საგანი ერთად შეერთდებოდა. ყოველივე არა მარტო ისწრაფვის ერთმანეთისაკენ, არამედ განელტვის კიდევ ერთმანეთს. განსხვავებულთა ერთიანობა, მრავალი სხვადასხვა მიმართულების შეჯახება და გადაჯაჭვა გვაძლევს იმ პროცესს, რომელსაც განვითარებას ვუწოდებთ, რომელშიც იბადება ახალი.

ამასთან, როგორც ითქვა, ეს პროცესი, განხილული მისი უზოგადესი სახით, არ შეიძლება იყოს სწორხაზობრივი³, ვინაიდან სწორხაზობრიობა გულისხმობს საწყისს და დასასრულს. სწორ ხაზს არა აქვს საწყისი და დასასრული და ამავე დროს აქვს კიდევ. „წრეხაზი არის თავის შიგნით დასრულებული უსასრულობა“, — წერს ჰეგე-

¹ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 22, გვ. 392.

² П л а т о н, диалог, М., 1965, стр. 347.

³ განვითარების სწორხაზობრიობის თეორიის მომხრენი იყვნენ მაგალითად, ლამარკი და სენტ-ილერი (ბუნების მოკლენებში), ჰელვეციუსი, კონდორსიე, დიდრო (საზოგადოებრივ განვითარებაში).

ლი¹. დაახლოებით ამგვარია ის, რასაც ჩვენ სასრულ უსასრულობას ვუწოდებთ².

სამყაროს სასრულად აქცევს მისთვის რაღაც ცენტრის დადგენა. ჯ. ბრუნო შენიშნავდა: „მთელი სამყარო მთლიანად ცენტრია, ანუ სამყაროს ცენტრი ყველგანაა“³. სამყარო უსასრულოა, უსასრულოს არ შეიძლება ცენტრი ჰქონდეს. აქ ნათქვამია არა მარტო ის, რომ სამყაროს არა აქვს ცენტრი, არამედ ისიც, რომ მისი ცენტრი ყველგანაა. ეს უკვე დინამიურ მიდგომაზე მიუთითებს.

უსასრულო სწორხაზობრივი მოძრაობის დაშვება გვაიძულებდა გვეფიქრა იმ ძალებზე, იმ ენერგიაზე, რომელთაც უნდა უზარუნველყვოთ ამგვარი მოძრაობის შესაძლებლობა. ასეთი მოძრაობისას ენერგია მხოლოდ ერთი მიმართულებით უნდა გადაცემულიყო, ე. ი. უნდა მომხდარყო მისი მხოლოდ ხარჯვა და არა აღდგენა, ამიტომ იგი სადღაც ამოიწურებოდა. ამასთანაა დაკავშირებული ენტროპიის იდეალიზტური, მექანიკური გაგება და მისგან გამომდინარე სამყაროს „სითბური კვდომის“ თეორია. მასისა და ენერგიის შენახვისა და გარდაქმნის კანონმა დიდი ხანია დაამტკიცა მათი უსაფუძვლობა. არა მარტო რაოდენობრიობა გადადის თვისებრიობაში, არამედ თვისებრიობაც გადადის რაოდენობრიობაში. მარტოდენ უარყოფისას ოდესღაც ყველაფერი დაიღუპებოდა და გაქრებოდა. ასევე, მხოლოდ ცალმხრივი წარმოშობის, მარტოდენ სიცოცხლის გაჩენის პირობებში მოძრაობა თვითონვე დალუპავდა, გააუქმებდა თავის თავს, თავისივე ცალმხრივობის გამო.

რაიმე ყოველი მიმართულებით განიცდის გაშლას და ამავე დროს — ზემოქმედებასაც ყოველი მიმართულებიდან. ასე რომ ყოველივე მოქმედებს (სხვაზე) და განიცდის უკუზემოქმედებას (სხვისაგან), მაგრამ უკუმოქმედება არის რაიმეს მოქმედებას გაშუალებული შედეგი. რაიმე იმდენად განიცდის სხვისაგან მოქმედებას, რამდენადაც ისიც ზემოქმედებს სხვაზე და ა. შ. სინამდვილეში ენერგია ყოველი მიმართულებით იხარჯება, ასევე ხდება ენერგიის მიღებაც. „ცოცხალი ორგანიზმები წარმოადგენენ ღია სისტემებს, ე. ი. ისეთს, რომელთაც გარემომცველ პირობებთან

¹ Гегель, Соч., т. XI, стр. 290.

² ამგვარ გაგებას, რა თქმა უნდა, არაფერი აქვს საერთო ჭამბატისტ ვიკოს წრებრუნვების თეორიასთან.

³ Д ж. Б р у н о, Диалогы, стр. 276.

ურთიერთზემოქმედების უნარი აქვთ, ახდენენ მათთან ენერჯის გაცვლას¹.

ყოველივე მიღას წინ და უბრუნდება კიდევ თავის თავს. რა-მე არა მარტო ანიჭებს რასმე სიცოცხლეს, არამედ იძენს კიდევ მას; ყოველი ინდივიდუალური „ეძებს“ თავის სხვას. რომელსაც გადასცემს თავის პოტენციალს და. რომლისგანაც იღებს ანალოგიურ მუხტს. ეს დამოკიდებულია შემთხვევით გარემოებებზეც და ინდივიდუალური მოვლენის აქტიურობაზეც. რაც ამას ვერ ახერხებს, იგი იღუპება. კავშირი საჭიროებს უწყუკავშირს.

განვითარება გარკვეული აზრით არის შესაძლო კომბინაციებას სინამდვილედ გადაქცევა. მათი განხორციელება. კომბინაციების შესაძლებლობა განვითარების კვალობაზე თანდათან იზრდება². ყოველი მრუდხაზობრივი მოძრაობა აჩენს სხვა ახალი მიმართულებით სვლის დაწყების შესაძლებლობას. ამიტომ განვითარება არის არა წრეხაზზე ტრიალი და ერთი და იგივეს განმეორება, არამედ იგი გულისხმობს უამრავ ამგვარ წრეხაზს, რომლებიც ერთმანეთიდან გამოდიან და ერთმანეთს უერთდებიან.

რეალურ სინამდვილეში ყოველივე არის ქმნადობის ამ უსასრულო პროცესის სასრული გამოვლენა. მაგრამ როგორც ასეთი. იგი არასრულყოფილი და ნაკლოვანია, ამიტომ ისევე როგორც იგი წარმოიშვა, გაჩნდა და ამასთან სხვისაგან (მისდაგვარის ან არამისდაგვარისაგან). ასევე მისგან უნდა წარმოიშვას სხვა (მისდაგვარი ან არამისდაგვარი). ე. ი. უნდა მოხდეს მისი უარყოფა ორი გარემოების გამო: 1. იგი ბოლოს და ბოლოს უარიყოფა როგორც ქმნადობის მონაწილე (წარმოიშვა. ე. ი. დაასრულებს კიდევ არსებობას), „რადგანაც არსი ყოველგვარი. რაც ჩნდება ქვეყნად ღირსია იმის, რომ არ ასცდეს განადგურება³; 2. მაგრამ ქმნადობის რთულ პროცესში შეიძლება მასში ჩაისახოს რაღაც ახლის შესაძლებლობა, რაც იმის მაუწყებელია. რომ დადგა მისი აღსასრული. მან ადგილი უნდა დაუთმოს ახალს, მის უარყოფელს, რომელიც შინაგანი იმპულსით იკაფავს გზას (ანდა აღამიანები, რომლებიც ამჩნევენ ამ ტენდენციას, ხელს უწყობენ ან უშლიან მის გამოვლენას).

„კაპიტალისტური წარმოება ბუნებრივი პროცესის აუცილებ-

¹ В. Энгельгардт, Проблема жизни в современном естествознании, «Коммунист», 1969, № 3, стр. 85.

² ჰადრაკის თამაშისას შესაძლებელი ყოფილა 10247 კომბინაციური ვარიანტის გათამაშება. გასაგები უნდა იყოს, რომ ცვალებად სინამდვილეში ეს შესაძლებლობანი ამოუწურავი იქნება.

³ გ ო ე თ ე. „ფაუსტი“.

ლობით წარმოშობს თავის საკუთარ უარყოფას“ — წერს კ. მარქსი¹. ამავე საკითხთან დაკავშირებით ფ. ენგელსი შენიშნავს: „ცივილიზაციის ყოველი წინსვლა უთანასწორობის ახალ წინსვლასაც მოასწავებს. ყველა დაწესებულება, რომელსაც ცივილიზაციასთან ერთად წარმოშობილი საზოგადოება ქმნის, თავისი პირვანდელი მიზნის წინააღმდეგობად იქცევა“².

ანალოგიური მდგომარეობის გამომქადაგებებისა დგება საკითხი რაიმეს ახლით შეცვლის შესახებ. რაიმეს ნაკლი, უარყოფითი მხარე უნდა გამომქადაგდეს, შეცნობილ იქნას, რომ დაიწვას საკითხი უკეთესის შესახებ, ხოლო რაიმე, ამქადაგებს რა თავის ნაკლს. ამით ამქადაგებს თავისი უარყოფის აუცილებლობას და აჩენს მის უარყოფელსაც, აჩენს განვითარების ტენდენციას.

გარკვეულ რაოდენობრივ ცვლილებათა კვალობაზე თვისებრივი საზღვრის გადალახვა ნიშნავს ახალი თვისებრიობის გაჩენას, მის დასაწყისს და ძველის უარყოფას³. ვ. ი. ლენინი გვასწავლის: „მარქსისტული დიალექტიკის ძირითადი დებულება ისაა, რომ ბუნებასა და საზოგადოებაში ყველა ზღვარი პირობითი და მოძრავია, რომ არ არსებობს არც ერთი მოვლენა, რომელიც არ შეიძლებოდეს, განსაზღვრულ პირობებში, თავის დაპირისპირებულობად გადაიქცეს“⁴. საზღვარი წინააღმდეგობის შემცველია. იგი, ერთის მხრივ, რაიმეს გარკვეულობის გამოხატულებაა, მეორეს მხრივ, ამ რაიმეს უარყოფაა. მაგრამ ეს უარყოფა დადებითია, რამდენადაც რაიმედან გადაყვარათ სხვაზე, როგორც ამ რაიმედან შინაგანად გამომდინარეზე. ამიტომ რაიმე არის ეს და სხვა. რაიმე ამ სხვათ ანგრევს თავის საკუთარ საზღვარს და მოგვევლინება მისი (სხვის) სახით.

რაიმე შეიძლება გადავიდეს თავის სხვაში, როგორც საპირისპიროში ან არასაპირისპიროში, მაგრამ მხოლოდ თავის სხვაში; რაიმე ვერ იქცევა საერთოდ სხვად, ყოველ შემთხვევით სხვად. იგი მხოლოდ იმაში გადავა, რაც მასში ისახებოდა, რაც მასში გაჩნდა როგორც ახალი ტენდენცია. ლაპარაკია არა მარტო იმაზე, რომ ქერის მარცვლიდან მხოლოდ ქერის მცენარე შეიძლება მივიღოთ; ეს

¹ კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. I, გვ. 957.

² ფ. ენგელსი. „ანტი-დუორინგი“, გვ. 166.

³ მშენივრად გამოთქვამს ლუკრეციუსი: „თუკი რაიმე ცვლილების დროს საზღვარს გადასცდა, უმაღლე სიკვდილს ნიშნავს იმის, რაც იყო წინათ“ ან კიდევ „რადგან ყოველი, რაც იცვლება და საზღვარს ტოვებს, დაუყოვნებლივ სიკვდილს ნიშნავს იმის, რაც იყო“ (ლუკრეციუსი, „საგანთა ბუნებისათვის“, თბ., 1958, წ. II, სტრ. 753-754, წ. III, სტრ. 519-520.

⁴ ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 22, გვ. 390.

ასეა. მაგრამ ერთი და იგივეს განმეორებით ახალი არ წარმოიშობოდა. საგანთა და მოვლენათა აუცილებელი და შემთხვევითი გადაჯვარედინებისას მათში ისახება სრულიად ახალი, თვისებრივად ახალი ტენდენციები. ასე შეიძლებოდა გაჩენილიყო ხორბლის ახალ-ახალი სახეობანი, ასე შეიძლებოდა უპარტიკეი ორგანიზმებთან მიგვედო ორგანული სამყაროს მთელი დღევანდელი მრავალფეროვნება. ბიოლოგიურ მეცნიერებათა მიღწევები ადასტურებს ამათ. დღეს ისიც გარკვეულია, რომ სიცოცხლის მოლეკულურ უბნებზე ხდება ინფორმაციის, გენეტიკური ინფორმაციის გადაცემა. ეს დადასტურდა მატრიცული სინთეზის პრინციპის აღმოჩენით. ახალ მოლეკულათა სინთეზირება ხდება იმ გეგმის, პროგრამის ზუსტად შესატყვისობით, რაც მოცემული იყო წინამორბედ მოლეკულაში. „ექვს არ იწვევს, რომ აქ ხდება არა ავტონომიურად ფორმირებად დონეთა ცვლა, არამედ განვითარება, რომელიც მიემართება მარტივიდან რთულიაკენ, ე. ი. იქმნება სტრუქტურათა გარკვეული იერარქია, ამასთან მას აქვს თავისებური ხასიათი: უმადლესი ფორმა კი არ კარნახობს უმაბლესს, არამედ დაბალი დონის სტრუქტურა შეიცავს ელემენტებს, რომლებიც განსაზღვრავენ უფრო მაღალი ორგანიზაციის ნიშნებს“¹. ამასთან ეს პრინციპი თავისთავად უნივერსალურია. არა მარტო მოლეკულათა, არამედ უფრო რთულ ელემენტთა სინთეზური კომბინაციები განაპირობებს უფრო რთული და განვითარებული დონეების წარმოქმნას სინამდვილის ყველა სფეროში. ეს გარემოება სამყაროს მატერიალურ ერთიანობაზე, მოძრაობისა და ქმნადობის შინაგან მიზეზებსა და წყაროებზე ნივთიანობებს. ასეა აზრის სფეროშიც. ჩვენ ეს ვცადეთ გვეჩვენებინა პარაგრაფში აზრის განვითარების შესახებ.

ძველი ძალაში რჩება მანამ, სანამ არ ჩნდება ახლის. როგორც მისი უარყოფელის განხორციელების შესაძლებლობა. ნგრევა მათში შეიძლება, როცა მოფიქრებულია რა ააშენო უკეთესი და უფრო სრულყოფილი. ასეთი ნგრევა განვითარების მომენტიცა, თუ ძველი არ დაინგრა ახალი ვერ დაინერგება. ასეა საზოგადოებრივ განვითარებაში. ბუნებაში კი ეს პროცესი არსებითად ადამიანების ჩაურევლად მიმდინარეობს. როცა წიწილა ჩნდება, კვერცხი უარყოფა. კვერცხის უარყოფა სხვანაირადაც (მექანიკურადაც) შეიძლებოდა, თუ რაოდენობრივ პროცესებს არ დავაციდით ნელნელა ბუნებრივად მომწიფებულებიყვნენ და შოემზადებიანთ ახალი თვი-

¹ В. Энгельгардт, Проблема жизни в современном естествознании, «Коммунист», 1969, № 3, стр. 93.

სებრიობის გაჩენა, მაგრამ მაშინ განვითარება შეწყდებოდა. ინტელექტუალური განვითარების პროცესში ადამიანს ბევრი რამ ავიწყდება რაოდენობრივი თვალსაზრისით (ხდება უნებლიე უარყოფა), სამაგიეროდ რაოდენობრიობა ნელ-ნელა გადადის თვისებრიობაში, რაც იმით გამოიხატება რომ ახლა უკეთ გვეპის ის, რაც ადრე გაუგებარი იყო. მეცნიერი, რომელიც ხანგრძლივ პრაქტიკულ-ექსპერიმენტულ დაკვირვებებს აწარმოებს, კვლევის დასასრულს მის შედეგებს აყალიბებს რაიმე პრინციპის ან კანონის სახით, რომელშიც, როგორც ახალ თვისებრიობაში მოხსნილ-შემონახულია მთელი წინარე კვლევის პროცესი, როგორც რაოდენობრიობის თანდათან დაგროვება, რაც განზოგადოების საშუალებას მხოლოდ მაშინ იძლევა, როცა პროცესი საკმარის მომწიფდება და გამოჩნდება მისი უარყოფის რეალური შესაძლებლობანი.

განვითარება იმის აღმოჩენა, რომ საპირისპირო გადადის თავის საპირისპიროში, სხვანაირად, საპირისპირო თავის ნამდვილ ბუნებას გამოაჩენს მასში მისივე საპირისპიროს, როგორც უარყოფელის გამომქლავებით.

განვითარება უწყვეტი პროცესია, რაოდენობრივი ცვლილებების თანდათან ზრდა, იწვევს რა ძველი თვისებრიობის შესაძლებლობათა თანდათან ამოწურვას, როგორც ითქვა, არღვევს ძველი თვისებრიობის საზღვრებს, ხდება გადასვლა ძველიდან ახალზე. მაგრამ ახალი, როგორც ძველის უარყოფა, უკვე ძველშივე მწიფდება. მზადდება.

ახალ თვისებრიობაში ან მთლიანადაა მოხსნილ-შენახული ძველი, ანდა შენახულია ძველის დადებითი ელემენტები: „... ძველის ნაშთებს ახალში ჩვენ ყოველ ნაბიჯზე გვიჩვენებს ცხოვრება, ბუნებაშიც და საზოგადოებაშიც“¹. რაოდენობრიობის თვისებრიობაში გადასვლა, განვითარება, როგორც გადასვლა ერთი მდგომარეობისა მეორეში, ზორციელდება წინააღმდეგობის გზით, შინაგანი წინააღმდეგობის შემცველია, ახალი, როგორც ტენდენცია. გზას იკაფავს, ძველი აფერხებს მას. მათი დაპირისპირება განვითარებურ პროცესში ზოგჯერ აფეთქებამდე მიდის, რაც ყველაზე რელიეფურ გამოხატულებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში პოვებს. კ. მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ყოველგვარი განვითარება, მიუხედავად მისი შინაარსისა, შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც განვითარების განსხვავებულ საფეხურთა რიგი, რომლებიც ერთმანეთთან ისე

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 587.

არიან დაკავშირებული, რომ ერთი მეორეს უარყოფაა.¹ გადასვლაში კავშირის მომენტია უარყოფა. ძველი იხსნება. მოხსნილი ეს არის უარყოფილი. მაგრამ იგი ამავე დროს არის გადამცემა, ის საფუძველი, რომელსაც ეფუძნება უარყოფელი, რომლისგანაც უარყოფელი მემკვიდრეობით იღებს გარკვეულ ნიშნებს. ამრიგად, გადასვლისას ხდება არა აბსოლუტური, არამედ შეფარდებითი, დიალექტიკური უარყოფა წინა საფეხურისა, უარსაყოფისა.

ერთი საფეხურიდან, ერთი დონიდან მეორეზე მემკვიდრეობით ნიშანთა, მომენტთა, ელემენტთა გადაცემა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მათ სრულ შენახვას. განვითარებაში მემკვიდრეობა ეს არის უწყვეტობა, კავშირის უწყვეტობა. მემკვიდრეობა არის ის საფუძველი, რომელზეც ვითარდება ახალი დონე. ამრიგად, ახალი დონე არ არის მხოლოდ მემკვიდრეობით მიღებული. როგორც უკვე აღვნიშნეთ მოლეკულური სტრუქტურის მიმართ. წინამორბედი მოლეკულა „უკარნახებს“ მომდევნოს მის სტრუქტურას ახალ სინთეზში. ასევე განვითარების ყოველ კონკრეტულ დონეზე წინა საფეხურის მიერ მომდევნოსათვის მემკვიდრეობით გადაცემული ელემენტები განსაზღვრავს ახალი სტრუქტურის ხასიათს. მაგრამ მხოლოდ განსაზღვრავს. მემკვიდრეობით გადაცემული ნიშნები, ელემენტები ახალ დონეზე ვითარდება. მათი განვითარება შეუძლებელია ძველ დონეზე და ძველ სტრუქტურაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განვითარებული, განვითარების ახალი საფეხური ეს არის ძველ სტრუქტურაში შესაძლებლობის სახით გამოვლენილი ელემენტების გადაქცევა სინამდვილედ ან ამ ელემენტებისათვის ახალი ასპარეზის მიცემა ახალ სიტუაციაში, ახალ სტრუქტურაში.

მემკვიდრეობით გადაცემულის განვითარებას განსაზღვრავს არა მარტო შინაგანი ფაქტორები, არამედ გარეგანიც — გარემო პირობები, რომელშიც ყალიბდება ახალი სტრუქტურა. ამის გარეშე სრულად ვერ განვითარდება მემკვიდრეობითი ნიშნები. ეს ორი ფაქტორი განსაზღვრავს შემონახულის განვითარებას.

მოხსნა-შენახვა სრულად ვლინდება კატეგორიებში. საპირისპიროში მოხსნილ-შემონახულია მისი საპირისპირო.

განვითარების პროცესში უარყოფელი უარსაყოფშივე ისახება და ვითარდება. ეს ასეა რეალურ სინამდვილეში, ასეა ლოგიკურშიც.

„ახალში — სხვაში აუცილებელი გადასვლა იგივეა, რაც შინაგანი აუცილებელი კავშირი ერთისა მეორესთან“². რაიმეს გადასვ-

¹ К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. IV, стр. 296.

² ს. წერეთელი, დიალექტიკური ლოგიკა, გვ. 166.

ლა მის საპირისპიროში არის განვითარება. „...განვითარება. — წერს ვ. ი. ლენინი, — მართლაც დიალექტიკური გზით, წინააღმდეგობათა გზით მიდის: უმცირესობა უმრავლესობად ხდება, უმრავლესობა — უმცირესობად; თვითეული მხარე გადადის თავდაცვიდან თავდასხმაზე და თავდასხმიდან თავდაცვაზე“¹.

მაგრამ რა არის დაპირისპირება და რა როლს ასრულებს მასში უარყოფა?

დაპირისპირება. ყოველი განსხვავება გარკვეული აზრით დაპირისპირებაა, ვინაიდან განსხვავება გულისხმობს რა სხვადასხვანაირად ერთგვარად დაპირისპირებას გამოხატავს. მაგრამ განსხვავება აბსტრაქტული დაპირისპირების გამოხატველია, დაპირისპირება კი — კონკრეტული განსხვავებისა. რას ნიშნავს ეს?

„...დაპირისპირება არის დასრულებული განსხვავება... ყველაზე დიდი განსხვავება არსებობს დაპირისპირებულთა შორის“ — ამბობს არისტოტელე². დაახლოებით იგივეს იმეორებს ჰეგელი: დაპირისპირებულობაში განსაზღვრული რეფლექსია (განსხვავება) დასრულებულია³. როგორც ვხედავთ, დაპირისპირების გაგება უკავშირდება განსხვავება-იგივეობის პრობლემას. თუ განსხვავება არ არის უარყოფის გარეშე, მაშინ დაპირისპირებაც, როგორც დასრულებული განსხვავება, უნდა იყოს უარყოფის მომენტის შემცველი.

ჩვეულებრივი განსხვავებისას, რომელიც აბსტრაქტულ დაპირისპირებას გამოხატავს, რაიმეს მიმართება რაღაც სხვასთან, მეორესთან არაა უფრო მეტად აუცილებელი, ვიდრე რაღაც მესამესთან და ა. შ. განსხვავებულთ ერთმანეთის მიმართ შენარჩუნებული აქვთ განსხვავება — უარყოფის უცვლელი მდგომარეობა. მაგალითად, ზედმეტი ღირებულების კანონსა და კიუვიეს კატალიზმების თეორიას არაფერი აქვთ საერთო, მაგრამ სხვა მიმართება მოძრაობასა და რაოდენობას შორის, მოძრაობასა და სივრცეს შორის და ა. შ. ორ მსჯელობაში „რკინა ლითონია“, „ბელურა ფრინველია“ გამოთქმულ აზრებს შორის რაიმე მიმართებას ვერ აღმოვაჩინთ თუ არ ჩავთვლით, რომ ორთავე დადებითი კავშირის გამოხატველია. სულ სხვაა მიმართება მსჯელობებს შორის „ყველა ადამიანი მოკე-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 7, გვ. 513.

² არისტოტელე, „მეტაფიზიკა, თბ., 1964 გვ. 202.

³ Гегель, соч., т. V, стр. 499.

დავია“, „არც ერთი აღამიანი არაა მოკვდავ“. ერთის მტკიცებას მეორე აბათილებს.

როგორც ვხედავთ, არსებობს საგანთა და აზრთა ისეთი განსხვავება, როცა განსხვავებულთა მიმართება ლოკალური. ცალსახა და შემოფარგლულია. ასეთი მიმართება ამთავრებს, უფრო სრულს ხდის განსხვავებას, განსხვავებულთა შორის უკვე მყარდება სრულიად გარკვეული, სპეციფიკური დამოკიდებულება, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ და მხოლოდ ამ განსხვავების მონაწილე წევრებისათვის (ორი წევრისათვის) და არ მეორდება მათს დამოკიდებულებაში სხვების მიმართ.

მასწავლებელი და მოსწავლე ცალ-ცალკე შეიძლება სხვადასხვა კავშირით იყვნენ დაკავშირებული სხვა აღამიანებთან, რომელთაგან ისინი ჩვეულებრივ განსხვავდებიან (მაგალითად, მოსწავლე — მოსწავლისაგან, მოსწავლე — მშენებელი ინჟინრისაგან და ა. შ.), მაგრამ განსხვავება მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, ყოველ განსაზღვრულ ეტაპზე, დასრულებულია, რამდენადაც მასწავლებელი სწორედ მოსწავლის მასწავლებელია და მოსწავლე — მასწავლებლის მოსწავლეა. „დაპირისპირებაში განსხვავებულს უპირისპირდება არა მხოლოდ რომელიღაც სხვა, არამედ თავისი სხვა“¹.

აბსტრაქტულიდან კონკრეტულ განსხვავებაზე. ანუ ჩვეულებრივი უსასრულო განსხვავებიდან დასრულებულ განსხვავებაზე, დაპირისპირებაზე გადავდივართ კონკრეტული უარყოფის გზით. მაგალითად, თუ აბსტრაქტულია განსხვავება და უარყოფაც წიგნა და არაწიგნს შორის (ვინაიდან არაწიგნში იგულისხმება ყველაფერი, გარდა წიგნისა), კონკრეტულია განსხვავებაც და უარყოფაც ნათელსა და არანათელს, დადებითსა და არადადებითს, აბსტრაქტულსა და არააბსტრაქტულს შორის. ვინაიდან სრულიად გარკვეულია, რომ არანათელი ბნელია, არადადებითი უარყოფითია, არააბსტრაქტული კონკრეტულია². განსხვავების დასრულებულობა დაპირისპირებაში ისაა სწორედ, რომ რაიმეს უპირისპირდება არა საერთოდ სხვა, არამედ მისგან კონკრეტულად და სრულად განსხვავებულს, დაპირისპირებულად განსხვავებულს. ამდენად, დაპირისპირებულთა განსხვავება განსხვავე-

¹ პეგელი, ლოგიკის მეცნიერება, გვ: 270.

² სუბიექტურის სხვა არის ობიექტური და არა ქაღალდის ნაგლეჯი — წერს პეგელი. მაშ, აქ შინაგან სხვაზე ლაპარაკი და არა გარეგანზე (იხ. პეგელის თხზ., ტ. IX, გვ. 251).

ბულთა ორმხრივი მიმართებაა. დაპირისპირებულთა ერთი წყვილის განსხვავება თავისი ხასიათით დაპირისპირებულთა სხვა წყვილების მსგავსია, მაგრამ დაპირისპირების რომელიმე წევრი არ შეიძლება თავისი საპირისპიროს მსგავს დამოკიდებულებაში იყოს სხვა დაპირისპირების რომელიმე კიდურ წევრთან.

თუ დაპირისპირებულთა შორის ასეთი დამოკიდებულებაა, მაშინ დაპირისპირებულთაგან ერთი მეორეს უნდა მოითხოვდეს. გადავდივართ რა ჩვეულებრივი განსხვავებულად დასრულებულ განსხვავებაზე, დაპირისპირება თავს იჩენს, უპირველესად, ცალმხრივ მოთხოვნაში, შემდეგ ცალმხრივ უარყოფაში, ან უ. ცალმხრივ უარყოფა-მოთხოვნაში; ორმხრივ მოთხოვნაში; დასასრულს, ორმხრივ უარყოფაში, ან უ. ორმხრივ უარყოფა-მოთხოვნაში.

გავარჩიოთ ეს:

დაპირისპირება ორ წევრს გულისხმობს, რომლებიც ერთმანეთის პირისპირ დგანან და რომელთა შორის შესაძლებელი არ არის, თუ ყოველ შემთხვევაში მაინც გამოვეყოფთ ასეთს, ისიც ან ერთ, ან მეორე მხარეს შეიძლება მივაკუთვნოთ ბოლოს და ბოლოს, ამასთან, იგი დაპირისპირებაში არ მონაწილეობს (მაგალითად, მაღალი და დაბალი. მათ შუაშია საშუალო სიმაღლე, რომელიც შეიძლება ან მაღალს მივაკუთვნოთ, ან დაბალს, ან დაპირისპირებისას სულ დავტოვოთ მხედველობის გარეშე). საპირისპიროთა ურთიერთის მიმართ დგომა მათივე შინაგანი ბუნებითაა განპირობებული. დაპირისპირება იმას უნდა ნიშნავდეს, რომ დაპირისპირებულნი ურთიერთს გამორიცხავენ, უარყოფენ, მაგრამ იმის გამო, რომ საპირისპირო დამოკიდებულება ორთა შორის დამოკიდებულებაა, ამიტომ ისინი ურთიერთმომთხოვნი კავშირითაც უნდა იყვნენ შეკრული. ამრიგად, დაპირისპირებულობა გულისხმობს: 1) უარყოფას, გამორიცხვას და 2) მოთხოვნას (საპირისპიროთა).

ჩვეულებრივი აბსტრაქტული განსხვავებიდან დასრულებულ განსხვავებაზე გადასვლა თანდათანობითია. ამიტომ, ჩვეულებრივი განსხვავების მდგომარეობისაგან (მაგალითად, მთა და მდინარე, კარადა და კალმისტარი და ა. შ.) ჯერ უნდა გამოვეყოთ ისეთი მიმართებანი, რომლებშიც დაპირისპირება პირველდაწყებითი სახით ვლინდება. მაგალითად, ცალმხრივ (და არა ორმხრივ) მოთხოვნაში ან ცალმხრივ (და არა ორმხრივ) უარყოფაში, ან ცალმხრივ (და არა ორმხრივ) უარყოფა-მოთხოვნაში და ა. შ.

რამდენადაც მოთხოვნა და უარყოფა, როგორც იტყვა. დაპირისპირების აუცილებელი მომენტებია, ამდენად ცალმხრივი მოთხოვნა ან უარყოფაც უკვე დაპირისპირების გამოვლენად უნდა მივიჩნიოთ, როგორც პირველი „ნაბიჯები“ დასრულებული განსხვავების მიღწევის (თუ წვდომის) გზაზე.

ცალმხრივია მოთხოვნა, როცა დაპირისპირების ერთი წევრი აუცილებლობით მოითხოვს მეორეს (რამდენადაც არ არის მეორის გარეშე), მაგრამ მეორე პირველის მიმართ აღარაა ასეთსავე დამოკიდებულებაში. მაგალითად, იმისათვის, რომ იყოს სიცოცხლე, საჭიროა არსებობდეს ცილა (ცილები), სიცოცხლე თავისი ბუნებით გულისხმობს, მოითხოვს ცილებს არსებობას, მაგრამ არა პირაქით, შეიძლება იყოს ცილა (ცილები), მაგრამ არ იყოს სიცოცხლე. მეცნიერული ცნების (ცნებების) არსებობა გულახმობს, მოითხოვს მსჯელობას როგორც ასეთს, ვინაიდან მეცნიერული ცნება ვერ დადგინდება მსჯელობის გარეშე, მაშინ, როცა მსჯელობის (უნარის) ფაქტი ჯერ კიდევ არ ნიშნავს მეცნიერული ცნების არსებობას, მსჯელობა აუცილებლობით არ მოითხოვს ცნებას (ჩვეულებრივი ადამიანური აზროვნება, რომელიც მსჯელობებში ყალიბდება, უპირატესად წარმოდგენითი აზროვნებაა). როგორც ვხედავთ, აბსტრაქტული განსხვავების (საათი — ფოტოაპარატი, ფოტოაპარატი — ვარდი და ა. შ.) გარდა საგანთა მიმართებაში შეიძლება შევამჩნიოთ ცალმხრივი მოთხოვნის მდგომარეობა, როცა რაიმე ცალმხრივად აუცილებელია მეორე რაიმესათვის.

რადღა ცალმხრივი უარყოფა? ესაა დამოკიდებულება ორ საგანსა თუ მოვლენას შორის, რომელთაგან მხოლოდ ერთი უარყოფს მეორეს, პირაქით კი არა. მაგრამ ირკვევა, რომ აქ უარყოფა არ შეიძლება ცალმხრივი იყოს, ე. ი. არ შეიძლება მხოლოდ უარყოფა იყოს. უარყოფაში აუცილებლობით მყდავდება რაღაც დადებითი მომენტი. ამ შემთხვევაში ასეთი იქნება უარყოფელის მიერ უარსაყოფის მოთხოვნა აუცილებლობით. ამრიგად, არა შიშველი უარყოფა, არამედ უარყოფა-მოთხოვნა. დიალექტიკური უარყოფა ამგვარი ობიექტურობით ამყდავენებს თავის თავს.

პროფ. ს. წერეთელს მიაჩნია¹, რომ დაპირისპირების დროს ერთმხრივი უარყოფა გვაქვს და არა ორმხრივი — ურთიერთუარყოფა. გამოდის, რომ დაპირისპირება სწორედ ცალმხრივი უარყოფაა. ჩვენი გაგებით, ჯერ ერთი, არ შეიძლება დიალექტიკური უარყოფა ცალმხრივი იყოს, მხოლოდ უარყოფა იყოს. ცალმხრივი შეიქ-

¹ იხ. მისი „დიალექტიკური ლოგიკა“, გვ. 58—60.

ლება იყოს უარყოფა-მოთხოვნა. აუცილებლობითაა მოთხოვნილი სწორედ ის. რაც უარყოფილია (უკვე აქ იჩენს თავს წინააღმდეგობა). მეორეც, დაპირისპირება არა მარტო ცალმხრივი უარყოფა-მოთხოვნაა. არამედ ორმხრივი უარყოფაც, ორმხრივი უარყოფა-მოთხოვნა (ამის თაობაზე უფრო დაწვრილებით ქვევით გვექნება მსჯელობა). პროფ. ს. წერეთელს მოაქვს მსჯელობათა მაგალითი: ზოგადდადებითი მსჯელობა და ზოგად-უარყოფითი მსჯელობა დაპირისპირებული არიან, რადგან მათს დამოკიდებულებაში ერთმხრივი უარყოფა არისო. „მხოლოდ ერთის ჭეშმარიტების დროს გვაქვს მეორის მცდარობა. მაგრამ არა პირიქით — ერთის მცდარობიდან მეორის ჭეშმარიტება არ გამომდინარეობს“¹. ეს მართალია, მაგრამ. როგორც ვხედავთ, ერთმხრივობა უარყოფისა აქ გაიგივებულია ერთი მსჯელობიდან მეორის ჭეშმარიტება-მცდარობას განომდინარეობა-არგამომდინარეობასთან. ეს კი სხვადასხვა რამაა. ამასთან, ზოგად-დადებითი და ზოგად-უარყოფითი მსჯელობები არა ერთმხრივად, არამედ ორმხრივად უარყოფენ ერთმანეთს. მარტო ერთი კი არ უარყოფს მეორეს, პირიქითაც, იმას, რასაც ამტკიცებს ერთი, უარყოფს მეორე და რასაც უარყოფს მეორე — ამტკიცებს პირველი. მეორე უშუალოდ უარყოფს პირველს, მაგრამ პირველი თავისი მტკიცებით (დადებითობით) უარყოფს მეორეს (მის უარყოფითობას). ზოგად-დადებითი მსჯელობა არის „არა“ ზოგად-უარყოფით მსჯელობაზე. გარდა ამისა, ის რასაც ზოგადად ამტკიცებს ერთი. ზოგადადვე უარყოფილია მეორეს მიერ, და რასაც ზოგადად უარყოფს ერთი, ზოგადადვე აბათილებს მას მეორე თავისი მტკიცებით.

როგორც ვთქვით, არ არსებობს მხოლოდ ცალმხრივი უარყოფა. დიალექტიკურ უარყოფაში უარყოფა განუყრელია მოთხოვნისაგან. დაპირისპირებაში უარყოფელი აუცილებლობით მოითხოვს შენარჩუნებულ იქნას უარსაყოფელი, წინააღმდეგ შემთხვევაში უარყოფელიც მოხსნილ-უარყოფილი გამოვიდოდა. ასეთი ბუნებისაა დიალექტიკური უარყოფა. რაც შეეხება მოთხოვნას, იგი, როგორც ვნახეთ, ყოველთვის არაა დაკავშირებული უარყოფასთან. შეიძლება რაიმე აუცილებელი, მომთხოვნი კავშირით იყოს დაკავშირებული თავის საპირისპიროსთან, მაგრამ ამავე დროს მათ შორის არ იყოს უარყოფის მომენტი.

ცალმხრივი უარყოფის, ანუ ცალმხრივი უარყოფა-მოთხოვნის მაგალითია ყოველგვარი არსებობა, რომელიც დაფუძნებულია რა-

¹ იხ. მისი „დიალექტიკური ლოგიკა“, გვ. 59.

ლაცის „მოხმარებაზე“, ე. ი. უარყოფაზე. რაიმე არსებობს იმდენად (ძიუხედავად იმისა ეს არსებობა ადამიანური თვალსაზრისით დადებითი მოვლენაა თუ უარყოფითი), რამდენადაც იგი რალაცის მოხმარებელია, ე. ი. გამანადგურებელი, უარყოფელია. მაგრამ აზრდენად, რამდენადაც ის, რაც „მოხმარება“, უარყოფა, ე. ი. აუცილებლად საჭიროა ამ რაიმესათვის და ამდენად ამ უარყოფაშია მისივე მოთხოვნაც. ამიტომ არ არსებობს უარყოფა მოთხოვნის გარეშე. თუ არ იქნა ის რისი უარყოფაც ხდება, მაშინ, არც უარყოფა იქნება.

შეიძლება დაისვას კითხვა: განხილულ შემთხვევებსა და მაგალითებში უარყოფა ვლინდება თუ არა როგორც დიალექტიკური უარყოფა? უკვე ის ფაქტი, რომ რაიმე მოითხოვს სხვას, კერძოდ, კი სხვას, რომელსაც უარყოფს, უკვე განვითარების მაჩვენებელია. მაგრამ უფრო სისრულით იგი გამოვლინდება შემდეგ საფეხურზე.

ცალკე უნდა გამოვეყოთ ორმხრივი მოთხოვნა. მაგალითად. თუ არის მწერალი, არის წიგნი (ყოველ შემთხვევაში ნაწარმოები), თუ არის წიგნი არის მწერალი, ე. ი. ერთი მოითხოვს აუცილებლობით მეორეს. ერთი მეორის გარეშე არ არის. მაგრამ აქ არ არის უარყოფა. წიგნი არ უარყოფს მწერალს და მწერალი წიგნს. თუ არის აზროვნება, არის მეტყველება (ან აზროვნების რაიმენაირი გამოხატვა), თუ არის მეტყველება (ნორმალური მეტყველება), არის აზროვნება.

დასასრულს, დაპირისპირება მკლავნდება ორმხრივ უარყოფაში, ურთიერთუარყოფაში, მაგრამ ორმხრივი უარყოფა არ არსებობს ორმხრივი მოთხოვნის გარეშე. ურთიერთუარყოფელნი აუცილებლობით მოითხოვენ ერთმანეთს. თუკი ორმხრივ მოთხოვნას ყოველთვის არ ახლავს უარყოფის მომენტი, სამაგიეროდ უარყოფა არ არის მოთხოვნის გარეშე. ამ აზრით უარყოფა შეიძლება განვიხილოთ როგორც უარყოფა-მოთხოვნის უფრო აქტიური მხარე. უარყოფა-მოთხოვნის დაპირისპირება მთელი სისრულით სწორედ ორმხრივ უარყოფა-მოთხოვნაში ვლინდება. მაგრამ ორმხრივი უარყოფა-მოთხოვნა ამავე დროს წინააღმდეგობაა. «Двойственное отличие существование должно развиваться в разное, различие — в противоположность и в противоречие».¹

წინააღმდეგობა. თუ დაპირისპირება არის დასრულებული განსხვავება, წინააღმდეგობას ქმნის სრული დაპირისპირება. წინააღმდეგობა არ არის დაპირისპირების გარეშე. ყოველგვარი და-

¹ Архив К. Маркса и Ф. Энгельса, М., 1935, т. IV, стр. 67.

პირისპირება არაა წინააღმდეგობა, მაგრამ ყოველი წინააღმდეგობა დაპირისპირებაა. წინააღმდეგობა დაპირისპირებულთა წინააღმდეგობაა. წინააღმდეგობა დაპირისპირებაშია. დაპირისპირება წინააღმდეგობის საფუძველი და პირობაა. დაპირისპირებაში აღმოვაჩინეთ წინააღმდეგობას სწორედ დაპირისპირების საფუძველზე. დაპირისპირებულთა წინააღმდეგობა სრულად ვლინდება კატეგორიებში. მართებულად შენიშნავს პროფ. ს. წერეთელი „კატეგორიებში წინააღმდეგობა და დაპირისპირება ერთი და იგივეაო“¹.

წინააღმდეგობა გვაქვს: 1) როცა დაპირისპირებულნი, ერთ-ერთუარმყოფელნი ამავე დროს აუცილებლობით მოითხოვენ ერთმანეთს. აქ წინააღმდეგობა არის უარყოფა-მოთხოვნის წინააღმდეგობა, ანუ წინააღმდეგობა ერთდროულ უარყოფასა და მოთხოვნას შორის; 2) როცა რაიმეს აუცილებლობით მიეწერება საპირისპირო პრედიკატები; 3) როცა დაპირისპირებულთაგან ერთი არის მეორე, უარმყოფელი არის უარსაყოფი, როცა უარსაყოფი უარმყოფელშია და პირიქით, ე. ი. როცა რაიმე არის სხვა, თავის საპირისპირო; 4) უარყოფით თვითდადგენაში.

ამრიგად, წინააღმდეგობა არ ემყარება მხოლოდ უარყოფას, არც მხოლოდ ურთიერთმოთხოვნას. წინააღმდეგობას ქმნის ის, რომ რაიმე უარსაყოფელს ამავე დროს აუცილებლობით მოითხოვს. უარყოფა და მოთხოვნაც დაპირისპირებულნი არიან. თვით წინააღმდეგობაც არ არის თავისუფალი წინააღმდეგობისაგან. წინააღმდეგობის ბუნებაც წინააღმდეგობრივია. სწორედ დიალექტიკურად წინააღმდეგობრივი და ამიტომ თავისუფალი ცალმხრივობისაგან, შინაგანად მასაც ის ავითარებს, რაც სხვისი განვითარების პირობაა.

დიალექტიკური წინააღმდეგობის არსება სავსებით მკაფიოდ და სრულადაა გამოხატული საპირისპიროთა ერთდროულ ურთიერთუარყოფასა და ურთიერთმოთხოვნაში. ყოველდღიური აზროვნებისათვის უჩვეულოა, რომ რაიმე იმასვე მოითხოვდეს (ასაბუთებდეს), რასაც უარყოფს. ესაა სწორედ წინააღმდეგობა, რომელიც ქმნის, ამოძრავებს ყოველივეს და მათ შორის აზრსაც და რომლის გადაწყვეტაც თვითონ არის აზრის განვითარება. „ერთიმეორის განმსაზღვრელი, ერთიმეორის მიმზიდველი ორი მომენტის უსასრულო და უსაწყისო დამოკიდებულება, ასე ვთქვათ, შეადგენს ჰემმა-

¹ ს. წერეთელი, დიალექტიკური ლოგიკა, გვ. 63.

რიტების სიციცხლეს“, — წერს ა. გერცენი¹. დაპირისპირებულნი რომ მხოლოდ უარყოფდნენ ერთმანეთს (და ადგილი არ ჰქონდეს ურთიერთმოთხოვნას), მაშინ არც თვით უარყოფა გვექნებოდა და წინააღმდეგობაც ხელაღან გამოგვეცლებოდა. ესე იგი გაქრებოდნენ დაპირისპირებულნი და აზრს დაკარგავდა განვითარება და თვით არსებობაც.

წინააღმდეგობის შეუძლებლობა აქვს მხედველობაში ა. ტრენდელენბურგს, როცა იგი აღნიშნავს, რომ წინააღმდეგობა ისეთნაირი განხეთქილების გამოშხატველია, რომლის შერაგება არაერთგვით არ შეიძლება, ვინაიდან მას საფუძვლად უდევს ერთი და იგივე ცნების ერთდროული მტკიცება და უარყოფა².

ტრენდელენბურგის აზრით, ერთმანეთს ეწინააღმდეგება მხოლოდ აზრები და მაშინაც, როგორც ვნახეთ, იგი დამანგრეველია მხოლოდ. მოვლენები კი მაშინ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, როცა ერთ-ერთს საფუძვლად უდევს ისეთი აზრი, რომელსაც მეორე ანადგურებს ან ასუსტებს. იგი აბსოლუტურად განსხვავებს დაპირისპირებას და წინააღმდეგობას. დაპირისპირება ყველგანაა, მისი აზრით, დაპირისპირებულნი ერთმანეთს ერწყმის, ერთმანეთში გადადის. ერთმანეთს აძლიერებს, წინააღმდეგობა კი მხოლოდ აუქმებს ან ზიანს აყენებს რაიმეს. მაგალითად, ოქროს ძეწყვი იგებს შაფი ხავერდის ფონთან დაპირისპირებისას, მაგრამ ოქროს სამაგრები ჭუჭყიან ხალათთან წინააღმდეგობაშია და ამდენად ეს დაუშვებელია³. დაპირისპირებისა და წინააღმდეგობის ამგვარი გაგება გაუბრალოებულნი მიდგომის და ზერელეობის გამო. ფილოსოფიის სფეროს გარეთ რჩება.

წინააღმდეგობა უდევს საფუძვლად მატერიის მოძრაობის ელემენტარულ ფორმას — მექანიკურ მოძრაობას. წინააღმდეგობაა უძრაობის პირობაც. პირველი წონასწორობის დარღვევის, საპირისპიროთა მიმართებაში წინააღმდეგობის დაძლევის შედეგია, მეორე შემთხვევა იქმნება საპირისპიროდ მოქმედ ძალთა გაწონასწორების საფუძველზე. აქ წინააღმდეგობისა და მოძრაობა-უძრაობის საკითხი უკავშირდება სიმეტრია-ასიმეტრიის საკითხს. მოძრაობა სიმეტრიის დარღვევაა.

იგივეობა-განსხვავება წინააღმდეგობაა⁴. იგივეობა უარყოფს და. მოითხოვს განსხვავებას. განსხვავება უარყოფს და მოითხოვს

¹ ა. გერცენი, რჩული ფილოსოფიური თხზულებები, ტ. I, გვ. 29.

² А. Тренделенбург, Логическ. исслед., ч. II, стр. 164.

³ Там же, стр. 163—164.

⁴ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 127.

იგივეობას. იგივეობის მიერ განსხვავების უარყოფა (და პირიქით) არის შეფარდებითი, რადგან აქ უარყოფა არის არა მარტო უარყოფა, არამედ დასაბუთებაც. იგივეობა არის განსხვავების კონკრეტული უარყოფა (და პირიქით). უარყოფა კონკრეტულია, როცა უარსაყოფი ერთადერთი და გარკვეულია. სხვანაირად, უარყოფა კონკრეტულია, როცა უარყოფელი უარსაყოფს მოითხოვს (ასაბუთებს) კიდევ აუცილებლობით და შინაგანად.

ურთიერთმოთხოვნა სწორედ ურთიერთუარყოფას ემყარება და არა პირიქით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ურთიერთმოთხოვნა ყოველთვის არაა ურთიერთუარყოფის პირობა, საპირისპიროთა ურთიერთმოთხოვნა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მათი ურთიერთუარყოფის პირდაპირპროპორციულია. უარყოფაც შინაგანია და მოთხოვნაც. „დაპირისპირებულობის ორივე პოლუსი... ისევე გაუთიშავი არიან ერთმანეთისაგან, როგორც ერთმანეთისადმი დაპირისპირებულნი არიან, და რომ ისინი ურთიერთდაპირისპირებულობის მიუხედავად ერთმანეთს მსჭვალავენ“¹.

რაიმე საპირისპიროს იმიტომ კი არ მოითხოვს, რომ უარყოს; მაშინ იქნებოდა ერთი და აღარ იქნებოდა მეორე. თუ ემპირიულ სინამდვილეში ამას შეიძლება აზრი ჰქონდეს, ლოგიკურში ეს შეუძლებელია, რადგან დაპირისპირების ერთი მხარის უარყოფა აუქმებს მეორე მხარესაც. დაპირისპირებულთა ურთიერთმიმართება იმდენად იმანენტურია, რომ დაპირისპირების ორი პოლუსიდან ერთი აბსოლუტურად ისეთსავე დამოკიდებულებაშია მეორესთან, როგორშიც მეორე პირველთან. ერთი მათგანი შინაგანი აუცილებლობით იწვევს მეორეს, რითაც ობიექტურობა ერთ-ერთ უმაღლეს გამოხატულებას აღწევს. კიდევ უფრო ობიექტურია უარყოფით თვითდადგენა (ამის შესახებ შემდეგ).

ურთიერთუარყოფელთა აუცილებელ ურთიერთმოთხოვნაში და ამ საფუძველზე გაჩენილ წინააღმდეგობებში შეღავნდება აზრის თვითმოძრაობა და ისიც, რომ წინააღმდეგობაა სწორედ ამ თვითმოძრაობის პირობა და საფუძველი. „მოაზროვნე გონება (ჰეგელი) ამახვილებს განსხვავებულის დაჩლუნგებულ სხვაობას, წარმოდგენათა მარტივ სხვადასხვაგვარობას, არსებით განსხვავებამდე, დაპირისპირებულობამდე. მხოლოდ წინააღმდეგობის მწვერვალზე აყვანილნი, ზღებიან სხვადასხვაგვარობანი მოძრავი (regsam) და ცოცხალი ერთიმეორის მიმართ, ღებულობენ, იძენენ

¹ ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 28.

იმ ნეგატიურობას, რომელიც თვით მოქრობისა და ცხოველმყოფელობის შინაგან პულსაციას წარმოადგენს“¹.

ერთიანობა. წინააღმდეგობრივ დაპირისპირებაში მთავარია ის, რომ რაიმეს აუცილებლობით შემოკყავს თავისი საპირისპირო, როგორც სხვა (თავისი სხვა) და ამართლებს მას, როგორც თავის საფუძველს და პირობას. თვითგამართლება ხდება გაშუალებულად, თავისი სხვის გამართლებით. აქ მთავარია ეს და არა ის, რომ რაიმე სხვას მოითხოვს თავის გამართლებლად. ამრიგად, წინა პლანზეა წამოწეული სხვისი გამართლება-დასაბუთება და არა საკუთარი თავისა. დაპირისპირებულთა წინააღმდეგობა ხასიათდება იმით, რომ რაიმე საბუთდება თავისი სხვით, გადადის სხვაში ისე, რომ ისევ თავის თავთან რჩება. დაპირისპირებულთა ერთიანობა ქმნის წინააღმდეგობას. მეორეს მხრივ, წინააღმდეგობის გადაწყვეტა ერთიანობაა. ჰეგელი წერს: „კვკერტდეთ ერთიანობაში დაპირისპირებას, დაპირისპირებაში ერთიანობას — ესაა აბსოლუტური ცოდნა და მეცნიერების საქმეც ისაა, რომ ეუფლებოდეს მითითებულ ერთიანობას მის მთელ განვითარებაში თავისი თავისაგან“².

ამრიგად, დაპირისპირება გულისხმობს ორ მხარეს (რომლებიც შეიძლება სხვადასხვა საგანში ნაწილდებოდნენ, შეიძლება ერთის ორ მხარეს წარმოადგენდნენ, ანდა იყოს ერთის თავისი თავისადმი საპირისპირო მიმართება³, რაც უფრო მთავარია ამ შემთხვევაში); ამ მხარეთა შორის დამოკიდებულება უარყოფელ-მომთხოვნა დამოკიდებულებაა. დაპირისპირების ერთი მხარე უარყოფს მეორეს, მაგრამ ამავე დროს და იმავე მიმართებაში მოითხოვს კიდევ მას. სწორედ იმდენად მოითხოვს, რამდენადაც უარყოფს. დაპირისპირებულთა შორის ამგვარი უარყოფელ-მომთხოვნა დამოკიდებულება ქმნის წინააღმდეგობას, ანუ შეურიგებელ დამოკიდებულებას. ეს წინააღმდეგობა, ანუ შეურიგებლობა ითხოვს გადაწყვეტას, რის გარეშეც წინააღმდეგობა შეიძლება იქცეს სკეპტიციზმის, სოფისტის, ეკლექტიზმის საფუძვლად. წინააღმდეგობის მხოლოდ აუცილებლობის აღიარებას, როგორც ითქვა მიეყავართ უარყოფით დიალექტიკაში. წინააღმდეგობა უნდა გადაწყდეს; სხვანაირად,

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 136.

² Гегель, соч., т. XI, стр. 517.

³ „დაპირისპირებული საზოგადოდ არის ის, რაც თავისი თავის შიგნით შეიცავს ერთსა და მის სხვას, თავისთავსა და თავის დაპირისპირებას (ჰეგელი, „ლოგიკის მეცნიერება“, გვ. 272).“

გაგებული უნდა იქნეს მისი ნამდვილი ბუნება. თვით ის ფაქტი, რომ წინააღმდეგობის გადაწყვეტის ცდა მრავალგვარ განსხვავებულ თვალსაზრისს ბადებს, მიუთითებს იმაზე თუ რაოდენ დინამიურია თავისი შინაგანი ბუნებით იგი. მარქსისტული ფილოსოფიის მიხედვით ყოველივეს მოძრაობისა და განვითარების წყარო, საფუძველი პირობა წინააღმდეგობაა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში წინააღმდეგობის თავისებურების გარკვევა და მისი გადაწყვეტა არის განვითარების პირობა. ამიტომ უნდა შეგვეძლოს გადაჭრა იმ წინააღმდეგობისა, რომელსაც შეიცავს წინააღმდეგობის ფილოსოფიური კატეგორია. ეს იქნება აზრის განვითარება.

წინააღმდეგობის პრობლემის გარკვევა დაპირისპირებულთა დამოკიდებულების ნათელყოფაა, რამდენადაც წინააღმდეგობა დაპირისპირებულთა მიმართების საფუძველზეა წარმოსობილი. ამიტომ წინააღმდეგობა წყდება დაპირისპირებულთა ერთიანობაში. დაპირისპირებულთა ერთიანობის არსებაში ჩაწედომა, მათი ნამდვილი მიმართების გაგება არის წინააღმდეგობის გადაწყვეტა. ლოგიკურად, დაპირისპირებულთა ერთიანობაში კი არ იხსნება, არამედ წყდება წინააღმდეგობა. ლოგიკურში წინააღმდეგობის გადაწყვეტა არ არის წინააღმდეგობის მოხსნა. დაპირისპირებულთა ერთიანობის გაგებაში წინააღმდეგობა რჩება, მაგრამ როგორც გარკვეული, გადაწყვეტილი, ახსნილი. ისევე როგორც რაიმე ფაქტის. მოვლენის ახსნა არ აუქმებს ამ მოვლენას. ასევე წინააღმდეგობის გადაწყვეტა დაპირისპირებულთა ერთიანობაში არ აუქმებს, არ ხსნა წინააღმდეგობას, არამედ იძლევა მხოლოდ მის ამოხსნას.

რა არის დაპირისპირებულთა ერთიანობა?

არისტოტელე ფიქრობდა: „ერთი და იგივე ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე მიმართებაში ერთსა და იმავე საგანს არ შეიძლება ახასიათებდეს და არც ახასიათებდეს“¹. პიერ ბელიაწერს ლუთერზე: არავინ არასოდეს არ ამხედრებულა დიდი არისტოტელეს წინააღმდეგ ისე, როგორც ლუთერი. იგი ასწავლიდა თითქოს ერთი და იგივე დოგმა ერთსა და იმავე დროს ქვეშარიტუცა და ყალბიც, ყალბია ფილოსოფიაში, ქვეშარიტია თეოლოგიაში, ყალბია ფიზიკაში და ქვეშარიტია ეთიკაში². სპინოზამ შენიშნა, რომ ერთი და იგივე ნივთი ერთ და იგივე დროს შეიძლება კარგაც იყოს, ცუდიც და განურჩეველიცო, მაგალითად, მუსიკა კარგია მე-

¹ არისტოტელე, მეტაფიზიკა, IV, 3.

² Белия. Исторический и критический словарь, М., 1968, т. I, стр. 279—280.

ლანქოლიკიანათვის. ცუდია — მგლოვიარებათვის. ყრუსათვის კი არც ერთია და არც მეორეო¹.

ადვილი შეაძინე, რომ ლუთერსა და სპ-ნოზს ზემოთ მოტანილ მოსაზრებებში, მითითებული იმაზე, რომ რაიმე ერთსა და იმავე დროს ასეთაც შეიძლება იყოს და მისი საპირისპირო ნიშნის ნატარებელიც. მაგრამ ერთსა და იმავე მიმართებაში? ამაზე ისინი პასუხს არ გვაძლევენ. მთავარია მაინც, რომ ისინი ამჩნევენ საპირისპირო განსაზღვრულობებს. რომლებსაც რაიმე შინაგანად შეიცავს. ისინი საკითხს არ განიხილავენ კატეგორიულად დონეზე. დიალექტიკისათვის, დაპირისპირებულთა ერთიანობის გაგებისათვის მთავარია, არა მარტო ის, რაიმეს შეიძლება თუ არა მიეწეროს საპირისპირო განსაზღვრულობები ერთსა და იმავე დროს და ერთსა და იმავე მიმართებაში, არამედ საერთოდ საპირისპირო განსაზღვრულობათა ურთიერთდამოკიდებულებას გარკვევა. გარკვევა იმისა შეიძლება თუ არა რაიმე შინაგანად შეიცავდეს თავის საპირისპიროს, ე. ი. შეიძლება თუ არა რაიმე დაპირისპირებული იყოს თავისი თავისადმი. ე. ი. შინაგანი წინააღმდეგობის შემცველი იყოს და როგორც უნდა გადაწყდეს ეს წინააღმდეგობა.

შეიძლება არავინ დაობდეს იმაზე, რომ არსებობენ დაპირისპირებულობანი, რომ, მაგალითად, არსებობს განსაზღვრულობა და განუსაზღვრელობა, სასრულობა და უსასრულობა, სიკეთე და ბოროტება, დადებითი და უარყოფითი, მაგრამ კამათის საგანია: შესაძლებელია თუ არა მათი ერთიანობა ან როგორაა შესაძლებელი იგი დაპირისპირებულთა ერთიანობა, ანუ იგივეობა². საქმე ისაა, რომ დაპირისპირებულთა ერთიანობა არის არა უბრალოდ ერთიანობა, არა ხელოვნური, გარეგანი ერთიანობა. არამედ დაპირისპირებულთა იგივეობაზე დამყარებული შინაგანი ერთიანობა³. ეს არის ზოგადისა და ერთეულის, სასრულისა და უსასრულოს ისეთი ერთიანობა, როცა ზოგადში არის ერთეული და პირიქით, კონკრეტულში არის აბსტრაქტული და პირიქით. „უღრმესი მაგია. — წერს ჯ. ბრუ-

¹ Б. Спирова, Избр. произв., т. I, стр. 523.

² მარქსიზმის კლასიკოსები „დაპირისპირებულთა ერთიანობის“ სინონიმად ხშირად ხმარობენ „დაპირისპირებულთა იგივეობას“, იხ. მაგალითად, ე. ი. ლენინის „დიალექტიკის საკითხისათვის“ და სხვ.

³ განა ხელოვნების ნაწარმოები, — შენიშნავს პეველი. — რეალურისა და იდეალურის ერთიანობა და ამდენად წინააღმდეგობის გადაწყვეტა არ არის, რასაც ვერ მისწვდა კანტი (Гегель, соч., т. XI, стр. 454).

ნო, — მდგომარეობს იმაში, რომ მოახერხო გამოიყვანო დაპირისპირება ისე, რომ წინასწარ მოძებნო გაერთიანების წერტილი“¹.

დაპირისპირებულთა ერთიანობის ნიმუშებს გვაძლევს ორგანული და არაორგანული ბუნება, საზოგადოებრივი ცხოვრება და აზროვნება. დაპირისპირებულთა, დადებითი მუხტის შემცველი ატომგულისა და უარყოფითად დამუხტული ელექტრონის (ელექტრონების) ერთიანობაა ატომი. თვით ატომგული, თავის მხრავ საპირისპირო ნაწილაკთაგან შედგება. სინათლე საპირისპიროთა — კორპუსკულებისა და ტალღების, მოძრაობა—წყვეტადობისა და უწყვეტობის, მატერია—ნივთიერებისა და ველის, სიცოცხლე—ღისიმიაციონისა და ასიმიაციონის ერთიანობაა. ადამიანი (თუ გნებავთ ერთსა და იმავე დროსა და ერთსა და იმავე მიმართებაში) არათავისუფალია, რამდენადაც ყოველ მოცემულ შემთხვევაში გადაწყვეტილების ზილებისას მან ანგარიში უნდა გაუწიოს სხვადასხვა ფაქტორს, ამასთან. თავისუფალია, რამდენადაც შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება. რამდენადაც უფრო სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს, იმდენად სრულად გამოამყვანებს თავისუფლებას. ზისი თავისუფლება არათავისუფლების გარკვევასა და სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარშია.

ფარდობითობის თეორიის შუქზე გაიკვია, რომ მასა ენერგიის პროპორციულია, ენერგიას გააჩნია მასა. დაპირისპირებულთა ერთიანობა დაპირისპირებულთა ფარდობითი მიმართებაა. შედარებითი არარსის პრობლემის დასმით ეს საკითხი ფილოსოფიაში პლატონმა შემოიტანა. რითაც აზრის დიალექტიკურ ქმნადობაში ისეთივე გადატრიალება მოახდინა, როგორც ა. აინშტაინმა ფიზიკაში. მეტიც, შეიძლება ერთგვარ ანალოგიურობაზე ვილაპარაკოთ დაპირისპირებულთა ერთიანობის პრობლემასა და ფარდობითობის თეორიას შორის. ფარდობითობის თეორია დიალექტიკური მატერიალიზმის დებულების გამართლებაა ფიზიკურ მოვლენათა მიმართ. თუ ფარდობითია ნივთიერება ველის მიმართ და პირიქით, აბსოლუტურია მათი ერთიანობა, თუ ფარდობითია მოძრაობის სხეულის სიჩქარე მის საპირისპიროდ მოძრაობის სხეულის სიჩქარის მიმართ, აბსოლუტურია მათი ერთიანობა, ურთიერთმიმართება, ვინაიდან ამის გარეშე რაიმეს ჭეშმარიტი სურათის დადგენა შეუძლებელი იქნებოდა. ფარდობითობის თეორია გარკვეული აზრით დაპირისპირებულთა ერთიანობის თეორიაა. შეფარდებითი ერთიან-

¹ Д. Ж. Бруно, Диалоги, стр. 29.

ნობა დადებითისა და უარყოფითის ერთიანობაა, „არის“ და „არც არის“ ერთიანობა.

დაპირისპირებულთა ერთიანობას გამომხატველია კომუნისტური პარტიის სახელმძღვანელო პრინციპი დემოკრატიული ცენტრალიზმის შესახებ. დემოკრატია და ცენტრალიზმი არა მარტო განორიციხავენ ერთმანეთს (თუ აბსტრაქტულად მიუხედავებთ). არამედ მათი შინაარსის ჭეშმარიტ გაგებას მიეყვართ მათი ერთიანობის აღმოჩენამდე. დემოკრატია, აბსტრაქტულად გაგებულა, გადაღია ანარქიაში, ცალმხრივად გაგებულა ცენტრალიზმი მიგვიყვანს დეპოტიზმამდე. დიალექტიკურ ერთიანობაში იძენენ ისინი თავიანთ ნამდვილ შინაარსს როგორც ურთიერთგამაკონტროლებელი და ურთიერთგამამაგრებელი მხარეები (აქაც ორმხრივა უარყოფა-მოთხოვნის ერთიანობასთან გვაქვს საქმე).

„ჩვეულებრივი ცნობიერება, წერს ჰეგელი. — განსხვავებულებს განიხილავს როგორც ერთმანეთის მიმართ გულგრილთ. მაგალითად, ამბობენ ასე: „მე ვარ ადამიანი და ჩემს ირგვლივ არის ჰაერა, წყალი, ცხოველები და საერთოდ სხვა რამ“. აქ ყველაფერი ერთმანეთს გამორიცხავს, ყველაფერი გათიშულია. მაგრამ ფილოსოფოსს მიზანია განდევნოს გულგრილობა და შეამეცნოს ნივთთა აუცილებლობა, ისე, რომ სხვა ვლინდება როგორც თავის სხვის დაპირისპირებული. მაგალითად, არაორგანული ბუნება განხილულ უნდა იქნეს არა როგორც მხოლოდ სხვა რამ, ვიდრე ორგანული სამყაროა, არამედ როგორც მისი აუცილებელი სხვა. ისინი ერთმანეთთან მიმართებაში არიან, და ერთი არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის თავისი თავიდან გამორიცხავს მეორეს და სწორედ ამ გზით მას ეფარდება“¹.

როგორც დავინახეთ. ჰეგელის მიხედვით დაპირისპირებულთა ერთიანობის (რადიმეში მისი საპირისპიროს არსებობას აზრით) ნიმუშს იძლევა არა მარტო ლოგიკური, არამედ რეალური სინამდვილეც.

მარქსმა გამოიყენა ჰეგელის მეთოდის ეს რაციონალური მარცვალი და შემდეგნაირად განავითარა საზოგადოებრივი განვითარების ასახსნელად: „თავისი რაციონალური სახით. — წერს მარქსი, — დიალექტიკა ბრახსა ჰეგლის და შიშის ზარსა სცემს ბურჟუაზიას და მის დოქტრინერ-იდეოლოგებს, რადგან არსებულის პოზიტიურ გაგებაში მას შეაქვს ამავე დროს ამ არსებულის უარყოფა, მისი აუცილებელი დაღუპვის გაგებაც. ყოველ განხორციელებულ

¹ ჰეგელი, ლოგიკის შეცნობა, გვ. 270—271.

ლორმას იგი განიხილავს მოძრაობის მდინარებაში, მაშასადამე, მიაწარმოებული მხარის მიხედვითაც, იგი არაფრის წინაშე ქედს არ იხრის და მთელი თავისი არსებით კრიტიკული და რევოლუციურია“¹. მაგრამ ლოგიკურში განვითარება არ უნდა გავიგოთ „არსებულის უარყოფის. მისი აუცილებელი დაღუპვის“ აზრით. ვინაიდან რეფლექსურ მიმართებებში რაიმეს უარყოფა სწორედ მისი დასაბუთებაა მისივე საპირისპიროს მიერ.

კატეგორიების სფეროში დაპირისპირებულთა ერთიანობა იმაში მდგომარეობს, რომ დაპირისპირების ერთი მხარე ლოგიკურად გამომდინარეობს მეორისაგან. რაიმე არის სხვა. რაიმე არის სხვაში, როგორც ჰეგელი ამბობს, რაიმესათვის სხვა არის არა საერთოდ სხვა. არამედ მისი აუცილებელი სხვა. ურთიერთდაპირისპირებულ კატეგორიათა მიმართებაში ერთი კატეგორია გამომდინარეობს და საბუთდება მისი საპირისპიროსაგან, როგორც დიალექტიკურა უარყოფა. პლატონმა აჩვენა, რომ არ არსებობს აბსოლუტური ერთი, ვინაიდან მას მიუყვართ ამ ერთის უარყოფამდე. ერთის დაშვებიდან აუცილებლობით გამოდის მისი საპირისპირო—სიმრავლე, რომელიც ამართლებს ერთს, როგორც მის უარყოფას და პირიქით. ასევე მხოლოდ აბსოლუტური არსის დაშვება აუქმებს მასვე. არსს ლოგიკურად ვერ ავსხნით არარსის გარეშე. ერთი მეორესაგან გამოდის და პირიქით. ამრიგად, რაიმე თავისი თავისადმი საპირისპირო მიმართებით ამართლებს თავის თავს და თავის სხვას.

ამ გაგებით ერთეული არის ზოგადი, ანუ ერთეული შეიცავს ზოგადს როგორც თავის უარყოფას და მით პოულობს გამართლებას—დასაბუთებას და პირიქით. ასევე სასრული არის უსასრულო, შეფარდებითი არის აბსოლუტური, უარყოფითი არის დადებითი და პირიქით და ა. შ. ასე იხსნება წინააღმდეგობა დაპირისპირებულთა ერთიანობაში.

როგორც ვხედავთ. ერთია რაიმესადმი საპირისპირო პრედიაკტების მიწერა და სულ სხვაა რაიმესა და მისი საპირისპიროს დამოკიდებულებების ერთიანობის გაგება. მაგალითად, ერთია, რომ ატომი დადებითი და უარყოფითი მუხტების (ატომგულის და ელექტრონის) ერთიანობაა, რომ მოძრაობა წყვეტადობისა და უწყვეტობის ერთიანობა და სულ სხვაა დადებითისა და უარყოფითის, წყვეტადობისა და უწყვეტობის ურთიერთმიმართება, ე. ი. როცა ადგილი აქვს რაიმეს თავისი თავისადმი საპირისპირო მიმართებას. პირველ შემთხვევაში ერთისა და მისი საპირისპიროს ერთიანობაა რაღაც მესამე.

¹ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 23, თბ., 1954.

მართალია მოძრაობა არის წყვეტადობისა და უწყვეტობის ერთ-ანობა, მაგრამ იგივე შეიძლება ითქვას დროის შესახებაც. ატომი არის დადებითის და უარყოფითის (მუხტების) ერთიანობა. მაგრამ ასეთია ელექტრობაც. ასე რომ, მოძრაობა ან დრო მესამეა წყვეტადობასთან და უწყვეტობასთან მიმართებაში მაშინ. როცა თვით წყვეტადობისა და უწყვეტობის როგორც კატეგორიათა მიმართებაში მესამე აღარ არის. ესაა საპირისპიროთა მიმართება, როცა ერთი არის მეორეში, გამოდის მეორედან.

კატეგორიების სფეროში დაპირისპირებულთა ერთიანობა ესაა დაპირისპირებულთა ისეთი ერთიანობა. როცა დაპირისპირებულთა ერთი ერთიანობიდან შინაგანად ვადავდევარო დაპირისპირებულთა სხვა ერთიანობაზე: „... ორი ანტიკონსტრუქციული აზრის ერთად შედუღება, — წერს მარქსი, — ჰქმნის ახალ აზრს. რომელიც მათ სინთეზის წარმოადგენს. ეს ახალი აზრი კვლავ ორ საწინააღმდეგო აზრად იშლება. რომელიც თავის მხრივ ახალ სინთეზსად გადადუღდება. დაბადების ეს პროცესი შობს აზრთა ჯგუფს. აზრთა ეს ჯგუფი იმავე დიალექტიკურ მოძრაობას მიჰყვება. როგორცაც მარტივი კატეგორია და მათ თავის ანტიფეზისად აქვს საწინააღმდეგო ჯგუფი. აზრთა ამ ორი ჯგუფიდან წარმოიშობა აზრთა ახალი ჯგუფი, რომელიც მათ სინთეზის წარმოადგენს“¹. დაპირისპირებულთა ყოველი ერთიანობა კი სასრული უსასრულობაა. შემეცნების პროცესში ამგვარი ერთგვარად თავისთავში დასრულებული ციკლების მიგნებისა და აღიარების გარეშე ვერ ავცდებით რელატივიზმს და რეგრესს უსასრულობაში. უსასრულოა არა მარტო შემეცნების პროცესი, არამედ მისი ცალკეული ციკლების ქვემარტად გაგებული დასრულებულობაც.

კატეგორიებში დაპირისპირებულთა ყოველი ერთიანობა, როგორც ასეთი, არის ამავე დროს დაპირისპირებულთა — სასრულისა და უსასრულოს ერთიანობა. დაპირისპირების ერთი მხარეს აბსოლუტურად წარმოდგენა მეორე მხრისაგან იზოლირებულად. მას სასრულად აქცევს, მაგრამ ერთმანეთთან მიმართებაში, ერთიანობაში ზღებიან ისინი უსასრულონი. მაგრამ არა სრულად უსასრულონი. ვინაიდან ყოველი მათგანიდან გამოდის მეორე. ეს ნიშნავს, რომ ერთი გამოდის თავისი თავიდან და გადადის მეორეში. ამავე დროს ყოველი არა მარტო გამოდის თავისი თავიდან, არამედ თავის თავსაც უბრუნდება, მაგრამ სხვის შემწეობით, ვინაიდან გადადის სხვაში, მართალია ის იმ სხვაში გადადის, რომელიც მასშივეა, როგორც მისი

¹ კ. მარქსი, ფილოსოფიის სილატაქე, თბ., 1938. გვ. 99.

უარყოფა, მაგრამ მაინც სხვაში. ამიტომ დაპირისპირებულ-
თა ერთიანობას ჩვენ განვიხილავთ როგორც
სასრულ უსასრულობას და არა სრულ უსასრულობას,
უსასრულო უსასრულობას.

პროფ. ს. წერეთლის მიხედვით რაიმეს უარყოფით მისივე დად-
გენა უსასრულო, ანუ დაუბოლოებელი დასკვნაა. ასეთი დასკვნა
შესახებ პროფ. ს. წერეთლის თეორია ახლოს დგას სასრული უსა-
რულობის თვალსაზრისთან, შენიშნავს პროფ. ს. ავალიანი¹. ამრი-
გად, ს. ავალიანი მიაჩნია, რომ ს. წერეთლის თვალსაზრისი ახ-
ლოს დგას სასრული უსასრულობის თვალსაზრისთან. ს. წერეთლის
მიხედვით სასრული არის ის, რასაც საფუძველი სხვაში აქვს, უსა-
სრულო კი თავის თავს ეფუძნება, თავისი თავით საბუთდება. ასე-
თია სწორედ უსასრულო დასკვნა.

ს. ავალიანი სასრულ უსასრულობას განიხილავს როგორც წრეს:
წრე, — წერს იგი, — ერთსა და იმავე დროს სასრულიცაა და უსა-
სრულოც. რამდენადაც წრიული მოძრაობა ერთი და იგივეს გამეორე-
ბაა, ამდენად იგი სასრულია, მეორე მხრივ რამდენადაც მას არა
აქვს არც დასაწყისი და არც დასასრული, ამდენად იგი უსასრულოა.
ამგვარ უსასრულობას სასრული უსასრულობა შეიძლება ეწოდოს².
ს. ავალიანი სასრული უსასრულობის სხვა გაგებას იძლევა ვიდრე
ეს ჩვენ გვაქვს მოცემული. სასრულობა და უსასრულობა აქ მან
განხილული აქვს როგორც რეალური სასრულობა და უსასრულობა
და არა ლოგიკური ასპექტით (მაგალითად, როგორც ს. წერეთელს).

როგორც ვთქვით, ს. წერეთელი უსასრულო დასკვნას უწოდებს
იმას, რაც მისივე უარყოფით საბუთდება. ამდენად, ჩვენი აზრით,
მისი თვალსაზრისი უახლოვდება ს. ავალიანის მიერ განხილულ
უსასრულო უსასრულობას³ და არა სასრულ უსა-
სრულობას. რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა, უარყოფ-
ითითდადგენა, ანუ რასაც ს. წერეთელი უსასრულო დასკვნას
უწოდებს, უსასრულო უსასრულობაა, ვინაიდან „როდესაც სასრუ-
ლობა მთლიანად მოიხსნება, მაშინ წმინდა უსასრულობას მივიღებთ.
ე. ი. ისეთ უსასრულო უსასრულოს, რომელიც ყოველი მხრიდან
უსასრულოა და სასრულობას მთლიანად გამორიცხავს“⁴. სწორედ
ასეთია ს. წერეთლის დაუბოლოებელი, უსასრულო დასკვნა.

¹ ს. ავალიანი, უსასრულობის პრობლემა, ე. ი. ლენინი და დიალექ-
ტიკური მატერიალიზმის პრობლემები, თბ., 1969, გვ. 224.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 227.

⁴ იქვე.

ლოგიკურად რაიმეს დადგენა მისივე უარყოფით უფრო მაღალი უონეა, საფეხურია განვითარებისა, ვიდრე დაპირისპირებულთა ერთიანობა. ამიტომ ჩვენი აზრით, დაპირისპირებულთა ერთიანობა შეესატყვისება სასრულ უსასრულობას, ვინაიდან რაიმეს ადგენას სხვა, მართალია თავისი სხვა, მაგრამ მაინც სხვა. ხოლო უარყოფით თვითდადგენა შეესატყვისება უსასრულო უსასრულობას. ვინაიდან მას საფუძველი თავის შიგნით აქვს არა თავისი სხვის სახით, არამედ ისევ თავისი თავის სახით.

როგორც სასრული უსასრულობა, ასევე უსასრულო უსასრულობა, ანუ დაპირისპირებულთა ერთიანობა და რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა, თავის თავში ჩაკეტილია, თავის შიგნით მიბრუნებულია (ლოგიკურად რეფლექსურია). ამდენად, მოძრაობა ერთშიც და მეორეშიც წრიულ მოძრაობას მოგვაგონებს, მაგრამ მხოლოდ მოგვაგონებს, ვინაიდან ისინი დაზღვეული არიან წრიული მოძრაობისათვის დამახასიათებელი „მონოტონურობისა და ერთი და იგივეს „საშინელი“ განმეორებისაგან“¹. როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობა, ასევე რაიმეს დადგენა მისი უარყოფით აზრის უსასრულო მოძრაობაა, რამდენადაც მათში როგორც აზრის ქმნადობის ფორმებში მუდამდებდა აზრის ახალი მიმართებები თავისთავთან და სხვასთან. მათში დასაწყისი არ არის მხოლოდ დასაწყისი. იგი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასასრულიც და პირიქით. მაგრამ დასასრულიდან დასაწყისზე გადასვლა არაა იგივეს განმეორება, როგორც ამას ადგილი აქვს წრიული მოძრაობისას. ყოველი დასასრულიდან გადავდივართ ახალ დასაწყისზე და ახალი დასაწყისიდან მივდივართ ახალი დასასრულისაკენ და ა. შ. როგორც გნოსეოლოგიურად, ასევე ლოგიკურად.

§ 4. უარყოფა მატერიალისტური დიალექტიკის თანაფარდობითი კატეგორიების სისტემაში

მატერიალისტური დიალექტიკის თანაფარდობით კატეგორიათა სისტემაში ჩვეულებრივ განიხილება შემდეგი კატეგორიები: ერთეული და ზოგადი, მიზეზი და შედეგი, აუცილებლობა და შემთხვევითობა, შესაძლებლობა და სინამდვილე, ფორმა და შინაარსი, არსება და მოვლენა. ზოგიერთი მათ უმატებს რაოდენობას და თვისობრიობას (ა. შეპტულინი), ნაწილს და მთელს, გარეგანს და ში-

¹ ს. ავალთანო, იხ. დასახელებული წიგნი, გვ. 217.

ნაგანს (ა. სპირკინი) და სხვა. მაგრამ ყველა სახელმძღვანელოსა თუ მონოგრაფიაში კატეგორიები დალაგებულია თავისებურად, თითქმის არ არსებობს ორა სრულიად ერთნაირი დალაგება. რაც ამ პრობლემის სართულესა და დალაგების ერთი და ნამდვილი პრინციპის გამოძებნის სიძნელეზე მოუთითებს.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ერთეული და ზოგადი ან შემთხვევითი და აუცილებელი, როგორც საგანთა ურთიერთდაპირისპირებული მხარეები სრულიად სხვაგვარ დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან, ვიდრე ერთეულისა და ზოგადის, შემთხვევითობისა და აუცილებლობის კატეგორიები. მაგალითად, ერთეულია „ეს ადამიანი“: პეტრე, პავლე და ა. შ. ზოგადია: „ადამიანი“. სინამდვილეში, რეალურად არსებობს „ეს ადამიანი“. პეტრე, პავლე და ა. შ., რომლებაც როგორც ადამიანები ზოგადობის ნიშნის მატარებელი არიან, მაგრამ სინამდვილეში ზოგადი იმ სახით არ არსებობს, როგორც ერთეული. ერთეული საგნები მრავალია, ზოგადი ერთია, ზოგადიც რომ ერთეულის მსგავსად არსებობდეს რეალურად, მაშინ იაიც ერთეული იქნებოდა, ანდა იმდენი იქნებოდა, რამდენიც მისი კერძო გამოვლენაა. ე. ი. ამ ვითარებაში ერთეული და ზოგადი რეალურად გაიგივდებოდა ერთმანეთთან. კატეგორიული თვალსაზრისით კი ზოგადის კატეგორია ისევე ერთეულია (რადგან ის ერთია, ერთი კატეგორიაა) როგორც ერთეულის კატეგორია. იგივე უნდა ითქვას არსებისა და მოვლენის, ფორმისა და შინაარსის და სხვა თანაფარდობითი კატეგორიების შესახებ. სინამდვილეში მოვლენის მიღმა უნდა ეჭვრეტდეთ არსებას, მაგრამ არსება არ არის მოვლენა. მოვლენის კატეგორია ისევე არსებობია, როგორც არსების კატეგორია. ობიექტურად შესაძლებლობა იქცევა სინამდვილედ, მაგრამ ლოგიკურში სინამდვილის კატეგორია არ წარმოადგენს შესაძლებლობის კატეგორიის განხორციელებას.

თანაფარდობითი კატეგორიები ასახავს ობიექტური სინამდვილის ურთიერთგანსხვავებულ ურთიერთსაპირისპირო მხარეებს, მაგრამ ზოგადობის ერთნაირი დონით, როგორც ითქვა, ერთეულის კატეგორიაც ისევე ზოგადია, როგორც ზოგადის კატეგორია. ამ მხრივ მათ შორის განსხვავება არ არის.

თანაფარდობითი კატეგორიები დაპირისპირებულთა ერთიანობებს წარმოადგენს. ერთეულის კატეგორია უარყოფს ზოგადის კატეგორიას (არ არის ზოგადი), მაგრამ ამავე დროს მოითხოვს მას: მით ღვინდება და ადგენს მას (ამავე დროს არის ზოგადი). აუცილებლობის კატეგორია გამორიცხავს, უარყოფს შემთხვევითობის კატეგორიას, როგორც მის საპირისპიროს, მაგრამ ამავე დროს არ არ-

სებობს მის გარეშე. მოთხოვნს მას. იგოვე უნდა ითქვას გარეგან-
სა და შინაგანის, მთელისა და ნაწილის. არსებობს და მოვლენია.
შესაძლებლობისა და სინამდვილისა და სხვა თანაფარდობით კატე-
გორიათა შესახებ.

რაიმესა და მისი სხვის, მისი საპირისპიროს ერთიანობა არის თა-
ვის თავში დასრულებულობა, იმ გაგებით, რომ რაიმესა და მის საპირ-
ისპიროს ერთიანობაში სრულადაა აბსოლუტი საპირისპიროთა ბუნება.
ეს ერთიანობა გვაძლევს მთელ სინამდვილას სურათს ერთი რომე-
ლიდაც თვალსაზრისით, ერთი რომელიდაც ააბექტუდნ. მაგალითად,
სინამდვილე მთლიანად შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთეულ-
ლისა და ზოგადის ან როგორც აუცილებლობისა და შემთხვევითო-
ბის, ან როგორც შესაძლებლობისა და სინამდვილის, ფორმისა და
შინაარსის და ა. შ. ერთიანობა. სხვანაირად რომ ვთქვათ. რაიმეში,
როგორც ერთეულში, არის ზოგადობის პოპულარ, მაგრამ იგი (ეს
რაიმე) ამავე დროს შეიძლება განხილულ იქნეს ფორმისა და შინა-
არსის, არსებობისა და მოვლენის, შესაძლებლობისა და სინამდვილის
და ა. შ. თვალსაზრისითაც.

განვითარებას ვლუბულობთ იმიტომ. რომ რაიმე არცაა სხვა,
რაიმე გადადის სხვაში, მაგრამ არა იხუთ სხვაში, რომლას მამართ
ეს რაიმე გულგრილია. რაიმეში შინაგანად ხსდება და არცაა მისი
უარყოფა. დაპირისპირებულთა ერთიანობაში მოხსნილია საპირის-
პიროთა შეუვალობა და ობიექტური სინამდვილე და აზრი წარ-
მოგვიდგება მათს ნამდვილ შექმნე, არსებობად. საპირისპიროთა
ერთიანობას უზრუნველყოფს და განამტკიცებს დაპირისპირებულ-
თა თანაბარი დამოკიდებულება ერთმანეთისაღმძი:

ფორმა ისევე უარყოფა შინაარსს, როგორც ეს უკანასკნელი
პირველს. ამავე დროს ერთნაირადვე მოთხოვენ ერთმანეთს. და-
პირისპირებულთა ამგვარი დამოკიდებულება უზრუნველყოფს
მათ მოძრაობას. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიდოდით ან მათს აბ-
სოლუტურ გაიგივებამდე ან აბსოლუტურ გათიშვამდე. თუ მეცნიე-
რებისათვის მთავარია საკვლევ ობიექტში აუცილებლის, ზოგადის.
არსებობის აღმოჩენა. ფილოსოფიის კვლევის საგანია აუცილებლო-
ბისა და შემთხვევითობის, ერთეულისა და ზოგადის და ა. შ. რო-
გორც კატეგორიების სწორი ურთიერთმიმართების აღმოჩენა და
დადგენა.

ჩვენ აქ არ შევხებოთ საკითხს იმის შესახებ. რომ რეალურად
შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევა უარყოფის გზით ხორ-
ციელდება. შესაძლებლობა, რომელიც სინამდვილედ იქცევა უარ-
ყოფის გზით იჭერს სინამდვილის (საგნის, მოვლენის) ადგილს. ასე-

ვე წინააღმდეგობა ძველ ფორმასა და ახალ შინაარსს შორის ან შევლსა და ახალ ფორმას შორის ურთიერთობა უარყოფის გზით წყდება. უარყოფას აქვს ადგილი შემეცნების პროცესში მოვლენიდან არსებისაკენ და პირველი რიგის არსებიდან მეორე რიგის არსებისაკენ სვლისას. ამ პროცესში ხორციელდება დიალექტიკური მოხსნა-შენახვა და სხვ.

ამჯერად ჩვენი ყურადღების საგანია ზოგადისა და ერთეულისა, მიზეზისა და შედეგის, აუცილებლობისა და შემთხვევითობის და სხვა კატეგორიები, ერთი მხრივ, და უარყოფა, მეორეს მხრივ, რომლებიც აღნიშნული კატეგორიების ურთიერთმიმართებაში იჩენს თავს. ზოგადი, როგორც კატეგორია, ლოგიკურად გამოდის ერთეულის კატეგორიიდან და მით დგინდება, ზოგადი ერთეულის ზოგადია და ერთეული ზოგადის ერთეულია, მიზეზი შედეგის მიზეზია და შედეგი მიზეზის შედეგია, ასეთია აუცილებლობის კატეგორია შემთხვევითობის მიმართ და პირიქით. როცა ფორმის კატეგორიას მოვიხმართ აუცილებლობით იჩენს თავს მისი საპირისპირო კატეგორია შინაარსისა, ვინაიდან ფორმა ასეთია სწორად შინაარსის და არა. ვთქვათ, არსების მიმართ, ფორმა არის რაღაც სხვა, რომელიც მასშა როგორც მისი უარყოფა; ეს სხვა უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ ის, რაც მასთან აუცილებლობითაა დაკავშირებული, როგორც მისგან არა ჩვეულებრივად განსხვავებული, არამედ როგორც საპირისპიროდ განსხვავებული, რაც მისგან გამომდინარეობს. ასეთია მხოლოდ და მხოლოდ შინაარსი. ფორმა არის ის, რაც არ არის შინაარსი. არაშინაარსი არის ფორმა. ფორმა არის შინაარსი როგორც შინაარსის ფორმა და პირიქით. შემთხვევითობას კატეგორია არის აუცილებლობის კატეგორიის დამდგენი, როგორც მისი უარყოფელი, ვინაიდან შემთხვევითობა არ არის აუცილებლობა. შემთხვევითობა არის არააუცილებლობა, ე. ი. შემთხვევითობა ამასთანავე აუცილებლობის მომთხოვნია, ვინაიდან შემთხვევითობა ასეთია სწორედ იმის გამო, რომ არის მისი საპირისპიროც — აუცილებლობაც. შემთხვევითობის კატეგორიას თან ახლავს აუცილებლობის შოაზრება. ამ აზრით შემთხვევითობა არის აუცილებლობა, პირველი მეორედან გამომდინარეობს. შემთხვევითობა შეფარდებითი აზრით აუცილებლობაა და პირიქით.

ყოველა თანაფარდობითი კატეგორია იგივეობა-განსხვავების ერთიანობაა. ამასთან, არც იგივეობა და არც განსხვავება არაა აბსოლუტური. გარდა ამისა, კატეგორიათა ყოველი წყვილი, შეფარდებითისა და აბსოლუტურის ერთიანობაა შეფარდებითის იმ აზრით, რომ ერთი შეფარდებითი აზრითაა მეორე, აბსოლუტურის—

რამდენადაც მათ ერთიანობაში სრულადაა გამოხატული მათი ნამდვილი მიმართება. თანაფარდობითი კატეგორიები, როგორც ვთქვით, დაპირისპირებულთა ერთიანობებს წარმოადგენს. ამიტომ თანაფარდობით კატეგორიათა ყოველი წყვილის ურთიერთმიმართება ანალოგიურია დანარჩენთა მიმართებისა, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობის მიმართებისა.

თანაფარდობით კატეგორიათა სისტემაში უარყოფა მოქმედებს ისევე როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობაში. როცა რაიმე იმას უარყოფს, რასაც ამავე დროს აუცილებლობით მოითხოვს და საჭიროებს, როგორც დამდგენს და გამმართლებელს, მაშინ ადგილი აქვს შეფარდებით და არა აბსოლუტურ, ე. ი. დიალექტიკურ უარყოფას.

უარყოფის განსაზღვრებისათვის

§ 1. რეალური და ლოგიკური უარყოფა

რეალურ უარყოფაში აქ ვგულისხმობთ უარყოფას, რომელიც ადამიანისაგან დამოუკიდებლად არსებულ სინამდვილეში ხდება, ხოლო ლოგიკური უარყოფა აზრის სფეროში ხორციელდება. ამ უკანასკნელში უნდა გავარჩიოთ ფორმალურ-ლოგიკური და დიალექტიკურ-ლოგიკური უარყოფა.

ზოგიერთი ფილოსოფოსი და ლოგიკოსი არ იზიარებს თვალსაზრისს სინამდვილეში უარყოფის შესაძლებლობის შესახებ. მაგალითად, ჯ. ს. მილის აზრით, უარყოფა ეს არის შემმეცნებელი სუბიექტის წმინდა ფსიქოლოგიური მდგომარეობა. მილს შემოაქვს დარწმუნებულობის ცნება. უარყოფა არის ნეგატიური დარწმუნებულობა, დარწმუნებულობა მინუს ნიშნით. თვით საგნებს კი უარყოფა არ ახასიათებს¹.

დაახლოებით იგივე აზრს გამოთქვამს ზიგვარტი „...ყოველგვარ უარყოფას აზრი აქვს მხოლოდ მსჯელობის სფეროში“². ეხება რა სპინოზას *determinatio est negatio*-ს ზიგვარტი შენიშნავს: ის გარემოება, რომ რაიმე არის ეს და არ არის სხვა, არ მიუთითებს იმაზე, რომ ერთიც და მეორეც („არის“ და „არ არის“) ამ რაიმეს ყოფიერებას ეხება. ზიგვარტისათვის რაიმეს ეკუთვნის ის, რომ იგი არის ესა და ეს, მაგრამ არა ის, რომ იგი არის სხვა, „...ეს მათ (საგნებს—კ. გ.) მიეწერებათ გარედან შემდარებელი აზროვნების მიერ და მთელი საქმე ისაა, გავიგოთ, თუ რატომ გვჭირდება ამგვარი სუბიექტური შემოვლითი გზა, რომ შევიმეცნოთ რეალური სამყარო, რომელშიც არაფერია ჩვენი უარყოფელი პიროვნების შესატყვისი“³.

ა. ტრენდელენბურგის შეხედულებით ერთმანეთს უარყოფენ და

¹ Д ж. С. М и л. Система логики, 1914, стр. 566.

² Х. З и г в а р т, Логика, т. I, стр. 154.

³ იქვე, გვ. 144.

ეწინააღმდეგებან მხოლოდ აზრება, მოვლენები კი მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როცა ერთ-ერთს საფუძვლად უდევს ისეთი აზრი, რომელსაც მეორე ანადგურებს ან ასუსტებს¹. უარყოფის თვისებას ემყარება იგივეობისა და წინააღმდეგობის კანონები². ზიგვარტიმა ალბათ ა. ტრენდელენბურგიდან აიღო გამოთქმა — შემდარებელი აზროვნება (сравниваяущее мышление). ა. ტრენდელენბურგის აზრით, ის გარემოება, რომ მოძრაობას უძრაობის უარყოფად, სინათლეს სიბნელის უარყოფად მივიჩნევთ და ა. შ. შემდარებელი აზროვნების შედეგია³.

ა. ტრენდელენბურგი არ არის ბოლომდე თანამიმდევრული უარყოფის გაგებაში. იგი, ერთის მხრივ, ამტკიცებს, რომ „წმინდა უარყოფას მხოლოდ და მხოლოდ აზრში შეიძლება ჰქონდეს ადგილი“⁴. მეორე მხრივ, წერს, რომ უარყოფა ორგვარია: წმინდა ლოგიკური, როცა ერთი ცნება უარყოფს მეორეს და მის ადგილზე არ შემოაქვს აზრადი ახალი, და რეალური, როცა ერთი დადებითი ცნება უარყოფს მეორე დადებითს. ესაა რეალურა დაპირისპირება⁵. მაგრამ საბოლოო აზრით ა. ტრენდელენბურგიც იმ თვალსაზრისს გამოთქვამს, რომ უარყოფა შესაძლებელია აზროვნებაში, მსჯელობაში, ცნებებში და არა საგნებში, ნივთებში.

არისტოტელედან დაწყებული ვიდრე სპინოზამდე უარყოფა გაგებული იყო მხოლოდ როგორც ლოგიკური უარყოფა, უარყოფა, რომელიც სრულდება მხოლოდ აზროვნებით აქტში და მხოლოდ მასში. არისტოტელესთან აზრი საგანთა მიმართების ასახვაა, იგი უარყოფას განიხილავს ლოგიკის სფეროში, მსჯელობასთან ერთად. უარყოფა უპირისპირდება მტკიცებას და პირიქით. მაგრამ მტკიცება და უარყოფა, მისი აზრით, „საგნების დაკავშირება და დაშორებაა. ასე, რომ, ის, ვინც დაშორებულს დაშორებულად აცხადებს, დაკავშირებულს დაკავშირებულად, ჭეშმარიტებას ამბობს და ცდება, ვინც წინააღმდეგობაშია სინამდვილესთან“⁶.

ამასთან დაკავშირებით ზიგვარტი შენიშნავს, რომ ამით არისტოტელე აღგენს მიმართებას, ერთი მხრივ, მტკიცებასა და უარყოფას შორის და, მეორეს მხრივ, შეერთებასა და გათიშვას შორის. ეს არ არისო სწორი, ვინაიდან გათიშვა და შეერთება აზროვნებას

¹ А. Тренделенбург, Логическ. иссл., ч. II, стр. 163.

² იქვე, გვ. 165.

³ იქვე, გვ. 159.

⁴ იქვე.

⁵ დასახელებული წიგნი, ნაწ. I, გვ. 48-49.

⁶ არისტოტელე, მეტაფიზიკა, IX, 10.

შედგება, ე. ი. რაიმეს რაიმესაგან გათიშვას ან შეერთებას ახდენს აზროვნება. შეიძლებაო აზრში აისახოს ისეთი ორი რამ, რომელთაც სინამდვილეში ერთმანეთთან კავშირი არა აქვთ, სინამდვილეში გათიშული არიან. ზიგვარტს მიაჩნია, რომ ასეთი აზრი შეუძლებელია. ამასთან, გათიშვას არავითარი კავშირი არა აქვს უარყოფასთან¹, ე. ი. უარყოფა არ არის გათიშვა. ეს გასაგები გახდება თუ გავიხსენებთ, რომ ზიგვარტის მიხედვით, უარყოფა არის მსჯელობის მიერ მსჯელობის უარყოფა, რომ „უარყოფის ობიექტი მუდამ არის გამოთქმული მსჯელობა, ანდა ისეთი მსჯელობა, რომლის გამოთქმასაც ვცდილობდით“². ამრიგად, უარყოფა როგორც აზროვნებითი აქტი, ნიშნავს არა იმას, რომ გათიშო რაიმე რაიმესაგან, არამედ იმას, რომ წინ აღუდგე სინთეზის ცდას. „A არ არის B“ უპირისპირდება მეორე მსჯელობას „A არის B“ როგორც პირველადს და ძირითადს. უარყოფითი მსჯელობა არის საწინააღმდეგო რეაქცია დადებით მსჯელობაში გამოთქმულ აზრზე და არა იმის ცდა, რომ რაიმე გათიშოს.

ზიგვარტის აზრით, უარყოფით მსჯელობაში პრედიკატი სუბიექტს კი არ ეწინააღმდეგება, არამედ სხვა პრედიკატს, რომელსაც შეიძლება პრეტენზია ჰქონდეს იყოს იმავე სუბიექტის პრედიკატი. ზიგვარტთან უარყოფა არ შორდება მსჯელობასა და მის ნაწილებს: სუბიექტს, პრედიკატს და კობულას. აგრეთვე, იმ მანიპულაციებს, რომლებიც შესაძლებელია ამ სფეროში. ისიც უნდა ითქვას, რომ იგი, როგორც ფსიქოლოგიზმის წარმომადგენელი (როგორც კონცინისტი), ამ თემაზე მსჯელობისას საკითხს წყვეტს წარმოდგენაზე (როგორც ფსიქოლოგიურ ფენომენზე) დაყრდნობით და მისი მეშვეობით. მან უარყოფის პრობლემა ჩაკეტა მსჯელობის სფეროში, თანაც ამ თვალსაზრისით განხილული მსჯელობა აბსოლუტურად გამოთიშა რეალობისაგან, რითაც არა თუ გააღრმავა არისტოტელე, პირიქით, მისგან უკან გადადგა ნაბიჯი, არისტოტელესათვის მტკიცება-უარყოფა, ანუ შეერთება-გათიშვა უკავშირდება სინამდვილის ასახვას, ჭეშმარიტების საკითხს. როგორც აღვნიშნავდით, მისი აზრით, ის, ვინც გათიშულს გათიშულად აცხადებს და დაკავშირებულს დაკავშირებულად, ჭეშმარიტებას ამბობს. ამდენად არისტოტელესთან დადებითი და უარყოფითი მსჯელობა

¹ X. Зигварт, Логика, т. I, стр. 143.

² იქვე, გვ. 135.

ტოლფასია¹. ზიგვარტან კი, როგორც ვთქვით, პირვანდელია და-
დებითი, უარყოფითი კი მეორადი — პირველის არატოლფასოვანია.

ზიგვარტი, თუ დავაკვარღვებით, ეყრდნობა და ავითარებს კან-
ტის თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც უარყოფითი მსჯელობა
არის მსჯელობა მსჯელობაზე. როგორც უკვე მივუთითებდით, არა-
ტოტელეს მოძღვრების მატერიალისტური ელემენტის იგნორირე-
ბით, ზიგვარტმა მსჯელობა და მასში უარყოფის საკითხი აბსოლუ-
ტურად გათიშა რეალურისაგან. მან ფსიქოლოგიური პოზიციიდან
სცადა იმ დადებითის იგნორირება, რომელიც ჩანასახის სახით მო-
ცემულია სპინოზას თვალსაზრისში ამ საკითხზე.

სპინოზა პირველი მოაზროვნე, რომელიც უარყოფაში ხედავს
რალაც დადებით აზრს. აქამდე უარყოფის გაგება არ სცილდებო-
და წმინდა აბსტრაქტულ, მეტაფიზიკურ სფეროს. სასრულის გან-
საზღვრება მის მიერ უსასრულოს უარყოფაა. ამიტომ სპინოზას
აზრით, უარყოფა არის არა მარტო რაიმე ლოგიკური განსაზღვ-
რება, არამედ რისიმე ვრცეული შემოსაზღვრაც. როგორც განსაზღვ-
რება გამოყოფს რაიმეს და უარყოფს ამით სხვას, რაც განსაზღვრე-
ბის გარეთ რჩება, ასევე რაიმეს ვრცეული შემოსაზღვრულობა ნიშ-
ნავს ამ რაიმეს დადგენა-გარკვეულობას და ამით მის გარეთ მყოფის
უარყოფას.

ამრიგად, სპინოზა ამჩნევს, რომ უარყოფა არის არა მარტო ლო-
გიკური უარყოფა, იგი რეალურშიცაა. იგი უარყოფას უკავშირებს
რაიმეს გარკვეულობას, დადგენას, განსაზღვრებას: უარყოფაში ხე-
დავს დადებით შედეგს. სასრული იცვლება, გადადის სხვაში, რაღ-
გან მას აქვს საზღვარი. უარყოფაა თვით განსაზღვრულობა. მაგრამ
რეალურად სასრული, როგორც განსაზღვრული შინაგანად შეიცავს
სხვაში გადასვლის მიზეზს, ე. ი. უარყოფას.

აზროვნების ფორმალურ-ლოგიკურ კანონებში ფიქსირებულია
ის აზრი, რომ უარყოფა საერთოდ დამანგრეველ როლს ასრულებს,
მას მიეყვარათ წინააღმდეგობამდე, რაც დაუშვებელია: ერთმანე-
თის უარყოფელ, გამომრიცხველ, ე. ი. საპირაპირო პრედიკატთა-
გან, მხოლოდ ერთ-ერთი შეიძლება მიეაწიროთ რაიმეს, ორთავე კი
არავითარ შემთხვევაში ან ერთი, ან მეორე, მესამე გამომრიცხულია.
ფორმალურ-ლოგიკური თვალსაზრისით წინააღმდეგობის შემცვე-
ლია არა მსჯელობა: „აღამიანი არის ფრინველი“, არამედ მსჯელო-

¹ გონებასხვილურად შენიშნავს რუსო, „უინაიდან ყოველი ყალბი დებუ-
ლების საწინააღმდეგო დებულება ჭეშმარიტია, ჭეშმარიტებათა რიცხვი ამოუ-
წურავია. ისე, როგორც შეცდომათა რიცხვი“, რუსო, ემილი, თბ., 1949, გვ. 239.

ბა „ადამიანი არის ფრინველი და არც არის ფრინველი“. ერთი და იგივე სუბიექტს შეიძლება მიეწეროს მრავალი საწინააღმდეგო პრედიკატი, მაგრამ არა ერთსა და იმავე დროს და ერთსა და იმავე მიმართებაში. ამრიგად, სუბიექტს არ შეიძლება ერთდროულად მიეწეროს ერთმანეთის გამომრიცხავი, უარყოფელი პრედიკატები, თუ ქეშმარიტია დებულება, რომ „ადამიანი ფრინველია“ მაშინ არაა სწორი მისი უარყოფელი „ადამიანი არ არის ფრინველი“.

ფორმალურ-ლოგიკური გაგებით უარყოფა არის მხოლოდ უარყოფა. იგი მხოლოდ უარყოფს, განზიდავს, ანკრევს. დადებითი არის მხოლოდ დადებითი, ის მხოლოდ ქმნის, აშენებს. დადებითი და უარყოფითი აბსოლუტურად არიან გათიშული, ისინი მიუქარებელი არიან ერთმანეთისათვის. ზიგვარტმა სწორედ ამგვარი მიდგომა გამოიჩინა, როცა დაუშვა, რომ უარყოფითი მსჯელობის საფუძველი არაა დადებითი, იგი უარყოფს სწორედ იმას, რასაც ამტკიცებს დადებითი. უარყოფითი მსჯელობა მან, მიიჩნია რა მეორადად, აღარ შეეძლო ეთქვა: დადებითი მსჯელობის საფუძველი უარყოფითი მსჯელობააო და ამგვარად საკითხი ცალმხრივად განიხილა.

ლოგიკურად არა მარტო უარყოფითი არ არსებობს დადებითის გარეშე, პირიქითაც, თუ უარყოფითი მსჯელობა იმას უარყოფს, რასაც დადებითი ამტკიცებს, მაშინ შებრუნებულიც სწორი უნდა იყოს. დადებითი მსჯელობა გულისხმობს, რომ შეიძლება არსებობდეს იმის უარყოფა, რასაც იგი ამტკიცებს. ამის გარეშე მტკიცებას აზრი არ ექნებოდა, როგორც ზედმეტს, რადგან ყოველივე თავისთავად იქნებოდა ცხადი.

როცა ერთიანს ვანაწევრებთ და ცალკეულ ნაწილებს შევისწავლით, მაშინ გარკვეულ ეტაპამდე საჭირო არაა ვილაპარაკოთ იმაზე, რაც ამ ნაწილს აერთებს მთელთან და განუყრელს ზღის მისგან. მაგრამ რაღაც მომენტში ეს აუცილებლობა ჩნდება და თუ იგი არ აღინიშნა, მაშინ ცალმხრივ მიდგომას გამოვიჩინოთ, სიყალბეს ჩავიდენტ. მაგალითად, ხელის ანატომიური შესწავლა გარკვეულ დონემდე შეიძლება ადამიანის სხეულისაგან იზოლირებულად, მაგრამ დგება საღდაც მომენტი, როცა უნდა ითქვას მთელთან მისი კავშირის შესახებაც. თუ გვინდა საკითხი ბოლომდე მართებულად და მეცნიერულად გავაშუქოთ.

რა თქმა უნდა, ზოგადი ზოგადია და ერთეული ერთეულია, მაგრამ ფ. ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ამგვარი მიდგომა შინაური ხმარებისათვის, ე. ი. აზროვნების რაღაც უფრო დაბალ დონეზე თუ კმარა. ბოლოს და ბოლოს დაძლეულ უნდა იქნეს ამგვარი

მიდგომის ცალმხრივობა, დანაწევრებულზე მსჯელობადან უნდა გადავიდეთ მთელზე, ერთიანზე. მაშინ აღმოჩნდება, რომ ის, რაც აქამდე მიჩნეული გვქონდა როგორც მთელი, თურმე ნაწილი ყოფილა უფრო რთულისა და ერთიანისა. ის, რაც აქამდე მხოლოდ დადებითი გვეგონა უარყოფითის შინაგანად შემცველი ყოფილა.

ხშირად ერთიანი გვეძლევა გაორებული სახით მისა საპირისპირო ნაწილებით. შემეცნება მოითხოვს არა მარტო ერთიანის გაორებას (ანალიზს), არამედ გაორებულის ნაწილთა შემეცნებას, მაშასწამად ერთიანობას (სინთეზს). ამ აზრით უნდა ითქვას, რომ დადებითი და უარყოფითი, სასრული და უსასრულო და ა. შ. არსებულის როგორც ერთიანის საპირისპირო მომენტებია. შეცდომა შეიძლება გამოიწვიოს იმან, რომ უარყოფელი პრედიკატები, რომლებიც შეიძლება მიეწეროს ერთ სუბიექტს, შეიძლება მივაწეროთ სხვა სუბიექტს, რომლის პრედიკატები შეიძლება სრულიად განსხვავებული იყოს პირველისაგან. მაგალითად, დადებითი და უარყოფითი, აუცილებლობა და შემთხვევითობა, ფორმა და შინაარსი ისეთი ურთიერთუარყოფელი პრედიკატებია, რომლებიც შეიძლება მიეწეროს ყოველ რაიმეს, როგორც არსებულს. მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვი პრედიკატებზე — ყალბი და ჭეშმარიტი, ვინაიდან ასეთი შეიძლება იყოს მხოლოდ აზრი. საერთოდ აზრი, როგორც ასეთი, ხასიათდება ამ პრედიკატებით, რამდენადაც იგი სრულიცაა და არცაა სრული, აბსოლუტურიცაა და არც არის აბსოლუტური. მაგრამ აზრი რომელიმე პეტრეს შესახებ, ე. ი. იმის შესახებ, რომ იგი ავადა ან არაა ავად, უნდა იყოს გარკვეული. მაგალითად, თუ პეტრე ჯანმრთელია, იგი არაა ავად და თუ ავადაა არაა ჯანმრთელი. გაუმართლებელი იქნებოდა მსჯელობა „პეტრე ავადაა და არც არის ავად“. ამასთან, ავადმყოფობის ან კარგადმყოფობის პრედიკატები არ შეიძლება ჭეშმარიტი მსჯელობისას მივაწეროთ მდინარეს ან პლანეტას.

საკითხი ისმის უფრო რთულადაც. მაგალითად, როგორ აეხსნათ ლოგიკურად ისეთი ფაქტი, როგორიცაა მოძრაობა (მექანიკური მოძრაობა), გამომდინარე იმ სიძნელიდან, რომელიც ამასთან დაკავშირებით წამოაყენა ძენონმა, როგორ გავიგოთ აზრი ფორმულისა „რაიმე არის სხვა“, როგორ გავარკვიოთ წყვეტადობისა და უწყვეტობის ერთიანობის პრობლემა, აბსოლუტური და შეფარდებითი ჭეშმარიტების დამოკიდებულების საკითხი და სხვა ამგვარი პრობლემები, რომლებიც ფილოსოფიის კვლევის საგანს შეადგენენ. განა ფილოსოფია ამ საკითხების კვლევაში ერთ ნაბიჯს მაინც გადადგამდა წინ, რომ იგი დარჩენილიყო წინააღმდეგობის შეუძლებლობის

ფორმალურ-ლოგიკური კანონის მოთხოვნების დონეზე და არ გაერ-
ღვია მისი შეზღუდული ჩამორჩენა?

ხშირად შენიშნავენ, რომ ჰეგელმა ფორმალური ლოგიკა გა-
აკრიტიკა დიალექტიკის, დიალექტიკური ლოგიკის პოზიციებიდან,
რომ თითქოს ამით მან არასწორი მიდგომა გამოიჩინა. უნდა ითქ-
ვას, რომ ფორმალური ლოგიკის არსებითად გაკრიტიკება მხოლოდ
და მხოლოდ დიალექტიკური პოზიციებიდან შეიძლებოდა და შეიქ-
ლება. თუ აზროვნება არ ამალდა იმ დონემდე, რომ ვერ შეამჩნია
ფორმალური ლოგიკის შეზღუდულობა და არსებითი ნაკლოვანება,
ისე მისი არსებითი კრიტიკაც შეუძლებელი იქნება.

ჰეგელი იყო პირველი, ვინც არსებითად გააკრიტიკა ფორმალური
ლოგიკა და მისი პრინციპები მისთვის დამახასიათებელი ცალმხრი-
ვობისა და შეზღუდულობისათვის. მან უარყოფის ფორმალურ-ლო-
გიკური გაგების მაგივრად წამოაყენა უარყოფის ნამდვილი, და-
ალექტიკური გაგება. მართალია, უარყოფის ჰეგელისეული გაგებაც
ლოგიკურია, რამდენადაც უარყოფას ადგილი აქვს იდეის და არა
ბუნების სფეროში. ჰეგელის აზრით, „ბუნება უნდა განვიხილოთ
როგორც საფეხურთა სისტემა, რომელთაგან თითოეული აუცილებ-
ლად გამომდინარეობს მეორესაგან და წარმოადგენს იმის უახლოეს
ქეშმარიტებას, რომლისაგანაც იგი გამომდინარეობს. ამასთან, აქ ად-
გილი არა აქვს წარმოქმნის ბუნებრივ, ფიზიკურ პროცესს, არამედ
მხოლოდ თვით შინაგანი იდეის წიაღში, რომელიც შეადგენს ბუ-
ნების საფუძველს. მეტამორფოზას განიცდის მხოლოდ ცნება, რო-
გორც ასეთი, რადგან მხოლოდ მისი ცვლილებები წარმოადგენს გან-
ვითარებას¹. ან კიდევ: „ბუნება ეს არის იდეა წარმოდგენილი განს-
ხეისებული ფორმით“².

ამრიგად, ჰეგელისათვის უარყოფათა გზით არსიდან არსებაზე და
აქედან ცნებაზე გადასვლა, ლოგიკიდან ბუნების ფილოსოფიაზე და
აქედან სულის ფილოსოფიაზე და ასე ამგვარად, გადასვლები არის
არა ფიზიკური პროცესი, არის არა რეალურად (გაგებულნი მატერია-
ლური აზრით) მიმდინარე პროცესი, არამედ ლოგიკური პროცესი.
მისი ბუნების ფილოსოფია სხვა არაფერია თუ არა ფილოსოფია
ბუნების იდეის შესახებ და ვითარდება არა ბუნება არამედ იდეა
მის შესახებ. მაგრამ, როგორც ვ. ი. ლენინი შენიშნავს, „...ჰეგელმა
გენიალურად გამოიკონო ყველა ცნების ცვლაში, ურთი-
ერთდამოკიდებულებაში, მათს დაპირისპირებულ

¹ Гегель, соч. т. II, стр. 28.

² იქვე, გვ. 20.

ბათა იგივეობაში, გადასვლებში ერთი ცნება-სა მეორეში, ცნებათა მუდმივ ცვლაში, მოძრაობაში ნივთთა, ბუნების სწორედ ასეთი მიმართება“¹.

ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ჰეგელის დიალექტიკური უარყოფა ლოგიკურში უნებლიედ ასახავს უარყოფას რეალურში. თვსებრიობა არსის და არარსის ერთიანობაა. იგი არის არარსი, რამდენადაც შეიცავს უარყოფას, ანუ სხვაში გადასვლის, სხვად ქცევს შესაძლებლობას, სრულყოფის შესაძლებლობას. იგი არის საპირისპიროთა ერთიანობა, ვინაიდან მოძრაობა — არის ეს და ამავე დროს მასში არის მისი არარსი, მისი უარყოფის სახით, რადაც შეიძლება იგი გარდაიქმნას. ასე იქცევა ერთ საფეხურზე არარსის სახით წარმოდგენილი მხარე არსად და ანე დაუარულებლად. ამ გზით წარმოებს კატეგორიათა ქმნადობა და მათი სისტემის შექმნა ჰეგელთან.

ჰეგელის კატეგორიებში, როგორც ლოგიკურში, აისახა ის, რაც ზღვებოდა ისტორიულად. თუმცა, როგორც ჰეგელი ამბობს, მეტამორფოზის განიცდის მხოლოდ ცნება. მატერიალისტური დიალექტიკის თვალსაზრისით მეტამორფოზის განიცდის არა მარტო ცნება, არამედ მატერიალური სინამდვილეც, ბუნებაც. ამასთან, თუ ისტორიზმის პრინციპით ვიმსჯელებთ, ცნებათა მეტამორფოზი მატერიალურ პროცესთა მეტამორფოზის ასახვაა. ამ თვალსაზრისით ცნებათა მეტამორფოზი ისევე იმეორებს ბუნებრივ — რეალურ პროცესთა მეტამორფოზს, როგორც ონტოგენეზი იმეორებს ფოლოგენეზს. ლოგიკურში შემჭიდროებულია ისტორიული ისევე, როგორც ონტოგენეზში — ფოლოგენეზი.

ამიტომ დიალექტიკურ-ლოგიკურში გამოვლენილი უარყოფა პრინციპში სხვა არაფერია თუ არა ასახვა იმ უარყოფისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა და აქვს მატერიალურ სინამდვილეში. ყოველ ცალკე მოაზროვნეს შეუძლია აითვისოს დიალექტიკურ-ლოგიკური, ლოგიკური ქმნადობა მასში მოქმედი უარყოფით, მაგრამ ცალკე ადამიანისათვის და მთელი თაობებისათვის მიუწვდომელია იმ რთული რეალური პროცესების წვდომა, რომელიც მიმდინარეობდა მილიარდი წლების განმავლობაში. ამიტომ კითხვა იმის შესახებ თუ რატომ აღარ ზღვება მაიმუნის გაადაამიანება სხვას არაფერს არ უნდა ნიშნავდეს, თუ არა იმის სურვილის გამოხატვას, რომ ყოველმა თაობამ პირადად განიცადოს მთელი რეალურ-ისტორიული ქმნადობა.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 194.

უარყოფათა გზით ხორციელდება არა მარტო ცოცხალი არსებების ინტოგენეზური განვითარება, არამედ ამ გზით ხორციელდება გადასულა არაორგანულიდან ორგანულ ბუნებაზე, მთელი ორგანული ბუნების განვითარება და ფილოგენეზი. ამ რთულ პროცესში შინაგანმა უარყოფამ შეასრულა ძველსა და ახალს შორის კავშირის მომენტის როლი, უზრუნველყო დინამიურობა და უწყვეტობა.

ფსიქოლოგისტ ზიგვარტის საწინააღმდეგოდ, ის, რომ რაიმე არ არის სხვა. ამ რაიმეს „შემდარებელი აზროვნებისაგან“ კი არ მიეწერება, არამედ ამ რაიმეშია შინაგანად მოცემული. ამ რაიმეს ბუნების გამომხატველია ისევე, როგორც ის, რომ რაიმე არის ეს.

განვითარების პროცესში რაიმე ობიექტურ-რეალურად გადადის სხვაში. რომელიც (ამ რაიმეს) ქეშმარიტების უფრო სრულად, უახლოესი გამომხატველია, სხვანაირად რომ ვთქვათ, იგი ამ რაიმეს უფრო მაღალი, განვითარებული საფეხურია, მისი პოტენციის გამომჟღავნების ერთ-ერთი საფეხურია და ა. შ.

მაგრამ არ შეიძლება გავიგვივოთ უარყოფა რეალურ სინამდვილეში და უარყოფა ლოგიკურში. დიალექტიკურ-ლოგიკურში უარყოფა ვლინდება რაიმეს თავის საპირისპიროში შეფარდებითად გადასვლაში და აგრეთვე იმით, რომ რაიმეს მისი უარყოფა ადგენს.

§ 2. უარყოფის ობიექტურობა

როგორც მრავალგზის ადგინიშნავს უარყოფა მოქმედებს როგორც ბუნებაში, ასევე საზოგადოებაში და აზროვნებაში (ლოგიკურში). უარყოფა, რომელიც მოქმედებს ბუნებასა და საზოგადოებრივ განვითარებაში ობიექტური პროცესია, ობიექტურია ისევე როგორც ობიექტურად არსებულია თვით ბუნება და საზოგადოება. ამ შემთხვევაში ობიექტურად არსებობაში იგულისხმება არსებობა ადამიანის, შემმეცნებელი სუბიექტისაგან დამოუკიდებლად. მაგალითად, ამ აზრით ობიექტურია მცენარის ყვავილის უარყოფა ნაყოფის მიერ, საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციათა ცვლა უარყოფის გზით და ა. შ. მეორეს მხრივ, რეალურ-ობიექტურად მიმდინარე უარყოფის პროცესის ახსნა, როგორც ვთქვით შეიძლება იყოს დიალექტიკურიც და მეტაფიზიკურიც. ასევე ეს ახსნა, გაგება შეიძლება იყოს ობიექტურიც და სუბიექტურიც. რამდენადაც იგი მეცნიერულად, სრულად, ადეკვატურად ასახავს და აგვიხსნის ობიექტური პროცესის სურათს, იმდენად ობიექტური იქნება იგი. სწორედ ასეთია დიალექტიკური უარყოფა. საპირისპიროდ ამისა სუბიექტურია უარყოფის მეტაფიზიკური გაგება, ახსნა. ლოგიკურში

კი უარყოფა მხოლოდ აზრში. ცნობიერებაში. ე. ი. სუბიექტში ხორციელდება. ამიტომ მისი ობიექტურობა სხვა ხასიათის უნდა იყოს, ვიდრე ობიექტურად, შემმეცნებელი სუბიექტისაგან დამოუკიდებლად მიმდინარე უარყოფა.

ს. წერეთელი სამართლიანად შენიშნავს, რომ „...ლოგიკური მხოლოდ ობიექტური, არასუბიექტური უნდა იყოს, მაგრამ ის არ არის აზრისაგან დამოუკიდებლად არსებული არც საგნის ობიექტურობა და არც სქემა“¹.

გამომდინარე ზემოთქმულიდან. საჭიროდ მიგვაჩნია წინასწარ შევეხოთ ობიექტურობის გაგების საკითხს.

კანტის მიერ დაშვება ნივთისა თავისთავად მისი ობიექტურად არსებობის დაშვება იყო. ობიექტურობა უპირველესად იმას ნიშნავს, რომ რაღაც არსებობს ადამიანის, მისი შემმეცნებელი გონებისაგან დამოუკიდებლად. ის რაც ამგვარად არსებობს, არსებობს ობიექტურად. ასეთია მატერიალისტური დიალექტიკის თვალსაზრისი. მატერიის ცნობილი ლენინისეული განსაზღვრების მიხედვით „მატერია არის ფილოსოფიური კატეგორია იმ ობიექტური რეალობის აღსანიშნავად, რომელიც ადამიანს მოცემული აქვს მის შეგრძნებებში, რომლის ასლს, ფოტოგრაფიას, ანარეკლს ჩვენი შეგრძნებანი იძლევა, რომელიც არსებობს მათ დამოუკიდებლად“². ამრიგად, მატერიის ცნება გამოხატავს ისეთ რაიმეს, რაც ობიექტურად არსებობს, ანუ ის, რაც მატერიის ცნებაში იგულისხმება ობიექტურად არსებულთა. მაგრამ ამ და საერთოდ ყოველი განსაზღვრების მიმართ შეიძლება დაიბადოს კითხვა: არის თუ არა განსაზღვრება ობიექტური, უტყუარად და ადექვატურად ასახავს თუ არა იგი განსაზღვრული ობიექტის ბუნებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არის თუ არა განსაზღვრება კემპარიტი?

კანტმა მხოლოდ ის დაუშვა, რომ არსებობს ნივთი თავისთავად, რომ იგი ადამიანისაგან დამოუკიდებლად, ანუ ობიექტურად არსებობს, მაგრამ კანტს არ შეეძლო განესაზღვრა იგი ვინაიდან ამბობდა, არ ვიცით რა არისო იგი, მისი ცოდნა ადამიანისათვის პრინციპულად შეუძლებელიაო. თუ ასეა, მაშინ არც შეიძლება ითქვას ობიექტურია თუ სუბიექტური ცოდნა მის შესახებ, ეს ფაქტიურად არცაა ცოდნა. იგი დაშვებაა, ვარაუდია. სრულიად სხვა მიდგომას იჩენს დიალექტიკური მატერიალიზმი. იგი, უშვებს რა რაღაცის ობიექტურად, ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობას, ამავე დროს

¹ ს. წერეთელი, დიალექტიკური ლოგიკა, გვ. 535.

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. XIV, გვ. 155.

შესაძლებლად თვლის მის შესახებ ცოდნას. ამის შემდეგ ისმეა საკითხი ამ ცოდნის ობიექტურობის შესახებ, ანუ ამ ცოდნის შესატყვისობის შესახებ იმ ობიექტისადმი, რომელსაც იგი ასახავს. აუცილებელი არაა ცოდნა იყოს ცოდნა ობიექტურად. ადამიანის გონებისაგან დამოუკიდებლად არსებულის შესახებ, მაგრამ თუ იგი ნამდვილი ცოდნაა, მაშინ უნდა იყოს ობიექტური, ანუ ადეკვატურად ამსახველი იმ ობიექტისა, რომლის შესახებაც ცოდნის პრეტენზია მას აქვს.

ამრიგად, ერთია რაიმეს ობიექტურად, აზრის გარეშე არსებობა და მეორეა ცოდნის ობიექტურობა, ანუ შესატყვისობა თავის ობიექტთან. პირველ შემთხვევაში ობიექტურობა აზრისაგან დამოუკიდებლად არსებობაა, მეორე შემთხვევაში ობიექტურობა აზრისაგან დამოუკიდებლად არ არსებობს, ანუ ობიექტურობა, გაგებული მეორე თვალსაზრისით, არის სწორედ აზრის ობიექტურობა. „...ერთმანეთისაგან უნდა განვასხეაოთ „ობიექტური“ როგორც აზრისაგან დამოუკიდებლად არსებული და „ობიექტური“ როგორც აზრისაგან დამოუკიდებელი, მაგრამ აზრში მყოფი“¹.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ობიექტი უპირისპირდება სუბიექტს და ობიექტურობა — სუბიექტურობას, მაშინ უნდა ითქვას, რომ აზრის ობიექტურობა ნიშნავს მასში სუბიექტურობის ელემენტის გამორიცხვას. მაგრამ ცოდნაში რაოდენ ობიექტურიც არ უნდა იყოს იგი, არის სუბიექტური ელემენტი იმ გაგებით, რომ შემეცნებული გონება არასუვეერენული და არააბსოლუტურია: 1) განსაზღვრულია მისი წმინდა სუბიექტური შემეცნებითი შესაძლებლობით (უნარი); 2) განსაზღვრულია სოციალურად (კლასობრივად); 3) განსაზღვრულია განვითარების საერთო დონით და სხვა ფაქტორებით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცალკეულ შემთხვევებში და დროთა განმავლობაში ცოდნა აღწევს უფრო სრულ ობიექტურობას.

ამრიგად, ცალკე უნდა განვიხილოთ შემთხვევა, როცა აზრის ობიექტურობა დამოკიდებული არაა იმ ფაქტორებზე, რომლებიც ახლა აქ ჩამოვთვალეთ. გონება გარკვეულ სააზროვნო ობიექტთან მიმართებაში აღმოაჩენს ფაქტს, რომელსაც ამჟღავნებს სააზროვნო ობიექტი თავის თავთან უარყოფით დამოკიდებულებაში. აქ აზროვნების ობიექტი² და მასზე ლოგიკური აზროვნების პროცესი

¹ ს. წერეთელი, დიალექტიკური ლოგიკა, გვ. 27.

² ეს ობიექტი ამ შემთხვევაში ისევ აზრია.

ერთნაწილისაგან განუყოფელია. სხვანაირად, ლოგიკური აზროვნების პროცესში იქმნება, ხორციელდება მისივე ობიექტი. თუ არ იარსებებდა აზროვნება, არც ამგვარი ობიექტი იქნებოდა. ესაა აზროვნების შინაგანი სტიქია. ვინაიდან აზროვნების პროცესში შეუძლებელია საერთოდ აზროვნების ფარგლებიდან გამოსვლა, ამიტომ შეუძლებელია აზროვნების ამ თავისებური ქცევის ნამდვილობის შემოწმება, თუ არა თვით აზროვნების პროცესით და მისი სტიქიის უშუალო გამოვლენისას.

ამგვარი ხასიათისაა რაიმეს უარყოფით მისივე დაღვენა, დასაბუთება. ს. წერეთელი სამართლიანად შენიშნავს, რომ „ლოგიკურად იმაზე უფრო ობიექტურია შეუძლებელია, ვიდრე ის ობიექტური, რომელიც ხორციელდება რაიმეს უარყოფის შეუძლებლობაში და რაიმეს უარყოფით მისივე (აჰავე რაიმეს) დაღვენა-დასაბუთებაში“¹.

უარყოფის უარყოფა ისევ უარყოფაა, აზრის უარყოფა აზრია, მსჯელობის უარყოფა მსჯელობაა და მსჯელობით უნდა გამოითქვას. თვით ობიექტურობის უარყოფელ აზრს ობიექტურობის პრეტენზია უნდა ჰქონდეს და ა. შ. აზრის თავისთავთან ამგვარ უარყოფით დამოკიდებულებაში, რაც ხორციელდება სწორედ აზროვნების პროცესში, სრულად მეღვანდება ობიექტურობა და ამდენად, უარყოფის, დიალექტიკურ-ლოგიკური უარყოფის ობიექტურობა.

ამ მაგალითების უფრო დაწვრილებით გარჩევას აქ არ შეეუღლებით, ვინაიდან ამაზე შემდეგ შევჩერდებით. აჩვენად კი ჩვენია ამოცანაა დიალექტიკური უარყოფის ობიექტურობის ჩვენება.

ამრიგად, საკითხი ისმის იმის შესახებ, რომ აზრის, ცოდნის ობიექტურობა უპირატესად გულისხმობს ადეკვატურ ასახვას, როცა დაძლეულია შემეცნებაში სუბიექტური ელემენტი. მაგრამ როცა საქმე ეხება ობიექტს (რომელიც არსებობს შემეცნებლისაგან დამოუკიდებლად) და მის ასახვას, სუბიექტური ელემენტის დაძლევა პრობლემად რჩება. ხოლო აზრის თავისი თავისადმი უარყოფითი რეფლექსიისას სუბიექტურობა ბოლომდეა დაძლეული, ვინაიდან შეუძლებელია იმაზე მეტად ობიექტური იყოს ცოდნა რაიმეს შესახებ, ვიდრე უარყოფით თვითდასაბუთებისას. ამდენად, აქ ლაპარაკია იმაზე თუ როდის და როგორ მიიღწევა ობიექტურობა უფრო სრულად და მთლიანად.

რეალური უარყოფა, ე. ი. უარყოფა მატერიალურ სინამდვილეში ობიექტური, ადამიანის გონებისაგან დამოუკიდებლად მიმ-

¹ ს. წერეთელი, დიალექტიკური ლოგიკა, გვ. 538.

დინარე პროცესია, მაგრამ მისი ობიექტურობა მარტო ამით როდი ამოიწურება. რაც მთავარია, იგი ობიექტურია ბუნებრივი უშუალო-ბით. იგი ობიექტურია, რამდენადაც აქ ხდება, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ბუნებრივ თვითშეწირვა“, რაიმეს ბუნებრივი მოხსნა „სხვის სასარგებლოდ“, სხვის დასამკვიდრებლად, სხვაში გადასვ-ლა, რაიმეს გადასვლა სხვაში, რომელიც არის ამ რაიმეს უახლოე-სი ჰემმარიტება და განსაზღვრება. კვირტი სასრულია, მისი შემდ-გომი უფრო სრული განსაზღვრება არის ყვაილი, მისი კიდევ უფ-რო სრული განსაზღვრება ნაყოფია. ნაყოფში ხორციელდება კვირ-ტის არსება სრულად, ხოლო როგორც ცნობილია, ეს გადასვლები ობიექტური უარყოფის გზით ხორციელდება. საზოგადოებრივი გან-ვითარება მიმდინარეობს ობიექტურ უარყოფათა გზით, წინა სა-ფეხურში ისახება მომდევნო, რომელიც რეალურად მკვიდრდება წინა საფეხურის მოხსნას, უარყოფის შემდეგ, მის შედეგად. ყოველ მომდევნო საფეხურში საზოგადოება, როგორც ასეთი, იძენს თავის ახალ და უფრო სრულ განსაზღვრებას. კომუნისმში აღწევს იგი თავის სასრულ გამოხატულებას. ეს პროცესი თავისი ბუნებრივ-ის-ტორიულობით ობიექტურია (ძველში შინაგანად იბადება ახალი და მასში გადასვლა ხდება თვითუარყოფის გზით, აუცილებლობით).

ობიექტურია რაიმე საზოგადოებრივი ინატიტუტის უარყოფა და შეცვლა სხვა უფრო სრულყოფილი ინსტიტუტით, რამდენადაც იგი დასაბუთებულია ობიექტურად და უკეთ პასუხობს ახალი სიტუაცი-ის მოთხოვნებს. ობიექტურია მეცნიერული აზრის განვითარება, პირველი რიგის არსებიდან მეორე რიგის არსებაზე გადასვლა, რამ-დენადაც უფრო სრულყოფილი თეორია, კონცეფცია იბადება ძვე-ლის კრიტიკისა და მისი ობიექტურად დაძლევის (უარყოფის) შედე-გად. ამის მაგალითია მეცნიერებათა ევოლუციური განვითარება მა-თი ჩასახვიდან დღევანდლამდე და ა. შ.

სუბიექტის როლი აქ მით უფრო დიდია, რამდენადაც უკეთ შეი-მეცნებს ობიექტური განვითარების ტენდენციებს, რამდენადაც უკეთ შეამჩნევს ძველში ახალს, ძველის უარყოფის რეალურ შესაძ-ლებლობას, ე. ი. სუბიექტის როლი მით უფრო თვალსაჩინოა, რამ-დენადაც იგი ახლოა ობიექტურთან, რამდენადაც მასში გამორიც-ხულია სუბიექტური ელემენტი.

ლოგიკაში ცნობილია პირდაპირი და არაპირდაპირი დასაბუთე-ბის რამდენიმე სახე. პირდაპირია დასაბუთება, როცა იმისათვის, რომ დავადგინოთ ეს, უარყოფთ ყველა საწინააღმდეგო შემთხვე-ვას. არაპირდაპირია დასაბუთება, როცა ვასაბუთებთ საპირისპი-როს აბსურდულობას, რომ დავადგინოთ მისი საპირისპიროს ჰემმა-

რიტება. ან საერთოდ, თუ ყალბია საპირისპირო, ქეშმარიტია მისი საწინააღმდეგო მსჯელობა, გამოდინარე კონტრადიქტორობა-ს პრინციპიდან. კონტრადიქტორობის პრინციპს ემყარება არაპირდაპირი დასაბუთების სახე აპაგოგია (reductio ad absurdum). არაპირდაპირი დასაბუთება ინარჩუნებს თავის ობიექტურ, გარდუვალ სასიათს ფორმალურ ლოგიკურ კანონებზე დაყრდნობით და მსჯელობათა შორის ფორმალური მიმართებისას, მაგრამ საკითხის არსებითად და შინაარსობრივად განხილვისას აშკარა ხდება მისი შეზღუდულობა და ნაკლოვანება. თუ განვიხილავთ ორ მსჯელობას — „ერთეული არის ზოგადი“ და „ერთეული არ არის ზოგადი“ და დავესაბუთებთ მეორის სიყალბეს, მაშინ გაშუალებულად დასაბუთებული გამოვა პირველის ქეშმარიტება (აქის პირდაპირი დასაბუთების გარეშე), ვინაიდან მესამე გამორიცხულია.

ამგვარი გარეშე და ფორმალური მიმართებისას არაპირდაპირ დასაბუთებას აქვს თავისი ობიექტური საფუძველი. მაგრამ თუ არსებითად განვიხილავთ ამ მსჯელობებში გამოთქმულ აზრებს, მაშინ უნდა ითქვას, რომ ორივე მსჯელობა ცალ-ცალკე შეიცავს ქეშმარიტების ელემენტს, ხოლო სრულად ქეშმარიტება ასე გამოითქმება: ერთეული არის ზოგადი და არც არაა ზოგადი, რომ „...პირველი ასევე შედის მეორეში და ეს მეორე არაა პირველის ქეშმარიტება...“¹ გარდა ამისა, საწინააღმდეგოს აბსურდულობის დასაბუთებისას გამორიცხული არაა საწინააღმდეგო სხვანაირი იყოს, ჩვენ კი შეცდომით ვთვლიდეთ ასეთად და ასეთად, ანდა რაიმეს ნებისთ ვთვლიდეთ საწინააღმდეგოდ, რათა მისი აბსურდულობით როგორმე გავამართლოთ ის, რის გამართლებაც გვსურს. ამიტომ უნდა ითქვას, რომ არც ერთ შემთხვევაში არაა გამორიცხული სუბიექტური ელემენტი, სუბიექტური ნდომა, სურვილი რადაც არ უნდა დაჯდეს დაასაბუთო ეს და გამორიცხო საპირისპირო.

უარყოფით დადგენა-დასაბუთება თითქოს არაპირდაპირი დასაბუთებაა, მაგრამ იგი სრულყოფილი და ობიექტური სახეა დასაბუთებისა. მართლაც, როცა რაიმე თავიდან კი არ იცდენს უარყოფას თავისი შეუვალბობით, არამედ განიცდის უარყოფის მოქმედებას, თანაც „მსხვერპლი“ კი არ ხდება მისი, კი არ ინგრევა, კი არ ნადგურდება, არამედ ამით იძენს თავის ნამდვალ სიცოცხლეს, სწორედ მაშინ შეიძლება განხორციელდეს აზრის სრული ობიექტურობა. როცა უარსაყოფი და უარყოფელი ერთი და იგივეა, მაშინ უარყოფა იქცევა თვითდასაბუთებად, რადგან თვით უარყოფის პრო-

¹ Гегель, соч., т. VI, стр. 308.

ცესი უარყოფის მოხმარებაა, მისი მოხსნა, უკუგდება კი არაა, არამედ ამოქმედება, მისი ნამდვილი გამოვლენაა.

ჩვეულებრივი აზრით უარყოფა უპირისპირდება დასაბუთება-დადგენას, მაგრამ დიალექტიკური გაგებისას დადგენა დასაბუთებაა სხვისი უარყოფა და მით უმეტეს უარყოფა უარყოფა. უარყოფის უარყოფა მასვე აღგენს, უარყოფთ რა უარყოფას, ამით მასვე ვასაბუთებთ, უარყოფთ რა აზროვნებას, ამით მასვე ვასაბუთებთ. ამრიგად, უარყოფის შედეგად ვიღებთ დადგენა-დასაბუთებას სრულიად უშუალოდ და ფარული აუცილებლობით. ამგვარ დასაბუთებაში სუბიექტური წინასწარვე გამორიცხულია, იგი სრული ობიექტურობაა.

დაპირისპირებულთა ერთიანობა, როგორც აღნიშნული გვაქვს, არის გაშუალებული თვითდასაბუთება, ერთის გამართლება საპირისპიროს მეშვეობით და პირიქით, მაგრამ უარყოფით დადგენის სრული გამოხატულებაა უარყოფით თვითდასაბუთება, როგორც ობიექტურობის სისრულით გამოხატველი.

დიალექტიკური უარყოფა არის და უნდა იყოს ობიექტური. მხოლოდ ასეთი და არა სუბიექტური უარყოფა შეიძლება იყოს დადებითი და იმანენტური.

§ 8. უარყოფის იმანენტურობა

იმის გათვალისწინებით, რაც აქამდე იყო აღნიშნული დიალექტიკური უარყოფის შესახებ, უნდა ითქვას, რომ დიალექტიკური უარყოფა შეიძლება მხოლოდ შინაგანი იყოს.

ყოველგვარი შინაგანი მიმართება მოითხოვს ორმხრივ ან ცალმხრივ კავშირს, როცა ურთიერთთან მიმართებაში მყოფნი ორმხრივად, ან ცალმხრივად სქვალავენ ერთმანეთს. ორმხრივი შინაგანი მიმართება, ანუ კავშირი არის პირდაპირი და უკუკავშირის ერთიანობა. მაგალითად, ჟანგბადი და წყალბადი, ნატრიუმი და ქლორი ასეთი კავშირისას (და გარკვეული პროპორციით) ქმნის ახალ ნივთიერებებს (ამ შემთხვევაში წყალს და სუფრის მარილს). მეტყველების საშუალებით ადამიანები ურთიერთთან ამყარებენ ორმხრივ კავშირს (პირდაპირ და უკუკავშირს), ერთის მიერ წარმოთქმულ სიტყვაზე, გამოთქმულ აზრზე მეორის რეაქცია არის კავშირისა და უკუკავშირის განხორციელება. ამ რეაქციის, ანუ უკუკავშირის გარეშე გაძნელებოდა აზრის განვითარება (ამ გარემოებას ემყარება ცნობილი გამოთქმა: „კამათის პროცესში იზადება ჭეშმარიტება“). ის გარემოება, რომ აზრი იწვევს თავისებურ რეაქციას (თანხმობას

ან უთანხმოებას) ნიშნავს, რომ აზრი აზრს სქველავს, ხდება აზრის შეღწევა აზრში, — შინაგანი კავშირის განხორციელება. ასეთივეა მიმართება დაპირისპირებულთა შორის და სხვ.

შინაგანი კავშირი, ანუ შინაგანი მიმართება რაიმესი რაიმესთან არის განვითარების საფუძველი, რაღაც ახლის წარმოშობის, მოძრაობის პირობა.

განვითარება შესაძლებელია აგრეთვე ცალმხრივი შინაგანი მიმართებისას. მაგალითად, მცენარე რეაგირებას ახდენს გარკვეულ სინოტივეზე, სითბოზე და სხვ. სხეუნირად, სანოტივე და სითბო შინაგანად შეღწევადია მცენარეში და იწვევს მასში გარკვეულ ცვლილებებს (ნორმალური რაოდენობით — განვითარებას, არანორმალურ რაოდენობით — დაღუპვას და სხვ.). ამრიგად, მცენარეს შეუძლია გარკვეული რეაქცია გამომყდავნოს ისეთი ფაქტორების მიმართ, როგორცაა სინოტივე და სითბო, მაგრამ იგივე როლი ითქმის მცენარისა და გედის თანავარსკვლავედზე. მათი ურთიერთმიმართება აბსოლუტურად გარეგანია. მაგრამ ცალმხრივმა შინაგანმა მიმართებამაც ყოველთვის არ შეიძლება განვითარება მოგვეცეს. ცეცხლი შინაგან მიმართებას ამჟღავნებს ქალაღდის მიმართ, რამდენაღაც სწავს მას, ე. ი. რაღაცნაირ შინაგან ურთიერთობას ამჟღავნებს მასთან, რასაც ვერ ვიტყოღით ცეცხლისა და მსჯელობის, როგორც აზროვნების ერთ-ერთი ფორმის შესახებ. ანღა ქალაღდისა და მაღნიტური ველის შესახებ და ა. შ. რამდენაღაც ეს უქანასკნელნი ერთმანეთისაღმი აბსოლუტურად ინღიფერენტული არიან, ე. ი. გარეგან დამოკიღებუღებამი არიან.

ამრიგად, შინაგანი მიმართება დინამიურია, ორმხრივი შინაგანი მიმართების შეღეგად ვღებუღობთ ახალს.

შინაგანი უარყოფა არის არა გარეღან თავსმობვეული უარყოფა, არა იღუღებით განხორციეღებული უარყოფა და ა. შ., არამედ თვითუარყოფა, უარყოფა როგორც უზრუნვეღმყოფელი განვითარებისა და მისი უწყვეტობისა.

რეაღურ სინამღვიღეში უარყოფა ბუნებრივ-აღციღებელი პროცესის მომენტია. სინამღვიღის საგანთა და მოვღენათა ზრღა-განვითარება, გაღასვღა არაორგანულიღან ორგანულიზე, ორგანუღის შიღნით ერთი სახიღან მეორეზე, განვითარება სახის შიღნით, ცოცხალი ორგანიზმის ზრღა-განვითარება და ა. შ. უარყოფის მომენტის შემცვეღია შინაგანად. აქ უარყოფა კავშირის მომენტია. რეაღურში არაშინაგანი უარყოფა მექანიკური უარყოფაა.

აზრის გნოსეოლოგიური განვითარება უარყოფის გზით ხღება. ყოვეღ მოცემულ თეორიაში, თეაღსაზრისში უარყოფის სახით

შინაგანადაა მოცემული მისი შემდგომი განვითარების საფუძველი. ველის თეორიისა და დ. მაქსველის მიერ ელექტრომაგნიტური ველის სტრუქტურის აღმწერი განტოლებების ფორმულირების შემდეგ შეიქმნა ნაყოფიერი ვითარება ფარდობითობის თეორიის ჩამოყალიბებისათვის, რასთანაც ახლოს მივიდა ა. პუანკარე, გ. ლორენცი და სხვები. მაგრამ ა. აინშტაინის მიერ მიკვლევული იქნა ის, რაც მოცემულ თეორიათა შემდგომი განვითარების შემცველი იყო, „რომ მაიკელსონსა და მორლოს მოეხერხებინათ ეთერის ქარის რეგისტრირება, მაშინ ფარდობითობის სპეციალური თეორია თავიდანვე უარყოფილი იქნებოდა, მაგრამ მათი ცდის უარყოფითი შედეგი გახდა ერთ-ერთი მრავალ ფაქტორთაგანი, რომელმაც აინშტაინი მიიყვანა მის თეორიამდე“¹.

ცნობილია ნიუტონის შენიშვნა: შორს იმიტომ ვიხედებოდი, რომ გიგანტებს მხრებზე ვიდექიო. ყოველი თეორია შინაგანად შეიცავს ახალ თეორიათა წარმოშობის წყაროს, როგორც საკუთარ ნაკლს, როგორც უარყოფას. უარყოფა როგორც კავშირის მომენტი უარყოფის შინაგანობაზე მიუთითებს.

დიალექტიკურ ლოგიკურში უარყოფის შინაგანობა დაკავშირებულია რაიმესა და სხვის ერთიანობასთან, რაიმესაგან სხვის გამოშინარეობასთან. არაკონკრეტული არის აბსტრაქტული, ამიტომ კონკრეტული არის აბსტრაქტულს (არაკონკრეტულს) უარყოფა და პირიქით. კონკრეტული არის ის, რაც არ არის აბსტრაქტული (და არა ის, რაც არ არის სიმრავლეთა თეორია), ე. ი. კონკრეტული უნდა აიხსნას აბსტრაქტულით, მისი უარყოფით, მისი ჰაპირისპირითი. კონკრეტულიდან აბსტრაქტულზე ეს ლოგიკური გადასვლა შინაგანია და უშუალო, კონკრეტულიდან უშუალოდ ისევე ვერ გადავალთ ფარდობითობის თეორიაზე, როგორც იგივეობიდან ათენის აკროპოლზე. კონკრეტულიდან ლოგიკურად მხოლოდ აბსტრაქტული გამოდის. სხვა არაფერი და პირიქით. კონკრეტულის უარყოფა და მხოლოდ აბსტრაქტულის მიღება აბსტრაქტულს აქეცკს კონკრეტულად და კონკრეტულს ხდის აბსტრაქტულად. ასევე იგივეობის ნამდვილი ბუნება განსხვავებასთან მიმართებაში ირკვევა. იგივეობა არის განსხვავება იმას ნიშნავს, რომ იგივეობა არის ის საფუძველი, რომელსაც ემყარება განსხვავება, რომლისგანაც ლოგიკურად გამოიყენება განსხვავება და პირიქით.

პლატონმა „არსიდან“ გამოიყვანა „არარსი“ და „არარსიდან“

¹ М. Гарднер, Теория относительности для миллионов, М., 1967, стр. 42.

— „არსი“. „სოფისტეში“ მან აჩვენა, რომ თუ არარსი „არარსი“ არ არის, მაშინ არც არსი არის, როცა ვიბრძვით არარსის წინააღმდეგ, მაშინ უნებლიეთ არარსს ვუერთებთ არსს. არარსი არის რალაც-ნაირი, სხვანაირი არსებობა. ამდენად არარსი გარკვეული აზრით: (წეფარდებითად) არსია და პირიქით.

ჰეგელთან არარსი უარყოფს არსს, მაგრამ ამავე დროს ადგენს კიდევ მას, რამდენადაც მივყავართ ქმნადობისაკენ. არსისა და არარსის იმანენტური ერთიანობა არის ცნებათა ქმნადობის დასაწყისი. ხოლო რადგან პირველი სამი ცნება (ტრიადა) დადგენილი იყო, ჰეგელისათვის სიძნელეს არ წარმოადგენდა ქმნადობის გაგრძელება.

თუ პლატონთან და ჰეგელთან არსისა და არარსის შედარებით ურთიერთუარყოფელი მიმართება ქმნადობის საწყისი, აზრის მოძრაობა და შემოქმედება იყო, ეგზისტენციალიზმის ფილოსოფიაში (მ. ჰაიდეგერი და სხვ.) არარსის ცნება იქცევა პესიმიზმის, ნიჰილიზმის წყაროდ. ნიჰილიზმის ცნება ჰაიდეგერის მიხედვით თვითონ არის ნიჰილისტური, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ნიჰილიზმი თვითონ ასაბუთებს, ადგენს თავის თავს. ნიჰილიზმის თვითდამდგენი ფუნქცია მდგომარეობს ყოველივეს უკიდურეს უარყოფაში, ყოველივეს ილუზიად გამოცხადებაში. ასეთია აქ უარყოფის ცალმხრავი, მეტაფიზიკური გაგების შედეგი.

ამრიგად, არარსის ცნება, ერთის მხრივ, აზრის ქმნადობის აუცილებელი მხარეა, რომელშიც უარყოფა იმანენტურად მოქმედებს, მეორეს მხრივ, იგი გამოყენებულია ნიჰილიზმისა და ყოველივეს ამოღების დასასაბუთებლად; არარსის უარყოფას ისევ არარსამდე მივყავართ, მაგრამ არა ლოგიკური აუცილებლობით, არა შინაგანად, იმანენტურად, არამედ ხელოვნურად. როცა რაიმეს უარყოფა მასვე ადგენს, უარყოფის იმანენტურობა მთელი სისრულით ვლინდება. ცნების უარყოფა ცნებაა. ცნების დადგენა მისივე უარყოფით იმანენტურია, იგი მოცემულია ცნებაში, როგორც კატეგორიაში.

ისიც უნდა ითქვას, რომ დიალექტიკური უარყოფა შედარებითია, ვინაიდან იგი არ არის მხოლოდ უარყოფა, იგი დადებითი უარყოფაა, ესაა უარყოფა, რომელსაც მუდამ დადებითი შედეგი აქვს. შეფარდებითი თვითონ არის აბსოლუტურის უარყოფა და პირიქით. მაგრამ შეფარდებითი, როგორც უარყოფა აბსოლუტურისა კი არ აუქმებს აბსოლუტურს, ე. ი. ეს უარყოფა აბსოლუტური კი არ არის, არამედ შეფარდებითი, ვინაიდან შეფარდებითი აბსოლუტურის უარყოფით (შედარებითი უარყოფით) მოითხოვს კიდევ მას. ადგენს როგორც თავის საპირისპიროს. შეფარდებითი არის არა-აბსოლუტური ნიშნავს, რომ შეფარდებითი არ არის აბსოლუტუ-

რის გარეშე. ისინი ერთმანეთის მიმართ აზრის მქონენია. „მსჯელობა შინაგანი უარყოფით გადადის საპირისპიროში და პირიქით. შინაგანი უარყოფა არ შეიძლება იყოს მხოლოდ უარყოფა, რადგანაც ის არის შინაგანი, დადებითი შინაგანი. ასეთი უარყოფა არის შეფარდებითი უარყოფა, კონკრეტული უარყოფა, გარკვეულის გარკვეული უარყოფა“¹. უარყოფა კონკრეტულია, ვინაიდან ყოველი უარყოფა გულისხმობს გარკვეულ უარსაყოფს, მის უარყოფელს და მათ გარკვეულ, კონკრეტულ ერთიანობას, ამის გამო უარყოფის ცალკეული შემთხვევები გარკვეულ თავისებურებებს ამჟღავნებს (მაგალითად, დაპირისპირებულთა ერთიანობაში, ერთის მხრივ, და უარყოფით თვითდადგენაში, მეორეს მხრივ, ან კიდევ უარყოფაში, ერთის მხრივ, და უარყოფის უარყოფაში, მეორეს მხრივ და სხვ.).

§ 1. უარყოფით თვითდადგენა

უარყოფით თვითდადგენას, ანუ შემთხვევას, როცა რაიმეს უარყოფა მასვე ადგენს, ჩვენ განვიხილავთ როგორც დიალექტიკური უარყოფის ერთ-ერთ სახეს, ფორმას, ამასთან ეს ისეთი უარყოფაა, რომელშიც დიალექტიკური უარყოფა ყველაზე სრულადაა გამოხატული. ს. წერეთლის აზრით, უარყოფით თვითდადგენა არის უსასრულო, დაუბოლოებელი დასკვნა. „... უსასრულო ლოგიკური, — წერს იგი, — არის ისეთი დასკვნა, რომელიც შინაგან უარყოფით დადგენას წარმოადგენს. რაიმეს დადგენა მისი შინაგანი უარყოფით არის უსასრულო დასკვნა“². ს. წერეთელმა ამ თვალსაზრისზე ააგო დიალექტიკური ლოგიკა. მისი აზრით, დიალექტიკური ლოგიკა არაა დაუბოლოებელის, უსასრულო დასკვნის ლოგიკა.

ამჟერად უარყოფითი თვითდადგენა ჩვენი ინტერესის საგანს შეადგენს, როგორც დიალექტიკური უარყოფის ყველაზე სრულად გამოხატულები. უარყოფით თვითდადგენის მაგალითია უარყოფის ლოგიკური უარყოფა. უარყოფის უარყოფისას უარყოფა მოიხმარება. ამრიგად, უარყოფის ლოგიკური უარყოფით მას კი არ უარყოფთ, ფაქტიურად ვადგენთ. „არ შეიძლება უარყოფთ უარყოფა, შეუძლებელია უარყოფის ლოგიკური უარყოფა; უარყოფის ლოგიკური უარყოფის დროს თვითონ უარყოფის აუცილებლობა, უკეთ, თვითონ უარყოფა დგინდება“³.

¹ ს. წერეთელი, დიალექტიკური ლოგიკა, გვ. 439.

² იქვე, გვ. 438.

³ იქვე, გვ. 441.

ამრიგად, საკითხი ისმის იმის შესახებ, შეიძლება თუ არა უარყოფა უარყოფისა. უარყოფა არსებობს, მას ადგილი აქვს ყველგან და ყველადღერში. ამის თაობაზე მგონი არც არაფერ დამს, სადავოს სხვაა: შესაძლებელია თუ არა უარყოფა უარყოფისა? ჩვენ ამ კითხვაზე პირდაპირ ვუპასუხებთ — შესაძლებელია, მაგრამ აქვე ვაყენებთ მეორე გამაფრთხილებელ კითხვას: მთავარია როგორ გავიგებთ უარყოფის უარყოფას, რა შედეგს დავინახავთ მასში?

აქედან განვაცხადებთ: უარყოფის უარყოფის შესაძლებლობაშია უარყოფის უარყოფის შეუძლებლობა.

უარყოფის უარყოფისას უარსაყოფიც უარყოფაა და უარმყოფელიც, მაგრამ ისინი იგივეობრივად არიან და განსხვავებულიც. იგავეობრივი, ვინაიდან ერთი უარყოფაა და მეორეც, მაგრამ განსხვავებული, რამდენადაც ერთი უარსაყოფი უარყოფაა, მეორე — უარმყოფელი უარყოფა. უარმყოფელმა უარყოფამ უნდა შეძლოს უარსაყოფი უარყოფის უარყოფა, ხდება რა უარყოფის როგორც უარსაყოფის უარყოფა, ამით დასაბუთდება უარყოფა. მაშ, უარყოფის უარყოფის შედეგად მივიღეთ ისევ უარყოფა, მაგრამ არა უარსაყოფი უარყოფა, არამედ უარმყოფელი უარყოფა, რომელმაც შეძლო უარსაყოფის უარყოფა და ამდენად ამაღლდა მასზე, განვითარდა. უარყოფის შეუძლებლობის დაშვებისას კი უარყოფა წარმოგვიდგებოდა თავისი თავის მიმართ გარეშე, შეუვალ დამოკიდებულებაში, ე. ი. მეტაფიზიკურ და არა დიალექტიკურ დამოკიდებულებაში.

ამრიგად, უნდა ითქვას, არა ის, რომ უარყოფის უარყოფა შეუძლებელია, არამედ შემდეგი: უარყოფის უარყოფის შეუძლებლობა ემყარება უარყოფის უარყოფის შესაძლებლობას. უფრო სწორია ვილაპარაკოთ არა უარყოფის ლოგიკური უარყოფის შეუძლებლობაზე, არამედ იმაზე, რომ უარყოფის ლოგიკური უარყოფა მასვე, უარყოფას ასაბუთებს. ერთია ითქვას უარყოფის უარყოფის შესაძლებლობაზე ან შეუძლებლობაზე, მაგრამ სულ სხვაა ვთქვათ: უარყოფის ლოგიკური უარყოფა უარყოფის დასაბუთებაა, ვინაიდან დასაბუთება განვითარებაა. ამრიგად, უარყოფით თვითდადგენა აზრის განვითარებაა, უარყოფის, როგორც ასეთის შესახებ აზრის განვითარებაა. იგი უარყოფას წარმოადგენს მოძრაობაში თავის თავთან მიმართებაში. დაპირისპირებულთა ამ მიმართებაში საბუთდება ისევ ის, რაც უარსაყოფი იყო. მაშ, უარყოფის დასაბუთება უარყოფით არის არა უშედეგო უარყოფა, არამედ დადებითი, ანუ დიალექტიკური უარყოფა.

როდის შეიძლება გვეკონდეს უარყოფით თვითდადგენა? მაშინ, როცა უარსაყოფიცა და უარმყოფელიც ერთი და იგივეა (უარსაყოფიც. უარყოფაა და უარმყოფელიც), სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მაშინ, როცა უარყოფის პროცესში ხდება იმის მოხმარება, რაც უარყოფილი უნდა იქნას. უარყოფით თვითდადგენისას უარსაყოფი, უარმყოფელი და უარყოფით დადგენილი, ერთი და იგივეა, ოღონდ უარსაყოფი უარყოფა და უარყოფის შედეგად მიღებული უარყოფა განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმით, რომ პირველი აბსტრაქტულია, მეორე დასაბუთებული და ამდენად გამდიდრებული კონკრეტული შინაარსით. ესაა დაბრუნება თითქოს ძველისაკენ. ამდენად უნდა ითქვას, რომ უარყოფით თვითდადგენა არაა უარყოფის უარყოფის თავისებური კონკრეტული გამოვლენა.

უარყოფით თვითდადგენაში ადვილი აქვს დიალექტიკურ წინააღმდეგობას, რომელიც იხსნება დაპირისპირებულთა ერთიანობაში, უარყოფის უარყოფით მისსავე დადგენაში.

უარყოფით თვითდადგენაში სრულად ვლინდება საერთოდ ობიექტურობა და იმანენტურობა, არ შეიძლება იმაზე უფრო ობიექტური (სუბიექტურობის აბსოლუტურად გამორიცხვის აზრით) უშუალო და შინაგანი იყოს რაიმეს განვითარება და დასაბუთება, ვიდრე არის უარყოფით თვითდადგენა.

ამრიგად, უარყოფის პირდაპირ დასაბუთებას ცვლის მისი დასაბუთება მისივე უარყოფის პროცესში, ამასთან როგორც ითქვა, სრული ობიექტურობით და შინაგანად. როგორც ვხედავთ, რისივე ამგვარი დასაბუთება ბევრად უფრო სანდობია და გამართლებული, ვიდრე რაიმეს დასაბუთება პირდაპირ და სხვისი საშუალებით.

დასაბუთებაში უნდა გავარჩიოთ სამი ტიპი: 1) როცა რაიმეს ვასაბუთებთ სხვით. ეს სხვა რაიმესთვის შეიძლება იყოს შემთხვევითიც და მეტნაკლებად ახლობელიც. ამაზეა დამოკიდებული ამგვარი დასაბუთების ჭეშმარიტება, მისი მეტნაკლები სიყალბე; 2) როცა რაიმეს ასაბუთებთ ისევ სხვა, მაგრამ თავისი სხვა, კონკრეტულად და არა აბსტრაქტულად მისგან განსხვავებული, მისი უარმყოფელი, ე. ი. მისი საპირისპირო; 3) როცა რაიმეს ასაბუთებთ მისივე უარყოფა.

თვითონ დასაბუთებაც იმ ბუნებისაა, რომ მისი უარყოფა მასვე ადგენს. დასაბუთების უარყოფას თავისებური დასაბუთება სჭირდება. ამიტომ დასაბუთების უარყოფით დასაბუთებას ვასაბუთებთ.

ასეთივე ბუნებისაა აზროვნება. აზროვნების უარყოფა აზროვნების მოხმარებას გულისხმობს (ეს აზრია გამოთქმული დეკარტეს

ცნობილ cogito ergo sum-ში. რასაც ყურადღება მიაქციეს პროფ. ს. წერეთელმა და ლ. გოციელმა).

კატეგორიული მტკიცების კატეგორიულად უარყოფა კატეგორიული მტკიცებაა, უარყოფა-მტკიცებაა.

ანალოგიურად ითქმის იგივეობის, ცნების, მსჯელობის, ჭეშმარიტების, პრინციპისა (პრინციპის უარყოფას პრინციპის პრეტენზია უნდა ჰქონდეს) და სხვათა უარყოფის შესახებ.

მაგრამ არა ყოველივეს ასაბუთებს მისივე ლოგიკური უარყოფა. ვიმეორებთ, უარყოფით თვითდადგენა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა უარყოფის პროცესში სწორედ ის მოიხმარება, რისი უარყოფაც ხდება. ის, რასაც არა აქვს ბოლო, — შენიშნავს კ. ფიშერი, — არ არის სრულყოფილი, რადგან ჩანს, მას რაღაც აკლია. მას აკლია დასასრული, რომელსაც ვერ აღწევს, მაგრამ თუ მიაღწია გახდება დასრულებული. დასრულებული თვითარსი ეფარდება უკვე არა სხვას, არამედ თავის თავს, მას საზღვრავს უკვე არა სხვა, არამედ თვითონ თავისი თავი. ამრიგად, იგი არსებობს უკვე არა სხვისთვის, არამედ თავისი თავისათვის¹.

უარყოფით თვითდადგენისას რაიმეს საზღვრავს სწორედ არა სხვა, არამედ საკუთარი თავი და ამით აღწევს დასრულებულობას და თავის თავთან ერთიანობას. რაიმე უმადლეს დასრულებულობას აღწევს, როცა თვითონ საზღვრავს (ლოგიკური განსაზღვრებისა და ლოგიკური საზღვრის აზრით) თავის თავს. დაპირისპირებულთა ერთიანობაშიც კი რაიმეს საზღვრავს სხვა, მართალია თავისი სხვა, როგორც მისი საპირისპირო, მაგრამ მაინც სხვა. მაგალითად, იგივეობას საზღვრავს განსხვავება, აბსოლუტურს — შეფარდებითი. დაპირისპირებულთა ერთიანობა, ამ აზრით გარკვეული დასრულებულობაა. დაპირისპირებულთა ერთიანობას თვით ეს დაპირისპირებული განსაზღვრავს, საზღვრავს და ადგენს, სხვა აღარ არის საჭირო. უარყოფით თვითდადგენისას კი რაიმეს საზღვრავს თავისი თავი; უარყოფას — უარყოფა, მსჯელობას — მსჯელობა და ა. შ. აქ რაიმე თვითონ გამოდის თავის საპირისპიროს როლში².

¹ К. Ф и ш е р, История новой философии, СПб, т. VIII, стр. 467.

² ცნობილი თეზისი „იქან თავი შენი“ გულისხმობს, რომ ადამიანი აღწევდეს თავის თავში დასრულებულობას, მას საზღვრავდეს და განსაზღვრავდეს არა სხვა, არამედ თვით საკუთარი თავი. ეს ნიშნავს, რომ იგი სრულ ერთიანობაში იყოს საკუთარ თავთან, თვითონ იყოს თავისი „მე“-ს უტყუარი შემფასებელიც და კრიტიკოსიც.

ჰეგელი „ლოგიკის მეცნიერებაში“ მიუთითებს, რომ ყველაზე მთავარი გონებით შემეცნებაში ესაა შეინარჩუნო დადებითი მის უარყოფაში, წინამძღვრის შინაარსი მის შედეგში. ამასთან, თუ დავუკვირდებით დავრწმუნდებით ამ მოთხოვნის აბსოლუტურ ჰეგმარიტებასა და აუცილებლობაში¹. უკეთებს რა კომენტარს ჰეგელის ამ მოსაზრებას ე. ი. ლენინი იქვე იძლევა დიალექტიკური უარყოფის ბუნების ცნობილ დახასიათებას: „არა შიშველი უარყოფა, არა ფუჭი უარყოფა, არა სპეკტიკური უარყოფა, მერყეობა, ეჭვი არის დამახასიათებელი და არსებითი დიალექტიკაში, რომელიც უეჭველია, შეიცავს უარყოფის ელემენტს და თანაც როგორც თავის უმნიშვნელოვანეს ელემენტს, — არამედ უარყოფა როგორც მომენტი კავშირისა, როგორც მომენტი განვითარებისა, დადებითის შენახვით, ე. ი. ყოველგვარი მერყეობის გარეშე, ყოველგვარი ეკლექტიკის გარეშე“².

უარყოფის ეს დახასიათება ეხება საერთოდ დიალექტიკურ უარყოფას. ამ გარემოებას შემთხვევით არ მივაქციეთ ყურადღება.

ის, რაც ითქმის უარყოფის შესახებ, არსებითია უარყოფის უარყოფისათვისაც, რამდენადაც უარყოფის უარყოფაც დიალექტიკური უარყოფაა. უარყოფის უარყოფის ცნობილ დიალექტიკურ კანონში თავს იჩენს ყველა ის ძირითადი ნიშანი, რაც დამახასიათებელია დიალექტიკური უარყოფისათვის. ამასთან, უარყოფის უარყოფას ახასიათებს სპეციფიური თავისებურებანი, რაც დაკავშირებულია სწორედ იმასთან, რომ ეს არის არა ერთგზის უარყოფა, არამედ ორგზის უარყოფა—უარყოფა უარყოფელისა, ე. ი. უარყოფის უარყოფა.

განვითარება როგორც უწყვეტი და წყვეტადი პროცესი, რომელშიც გამოვლინდება არსისა და აზრის შესაძლებლობანი, ახალი მხარეები და პოტენციები, როგორც მრავალგზის იყო აღნიშნული, არის დიალექტიკური უარყოფის შემცველი და დადასტურება. ასე რომ, უნდა ითქვას, სადაც ადგილი აქვს განვითარებას, ადგილი აქვს დიალექტიკურ უარყოფას და სადაც არის დიალექტიკური უარყოფა არის განვითარება. საერთოდ განხილული განვითარება არის უარყოფათა უწყვეტი ჯაჭვი. მაგრამ ამავე დროს უარყოფათა ჩაოდენობრივად ამ უსასრულო რიგში შეიძლება გამოვეყნოთ დია-

¹ Гегель, соч., т. VI, стр. 308.

² ე. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 225—226.

ლექტიკური უარყოფის განსაკუთრებული სახე — უარყოფის უარყოფა.

სიცოცხლის წარმოშობა და განვითარება დედამიწაზე, ვიდრე ცნობიერების გაჩენამდე, შეიძლება განვიხილოთ როგორც უარყოფათა მრავალრგოლიანი ჯაჭვი, სადაც ევოლუციურ პროცესს და ნახტომებს გადაეყავართ მარტივიდან რთულზე, უმდაბლესიდან უმაღლესზე საფეხურებრივად. მაგრამ განვითარების ამ უწყვეტ საფეხურებში შეიძლება გამოიყოს უფრო ვიწრო ციკლები — უარყოფის უარყოფის სახით, რომლებიც გამოხატავენ განვითარების გრძელი პროცესის გარკვეულ სტადიებს, რომელთაც აქვთ თავიანთი შედარებითი დასაწყისი და დასასრული. ყოველი ასეთი შედარებით ჩაკეტილი სტადიის დასაწყისი, კავშირის მომენტის აუცილებლობით, შეიძლება სხვა (წინა) სტადიის დასასრული იყოს, ანუ ყოველი სტადიის დასასრული ემთხვეოდეს მომდევნო ანალოგიური ახალი სტადიის დასაწყისს, თუმცა ეს არცაა აუცილებელი.

განვითარება თავისი სირთულის გამო ვერ ეტევა რომელიმე ერთ სქემაში. უარყოფის უარყოფის ერთი სტადიის დამთავრებას შეიძლება მოჰყვეს ერთ ან რამდენიმე საფეხურიანი უარყოფა, რომელთა შემდეგ შეიძლება კვლავ განმეორდეს უარყოფის უარყოფა და ა. შ. ამასთან, ყოველგვარი უარყოფა რამდენსაფეხურიანი ციკლისაგანაც არ უნდა შედგებოდეს იგი, და რაოდენ შედარებით დასრულებულადაც არ უნდა გვევლინებოდეს, მაინც ბოლოს და ბოლოს ქმნადობის საყოველთაო და საერთო პროცესისათვის არის მხოლოდ და მხოლოდ ერთი, სასრული მომენტი.

ამის დადგენა-აღმოჩენას და შესასწავლი ობიექტებისადმი ამგვარ შემოქმედებით მიდგომას დიდი მეცნიერული და მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც მხოლოდ ამ საფუძველზე შეიძლება შევისწავლოთ სანამდვილე, თუ აზროვნება მათს ბუნებრივ მოძრაობაში.

ქმნადობის რთულ პროცესში ერთმანეთისაგან უნდა გამოვყოთ ერთჯერადი, ორჯერადი (უარყოფის უარყოფა) უარყოფები. შესწავლის პროცესში ერთი არ უნდა ავრიოთ მეორეში, დაუმთავრებელი ციკლი არ უნდა მივიჩნიოთ დამთავრებულად და პირიქით. ჰეგელი შენიშნავდა, რომ უნდა დავინახოთ განსხვავება პირველ უარყოფასა, რომელიც არის უარყოფა ზოგადად, და მეორე უარყოფას შორის, რომელიც არის უარყოფის უარყოფა და ამასთან კონკრეტული¹. აქ გამოთქმულია სწორედ ის დადებითი აზრი, რომელიც ჩვენ

¹ Гегель, соч., т. V, стр. 109.

გვანტირებს. კერძოდ: უარყოფის უარყოფაში პირველი საფეხური, ანუ პირველი უარყოფა არის აბსტრაქტული, ხოლო მეორე უარყოფა — კონკრეტული. იმ აზრით, რომ მეორე უარყოფაში მეტადენდება უარყოფისა და უარყოფის უარყოფის საბოლოო შედეგი. მართალია უარყოფა ხორციელდება პირველ საფეხურზეც და მეორეზეც; მაგრამ არ შეიძლება მათი გაიგივება შინაარსით. ფორმით ორივე უარყოფაა, ხოლო შინაარსით ან სხვანაირად, შედეგაზ მიხედვით პირველი უარყოფა და მეორე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მართლაც, თუ დავაკვირდებით, ძნელი არაა შევამჩნიოთ, რომ უარყოფის უარყოფას აზრი არ ექნება, ზედმეტი იქნებოდა გველაპარაკა უარყოფის მნიშვნელობასა და თავისებურებაზე, თუ პირველ უარყოფასა და მეორე უარყოფას შორის არავითარი განსხვავება არ იქნებოდა დანახული და აღმოჩენილი. მაშინ უარყოფის უარყოფა იქნებოდა უარყოფათა გრძელი ჯაჭვიდან ნებისმიერი ორი საფეხურის მექანიკური ამოგლეჯა და მისი თავისებურების ხელოვნური აღიარება.

თუ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციათა მაგალითის მიხედვით ვიმსჯელებთ, მონათმფლობელობა არის პირველყოფილი თემური წყობილების უარყოფა, ფეოდალიზმი — მონათმფლობელობის უარყოფა, კაპიტალიზმი — ფეოდალიზმისა და კომუნიზმი — კაპიტალიზმისა. ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაცია უარყოფს მეორეს. ამდენად, თავიანთი ფორმითაც და შინაარსითაც აქ ადგილი აქვს დიალექტიკურ უარყოფათა რამდენიმე საფეხურს, რაშიც თავის გამოხატულებას პოულობს საზოგადოებრივი განვითარების ბუნებრივ-ისტორიული პროცესი მისი დასაწყისიდან განვითარების უმაღლეს საფეხურამდე.

ამრიგად, თუ საზოგადოების ისტორიას განვიხილავთ წარმოების წესის ცვლის თვალსაზრისით, აღმოვაჩინოთ ოთხსაფეხურიან უარყოფას, სადაც ყოველი მომდევნო საფეხური არის უფრო განვითარებული და სრულყოფილი. განვითარება ნიშნავს წინააღმდეგობათა გადალახვის გზით სასრულობის, ნაკლოვანების თანდათან დაძლევის და მიახლოვებას აბსოლუტურობასთან.

მეორეს მხრივ, თუ საზოგადოების განვითარებას განვიხილავთ სხვა ასპექტით, მაშინ მთელ პროცესში შეიძლება აღმოვაჩინოთ ორჯერადი უარყოფა. პირველი საფეხური იქნება პირველყოფილი უკლასო საზოგადოება, მეორე — კლასობრივი საზოგადოება, მესამე — განვითარებული უკლასო საზოგადოება.

ფ. ენგელსს თავის ცნობილ ნაშრომში „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“ აღწერილი აქვს შემთხვევე-

ბი, რომლებიც გვიჩვენებს თუ საზოგადოების განვითარების გარკვეულ მონაკვეთში როგორ ხდება გადასვლა უარყოფის უარყოფის ერთი, შედარებით დასრულებული ციკლიდან, უარყოფის უარყოფის ახალ ციკლზე. ეს გადასვლა თანამიმდევრული და ზეალმაველია. ნაშრომის ამ თავში, რომლის სახელწოდებაა „გერმანული სახელმწიფოს წარმოშობა“, საკმარის ცხადდება გამოკვეთილი, თუ რომაულ თემურ მიწათმოქმედთა წერილი მეურნეობა როგორ იქნა უარყოფილი მონათმფლობელური ლათიუზნდობით. ხოლო ეს უკანასკნელი კოლონატით, კოლონები „შუა საუკუნეების ყმების წინამორბედნი იყვნენ“¹. შემდეგ კოლონატს უარყოფს ფრანკების თავისუფალი სასოფლო თემები. „რომაელ კოლონსა და ახალ ყმას შუა თავისუფალი ფრანკი გლეხი იდგა“². ხოლო ფრანკთა თავისუფალი სასოფლო თემი უარყო ფეოდალურმა მიწათმოქმედებამ, „ურთიერთობა მძლავრ მიწათმფლობელებსა და მათზე დამოკიდებულ გლეხებს შორის, ურთიერთობა, რომელმაც რომაელთა ანტიკური სამყარო გამოუვალ ჩიხში მოაქცია და დაღუპა, ახლა ახალი განვითარების ამოსავალ წერტილს წარმოადგენდა“³.

განვითარების ჩაკეტილ ციკლებში უარყოფის საფეხურთა რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რას მივიღებთ დაყოფის საფუძვლად, ამოსავლად. ყველა შემთხვევაში კი საერთოა ის, რომ: 1) ყოველი უარყოფის შემდეგ ზდება გადასვლა ნაკლებ სრულყოფილიდან უფრო სრულყოფილსა და განვითარებულზე; 2) ყოველი საფეხური მხოლოდ შედარებით დასრულებულად გამოხატავს იმას, რის განვითარების საფეხურსაც იგი წარმოადგენს; 3) ბოლო ციკლის დამამთავრებელი საფეხური უნდა წარმოადგენდეს აბსტრაქტული საწყისის კონკრეტულ გამოხატულებას, წინა საფეხურზე შედარებითად გამოხატულის აბსოლუტურად გამოხატვას. სხვანაირად, იგი უნდა წარმოადგენდეს დაბრუნებას ვითომ ძველისადმი (ვ. ი. ლენინი). ეს ბოლო მომენტია მთავარი უარყოფის უარყოფაში.

უარყოფის უარყოფაში პირველი უარყოფა აბსტრაქტულია, რამდენადაც ამ საფეხურზე რაიმე კარგავს თავის პირვანდელ გარკვეულობას, გადადის სხვაში, როგორც მის უახლოეს განსაზღვრებაში, მაგრამ მაინც ისეთ სხვაში, რომელიც ამ რაიმეს განვითარების ტენდენციის შესახებ გარკვეულად არაფერს გვეუბნება. ესაა,

¹ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩ. ნაწ., ტ. II, გვ. 359.

² იქვე, გვ. 366.

³ იქვე.

თუ შეიძლება ასე ითქვას, პროცესის დასაწყისი, ფრჩხილის გახსნა. მაგალითად, ყვავილი უარყოფს კვირტს, მაგრამ ყვავილში ჯერ არაა კონკრეტულად გამოხატული კვირტის პოტენცია. მეორე უარყოფისას, ნაყოფის გამოჩენისას მთავრდება ის პროცესი, რომლის შესაძლებლობაც კვირტში იყო ჩასახული. პირველყოფილი უკლასო საზოგადოებიდან კლასობრივზე გადასვლით იხსნება პირველყოფილობის გარკვეულობა, იწყება პროცესი, რომელმაც თავისი აბსტრაქტულობის დაძლევით თვით უნდა უზრუნველყოს ნამდვილი კონკრეტულობის მიღწევა, თითქოს ძველისადმი დაბრუნებით — უმაღლესად განვითარებულ უკლასო კომუნისტურ საზოგადოებაში.

უარყოფის უარყოფას გამოხატავს კ. მარქსის ცნობილი ფორმულები: ფ-ს-ფ და ს-ფ-ს. ფ-ს-ფ-ში საქონელი არის ფულის პირველი უარყოფა, მაგრამ მხოლოდ ფულის საქონლად ქცევა როდია კაპიტალისტური წარმოების ინტერესების საგანი. პროცესი დასრულებულ სახეს იღებს მეორე უარყოფისას, როცა ვუბრუნდებით ვითომ ძველს ისევ ფულს, მაგრამ ეს ფული აღარაა იმის ტოლფასი, რითად დაიწყო პროცესი. მასში უკვე გამოხატულია ის ჭეშმარიტება, რომელიც მხოლოდ შესაძლებლობის სახით არსებობდა ფული პირველში. იგივე უნდა ითქვას ს-ფ-ს-ის შესახებ. საქონლის ფულით უარყოფამ თავისი საბოლოო გამართლება უნდა პოვოს პირველად უარყოფილის კვლავ აღდგენაში განვითარებული სახით. უარყოფილს კი მაშინ შეუძლია უარყოს თავისი უარმყოფელი, თუ ამდღდება მასზე და დაძლევს პირვანდელ აბსტრაქტულობას. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მის უარმყოფელთან ურთიერთობაში და არა სხვანაირად.

დიალექტიკურად გაგებულ განვითარების მიზანი არის არა უარყოფა, არამედ სრულყოფის მიღწევა. ტენდენციის სრულად გამოვლენა და ამოწურვა. ცნობილია ბერნშტეინის ფორმულა: „მოძრაობა ყველაფერია, მიზანი — არაფერი“. ამ ფორმულის სიყალბეს ამჟღავნებს უარყოფის იმგვარი გაგება, როცა მეორე უარყოფა პირველისაგან განსხვავებულადაა გაგებულ, როცა თვით უარყოფა კი არ გვანინტერესებს, არამედ განვითარებადში, ცვალებადში პოტენციალურად მოცემულის განხორციელება, ე. ი. სრულყოფის მიღწევა. ესაა სწორედ ის ტენდენცია, რომელიც თავს იჩენს რაიმეში მისი უარყოფის ჩასახვით, უარსაყოფიდან უარმყოფელზე გადასვლით. ამ ტენდენციის შესწავლა და აღმოჩენა არის მეცნიერებათა ამოცანა.

ზოგჯერ დიალექტიკური უარყოფის უარყოფას აიგივებენ ცნო-

ბილ duplex negatio affirmat-თან. მართალია დიალექტიკური უარყოფის უარყოფაში ორჯერად, ორმაგ უარყოფასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ეს არაა რაიმეს მექანიკური უარყოფა და მისი უარყოფელის მექანიკურივე უარყოფით იმ რაიმესვე აღდგენა. მაგალითად, ზიგვარტი წერს: „...უარყოფის არსება სრულად გამოჩატება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა წინააღმდეგობის კანონს შეუერთდება დებულება, რომ უარყოფის უარყოფა იძლევა მტკიცებას, რომ უარყოფის გაუქმება იმავე სუბიექტის მიმართ იგივე პრედიკატს მტკიცების ტოლფასია“¹. უარყოფის უარყოფის ამგვარი წმინდა ფორმალურ-ლოგიკური გაგებისაგან განსხვავებით უარყოფის დიალექტიკური გაგების მიხედვით უარყოფის უარყოფა არის არა იმის აღდგენა-განმეორება, რაც პირველად იყო უარყოფილი, არამედ ზეაღმავეალი განვითარება, რაიმეს ამაღლება აბსტრაქტული მდგომარეობიდან კონკრეტულ მრავალმხრივობამდე.

უარყოფის უარყოფის კანონი, როგორც მატერიალისტური დიალექტიკის სხვა ძირითადი კანონები, უნივერსალურია, ოღონდ ისიც კონკრეტულ მიდგომასა და შესწავლას საჭიროებს.

ეგრეთ წოდებული ტრიადა: თეზისი — ანტითეზისი — სინთეზი არის თუ არა უარყოფის უარყოფა? აქ უარყოფის უარყოფა კონკრეტულადაა გამოვლენილი. ეს უარყოფის უარყოფა არაა ანალოგიური ობიექტურ სინამდვილეში მოქმედი უარყოფის უარყოფა. ტრიადაში უარყოფა ლოგიკურისათვის დამახასიათებელი უარყოფაა. თუ რეალური მობრუნება ვითომ ძველისადმი შეიმჩნევა მეორე უარყოფისას — უარყოფელის უარყოფისას, ამასთან, თუ უარსაყოფსა და უარყოფელს შორის ცალმხრივი დამოკიდებულებაა (მეორე არის პირველის რეალურად უარყოფელი, მაგრამ არა პირიქით), ტრიადაში ანტითეზისი თეზისის უარყოფაა, თეზისი კი ანტითეზისისა. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს დაპირისპირებულთა ურთიერთმიმართებასთან. დაპირისპირებულთაგან თითოეული არის უარყოფის უარყოფა, თავისი უარყოფელის უარყოფა. თეზისი არის უარყოფის უარყოფა, როგორც თავიანი უარყოფელის — ანტითეზისის უარყოფა. ასეთია ანტითეზისი თეზისის მიმართ. აქ მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ჯერ უნდა იყოს თეზისი, რომ გვექმნდეს ანტითეზისი. ანტითეზისი თეზისსაც ანტითეზისად აქცევს, როგორც თავის საპირისპიროს. თეზისსა და ანტითეზისს ერთმანეთთან აქვთ აზრი.

სინთეზი არის არა უარყოფელის უარყოფა. იგი არის არა მეო-

¹ X. Зигварт, Логика, т. I, стр. 168.

რე უარყოფა, ანუ ანტითეზისის უშუალო უარყოფა, არამედ იგია უარყოფელთა უარყოფა, იგი ხსნის დაპირისპირებულთა შორის აღმოჩენილ წინააღმდეგობას, ხსნის თეზისსაც და ანტითეზისსაც და მათ წარმოგვიდგენს ერთიანობაში (ესაა დაპირისპირებულთა ერთიანობა). უარყოფის უარყოფას და თეზის-ანტითეზის-სინთეზს ერთმანეთისაგან განასხვავებს ი. ზარინიცი. მას მიაჩნია, რომ თეზისი-ანტითეზისი-სინთეზი უარყოფის თავისებური სახეა, მაგრამ იგი არ განასხვავებს ერთმანეთისაგან დიალექტიკურ უარყოფას საერთოდ უარყოფის უარყოფისაგან, თვლის რა, რომ ყოველი უარყოფა არის უარყოფელის უარყოფა¹.

ამგვარად, ტრიადაში თეზისიცი და ანტითეზისიცი ცალ-ცალკე უარყოფის უარყოფაა, სინთეზი კი — უარყოფელთა უარყოფა; სინთეზში მოხსნილი და შემონახულია თეზისი და ანტითეზისა. მოხსნილია მათი წინააღმდეგობა და შემონახულია საპირისპირონი, მათი ნამდვილი ერთიანობის საფუძველზე.

დიალექტიკური უარყოფის ბუნების კვლევა უპირველესად გულისხმობს იმ მექანიზმის კვლევას, რომლითაც ხორციელდება უარყოფა. აქ მთავარია არა პროცესის შედეგების კვლევა — მისი საწყისის, მიმდინარეობისა და დასასრულის ძიება, არამედ მხოლოდ იმის გარკვევა, თუ რა არის დიალექტიკური უარყოფა და როგორია მისი, როგორც განვითარების პროცესის აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი ელემენტის მოქმედების მექანიზმები. ამ თვალსაზრისით ერთი და იგივე მნიშვნელობისაა როგორც პირველი უარყოფა (უარყოფის უარყოფაში), ასევე მეორე უარყოფაც, რადგან ორივე დიალექტიკური უარყოფაა. მათი სპეციფიკური ნიშნების ძიება თვით უარყოფის უარყოფის კანონის კვლევის პროცესში უნდა ხდებოდეს².

უარყოფის უარყოფა არის დიალექტიკური უარყოფის ერთ-ერთი თავისებური გამოვლენა.

¹ Ю. Харини, О связи диалектич. отриц. и «отриц. отриц.», Вестник ЛГУ серия экономики, философии, права. Вып. 1, 1957, № 5.

² ლოგიკურად ეს შეიძლება ასე იყოს: მაგ. არა მარტო კომუნიზმი უარყოფს კაპიტალიზმს, კაპიტალიზმიც კომუნიზმის უარყოფაა, როგორც მისი საპირისპირო, მაგრამ რეალურ-ობიექტურად მხოლოდ კომუნიზმია კაპიტალიზმის უარყოფელი და არა პირიქით. ან კიდევ, რეალურად წიწილა არის კვერცხის უარყოფელი, მაგრამ შებრუნებით ამასვე ვერ ვიტყვი.

კატეგორიები, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, სამყაროს შემეცნების საფეხურები, საკვანძო პუნქტებია. კატეგორიებში ფიქსირებულია სამყაროს, მთელი სინამდვილისა და თვით აზროვნებას ფილოსოფიური შინაარსი. სინამდვილეს ფილოსოფიური შინაარსის გარდა სხვაგვარი შინაარსიც აქვს, რაც სხვა მეცნიერებათა შესწავლის საგანია. ფილოსოფიური შინაარსი კი ფილოსოფიურ ენაზე უნდა გამოითქვას. ამ ენის ძირითად ლექსიკურ მარაგს შეადგენს ფილოსოფიური კატეგორიები: მატერია, ცნობიერება, თვისებრიობა, ზომა, ერთეული, ზოგადი, არსება, მოვლენა, ფორმა, შინაარსი და ა. შ.

ყოველი ახალი კატეგორიის შემოტანით ფილოსოფიაში შემოდის სინამდვილის რაღაც ახალი მხარე, რაც აქამდე ან გაუცნობიერებელი, ან ყურადღების გარეშე იყო დარჩენილი¹. ყოველ კატეგორიაში კი ფიქსირებულია ფილოსოფიურად უმნიშვნელოვანესი და არსებითი მხარე სინამდვილესა. მაგალითად, ამ შემთხვევაში, როგორც ითქვა, მოვლენის კატეგორია ისევე არსებითია, როგორც არსების კატეგორია. სინამდვილის მთელ შინაარს ვერ გამოხატავს ვერც მარტო რაოდენობის, ვერც მარტო ფორმის ან მარტო არსების და ა. შ. კატეგორიები, მაგრამ ყოველი კატეგორია ცალკე აღებული, ან რომელიმე სხვა კატეგორიასთან თანაფარდობაში გამოხატავს სინამდვილის ერთ არსებით მხარეს ლოგიკურად უკიდურესი ზოგადობით. შემთხვევითობის კატეგორია იმდენად აუცილებელი და არსებათა, რომ ამ ასპექტში შეუძლებელია მის გარეთ დარჩეს რაიმე შემთხვევითად, ე. ი. ისე, რომ იგი როგორც შემთხვევითობა არ მოიცავდეს და ვერ ხსნიდეს მას, მაგრამ სადაც ვეღარ „მისწვდება“ შემთხვევითობის კატეგორია, აქ მოვიშველიებთ სხვა კატეგორიებს.

ფილოსოფიური კატეგორიები საყოველთაო არიან თავიანთი ხასიათით, ეს საყოველთაობა შეიძლება იყოს აბსოლუტურად უნივერსალური, რამდენადაც კატეგორია ქმედითია როგორც ბუნების, ასევე საზოგადოებისა და აზროვნების სფეროებში (ფორმა, შინაარსი და სხვ). ზოგიერთი კატეგორია შეიძლება ვრცელდებოდეს

¹ ვ. სვიდერსკი სტატიაში „დალაქტიკის პრობლემათა თანამედროვე დამუშავების ზოგიერთი თავისებურების შესახებ“ (რომელიც დაიბეჭდა „კომპოსიცი ფილოსოფიის“ 1969, № 11) აღნიშნავს, რომ უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ამჟამად დალაქტიკის ახალი კატეგორიები. ამჟამად დალაქტიკის აპარატში შეაქვთ ახალი კატეგორიები, როგორცაა ელემენტი და სტრუქტურა, თანაზომიერება და არათანაზომიერება, ალბათობა, სისტემა. ფუნქცია, იზომორფიზმი და სხვ. (იხ. გვ. 95)

მხოლოდ ბუნებისა და საზოგადოების სფეროებზე (მიზეზობრიობა) ან მხოლოდ საზოგადოების სფეროზე (საზოგადოებრივი ცნობიერება) და ა. შ.

უარყოფის კატეგორია ერთ-ერთი უნივერსალური და უმნიშვნელოვანესი კატეგორიაა მარქსისტული ფილოსოფიის კატეგორიათა სისტემაში. უარყოფა კატეგორიაა, ვინაიდან 1) ვ. ი. ლენინის თქმით, იგი დიალექტიკის უმნიშვნელოვანესი ელემენტია, განვითარების შესახებ დიალექტიკური მოძღვრება არ არსებობს დიალექტიკური უარყოფის შესახებ ცოდნის გარეშე; 2) იგი მოქმედებს ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების ყველა სფეროში და მასთან უშუალოდაა დაკავშირებული ამ სფეროებში მიმდინარე ძირითადი მოვლენების ახსნა; იგი გამოხატავს იმ არსებით ტენდენციას, რომელიც დამახასიათებელია ამ მოვლენებისათვის; 3) უარყოფა შემცდნებისა და ფილოსოფიური აზროვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკვანძო პუნქტია. მისი საშუალებით ვახსიათებთ სინამდვილეს ერთ-ერთი ძირითადი ასპექტით. უარყოფის კატეგორია უნივერსალურია, ისევე როგორც ფორმის, შინაარსის, არსების, ზოგადისა და სხვა კატეგორიები; 4) იგი მოქმედებს კანონებსა და სხვა კატეგორიებში. 5) პროფ. ს. წერეთლის გამოთქმას თუ მოვიმარჯვებთ, იგი ლოგიკურის კატეგორიაა, ვინაიდან მისი უარყოფა მასვე ასაბუთებს.

ზოგიერთი ავტორის აზრით ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ უარყოფის კატეგორია, უარყოფის კანონი და უარყოფის უარყოფის კანონი. ამ აზრისაა, მაგალითად, მ. ვორობიოვი¹. მ. ვორობიოვი აკრიტიკებს ი. ხარინს, რომლის მიხედვით უარყოფა გამოხატავს საგნის მხოლოდ გადასვლას თავის საპირისპიროში, უარყოფის უარყოფის კანონი კი ახდენს ამ გადასვლის ზასიათის, მისი შედეგის ახსნას. ი. ხარინის მიხედვით დიალექტიკური უარყოფა არის უარყოფის უარყოფის კანონის საფუძველი. მისი აზრით, უარყოფას ყოველთვის ახასიათებს „უარყოფის უარყოფის“ მომენტი². ი. ხარინი ბოლოს და ბოლოს აიგივებს უარყოფას და უარყოფის უარყოფას. მ. ვორობიოვი კი ცალ-ცალკე განიხილავს უარყოფის კატეგორიას, უარყოფის კანონს და უარყოფის უარყოფის კანონს.

მ. ვორობიოვის აზრით, უარყოფის კატეგორია ასახავს საგნის შიგნით არსებული უარყოფის შესაძლებლობას, რაიმეს სხვად ქცე-

¹ М. В о р о б ъ е в, Об отриц. и отриц. отрицания. Вестник ЛГУ, серия экономики, философии, права, вып. IV, 1957, № 23.

² იხ. ი. ხარინის ზემოთ დასახელებული ნაშრომი.

ვის შესაძლებლობას. დიალექტიკური უარყოფის კანონი კი ასახავს ამ შესაძლებლობის რეალიზაციას, მის სინამდვილეს. ამდენად, დიალექტიკური უარყოფის კანონი არის უარყოფის კატეგორიის რეალიზაცია. უარყოფის კანონი არის უარყოფის კატეგორია გაშლილი სახით. გარდა ამისა, უარყოფის კანონი არის კანონი უმაღლეს საფეხურზე უმდაბლესის ზოგიერთი ნიშნის გამეორების შესახებ, ხოლო უარყოფის უარყოფის კანონი არის კანონი უმაღლეს საფეხურზე უმდაბლესის მთლიანად გამეორების შესახებ. ვ. ბარულინი შემდეგი აზრისაა: „მხოლოდ ის უარყოფა არის უარყოფის უარყოფის კანონის კატეგორია, რომელიც უშუალოდ გვიხასიათებს ზეალმაველ განვითარებას“¹

ი. ხარინი სწორია, რადგან იგი მკიდროდ უკავშირებს ერთმანეთს დიალექტიკურ უარყოფას და უარყოფის კანონს, თანაც პირველში ხედავს იმ საფუძველს, რომელსაც უნდა ეყრდნობოდეს უარყოფის უარყოფის კანონი, მაგრამ ვერ დაეთანხმდებით მას იმაში, რომ თითქოს და ყოველი უარყოფა ბოლოს და ბოლოს არაა უარყოფის უარყოფა. წინა პარაგრაფში შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ეს არ არის სწორი, უარყოფის უარყოფა კანონია, რომელიც განვითარების პროგრესის სპეციფიკური გამოვლენის სტრუქტურას აღწერს. დიალექტიკური უარყოფა ამ პროცესის არსებითი შემადგენელი ნაწილია, რაც ცალ-ცალკე უნდა იყოს გამოკვლეული. დიალექტიკური უარყოფის კვლევამ შეიძლება აუცილებლობით მიგვიყვანოს უარყოფის უარყოფის კანონის აღმოჩენამდე (ეს ასეც იყო ისტორიულად). დიალექტიკური უარყოფის შესახებ ჰეგელამდე არსებობდა თავისებური მოსაზრებები (ჰერაკლეტე, პლატონი, კუზანელი, ბრუნო, სპინოზა, ფიხტე), მაშინ როცა უარყოფის უარყოფის, როგორც განვითარების კანონის აღმოჩენა ჰეგელს ეკუთვნის². ამასთან შეიძლება უარყოფის უარყოფის კანონის კვლევამ დასვას საკითხი დიალექტიკური უარყოფის ბუნების საფუძვლიანად შესწავლის შესახებ. ჰეგელის სისტემაში უარყოფა ასეთი თანამიმდევრობითაა წარმოდგენილი: უარყოფით სხვაში გადასვლა (არსში), უარყოფით ურთიერთში გადასვლა (არსებაში) და უარყოფის უარყოფა (ცნებაში).

დიალექტიკური უარყოფა, როგორც კატეგორია, ასახავს არა

¹ В. Барулин, Развитие форм диалектич. отриц. в истории человеческого общества (кандид. диссерт.), М., 1959, стр. 34.

² მართალია თავისებურ ტრიადაზე იყო მსჯელობა თეოლოგიურ, მისტიკურ ფილოსოფიაში, მაგრამ კანონი ჰეგელის ფილოსოფიაში ეღებს სათავეს.

მარტო რაიმეს სხვაში გადასვლის ფაქტს, ასახავს არა მარტო ამ გადასვლის შესაძლებლობას, არამედ იკვლევს თუ რატომ ხდება ეს გადასვლა, უარყოფა, რა კავშირია უარყოფელსა და უარსაყოფს შორის, როგორია უარყოფის შედეგი. ამრიგად, მ. ვორობიოვის მსგავსად ხელოვნურად თუ არ გავანაწილებთ უარყოფის შესაძლებლობასა და სინამდვილეს უარყოფის კატეგორიასა და კანონს შორის, უნდა ითქვას, რომ უარყოფის კატეგორია ასახავს არა მარტო უარყოფის შესაძლებლობას, არამედ მის სინამდვილესაც. არ შეიძლება უარყოფის კატეგორიის სფეროს გარეთ დარჩეს უარყოფის თვით შედეგი. ის, რომ არსებობს უარყოფის შესაძლებლობა, ვიცით უარყოფის სინამდვილიდან.

უარყოფის კატეგორიის კვლევას, როგორც ითქვა, ბუნებრივად მივყავართ უარყოფის აღმოჩენამდე. როცა უარყოფა, როგორც კატეგორია, გამოდის თავისი ფარგლებიდან, ე. ი. აწყდება სპეციფიკურ წინააღმდეგობებს, რომელთა გადაწყვეტა მოითხოვს განსხვავებულ მიდგომას, ამ სიტუაციაში შეიძლება დაიხვას საკითხი უარყოფის უარყოფის გაგების შესახებ, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს უარყოფის უარყოფის კანონის ფორმირებამდე. მაგრამ უარყოფის კანონის არსებობა არ აუქმებს უარყოფას როგორც კატეგორიას, ანუ უარყოფის კატეგორიას, რამდენადაც ამ უკანასკნელს საჭიროებს როგორც თავის საფუძველს, ასევე პირიქითაც.

უარყოფის კატეგორია მატერიალისტური დიალექტიკის ერთ-ერთი უნივერსალური კატეგორიაა და დიალექტიკის არა ერთ-ერთი ძირითადი კანონის, არამედ ყველა კანონის კატეგორიაა. როგორც ვნახეთ, უარყოფა მოქმედებს არა მარტო უარყოფის უარყოფაში (რაც თავისთავად იგულისხმება), არამედ რაოდენობრიობის თვისებებში გადასვლაში, დაპირისპირებულთა ერთიანობაში, თვით კატეგორიების სისტემაში და სხვ.

რატომ არაა უარყოფა სწორედ კატეგორია და არა კანონი? მატერიალისტური დიალექტიკის კანონები, როგორც ცნობილია, განვითარების კანონებია. უარყოფა ასახავს არა განვითარებას, მის პროცესს, არამედ მის საკვანძო მომენტს. განვითარების პროცესის სტრუქტურას აგვიწერს უარყოფის უარყოფა, როგორც კანონი. უარყოფის კანონად გამოყოფა არაა გამართლებული იმის გამო კი არა, რომ იგი ზედმეტი იქნებოდა, რადგან გვაქვს უარყოფის უარ-

ყოფის კანონი (ეს საბუთად ვერ გამოდგებოდა) არამედ იმიტომ, რომ არ არსებობს საამისოდ ობიექტური საფუძველი¹.

უარყოფა განხილულ უნდა იქნეს როგორც კატეგორია მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიათა სისტემაში, როგორც განვითარების საკვანძო მომენტის ამსახველი და როგორც ისეთი საკვანძო პუნქტი, რომლის გარეშე არ არსებობს ქვეშარაღი ფილოსოფიური შემეცნება.

§ 7. უარყოფის განსაზღვრება

პირველ რიგში გვინდა მოვიტანოთ უარყოფის ზოგიერთი განსაზღვრება: 1) „ფილოსოფიურ ენციკლოპედიაში“ უარყოფა განმარტებულია შემდეგნაირად: «Отрицание — определенный момент процесса развития, выражающей диалектическую связь двух последовательных стадий (состояний) развивающегося объекта. Суть отрицания состоит в том, что утверждение последующей стадии развития предполагает в качестве своего исчезновения разрушение предыдущей и вместе с тем сохранение, удержание некоторых ее существенных элементов...»².

2) ზ. ბაგიროვის აზრით, უარყოფა ესაა: «Объективный процесс, который характеризует переход явления в свою противоположность и отличается своей сложностью и спецификой. Этот процесс выступает как следствие внутренней противоположности вещи и представляет собой необходимый момент развития».³

3) «Отрицание, — წერს მ. ვორობიოვი, — есть форма поступательного движения, внутренним содержанием которого есть борьба противоположностей, обуславливающая переход явления в новое качественное состояние».⁴

4) «Отрицание — это процесс превращения вещи в объективной действительности в свою противоположность, вследствие внутренней противоречивости этой вещи и имеющей своим результатом не нуль, абстрактное ничто, но некоторое содержание, переход к новому явлению, определенным обра-

¹ ს. წერეთელი თავის „დიალექტიკურ ლოგიკაში“ ჩამოთვალს რა აზრი ლოგიკურ კანონებს (მას მოცემული აქვს ოცი ასეთი კანონი), დადგენის კანონია შემდეგ განიხილავს უარყოფის კანონს. მიიჩნევს რა მათ ერთის ერთმხრივობების გამოხატულებად (გვ. 161). ს. წერეთლის მიერ უარყოფის კანონის აზრის ლოგიკურ კანონად მიჩნევა გ.მართლებულია მხოლოდ აზრის ლოგიკურ კანონთა მის სისტემაში. აზრის კანონი მაინც მხოლოდ აზრის კანონია.

² Философская энциклопедия, М., 1967, т. 4, стр. 186—187.

³ Уч. записки, АЗ, ГУ, Гуманитарная серия, 1959, № 1, З. Багпроуз; «Категория отрицания в марксистской диалектике», стр. 85.

⁴ И. Ф. Воробьев, «Закон отрицания отрицания», М., 1956, стр. 14.

ვომ სვყვანნომუ ს ოტრყცაემყმ. დყალექტყცესკოე ოტრყცანყე, კაკ ნეობყდყმყყ მონენტ ვყკოგო რავყტყყ, ოტრყცენნო სპეცყფყჩნო».¹

თოტყმყს ყველყ განსაზღვრებყს ნაკლი ისაყ, რომ მათს ავტორებს მხედველობაში აკვო უყრყყოფყ, რომელსყც ადგყლი აკვს რეალურად, ობყექტურ სყნამდველყში დყ ივყწყებენ ან უგულუბელყოფენ, რომ დყალექტყკურყ უყრყყოფყ მოკმედებს ლოგყკურშიც. ყოველ შემოხვევყში ეს გამოკვეთყლად არაყ ნათყვამყ ამ განსაზღვრებებში. მათყ ავტორები ყველგან ხაზგასმყო აღნყშნავენ, რომ უყრყოფყ ესაყ სავნყს, ნყვოთყს, ობყექტყს, მოვლენყს გადასვლყ ერთყ მდგომარეობყდნ მეორეში, ან რაყმესყ მყს სპყბყრყსპყბყროში; გარდა ამყსა, ზოგყერთ განსაზღვრებამყ დაყყნებყო მეორდებყ აზრყ იმყს შესახებ, რომ უყრყოფყ ესაყ მოვლენათა დყ სავანთა გადასვლყ თავყს სპყბყრყსპყბყროში, მამყნ როცა უყრყოფყ ყოველთვყს არაყ რაყმეს თავყს სპყბყრყსპყბყროში გადასვლყ, არამედ ზოგჯერ ესაყ უბრალოდ გადასვლყ ერთყ მდგომარეობყდნ სხვყ თვყსებრყვ მდგომარეობამყ, რასყც ხაზს უსვამს, მაგალითად, მ. ვორობოოვყ.

ყველყ განსაზღვრებამყ აღნყშნულია, რომ უყრყოფყ ეს არყს გადასვლყ, რომ იგყ შყნავანყა, ობყექტურყა დყ დაკავშყრებულია შყნავან წყნაალმდევგობებთან, რომ უყრყოფყ განვყთარებყს პროცესყს მომენტყ, კავშყრყს მომენტყა დყ სხვ. მაგრამ მხედველობყს გარეშეა დატოვებული სხვყ არსებყოთყ ნყშნებყ დყ მომენტებყ უყრყოფყსა. ამოტომ ზემომოტანყლი განსაზღვრებებყ სრულად ვერ გამოხატავს უყრყოფყს არსებმს.

უყრყოფყს განსაზღვრებყსაყს მხედველობამყ უნდა იყოს მყდებული რომ 1) დყალექტყკურყ უყრყოფყ არყს განვყთარებყს პროცესყს აუცილებელი დყ საკვანძო მომენტყ, დყალექტყკყს უმნყშვენელოვანესყ ელემენტყ; 2) რომ იგყ ობყექტურყა; 3) რომ იგყ შყნავანყა (იმანენტურყა), თვყოთუყრყოფამყ; 4) შეფარდებყოთყ დყ კონკრეტულია; 5) რომ იგყ მოკმედებს ბუნებყს, საზოგადობყსა დყ აზროვნებყს ყველყ სფეროში, ე. ი. უნყვერსალურყა; 6) რომ უყრყოფყ არყს გადასვლყ ან ერთყ მდგომარეობყდნ მეორეში, ან სპყბყრყსპყბყროში, ან დაპყბყრყსპყრებულთა ურთოერთში გადასვლყ; 7) რომ ლოგყკურყს კატეგორყს უყრყოფყ მასვე ადგენს; 8) რომ ეს არყს კავშყრყს მომენტყ (უყარსაყოფმსა დყ უყარყოფელს შორყს); 9) რომ იგყ შყნავანყ წყნაალმდევგობყს გამომხატველყა; 10) რომ იგყ დადე-

¹ ამ აზრს გამოტყვამს ი. ხარყნი თავყს ს.კანდყდატო დყსერტაყცყამყ: «Закон отрицания отрицания в марксистской диалектике», Л., 1956, стр. 157.

ბითია, დადებითი უარყოფაა და ამიტომ 11) უპირისპირდება უარყოფის მეტაფიზიკურ გაგებას.

გამომდინარე აქედან, უარყოფის განსაზღვრება შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად:

დიალექტიკური უარყოფა, როგორც უარყოფით დადგენა-დასაბუთება არის ობიექტური სინამდვილისა და აზრის განვითარების ის საკვანძო მომენტი, რომელიც რაიმეს სხვაში (თავის სხვაში) გადასვლისას გამოხატავს განსხვავებულთა კავშირის აუცილებლობას და უშუალობას, წყვეტადობისა და უწყვეტობის ერთიანობას.

დიალექტიკური უარყოფის კვლევის მეთოდოლოგიური მნიშვნელობა

ამ თავში ჩვენ განვიხილავთ ზოგიერთ საკითხს, რომლებსაც უპირატესად პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ და უშუალოდ გამომდინარეობენ ან უკავშირდებიან დიალექტიკურ უარყოფას, მისი თეორიული კვლევისას მიღწეულ შედეგებს. ამრიგად, ეს თავი ერთგვარად, ჩვენი ნაშრომის პრაქტიკული ნაწილია. ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ ამის გაკეთება, რათა ვაჩვენოთ დიალექტიკური უარყოფის მნიშვნელობა ადამიანთა პრაქტიკულ ცხოვრებაში, ადამიანთა ურთიერთობების სხვადასხვა სფეროში.

ზოგიერთი მოსაზრება ამასთან დაკავშირებით ჩვენს საკუთარ დაკვირვებას ემყარება, ზოგ შემთხვევაში შეიძლება ვიმეორებდეთ უკვე ცნობილ დებულებებს, მაგრამ ყველა შემთხვევაში მასალა მოცემულია, როგორც კვლევის შედეგი. რაც მთავარია მოცემულია დიალექტიკური უარყოფის პრობლემასთან მათი კავშირის ცდა.

ყოველ შემთხვევაში საბოლოო შედეგებზეც (დებულებებზეც) შეიძლება ითქვას რამდენად სწორი (ჭეშმარიტი) ან არასწორია ისინი. ამის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ თვით პროცესის და დაკვირვებათა სისწორეზე ან არასისწორეზე.

ამ საკითხების უფრო ვრცლად გადმოცემა შეიძლება ყურადღებას ჩამოაშორებდა იმ პრობლემებს, რომლებიც მთავარია ნაშრომში.

§ 1. უაროვნა როგორც პრიტიკის იარაღი

ამ შემთხვევაში ჩვენი მიზანია მოკლედ შევეხოთ საკითხს თუ რა კავშირია კრიტიკასა, როგორც ასეთს და დიალექტიკურ უარყოფას შორის, ზოგად — თეორიულ ასპექტში ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რა უნდა გვექონდეს მხედველობაში, როცა ლაპარაკია უარყოფაზე როგორც კრიტიკის იარაღზე. გამოვთქვამთ რა ჩვენს მოსაზრებებს ზოგიერთ საკითხზე, ჩვენ არ გავაღრმავებთ მათ ცალკე მეცნიერებათა განვითარების ან საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ მხარეთა დაწვრილებითი კვლევის მაგალითზე, ვინაიდან ეს ცალკე თემაა.

მაშ, დიალექტიკური უარყოფა არის იარაღი, კრიტიკის იარაღი, რომელსაც შემოქმედებითად უნდა ვიყენებდეთ მეცნიერულ კვლევასა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, სადაც ერთმანეთს ეჯახება მსოფლმხედველობანი, თვალსაზრისები, თეორიები და შეხედულებანი, პოლიტიკური, ეკონომიური, თუ სოციალური ინტერესები და სხვ.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ მარქსის მოძღვრებამ შეძლო მილიონობით და ათეული მილიონობით ადამიანთა გულების დაპყრობა, ვინაიდან მარქსი ემყარებოდა კაცობრიობის მიერ მანამდე მოპოვებული ცოდნის მტკიცე საძირკველს. „ყოველივე ის, რაც კი შეუქმნია ადამიანთა საზოგადოებას, მან კრიტიკულად გადაამუშავა ისე, რომ არც ერთი პუნქტი უყურადღებოდ არ დაუტოვებია. ყოველივე ის, რაც კი შეუქმნია ადამიანის გონებას, მან კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა“¹.

კ. მარქსი იმთავითვე მტკიცედ ემყარებოდა და იყენებდა დიალექტიკური უარყოფის პრინციპს თავის პრაქტიკულ და თეორიულ მოღვაწეობაში. ძველი სამყაროს და მისგან გამომდინარე მცდარი შეხედულებების კრიტიკა მარქსთან დაფუძნებულია ამ სამყაროსა და მისი შეხედულებების საფუძვლიან შესწავლაზე. ჯერ კიდევ 1843 წლის სექტემბერში იგი რუვეს სწერდა: ჩვენი სურვილია ძველი სამყაროს კრიტიკის მეშვეობით ახალი სამყარო მოვძებნოთ. ხოლო რამდენიმე თვით ადრე იმავე რუგესადმი მარქსის მიერ მიწერილ წერილში ვკითხულობთ: „ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ვამზილოთ ძველი სამყარო და ვაქეთოთ დადებითი საქმე ახალი სამყაროს წარმოქმნისათვის“².

კ. მარქსისათვის კრიტიკა ახლის ძიებისა და დასაბუთების საშუალებაა. მის მოღვაწეობაში, უკვე ადრეულ პერიოდშივე, დიალექტიკური უარყოფა, მისი თეორიული დასაბუთება და პრაქტიკული გამოყენება გვევლინება კრიტიკის იარაღის სახით. მარქსს კარგად ესმოდა, რომ კრიტიკის იარაღი ვერ შესცვლიდა იარაღით კრიტიკას, მაგრამ მისი აზრით, თეორიაც მატერიალურ ძალად იქცევა, როგორც კი ის მასებს დაეუფლება.

მარქსიზმისათვის დიალექტიკური უარყოფა და მის შესახებ თეორია მძლავრი გარდამქმნელი იარაღი — კრიტიკის იარაღია.

მარქსიზმის კლასიკოსები განუწყვეტელ კრიტიკულ-თეორიულ

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 343.

² К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. I, стр. 378.

ომს აწარმოებდნენ თავიანთ მოწინააღმდეგეებთან. კ. მარქსი-სა და ფ. ენგელსის „წმინდა ოჯახი“ და „გერმანული იდეოლოგია“, კ. მარქსის „ფილოსოფიის სილატაქე“ და ფ. ენგელსის „ანტი-დიურინგი“, ვ. ი. ლენინის „რანი არიან ხალხის მეგობრები და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ“, „რა ვაკეთოთ?“, „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ და მარქსიზმის კლასიკოსთა სხვა პოლემიკური ნაწარმოებები, საკითხისა და საქმის ღრმა ცოდნაზე დამყარებული დასაბუთებული კრიტიკის ნიმუშებია. წიგნზე „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ მუშაობისას ვ. ი. ლენინს მოუხდა რუსულ და უცხო ენებზე (უმეტესად უცხო ენებზე) გამოქვეყნებული რამდენიმე ასეული მონოგრაფიის, კრებულის, ბროშურის, თუ სტატიის გაცნობა, რომ დასაბუთებულად გაეკრიტიკებინა მარქსისტული ფილოსოფიის დამახინჯების მცდელნი, დაეცვა და განევითარებინა მარქსიზმის ფილოსოფია.

ფ. ენგელსი აკრიტიკებდა ლ. ფოიერბახს იმისათვის, რომ მან კრიტიკის იარაღით კი არ დასძლია ჰეგელი, არამედ უბრალოდ განზე გადააგდო იგი, როგორც გამოუსადეგარი რამ, ხოლო თვით ჰეგელის სისტემის ენციკლოპედიურ სიმდიდრეს ვერაფერი დაუპირისპირაო პოზიტიური.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა დოგმატურად კი არ შეითვისეს ჰეგელის დიალექტიკა და ფოიერბახის მატერიალიზმი, არამედ ამ მოძღვრებებში აღმოაჩინეს მათივე კრიტიკული დაძლევის გასაღები. ჰეგელის დიალექტიკურ ურაცოფაში დანახული იქნა თვით ჰეგელისავე სისტემის კრიტიკის იარაღი და აქედან გამომდინარე, ჰეგელის დიალექტიკისა და ფოიერბახის მატერიალიზმის ახალ, ნამდვილ ასპექტში წარმოდგენის შესაძლებლობა.

ყოფილისა და არსებულის შესწავლისა და ანალიზის პროცესში კ. მარქსი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „თავიანთი განვითარების გარკვეულ საფეხურზე საზოგადოების მატერიალური მწარმოებლური ძალები ვარდება წინააღმდეგობაში არსებულ წარმოებით ურთიერთობასთან. „...მწარმოებლურ ძალთა განვითარების ფორმიდან ეს ურთიერთობანი მათ ბორკილად იქცევა. მაშინ დგება სოციალური რევოლუციის ეპოქა“¹. ან კიდევ: „კაპიტალის მონობოლია ხდება იმ წარმოების წესის ბორკილად, რომელმაც მონობოლიასთან ერთად და მისი დახმარებით მიადწია აყვავებას. წარმოების საშუალებათა ცენტრალიზაცია და შრომის განსაზოგადოება

¹ კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953, გვ. 10.

აღწევს იმ პუნქტს, სადაც ისინი ველარ თავსდებიან თავიანთ კაპიტალისტურ გარსში. ეს გარსი სკდება... ხდება ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია“¹.

ამრიგად, არსებული საზოგადოება შინაგან წინააღმდეგობადა შედეგად მიდის დაღუპვამდე, საკუთარ უარყოფამდე, მაგრამ როგორი უნდა იყოს ეს უარყოფა, როგორია ის ტენდენცია, რომელიც ძველში ისახება, როგორც მისი უარყოფა? კ. მარქსმა აღმოაჩინა ის მატერიალური ძალა, რომელმაც უნდა განახორციელოს ძველის მსხვერველი და ახლის შენება; ფილოსოფია პროლეტარიატში თავის მატერიალურ იარაღს პოუვებს, წერდნენ ისინი „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკის შესავალში“. პროლეტარიატს რევოლუციის შეუძლია მთელი ძველი სისაძაგლე თავიდან მოაშოროს და საზოგადოების ახალი საფუძვლის შექმნის უნარის მქონე გახდეს — განმარტავდნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი „გერმანულ იდეოლოგიაში“ და იქვე დასძენდნენ, ჩვენ კომუნისმს ვუწოდებთ ნამდვილ მოძრაობას, რომელიც სპობს ახლანდელ მდგომარეობას. ასეთი იყო ძველის არსებითი კრიტიკის დადებითი ნაყოფი.

მარქსიზმ-ლენინიზმი, როგორც მწყობრი მეცნიერული მოძღვრება ჩამოყალიბდა და განვითარდა ძველი თეორიებისა და შეხედულებების კრიტიკის პროცესში. მარქსიზმის კლასიკოსები კრიტიკოსებისაგან თავიანთი მოძღვრების დაცვის პროცესში, არა უბრალოდ უარყოფდნენ კრიტიკას, არამედ მას უპირისპირებდნენ თავიანთ პოზიტიურ დებულებებს და დასკვნებს. მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება განვითარებულიყო მარქსიზმი და გაეძლია მრავალრიცხოვანი თეორიული და პრაქტიკული მოწინააღმდეგეებისა და მტრების შემოტევისათვის, რომლებიც ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა ფორმით გამოდიოდნენ, სხვადასხვა ხერხს მიმართავდნენ, იდეოლოგიურ დივერსიამდეც კი მიდიოდნენ, რის წინააღმდეგაც დღეს ფხიზელ ბრძოლას აწარმოებს ჩვენი პარტია, ეყრდნობა რა სკკპ ისტორიისა და მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაცად ტრადიციებს, გამომდინარე დიალექტიკური უარყოფის პრინციპებიდან.

ძირითად დოკუმენტში, რომელიც 1969 წლის 17 ივნისს მიიღო კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირმა, მოცემულია თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ანალიზი, თანამედროვე იმპერიალიზმის ამომწურავი დახასია-

¹ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 956—957.

თება და შეფასება, ყოველივე იმის გათვალისწინებით და კრატიკული დაძლევიტ, რასაც შეიცავს ანტიკომუნისტის იდეოლოგია დღეს.



უარყოფის, როგორც კრიტიკის იარაღის სანიმუშო მაგალითები მოგვცა პლატონმა თავის დიალოგებში. პლატონის აზრით, დიალექტიკა არის ხელოვნება, რომელიც აღვიძებს აზრს წინააღმდეგობათა აღმოჩენის გზით. ეს ხელოვნება, რომლის დიდოსტატადაც პლატონს მიაჩნდა სოკრატე, ემსგავსება ბებია ქალის ხელობას, რამდენადაც მისი საშუალებით კამათის პროცესში ხდება კამათის ობიექტში დაფარული წინააღმდეგობის გამომჟღავნება, დაბადება და გახსნა. ქეშმარიტების დადგენა. პლატონი თავის ცნობილ დიალოგებში საგანგებოდ ეძებს წინააღმდეგობებს. მოკამათენი მიდიან წინააღმდეგობის აღმოჩენამდე იქაც კი; სადაც ერთი შეხედვით არავითარ წინააღმდეგობებს არ უნდა ჰქონდეს ადგილი და ამის შექმნა ცდილობენ მის ახსნას. ხოლო, გამოამჟღავნებენ რა ერთი რიგის წინააღმდეგობას და, ახსნიან რა მას, ამის შემდეგ ბუნებრივად, ლოგიკურად გადადიან ახალ წინააღმდეგობაზე და ასე შემდეგ. ასე წყვეტს იგი „სოფისტში“ არსისა და არარსის დამოკიდებულების საკითხს. „პარმენიდეში“—ერთისა და სიმრავლის დამოკიდებულების პრობლემას.

პლატონი დაწვრილებით განიხილავს ყველა არგუმენტს, რომლებიც კი შეიძლება მოტანილ იქნეს პარმენიდეს არსის, მეგარელთა უძრავი იდეების დასაცავად და მეთოდურად უარყოფს მათ. იგი ამტკიცებს, რომ ქეშმარიტება არც პარმენიდეს არარსშია და არც მეგარელთა უძრავ იდეებში. იდეები რომ უძრავი იყვნენ, არ იყოფოდნენ და არ ერთდებოდნენ, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა აზროვნება, მეტყველება და ქეშმარიტების შემეცნება. არსებული და არარსებული ტოლფასნი არიან, როგორც საპირისპირონი და ურთიერთდამოკიდებულნი არიან ასე, რომ ერთს მეორეს გარეშე აზრი არ აქვს.

პლატონი იოლ გზებს როდი ირჩევს. მისი აზრით, არსებულის დასაბუთება ისევე ძნელია, როგორც არარსებულის. არსებულზე ისევე შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს, როგორც არარსებულზე, — რომ იგი არსებობს. ასე იწყება „სოფისტში“ აზრთა დაპირისპირება. არარსებული თითქოს მოუაზრებელი და გამოუთქმელია, მაგრამ მასზე აზრს ხომ გამოვთქვამთ. ეს უკვე წინააღმდეგო-

ბაა, რომელიც უნდა გადაიჭრას. რით მიიწვდომება არსებული — შეგარძნებებით, თუ აზროვნებით? თუ ვიტყვი, რომ — აზროვნებით, მაშინ ერთმანეთისაგან გავთიშავთ ქმნადობას და არსებობა, ვინაიდან ქმნადობა შეგარძნებებით მიიწვდომება, არსება კი — აზროვნებით. მაგრამ შემეცნება მოძრაობაა. ამით უკვე არსებას მივაწერთ მოძრაობას. ამრიგად, ერთი მხრივ არსებას, ე. ი. არაქმნადს ვაცხადებთ აზროვნებით შესამეცნებლად, მაგრამ, მეორეს მხრავ, ამით ვუშვებთ მის ქმნადობას, ვინაიდან აზროვნება ქმნადობაა (მოძრაობაა). არსებული მაშ მოძრავიცაა და უძრავიც. ამიტომ უნდა ითქვას, რომ არსებობს მოძრაობაც და უძრავობაც. ისინი დაპირისპირებულნი არიან, მაგრამ არსებობენ. მაგრამ ამის დაშვება მათ უძრავობას ნიშნავს. არსებობა არის არა უძრავობა და მოძრაობა, არამედ მათგან რაღაც განსხვავებული. არსებობა არც დგას და არც მოძრაობს. რაც არ მოძრაობს, არც დგას და რაც არ დგას არც მოძრაობს. არსებობა მდგომარეობს ორთავე ამ მდგომარეობაში.

ზღბდა თითქოს გამოუვალი წინააღმდეგობის გადაწყვეტა. ერთის მხრივ ქმნადობასთან საქმე გვაქვს შეგარძნებებით, არსებასთან კი — აზროვნებით. ე. ი. არსებულს მოძრაობა-ქმნადობას ვერ მივაწერთ, მაგრამ აზროვნება ხომ მოძრაობაა. არც არსებული შეიძლება იყოს უძრავი, მაგრამ იგი არც მარტო მოძრავია და ა. შ.

მოძრაობა, უძრავობა და არსებული იგივეობრივიცაა და განსხვავებულიც. ყოველი მათგანი განსხვავდება დანარჩენი ორისაგან და იგივეა თავისთავთან. ამრიგად, მოძრაობის, უძრავობის და არსებულის ცნებებიდან პლატონს გამოჰყავს იგივეობისა და განსხვავების ცნებები და ორგანულად უკავშირებს ორ უკანასკნელს პირველსავე. ამრიგად, ყოველი მათგანი იგივეცაა და განსხვავებულიც, არც იგივეა და არც განსხვავებული. არსებულთაგან ერთნი არსებობენ თავისთავად, მეორენი შეფარდებით. არსებულ საგნებში არსებობასთან ერთად არარსებობაა, რადგან ისინი განსხვავებულნი არიან. ამრიგად, არსიდან გამოდის არარსი და პირიქით. ამ აზრით არარსი არ განსხვავდება არსისაგან. არარსებულსაც აქვს თავისი ბუნება. ჩვენ ზომ ვლპარაკობთ საგნებზე, რომ ზოგი მათგანი არის, ზოგი არ არის. ე. ი. არსებულზე და არარსებულზე თანაბრად ვლპარაკობთ.

„პარმენიდეში“ პლატონი თანამიმდევრობით არჩევს დებულებებს, რომ აჩვენოს ერთისა და ჰომრავლის დამოკიდებულება. მაგალითად, ერთის მხრივ, ერთის დაშვების შედეგები ერთისათვის. მეორის მხრივ, ერთის დაშვების შედეგები „სხვისათვის“, ამის თანაბრად: ერთის უარყოფის შედეგები — ერთისათვის და ერთის

უარყოფის შედეგები „სხვისათვის“. აბსოლუტური ერთის დადგენის შედეგებიდან ერთისათვის ბუნებრივად გადადის შედარებით ერთის დადგენის შედეგებზე ერთისათვის და აქედან აბსოლუტური და შეფარდებითი ერთის დადგენის სინთეზის შედეგებზე ერთისათვის. იგივე მეორდება ერთის უარყოფის დაშვების მიმართ. ერთ და იგივეა ერთისათვის როგორც აბსოლუტური ერთის დადგენის შედეგები, ასევე აბსოლუტური ერთის უარყოფის შედეგები; ვინაიდან აბსოლუტური ერთის დადგენა ფაქტიურად მისი უარყოფაა, ხოლო აბსოლუტური უარყოფა ერთისა გვაძლევს არარსებულ ერთს. ერთსა და სიმრავლის დამოკიდებულება ვერ გადაწყდება რაიმეს თავისთავთან და სხვასთან აბსოლუტური და შეფარდებითი მიმართებებში, გარკვევის გარეშე.

პლატონი მთელ დიალოგში მეთოდურად აჩვენებს, რომ საკითხის გადაწყვეტას ვერ იძლევა ერთის აბსოლუტური დადგენა, ვერც ერთის აბსოლუტური უარყოფა, ვერც ერთის დაშვება „სხვის“ მიმართ და ვერც ერთის უარყოფა „სხვის“ მიმართ. საკითხის გადაწყვეტა მდგომარეობს აზრის მთელ მოძრაობაში უარყოფათა გზით დაშვებულ დებულებათა კრიტიკულად დაძლევის გზით და ერთი სიძნელის დაძლევიდან მეორეზე გადასვლაში. დაშვებული დებულების უარყოფა ხდება არა აბსოლუტურად, ხდება მისი არა უკუგდება, არამედ მისგან როგორც გარკვეული საფუძვლიდან ამალგება, გადასვლა ახალ დებულებაზე და ა. შ. ჭეშმარიტება არის არა რომელიმე ერთ-ერთ მათგანში, არამედ მათ ერთიანობაში.

პლატონის დიალოგებში დიალექტიკური უარყოფა, როგორც შედარებითი უარყოფა, გვევლინება კრიტიკის მძლავრ იარაღად, რომლის მომარჯვებითაც ხდება აზრის განვითარება საფეხურებრივად და ამ გზით ჭეშმარიტების დადგენა.

* * *

ამრიგად, ვიყენებთ რა დიალექტიკურ უარყოფას როგორც კრიტიკის იარაღს, დაცულ უნდა იქნეს აუცილებელი მოთხოვნები: 1) კრიტიკა უნდა გამომდინარეობდეს კრიტიკის ობიექტის ღრმა ცოდნიდან, მისი ყველა მხარის საფუძვლიანი შესწავლიდან. შეიცავდეს განსახილველი საკითხის ყველა მხარის და მომენტის მრავალმხრივ ანალიზს; 2) აქედან გამომდინარე, დადგენილ უნდა იქნეს კრიტიკის ობიექტის დადებითი და უარყოფითი (მიუღებელი, დასაგმობი) მხარეები, მიკვლეული და გახსნილ უნდა იქნეს წინააღმდეგობანი; 3) უარსაყოფს უნდა დაუპირისპირდეს ახალი, პოზიტიური, უფრო

მარულყოფილი და პროგრესული. უარყოფის გზით უნდა ვანვითარებდეთ აზრს ერთი საფეხურიდან მეორისაკენ; 4) ახალი, პოზიტიური დებულების დასაბუთება უნდა ხდებოდეს ძველის კრიტიკის პროცესში, მაგრამ არა მარტო ძველის კრიტიკით.

მაშ, მთავარია ის, რომ კრიტიკის შედეგი იყოს დადებითი, რომ მას მივყავდეთ სინამდვილისა და აზრის განვითარებამდე, ე. ი. დაცულ უნდა იყოს ის, რაც უშუალოდ გამომდინარეობს დიალექტიკური უარყოფის ბუნებიდან. ვ. ი. ლენინი თავის სტატიაში „მარქსიზმის კარიკატურისა და „იმპერიალისტური ეკონომიზმის“ შესახებ“ წერს: „უარყოფითი“ ლოზუნგები, თუ იგი დაკავშირებული არაა გარკვეულ დადებით გადაწყვეტილებასთან, კი არ „ამახვანებს“, არამედ აჩლუნგებს შეგნებას, ვინაიდან ასეთი ლოზუნგი არას ფშუტე, ცარიელი წამოძახილი, უშინაარსო დეკლამაცია“¹.

კრიტიკა და თვითკრიტიკა სოციალისტური საზოგადოების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალაა. კრიტიკა და თვითკრიტიკა, რომელაც არ ითვალისწინებს დიალექტიკური უარყოფიდან გამომდინარე შემოჩამოთვლილ მომენტებს, იქცევა ლაყბობად, ფრაზიორობად, რეზონიორობად. ასეთი კრიტიკა არის კრიტიკა კრიტიკისათვის. ამჯვარი კრიტიკის დროს იჩქმალება საქმის ნამდვილი არსება, იგი იმანენტურად არ გამომდინარეობს კრიტიკის ობიექტიდან, მისადმი გარედან დამოკიდებულებათა, ისე, რომ ხშირად არ ჩანს კრიტიკის ობიექტი, ამიტომ იგი მიზანს არ ხვდება.

კრიტიკოსები, რომლებიც კრიტიკის პროცესში არ ითვალისწინებენ დიალექტიკური უარყოფის მოთხოვნებს, შეიძლება დავყოთ შემდეგ ჯგუფებად: 1) კრიტიკოსები, რომლებიც მათდაუნებლიედ, ჭაჭირო მომზადების უქონლობისა და საქმის არსებაში სათანადო ჯაურკვევლობის გამო ვერ ახერხებენ ამას და 2) კრიტიკოსები, რომლებიც შეგნებულად არ იცავენ ამ მოთხოვნებს სუბიექტური და კონიუნქტურული მოსაზრებების გამო. განსაკუთრებით საშიშია კრიტიკოსთა ეს მეორე კატეგორია, ვინაიდან: ა) მათი მოქმედება შეგნებულად არასწორია და ამასთან, ბ) მათ შეუძლიათ თავიანთი გაკლენის ქვეშ მოიქციონ, მიიზნონ კრიტიკოსთა პირველი ჯგუფის წარმომადგენლები და ამით ამრავლონ მოლაყბენი, საზოგადოებრივი საქმის შენიღბული მტრები.

კრიტიკოსთა მეორე ჯგუფის წარმომადგენლებს წარმოდგენილი აქვთ კრიტიკის საგანი, მისი ნაკლი და ღირსება, შეუძლიათ წამოაყენონ პოზიტიური მოსაზრებები და წინადადებები, მაგრამ სოფიზ-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 23, გვ. 83.

მისა და დემაგოგიის გამოყენებით ისინი ან გვერდს უვლიან საქმის არსებით მხარეს, ანდა მსჯელობას წარმართავენ საწინააღმდეგო გზით გამომდინარე სუბიექტური მოსაზრებებიდან, კონიუნქტურული ალლოდან.

შეიძლება ვილაპარაკოთ კიდევ კრიტიკოსთა ერთ ჯგუფზე, რომლებიც კრიტიკისას შეიძლება არ არღვევდნენ დიალექტიკური უარყოფის მოთხოვნებს, მაგრამ თავს არიდებენ თეორიული გადაწყვეტილებების პრაქტიკულ განხორციელებას, პრაქტიკულად აღარ უწყობენ ხელს იმას, რასაც სიტყვით ამბობდნენ, მიაჩნიათ რა, რომ ეს უკვე სხვამ უნდა გააკეთოს.

შეიძლება აღამიანს არ მოსწონდეს რამე და აკრიტიკებდეს, უარყოფდეს მას, მაგრამ ვერ ახერხებდეს უარყოფილს ადგილზე რაიმე პოზიტიური შემოგვთავაზოს. ეს ნიშნავს ანგრევდეს, მაგრამ არ იცოდეს რა ააშენო მის ადგილზე. ნგრევას, უარყოფას მაშინ აქვს აზრი, როცა იცი რა გინდა, უარყოფილის ადგილზე რა უნდა დაამკვიდრო, როცა უარყოფა სრულყოფისა და განვითარების პირობად იქცევა.

ყოველგვარი მიზანდასახული, კანონზომიერი ბრძოლა დიალექტიკური უარყოფის პრინციპის განხორციელებაა, იქნება ეს ცალკეულ ადამიანთა, ადამიანთა ჯგუფის, თუ მთელი კლასის მიზანდასახული, ისტორიული კანონზომიერებიდან გამომდინარე ბრძოლა. ასეთია ბრძოლა რალაცის უარყოფისათვის და მის ადგილზე იმას დამკვიდრებისა და განვითარებისათვის, რაც უფრო გამართლებული და მიზანშეწონილია, ამასთან და ამდენად, ასეთია ბრძოლა იმის წინააღმდეგ, რაც ხელს უშლის ახლის გაძლიერება-განვითარებას. მშვიდობისათვის ბრძოლა არის ბრძოლა იმისათვის, რომ არ დაირღვეს, შენარჩუნებულ იქნეს მშვიდობა, ბრძოლა იმის გამჩაღებელთა მაქინაცეების წინააღმდეგ.

გამომდინარე იქიდან, რაც ზემოთ ითქვა, შეიძლება დავასკვნათ:

- 1) ნამდვილი, მეცნიერული, დიალექტიკური უარყოფის მოთხოვნების გათვალისწინებით კრიტიკა ძნელ და რთულ საქმედ წარმოგვიდგება; 2) ადამიანებში მეცნიერულ-კრიტიკული სულისკვეთების აღზრდა უმნიშვნელოვანესი პარტიული და სახელმწიფოებრივი საქმეა, რომელიც უნდა ხორციელდებოდეს პიროვნების ფორმირების ყველა ეტაპზე და მუშაობისა და საქმიანობის ყველა რგოლში; 3) ამ კონტექსტებში გასაგები უნდა იყოს დიალექტიკური უარყოფის ბუნების თეორიული კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა. მეც-

ნიერული კრიტიკა დასაშვებია და სასარგებლოა იმდენად, რამდენადაც იგი გამომდინარეობს დიალექტიკური უარყოფის მოთხოვნე-ბიდან.

კრიტიკის იარაღის სწორი გაცემა და გამოყენება, ანუ სწორი შემეცნება, თვით იქცევა შემეცნების იარაღად.

§ 2. დიალექტიკური უარყოფა და ადამიანთა ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი

1. ადამიანური არს- პლატონს თავის ცნობილ დიალოგში —
ბობის სამი მდგო- „ნადიში“ აღწერილი აქვს ამბავი იმის შე-
მარეობა ბულმა ზევსმა როგორ გაჰყვეთა შუაზე თი-

თოეულთ იმათგანი და ღღეს თითქოს ყოველი ნახევარკაცი დაეძბ-
დეს თავისსავე მეორე ნახევარს. „აჰა, საიდან მოკადებული ღვივის
კაცთა გულელებში სიყვარული ერთურთისადმი, სიყვარულა, რომე-
ლიც პირვანდელ სახეს უბრუნებს მათ, ცდილობს გათიშულ ნახე-
ვართა ერთბირად შერწყმას და გამართლებას კაცთა ბუნების“¹. ეს,
რა თქმა უნდა, საკმაოდ გონებამახვილურად მოგონილი, მაგრამ
შაინც გულუბრყვილო ლეგენდაა, რომელიც აქ იმ საყოველთაოდ
ცნობილი ფაქტის დასამოწმებლად მოვიტანეთ, რომელიც შემდეგ-
ში მდგომარეობს: ადამიანს ადამიანის გარეშე ადამიანური არსებო-
ბა არ შეუძლია, ყოველი ადამიანი მუდამ ეძებს სხვა ადამიანს, რო-
გორც მეგობარს, სულის ნათესავს.

ადამიანს არ შეუძლია განახორციელოს ნამდვილი ადამიანობა
ადამიანთა საზოგადოების გარეშე; ადამიანთა საზოგადოება პირობაა
პიროვნებისათვის საკუთარი თავის დასადგენად და მოსაძებნად. ადა-
მიანი ამ ძიებას ახორციელებს სხვა ადამიანთან ურთიერთობაში,
მათთან კონტაქტებისას. ადამიანთა ეს კონტაქტები, მეტად ან ნაკ-
ლებად ხანგრძლივი, შემთხვევითი, ან აუცილებელი, თავის ქაოტუ-
რობით საერთოდ ფიზიკაში ცნობილ ბროუნის მოძრაობას მოკვა-
გონებს.

ადამიანთა ამ ურთიერთობაში უნდა გავარჩიოთ შემდეგი მდგო-
მარეობანი:

1. ადამიანთა შორის შემთხვევითი და გარეშე დამოკიდებულე-
ბა. უპირატესად ასეთია ერთმანეთისათვის უცნობ ადამიანთა და-
მოკიდებულება, ასეთი შეიძლება დარჩეს დამოკიდებულება იმ ადა-
მიანთა შორისაც, რომლებიც პირველად ხვდებიან ერთმანეთს

¹ პლატონი, „ნადიში“, თბ., 1964, გვ. 36.

(შემთხვევით თუ აუცილებლად), მაკრამ ასეთი შეხვედრა შეიძლება იქცეს მეტნაკლები ხარისხით შინაგან (სიმპათიურ) ურთიერთობათა საფუძვლად.

ამრიგად, ყოველი ადამიანის დამოკიდებულება ყველა სხვა მისთვის უცხო ადამიანისადმი თავდაპირველად შემთხვევითი და გარეგანია. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადამიანის მდგომარეობის ცვლისა და გართულების, მისი გონებრივი განვითარების, შეგნების დონის კვალობაზე, იცვლება მისი მიმართება და დამოკიდებულება მისთვის ნაცნობი თუ უცნობი ადამიანებისადმი.

ადამიანთა შორის შინაგან კავშირს ჩვენ ვეძახით კავშირს დამყარებულს სიყვარულზე და არავითარ სხვა ფაქტორზე. ადამიანთა ურთიერთობა, მიუხედავად მათი ახლო კავშირისა (საქმით, ნათესაობით, მეზობლობით, საერთო ოჯახით და სხვ.) შეიძლება მაინც გარეშე იყოს.

ადამიანისადმი გარეშე, უცხო დამოკიდებულებისას ადამიანის სულიერ მდგომარეობაში შეიმჩნევა ხარვეზი და ერთგვარი სიცარიელე, რის შევსებასაც იგი ზშირად სხვა, ხელოვნური საშუალებებით ცდილობს. ადამიანი უპირისპირდება სხვას, სხვა ადამიანებს, საზოგადოებას, უარყოფს ყოველივეს და ყველას საკუთარი ინტერესების გასამართლებლად, იგი უკიდურესად სუბიექტური, შიკერობიანი და ანგარებიანია; ეს არის უბადრუკი ადამიანური არსებობა, როგორც ადამიანური არსებობის ყველაზე პრიმიტიული და მდაბალი გამოხატულება;

2. ადამიანის სულს მოეძებნება ისეთი სხვა, რომელიც აუცილებელია მისთვის, როგორც საპირისპირო საპირისპიროსათვის. ამ შემთხვევაში ხდება პიროვნების ბუნებრივი სულიერი ხარვეზის შევსება და მისი აუცილებელი გაერთმობიანების მიღწევა მისსავე სხვასთან. მაშინ პიროვნება პიროვნებას განიცდის როგორც მისი არსებობის სისავსის, შინაგანი დასრულებულობის პირობას. მაგრამ რადგან ასეა, ამიტომ ყოველი მხარე განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენს მისი საპირისპიროს მიმართ, რაც გამოიხატება თვითუარყოფაში, ანუ თვითდათმობაში. ერთი ცდილობს უარყოს საკუთარი, რომ გაამართლოს თავისი სხვა, მისი სისრულით არსებობის უზრუნველყოფელი პირობა.

როგორც ვხედავთ, თუ პირველ შემთხვევაში როგორც აბსტრაქტული, გარეშე დამოკიდებულებისას უარყოფაც გარეშეა (ხდება სხვისი უარყოფა, რომ გაამართლო საკუთარი „მე“ და ინტერესი, რაც ტიპური ეგოიზმია), სუბიექტურია, მეორე შემთხვევაში ადგილი აქვს, თუ შეიძლება ასე ითქვას, უარყოფით გაშუალებულ

თვითდადგენას. რაიმე თვითუარყოფით ასაბუთებს თავის საპირისპიროს, გადადის მასში, მაგრამ ამით გაშუალებულად ასაბუთებს საკუთარ თავს. აქ უკვე გამორიცხულია ეგოიზმი და სუბიექტივიზმი, ვინაიდან წინა პლანზეა სხვისი, თავისი სხვის (alter ego-ს) გამართლება და დასაბუთება. თუ ადამიანთა შორის დამოკიდებულება ამგვარ მდგომარეობას აღწევს პრაქტიკულად, მაშინ გამორიცხულია კონფლიქტი¹, ვინაიდან ურთიერთობის საფუძველია ერთმანეთის გაგებაზე დაფუძნებული დათმობა სხვის (დამთმობის, გამმართლებლის) სასარგებლოდ და არა რაიმე ეგოისტური მისწრაფება. მაგრამ ამ მიმართებაშიც ყოველთვის შეიძლება არ იყოს მიღწეული საბოლოო სრულყოფილება, რადგან მისი საფუძველია რაიმე და მისი სხვა, ე. ი. ბოლომდე ვერაა დაძლეული სუბიექტური ელემენტი. ამ შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ ალტრუიზმზე ვიწრო გაგებით, რამდენადაც მას ადგილი აქვს მხოლოდ ორი ადამიანის ან ადამიანთა მეტად ვიწრო ჯგუფის დამოკიდებულებაში, მაშინ, როცა ისინი შეიძლება ასეთივე დამოკიდებულებას არ ამჟღავნებდნენ სხვების მიმართ. ერთმანეთის სიყვარულზე დაფუძნებული ორი ადამიანის ერთიანობა ყოველთვის შეიძლება არ იყოს დამყარებული საზოგადოებრივისა და პირადის ნამდვილ გაგებასა და შეგნებაზე;

3. ამიტომ უნდა განვიხილოთ კიდევ ერთი მდგომარეობა, როცა ადამიანი აღწევს შინაგან სულიერ დასრულებულობას არა მხოლოდ თავის სხვასთან ურთიერთობაში, მასთან ერთიანობაში, არამედ, როცა მისთვის თავისი სხვის როლში გამოდის ადამიანობა, ადამიანი ჰაერით. ამის წვდომაში იგი ხედავს თვითამაღლების პირობას, ადამიანი თავისი თავის დადებით უარყოფაში ჰერეტს პიროვნების მისიას, როგორც საზოგადოების გაკეთილშობილების პირობას. ეს აზრია გამოხატული ნიჰამის ბრწყინვალე აფორიზმში: „იქვეც სანთლად და გაიხარე საკუთარი თავის შთანქმით“. ამ აზრით უნდა შევავსოთ კაცობრიობის და მეცნიერების ინტერესებისათვის თავდადებულთა და თავშეწირულთა მოქმედება. ესაა უარყოფით თვითდადგენა, სიკვდილზე სიკვდილით გამარჯვება — უკვდავება.

ეს არის ნამდვილი ალტრუიზმი. აქ გამორიცხულია ეგოიზმის

¹ გამორიცხულია კონფლიქტი და არა წინააღმდეგობა, რაც გამოიხატება განსხვავებულ ზოგჯერ დაპირისპირებულ აზრებში, სურვილებში. შეფასებაში და ა. შ. მაგრამ ისინი კონფლიქტს არ იწვევენ. რამდენადაც ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მათ გონიერულ (და არა უგუნურ) განხილვასა და გადაწყვეტასთან. ეს კი, როგორც წინააღმდეგობის ვადაწყვეტა, განვითარებაა.

რამე ელემენტი, მაგრამ შიშველი, მეტაფიზიკური (თუ შეიძლება ასე ვთქვათ) ეგოიზმისა.

როგორც დავინახეთ, მეორე და განსაკუთრებით, მესამე შემთხვევაში ხდება საკუთარი „მე“-ს არა უარყოფა, არამედ ისეთი უარყოფა, რომელიც მასვე ასაბუთებს, ე. ი. ხდება „მე“-ს მალალ დონეზე დადგენა და დასაბუთება. ყოველი პიროვნულის ღირსებას სრულყოფილად გამოვლენა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როცა პიროვნული კლინდება სხვისთვის.

ასე ხდება ამალლება აბსტრაქტულიდან კონკრეტულობამდე, შემთხვევითობიდან აუცილებლობამდე. აუცილებლობის შეგნება კი თავისუფლებაა. თავისუფლება სიკეთესთანაა დაკავშირებული, ვინაიდან, ნამდვილად, შინაგანად თავისუფალი შეიძლება მხოლოდ კეთილი ადამიანი იყოს, ვის არსებაშიც ჰარმონიულ ერთიანობაშია პიროვნული და საზოგადოებრივი. სხვანაირად, ვის არსებაშიც საზოგადოებრივი გამხდარა სწორედ პიროვნულად. პიროვნულის თითქოს უარყოფა და საზოგადოებრივისათვის თავგანწირვა არის სწორედ პიროვნულის ყველაზე ღირსეული პლანით წარმოდგენა¹.

ეს არის ნამდვილი ადამიანური, ამალლებული ადამიანური არსებობის პირობა, რომლის დედააზრი გამოხატულია კომუნისმის მშენებლობის მორალური კოდექსის ერთ-ერთ პუნქტში: „ჰუმანური ურთიერთობა და ურთიერთპატივისცემა ადამიანთა შორის: ადამიანი ადამიანისათვის მეგობარი, ამხანაგი და ძმა“.

ამგვარი მიდგომისა და გაგების გარეშე შეუძლებელია განხორციელდეს კომუნისმის მშენებლის მორალური კოდექსის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა: „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის“.

პიროვნების მიერ თვითუარყოფა არ უნდა გავაგივოთ რელიგიურ, აბსტრაქტულ უარყოფასთან (რაც თავის გამოხატულებას პოეზებს ასკეტიზმში). სიკეთეს ქმედება ბრძოლაა, ბრძოლაა სიკეთის დამკვიდრებისათვის, სხვათა გაკეთილშობილებისათვის, ბრძოლა

¹ „ადამიანმა შეიძლება არ იცოდეს არც ერთი ფილოსოფიური სისტემა, — წერს ვივეკანანდა, ცნობილი ინდოელი მოაზროვნე-ჰუმანისტი, — არ ირწმუნოს არც ახლა და არც მომავალში არაერთი ღმერთი, შეიძლება თავის სიცოცხლეში არც ერთხელ არ ილოცოს, მაგრამ თუკი მას მხოლოდღა ძალა კეთილის საქმისა იმ მდგომარეობამდე მიიყვანს, როცა ის მზად იქნება სხვებისათვის გასწიროს სიცოცხლე და ყველაფერი რაც ახლავს, იგი შეიმართება უმალეს მწვერვალზე, რომელსაც შეუძლია მიადწიონ მორწმუნე ადამიანებმა თავიანთი ლოცვით და ფილოსოფოსებმა თავიანთი ცოდნით“.

ბოროტების წინააღმდეგ. ასკეტიზმი კი ცხოვრებისაგან გაქცევაა, მეტაფიზიკური, ფუჭი, უშედეგო უარყოფაა.

ამრიგად, თუ სხვისი ხელაღებითი, ცალმხრივი უარყოფა, საკუთარი „მე“-ს ეგოისტური გამართლებისათვის, უბადრუკი ადამიანური არსებობაა, მასთან შედარებით შემდგომი ამალღებული საფეხურია „მე“-ს მიერ თავისი სხვის მოძებნა და მასთან გონიერ ურთიერთობაში საკუთარი თავის გაშუალებული თვითდადგენა, ხოლო უშუალო უარყოფით თვითდადგენაში ვლინდება ნამდვილი ამალღებული ადამიანური არსებობა. პირველ შემთხვევაში უარყოფა თავს იჩენს. როგორც ცალმხრივი, ხელაღებითი, მეტაფიზიკური უარყოფა. რადგან იგი აბრკოლებს განვითარებას. მეორე და მესამე შემთხვევაში ადგილი აქვს დიალექტიკური უარყოფის განსხვავებულ (შედარებით დაბალ და შედარებით მაღალ) ხარისხებს. ამასთან, დაბალი საფეხურიდან უფრო მაღალზე გადასვლის ერთ-ერთი არსებობა პირობაა დიალექტიკური უარყოფის პრაქტიკული მნიშვნელობის გაგება და განხორციელება. ყოველი მომდევნო საფეხური წინას გულისხმობს, მომდევნოში მოხსნილ-შემონახულია წინა.

2. უარყოფა, პატივმოყვარეობა, სიყვარული

გადაჭარბებული თავმოყვარეობა, ანუ პატივმოყვარეობა უარყოფს, გამორიცხავს სხვას, საპირისპიროს. ეს არის მხოლოდ საკუთარი თავის სიყვარული, მაშინ როცა ნამდვილი სიყვარულის ძალა ისაა, რომ იგი საკუთარ თავს გვაძებნავენებს სხვაში, ანუ სხვისი მეშვეობით. ამიტომ სიყვარულის თანამდევია ნამდვილი თავმდაბლობა და პირაქით. სიყვარული განსხვავებულთა, დაპირისპირებულთა ერთიანობაა, კავშირია თავის სხვასთან. სიყვარული გვაკავშირებს, პატივმოყვარეობა გვთიშავს. პატივმოყვარეობისათვის შეუთავსებელია გონივრული დათმობა, თვითუარყოფა. რადგან საკუთარის უარყოფა ხდება სხვის სასარგებლოდ, სხვის დასადგენად და არა თვითმიზნურად. სიყვარულსას ერთი მეორეში ხედავს თავის თავს. აქ უარყოფა კავშირის პირობაა, ანუ უარყოფა კავშირია.

ამრიგად, პატივმოყვარეობა შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც მეტაფიზიკური უარყოფა, სიყვარული და მასთან დაკავშირებული თავმდაბლობა კი — როგორც დიალექტიკური უარყოფა. თავმდაბლობის გონიერი გაგება ამიტომ დიალექტიკური უარყოფის გაგებასა და პრაქტიკული მნიშვნელობის გააზრებას უკავშირდება. პა-

ტრემოკვარცობის ნამდვილი ზეორიული საფუძვლის ახსნაც ამ პოზიციიდან შეიძლება.

8. უარყოფა და მამებისა და შვილების კონფლიქტი მამებსა და შვილებს შორის, ანუ ძველსა და ახალ თაობას შორის დაკავშირებულია საკუთარი ინტერესისა, თუ მისწრაფების ცალმხრივად წინა პლანზე წამოწევისთან და საპირისპირო ინტერესთა ხელაღებით უარყოფასთან. ამგვარი კონფლიქტაც თვითუარყოფის (დათმობის) გზით უნდა გადაწყდეს. აქ დათმობა არ უნდა გავიგოთ დოგმატურად: თითქოს დათმობა იქნებოდა თუ მოხუცები ახალგაზრდულ მანერებსა და აზრებს დაუბრუნდებოდნენ ან პირიქით. ასეთი ვითარება სასაცილო მდგომარეობაში ჩააგდებდა ყოველ საზოგადოებას. ამას არც დათმობის ჩვენი გაგება მოითხოვს.

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ყოველი კონფლიქტი ახალ კონფლიქტებსა და პრობლემებს წარმოშობს და ამრავლებს, რაც კიდევ უფრო ართულებს მდგომარეობას, ამნელებს საკითხის პრაქტიკულად მოგვარებას.

ძველი და ახალი თაობა — ორი ბუნებრივი ძალაა, რომლებიც ერთმანეთს ეჭიშვებიან კიდევ და მოითხოვენ კიდევ ერთმანეთს მდგომარეობის გაწონასწორებისათვის. მათი ურთიერთგამორიცხვა, ურთიერთმოთხოვნა უზრუნველყოფს მარადიულ მოძრაობას, ქმნადობას, სიმეტრიის აღდგენას, მის კვლავ დარღვევას, კვლავ აღდგენას და ა. შ., რაც აზრის სიცოცხლის წყაროა.

ძველი თაობის სიბრძნე და სიღინჯე იმ ახალგაზრდულ აღმაფრენას ემყარება, რომელიც უკვე განვლილი და მოხსნილ-შემონახული ეტაპია; ახალგაზრდული აღმაფრენა ის აუცილებელი ბუნებრივი მდგომარეობაა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ცხოვრების გამოცდილებისა და სიბრძნის თანდათანობითი შეთვისება და ამრიგად, განვითარების პროცესში ახალ თვისებრივ მდგომარეობაში გადასვლა.

მამებსა და შვილებს შორის კონფლიქტის გადაწყვეტის პირობა ურთიერთგაგებაზე დამყარებული ურთიერთდათმობაა (თვითუარყოფა). მამებსა და შვილებს შორის დათმობა არ უნდა გავიგოთ ანარქისტული აზრით, თითქოს ყველამ აკეთოს ის, რაც სურს, ხოლო მოპირდაპირე მხარემ კეშმარტების საზიანოდ ნაძალადევად ეძებოს მოპირდაპირეს მოქმედების გამართლების საბუთი და ა. შ. არა. ურთიერთდათმობა, რომელიც ურთიერთგაგებას ემყარება, მდგომარეობს არა საკუთარი მოქმედებისა და თვალსაზრისის ხელაღებით უარყოფაში (მაგალითად, „რადგან მათთვის ასეა - საქი-

რო ჩვენ ჩვენი უნდა უარყოფთ“, „რატოპი?“ „უბრალოდ იმიტომ, რომ მათთვის ასეა საჭირო და უმჯობესია“ და ა. შ.), არამედ დააბუთებულ, შინაგანი აუცილებლობის შეგნებაზე დამყარებულ და მისგან გამომდინარე უარყოფაში. ამგვარი გაგება გამორიცხავს მეორე უკიდურესობასაც, როცა ცალმხრივად დაჟინებით იცავენ საკუთარს (მაგალითად, „ჩვენ არ ვიზიარებთ მათ თვალსაზრისს, არ მოგვწონს მათი მოქმედება“. „რატოპი?“, „უბრალოდ, არა და იმიტომ“ და სხვ).

ურთიერთგაგებაზე დამყარებული ურთიერთდათმობა ითვისწინებს განსხვავებული და საპირისპირო ინტერესების არსებობას და გამოდის მათი ერთიანობის მეცნიერული (და არა ცალმხრივი, სუბიექტური) გადაწყვეტის ინტერესებიდან. ამგვარი იდეალური მიდგომა უზრუნველყოფს ჰარმონიულ განვითარებას, განვითარებაში მემკვიდრეობითობის პრინციპის მეცნიერულ გადაწყვეტას. ამ თვალსაზრისით უნდა ვიმსჯელოთ საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ დარგში ტრადიციისა და ნოვატორობის ურთიერთობის შესახებაც.

1. შემოქმედება რაიმეს შექმნა, შემოქმედება დაკავშირებულია რაღაცის ხარჯვასთან. უარყოფასთან¹. ერთი სახის ენერგია გადადის მეორეში. სინთეზი არის რაღაცის შთანთქმა (უარყოფა). შრომა როგორც ენერგიის ხარჯვა გადადის, ნივთდება შრომის შედეგში. რაიმე როგორც არსებული, სახეზე მყოფი არის უკვე განხორციელებული უარყოფის პროცესის შედეგი. ამ უდავო ჭეშმარიტების გაუგებრობა ან გაუთვალისწინებლობა ადამიანში იწვევს სურვილისა და შესაძლებლობის გათიშვას და დაშორებას, რის ნიადაგზეც ხშირად წარმოიშობა იოლი გზით წარმატების მისწრაფება.

ცნობილია გამოთქმა — „დიდი საქმე მსხვერპლს მოითხოვს“. ყოველი საქმე მოითხოვს მსხვერპლს (პირდაპირი და არაპირდაპირი გაგებით). ზოგი მტირეს, ზოგიც დიდს. უიმისოდ არ არის რამე ახალი და ღირებულების მქონე. „არ არსებობს ისეთი სარგებელი, —

